

ა(ა)იპ – კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი

# კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი

სამეცნიერო ჟურნალი

3

თბილისი

2023

## მთავარი რედაქტორი

ნათია კენჭიაშვილი (ასისტ. პროფ. დოქტ.)

## სამეცნიერო საბჭო:

ჯოზეფ ზომპეტი (პროფ., დოქტ.)

თინათინ ბოლქვაძე (ასოც. პროფ., დოქტ.)

გიორგი ამირანაშვილი (ასოც. პროფ., დოქტ.)

## მთავარი რედაქტორის ასისტენტი

ნინო თელიაშვილი (სტუდენტი)

## სარედაქციო კოლეგია:

### ქართული ტექსტების რედაქტორი

ნატო გორდელაძე

### ქართული ტექსტების კორექტორი

ნინო ნოზაძე

### ინგლისური ტექსტების რედაქტორი

ნათია ზოიძე

### ინგლისური ტექსტების კორექტორი

ნატა ჩხაიძე

### სამეცნიერო რედაქტორი

გურამ ლეგაშვილი

### ტექნიკური რედაქტორი

თამარ სტეფნაძე

## Editor-in-Chief

Natia Kentchiashvili (Assist. Prof. Dr.)

## Scientific Council:

Joseph P. Zompetti (Prof. Dr.)

Tinatin Bolkvadze (Assoc. Prof., Dr.)

Giorgi Amiranashvili (Assoc. Prof. Dr.)

## Assistant to the Editor-in-Chief

Nino Teliashvili (LL.B. Student)

## Editorial Board:

### Georgian Text Editor

Nato Gordeladze

### Georgian Text Proofreader

Nino Nozadze

### English Text Editor

Natia Zoidze

### English Text Proofreader

Nata Chkhaidze

### Scientific Editor

Guram Legashvili

### Technical Editor

Tamar Stepnadze

**NNLE – CENTER FOR CLASSICAL AND CONTEMPORARY RHETORIC  
RESEARCH**

**CLASSICAL AND CONTEMPORARY  
RHETORIC REVIEW**

**SCIENTIFIC JOURNAL**

**3**

**TBILISI**

**2023**

უკ (UDC) 808.5  
კ-584

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანიში“, 2023  
Printed in “Meridiani” Publishers, 2023

© 2023. საავტორო უფლებები დაცულია.  
© 2023. All Rights Reserved.

ელფოსტა / Email – [contact.cccrr@gmail.com](mailto:contact.cccrr@gmail.com)

ISSN 2720-829X

# სარჩევი

ცენტრის შესახებ.....	9
მთავარი რედაქტორის მიმართვა .....	11
სტატია .....	13

## I. სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები

შესხმა, თქმული მღვდლის სამსონ ჭილაშვილის მიერ ახლადდანიშნული მასწავლებლის ელისაბედ ქართველიშვილის მიმართ ნორიოს ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფ. ნორიოში, 1886 წლის 21 ნოემბერს..... 29

სიტყვა, წარმოთქმული ილია ბახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს ..... 32

სიტყვა, წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს ..... 35

სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1910 წლის 26 თებერვალს ..... 40

სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს ..... 43

სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს..... 46

სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს ..... 49

სიტყვა, წარმოთქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს იღუმენიად კურთხევის გამო, 1911 წელს ..... 54

სიტყვა, წარმოთქმული ქრისტინე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1912 წელს..... 58

სიტყვა, თქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს .....62

სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ საღამოზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს..... 65

სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, სახაზინო თეატრში, ქ. თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს ..... 69

სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ანასტასია ერისთავ-ხომტარაის საიუბილეო საღამოზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1946 წლის 1 ივლისს .....72

სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ თსუ-ის ქალთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე, ქ. თბილისში, 1975 წლის 7 მარტს..... 77

სიტყვა, წარმოთქმული თენგიზ გიორგაძის მიერ ნანა იოსელიანის მიმართ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათმორისო ტურნირებისას, 1979 წლის ოქტომბერს ..... 81

სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარიას მიერ ელენე მაჭავარიანის წიგნის „ქართული დამწერლობა“ პრეზენტაციაზე, 2008 წლის 17 დეკემბერს ..... 85

სიტყვა, წარმოთქმული გიორგი შარვაშიძის მიერ მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს გამო თსუ-ში, 2016 წლის 13 ივნისს..... 89

## II. სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები

სიტყვა, თქმული მღვდლის სოლომონ ხახანაშვილის მიერ მარიამ ერისთავის დაკრძალვაზე, იკორთის ეკლესიაში, 1858 წლის 16 აგვისტოს ..... 95

სიტყვა, თქმული ე.მ.-ის მიერ თავადის მარიამ დადიანი-აბაშიძის დასაფლავებაზე, 1880 წლის 25 აპრილს..... 99

სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ ნინო დადიანის წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში, 1887 წლის 29 ოქტომბერს..... 103

სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ კნენა ბარბარე დავით ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს..... 108

სიტყვა, წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ კნეინა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს..... 111

გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წლის 23 აპრილს .....115

სიტყვა, წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წლის 23 აპრილს.....118

სიტყვა, წარმოთქმული ანასტასია ერისთავ-ხოშტარას მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წლის 23 აპრილს .....121

სიტყვა, თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნეინა თებრონია ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქ. სიღნაღში, 1898 წლის 4 ივლისს ..... 124

გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული შალვა დადიანის მიერ კნეინა დარია ფაღავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 25 იანვარს..... 128

სიტყვა, თქმული მღვდლის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნეინა დარია ფაღავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს ..... 131

სიტყვა, წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნეინა ელენე გრუზინსკის დასაფლავებაზე, ქ. მცხეთაში, 1903 წლის 24 აპრილს ..... 134

სიტყვა, წარმოთქმული ვლადიმერ ალექსიმესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს..... 137

სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს..... 140

გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს ..... 143

სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ბერიძის მიერ ელენე ახვლედიანის გარდაცვალების გამო, ქ. თბილისში, 1976 წლის იანვარს..... 146

სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგოშვილის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს..... 150

სიტყვა, წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს ..... 154

სიტყვა, წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო ქ. თბილისში, მიტინგზე, 8 ივლისს .....159

სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ტყემელიაძის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 8 ივლისს ..... 162

სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ჯიბლაძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს ..... 166

სიტყვა, წარმოთქმული ლაშა თაბუკაშვილის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს ..... 170

სიტყვა, წარმოთქმული ანდრია აფაქიძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს ..... 173

სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას დასაფლავებაზე, ქ. პარიზში, 1993 წლის 27 აპრილს ..... 177

სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენებისას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს ..... 181

სიტყვა, წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს ..... 185

სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს ..... 189

სიტყვა, წარმოთქმული ელდარ გეწაძის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს ..... 192

სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს ..... 195

## TABLE OF CONTENTS

<b>ABOUT THE CENTER .....</b>	<b>10</b>
<b>EDITOR-IN-CHIEF ADDRESS .....</b>	<b>12</b>
<b>ARTICLE.....</b>	<b>13</b>

### I. FESTIVE ORATORICAL SAMPLES

Panegyric delivered by the Priest Samson Tchilashvili to the newly appointed teacher Elisabeth Kartvelishvili, in Norio Baptist Church, in the village of Norio, on November 21, 1886.....	30
Speech delivered by Ilia Bakhtadze at the Anniversary evening held to celebrate Natalia Gabunia-Tsagareli's 30th year of acting career, at the city theatre, in Kutaisi, on December 3, 1909 .....	33
Speech delivered by Alexi Tchitchinadze to Anastasia Tumanishvili-Tsereteli on the occasion of the 20th Anniversary of the magazine "Jejili", in the St. George's Cathedral of Khoni, in Khoni, on February 14, 1910.....	36
Speech delivered by Akaki Tsereteli to Anastasia Tumanishvili-Tsereteli on the occasion of the 20th Anniversary of the magazine "Jejili", in the Georgian Theater, in Kutaisi, on February 26, 1910.....	41
Speech delivered by Nino Qipiani on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's birth and 40th Anniversary of her literary and public activity, at the Georgian Theater, in Tbilisi, on May 1, 1911.....	44
Speech delivered by Platon Gelovani, representative of the Baku Georgians, on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's birth and 40th Anniversary of her literary and public activity, at the Georgian Theater, in Tbilisi, on May 1, 1911.....	47
Speech delivered by Iakob Gogebashvili on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's birth and 40th Anniversary of her literary and public activity, at the Georgian Theater, in Tbilisi, on May 1, 1911.....	50
Speech delivered by Bishop Leonide on the occasion of the consecration of its abbess of the Teklati Monastery, the Nun Nino, as abbess, on July 24, 1911 .....	55

Speech delivered by Kristine Sharashidze at a meeting held in honor of Ekaterine Gabashvili at the Georgian Theatre, in Kutaisi, in 1912 .....	59
Speech delivered by Akaki Tsereteli at the meeting of the members of the Gori Georgian Women's Society "Mandilosani", in Gori, on November 3, 1913 .....	63
Speech delivered by Akaki Tsereteli at the first evening of the Tbilisi Georgian Women's Society, at the Georgian Theatre, in Tbilisi, on January 14, 1914 .....	66
Speech delivered by Ioseb Imedashvili on the 30th Anniversary of Elisabeth Cherkezishvili's acting career, at the Treasury Theatre, in Tbilisi, on February 2, 1916.....	70
Speech delivered by Nikoloz Kandelaki at the Anniversary Evening of Anastasia Eristav-Khoshtaria at the Tbilisi Opera and Ballet State Theatre, in Tbilisi, on July 1, 1946 .....	73
Speech delivered by Murman Lebanidze at the ceremonial session of the TSU Women's Council, in Tbilisi, on March 7, 1975 .....	78
Speech delivered by Tengiz Giorgadze to Nana Ioseliani during the interzonal tournaments of the Women's World Chess Championship, in October, 1979 .....	82
Speech delivered by Mikheil Kavtaria at the presentation of Elene Matchavariani's book "Georgian Script", on December 17, 2008.....	86
Speech delivered by Giorgi Sharvashidze on the occasion of Marika Lortkipanidze's 95th birthday in TSU, on June 13, 2016.....	90

### II. FUNERAL ORATORICAL SAMPLES

Speech delivered by the Priest Solomon Khakhanashvili at the funeral of Princess Mariam Eristavi, in the Ikorta Church, on August 16, 1858 .....	96
Speech delivered by E. M. at the burial of the Princess Mariam Dadiani-Abashidze, on April 25, 1880 .....	100
Speech delivered by the Bishop of Guria-Samegrelo, Grigol, at the Anniversary service of Nino Dadiani in Svetitskhoveli, in Mtskheta, on October 29, 1887 .....	104

Speech delivered by the Teacher G. Tsiklauri at the funeral of Princess Barbare Eristav-Jorjadze, in Telavi, on April 14, 1895.....	109	Speech delivered by Tamaz Shavgulidze at the funeral rally dedicated to the funeral of lawyer Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980.....	155
Speech delivered by the Priest Ioane Shiukashvili at the funeral of Princess Barbare Eristav-Jorjadze, in Telavi, on April 14, 1895.....	112	Speech delivered by Sergo Jorbenadze at the funeral rally dedicated to the funeral of lawyer Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980.....	160
Farewell speech delivered by Akaki Tsereteli at the funeral of the Princess Nino Bebutov-Diasamidze, in Gori, on April 23, 1897.....	116	Speech delivered by Giorgi Tqesheliadze at the funeral rally dedicated to the funeral of lawyer Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980 .....	163
Speech delivered by Prince Ivane Machabeli at the funeral of Princess Nino Bebutov-Diasamidze, in Gori, on April 23, 1897.....	119	Speech delivered by Giorgi Jibladze at the reburial of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, in Didube Pantheon of Writers and Public Figures, on February 22, 1987 .....	167
Speech delivered by Anastasia Eristav-Khoshtaria at the funeral of Princess Nino Bebutov-Diasamidze, in Gori, on April 23, 1897.....	122	Speech delivered by Lasha Tabukashvili at the reburial of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, in Didube Pantheon of Writers and Public Figures, on February 22, 1987 .....	171
Speech delivered by Mikheil Nasidze at the funeral of Princess Tebronia Andronikashvili, at the Bodbe St. Nino Monastery, in Sighnaghi, on July 4, 1898.....	125	Speech delivered by Andria Apakidze at the reburial of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, in Didube Pantheon of Writers and Public Figures, on February 22, 1987 .....	174
Farewell speech delivered by Shalva Dadiani at the funeral of the Princess Daria Paghava, in Samegrelo, in the village of Bandza, on January 26, 1899 .....	129	Speech delivered by Mikheil Kavtaradze at the funeral of Sopio Chijavadze-Kedia, in Paris, on April 27, 1993 .....	178
Speech delivered by the Priest Konstantine Beridze at the funeral of the Princess Daria Paghava, in Samegrelo, in the village of Bandza, on January 26, 1899 .....	132	Speech delivered by Murman Lebanidze at the burial of Ekvtime Taqaishvili and Nino Poltoratskaya, from Didube Pantheon to Mtatsminda Pantheon, on May 26, 2000 .....	182
Speech delivered by Niko Tarkhnishvili at the burial of Kneina Elene Gruzinsky, in Mtskheta, on April 24, 1903 .....	135	Speech delivered by Metropolitan Daniel at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017 .....	186
Speech delivered by Vladimer Alexi-Meskhishvili on the occasion of the death of Natalia Gabunia-Tsagareli, on August 16, 1910.....	138	Speech delivered by Vakhtang Qolbaia at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017 .....	190
Speech delivered by Ioseb Imedashvili on the occasion of the death of Natalia Gabunia-Tsagareli, on August 16, 1910 .....	141	Speech delivered by Eldar Getsadze at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017 .....	193
Farewell speech delivered by Ioseb Imedashvili at the funeral of Ekaterine Sarajishvili, at the Didube Pantheon of Georgian Writers and Public Figures, in Tbilisi, on August 11, 1916 .....	144	Speech delivered by Archpriest Bidzina Gunia at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017 .....	196
Speech delivered by Vakhtang Beridze on the occasion of the death of Elene Akhvlediani, in Tbilisi, in January, 1976 .....	147		
Speech delivered by Alexandre Prangishvili at the funeral rally dedicated to the funeral of lawyer Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980 .....	151		

## ცენტრის შესახებ

კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნდა 2021 წლის 12 იანვარს.

ცენტრის მიზანია რიტორიკის სფეროსთან დაკავშირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მათ შორის: პროექტების, კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, სტუდენტური ფორუმებისა და სემინარების, ლექციებისა და ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება; კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის სფეროში ჩართულ და მოღვაწე სუბიექტებთან თანამშრომლობა; ცენტრის მიზნების მისაღწევად, საზღვარგარეთის შესაბამის სპეციალისტებსა და დაწესებულებებთან თანამშრომლობა; სტუდენტებს, მეცნიერებსა და პროფესიონალებს შორის დიალოგისა და სხვა აქტივობების ინიცირება და წახალისება; რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობა და ა.შ.

ცენტრის პერსონალი მოიცავს: ხელმძღვანელობას, დამფუძნებელ წევრებს, საპატიო წევრებს, წევრებსა და ასოცირებულ წევრებს (ეს დამოკიდებულია თითოეული პირის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე). ჩვენი ცენტრის წევრობის მსურველებს არ ექნებათ რაიმე კონკრეტული პასუხისმგებლობა და მოვალეობები. ჩვენ ველით მათგან მხოლოდ გამოცდილების გაზიარებას, დაგეგმილ კვლევით პროექტებსა და ცენტრის სხვა ღონისძიებებსა თუ საქმიანობაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართვას.

ამჟამად, ჩვენი ცენტრის გუნდი მოიცავს დამფუძნებელ წევრებს, მათ შორის, ცენტრის დამფუძნებელი წევრი და დირექტორია დოქტ. ნათია კენჭიაშვილი, თანადამფუძნებელი წევრი გახლავთ ასოც.-პროფ., დოქტ. გიორგი ამირანაშვილი, ხოლო საპატიო წევრია პროფ. ჯოზეფ ფ. ზომპეტი.

დოქტ. ნათია კენჭიაშვილის კვლევითი და აკადემიური საქმიანობა ძირითადად უკავშირდება რიტორიკას. სწავლების სამივე საფეხურზე მისი საკვალიფიკაციო ნაშრომები ეხებოდა რიტორიკის თეორიასა და პრაქტიკას. წლების განმავლობაში მისი საკვლევო ტექსტების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და დღესდღეობით, მოიცავს 1000-ზე მეტ ქართულენოვან თუ თარგმნილ ორატორულ ნიმუშს, რომელთა საერთო მოცულობაც მილიონ სიტყვას აღწევს.

ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, 2021 წლის იანვარში გადაწყდა, წინამდებარე სამეცნიერო ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმომხილველი“ დაფუძნებულიყო. ჟურნალი საყურადღებოა იმით, რომ მასში გამოქვეყნდება სხვადასხვა დროის ცნობილი თუ უცნობი ორატორული ნიმუშები. გამოცემა ხელს შეუწყობს ორატორული ნიმუშების გაციფრების საქმეს და ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ტექსტური კოლექციის შევსებასა და მისი მოცულობის გაზრდას.

ცენტრის დირექტორი გამოთქვამს იმედს, რომ ამ და სხვა არაერთი კვლევითი აქტივობით შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევების წახალისება და აღნიშნულ საქმიანობებში დაინტერესებული პირების ჩართვა.

ველით თქვენთან თანამშრომლობას!

ცენტრის დამფუძნებელთა სახელითა და პატივისცემით,  
ვილოლოგიის დოქტორი, ნათია კენჭიაშვილი  
თბილისი, 2023 წლის იანვარი

## ABOUT THE CENTER

The Center for Classical and Contemporary Rhetoric Research (CCRR) is a non-entrepreneurial (non-commercial) legal entity established on 12th January, 2021.

The goals of the Center include conducting educational and research activities related to the field of rhetoric: planning and implementation of projects, conferences, round tables, student forums and seminars, lectures and trainings; To collaborate with persons / organizations, that work in the field of classical and contemporary rhetoric; To cooperate with relevant experts and institutions abroad in order to achieve the goals of the Center; To initiate and encourage dialogue and other activities between students, scholars and professionals; To implement consulting activities in the field of rhetoric theory and practice, etc.

The staff of the center will include: the leaders, the founding members, the honorary members, the ordinary members, and the associate members (depending on someone's qualification and experience). Our members will not have any specific responsibilities and duties. We foresee and expect from them just to share their experiences within competence at scheduled research projects and other events or activities of the Center.

Currently our Center team includes the founding members: the Center founding member & director Dr. Natia Kentchiashvili, co-founding member Assoc. Prof. Dr. Giorgi Amiranashvili and Honorary Member Prof. Joseph P. Zampetti.

Dr. Natia Kentchiashvili's academic and research activities are mainly related to rhetoric. At all three levels of education, her theses have dealt with rhetorical theory and practice. Over the years, the size of her research texts has increased dramatically and today, it includes more than 1000 Georgian-language or translated oratory samples with a total volume of up to one million words.

In addition to this project, it is planned to launch a collection of the oratorical samples "Classical and Contemporary Rhetoric Review", which will publish not only famous but also unknown rhetorical samples of different periods. The collection will contribute to the digitalization the rhetoric samples and complete the text collection of the Georgian Rhetoric Corpus and increase its volume.

The director of the Center hopes that with the above mentioned and many other research activities will make it possible to encourage scientific research and involve interested people in these activities.

We are looking forward to collaborating with you!

On behalf of the founding members of the Center, yours respectfully,  
Natia Kentchiashvili, Doctor in Philology,  
Tbilisi, January 2023

## მთავარი რედაქტორის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, წარმოგიდგინოთ ა(ა)იპ – კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრის პერიოდული გამოცემის – „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველის“ მესამე ნომერი.

ჩვენი ცენტრის დაფუძნებიდან დიდი დრო არაა გასული და მისი ეგიდით უკვე არაერთი აქტივობა გვაქვს დაგეგმილი სამომავლოდ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. უნდა ითქვას, რომ ჟურნალების სერიის მეორე გამოცემაც ჩვენი ცენტრის გეგმების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება და სტრატეგიული ნაწილია.

ჟურნალის გამოცემის იდეა გაჩნდა 2021 წლის იანვარში და დაიბეჭდება წელიწადში ერთხელ. მასში წარმოდგენილი იქნება როგორც საკუთრივ ორიგინალური ქართული, ისე ამა თუ იმ ქვეყნის რიტორიკული მემკვიდრეობის ამსახველი თვალსაჩინო ორატორული ნიმუშების თარგმანები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს კულტურული, ისტორიული და მხატვრული ღირებულება და მკითხველზე / მსმენელზე ზეგავლენისა და შთაბეჭდილების მოხდენის უნარი. აღნიშნული წამოწყებით გვსურს, პოპულარიზება გავუწიოთ, ზოგადად, ქართულ ორატორულ ხელოვნებას და კერძოდ, გავზარდოთ ორატორული ხელოვნების ნიმუშების მიმართ ცნობადობა მკითხველთა ფართო მასებში. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაიბადა ჟურნალის დაფუძნების იდეა.

რაც შეეხება წინამდებარე ნომერსა და მის შინაარსობრივ მხარეს, მასში წარმოდგენილია ორატორული ნიმუშების ტექსტები, მოკლე მიმოხილვებით, ლექსიკონით, შენიშვნებითა და განმარტებებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის ფურცლებზე აგრეთვე შეხვდებით მხოლოდ ქართულენოვან ნიმუშებს, აღნიშნული ტიპის მასალა უმეტესად სწორედ ხელმეორედ ქვეყნდება წინამდებარე ჟურნალში, რაც მის ღირსებას კიდევ უფრო ზრდის.

ჟურნალის მომზადების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი: ნინო თელიაშვილი, ნატო გორდელაძე, ნინო ნოზაძე, ნათია ზოიძე, ნატა ჩხაიძე, გურამ ლეგაშვილი, ნინო ყოჩიშვილი, ეთერ ბოკელავაძე, სოფო ჭუმბურიძე, თინათინ ჯიქურაშვილი, ანი გვირჯიშვილი, სალომე მიქელაძე, ქონაშ მასიმოვა, ნიკა ნაზაროვი, გიორგი ამირანაშვილი და სხვ. დიდ მადლობას მოვასხსენებთ მათ ჩემი და ცენტრის სახელით იმ დაინტერესებისთვის, ყურადღებისა და გულმოდგინებისთვის, რაც გამოიჩინეს ჟურნალის მიმართ და მომავალში ვუსურვებთ წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში.

იმედი გვაქვს, დავაკმაყოფილებთ მკითხველთა ინტერესს და მივცემთ მათ შესაძლებლობას, ჟურნალის მეშვეობით გაეცნონ ცნობილ თუ უცნობ ორატორულ ნიმუშებს. ვიმედოვნებთ, რომ ყველანი ერთად თავს გავართმევთ ამ მნიშვნელოვან გამოწვევას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი გამოწვევაა მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომა და ვგრძნობთ, ამ პასუხისმგებლობას. დასასრულ, ისლა დაგვრჩენია, სასიამოვნო კითხვა ვუსურვოთ მათ, ვინც გაეცნობა ჟურნალს, ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას ცენტრის ამ გამოცემის შემდეგ ნომრებზე და სიამოვნებით მივიღებთ ყველა იმ ობიექტურ მოსაზრებასა თუ საქმიან წინადადებას, რომელიც ხელს შეუწყობს ჟურნალის შემდგომ გამოცემათა დახვეწასა და განვითარებას. ჟურნალი სიამოვნებით მიიღებს რიტორიკის ამა თუ იმ დარგისა თუ ჟანრის, როგორც ორიგინალურ ქართულ, ისე თარგმნილ ორატორულ ნიმუშს მომდევნო ნომრებში გამოსაქვეყნებლად.

ჟურნალის გამომცემელთა სახელითა და პატივისცემით,  
ფილოლოგიის დოქტორი, ნათია კენჭიაშვილი  
თბილისი, 2023 წლის იანვარი

## EDITOR-IN-CHIEF ADDRESS

Dear reader,

We are pleased to present the third issue of the “Classical and Contemporary Rhetoric Review”, published by the Center for Classical and Contemporary Rhetoric Research.

Not much time has passed since the foundation of our Center, and under its auspices we have already planned a number of activities for the future, both in the short and long term, which includes activities not only in the local but also on the international arena. It must be said that the second issue of the journal series is also one of the clearest expressions and strategic parts of our Center’s plans.

The idea of publishing the journal arose in January 2021 and it will be published once a year. The journal will present both original Georgian and translations of notable oratorical samples reflecting the rhetorical heritage of a particular country, which even today maintains its cultural, historical and artistic value and the ability to influence and impress the reader / listener. With this initiative, we would like to popularize, in general, Georgian oratorical art and, in particular, to increase awareness of oratorical artworks among the broad masses of readers. It is with the above in mind that the idea of founding the journal was born.

As for the present issue and its content, it presents the texts of oratorical works, with short reviews, a dictionary, notes and explanations in Georgian and English. You will also find only Georgian-language works on the journal pages; most of this type of material has been republished in this journal, which further increases its value.

The following people were actively involved in the preparation of the journal: Nino Teliashvili, Nato Gordeladze, Nino Nozadze, Natia Zoidze, Nata Chkhaidze, Guram Legashvili, Nino Qochishvili, Eter Bokelavadze, Sopho Tchumburidze, Tinatin Jikurashvili, Ani Gvirjishvili, Salome Mikeladze, Konash Massimova, Nika Nazarovi, Giorgi Amiranashvili and others. On behalf of myself and the Center, we would like to express our gratitude to them for the interest, attention and diligence they have shown towards the journal and wish them success in their work in the future.

We hope to satisfy the interest of readers and give them the opportunity to get acquainted with well-known and unknown oratory samples through the journal. We hope that together we will all overcome this important challenge.

We should also note that it is a great challenge to appear before a wide audience of readers and we feel this responsibility. In conclusion, it remains only for us to wish pleasant reading to those who will get acquainted with the journal, and we will continue to work on the next issues of this edition of the Center and will gladly accept all objective opinions or business proposals that will contribute to the refinement and development of future issues of the journal. The journal will gladly accept oratorical samples of any field or genre of rhetoric, both in the original Georgian and in translation, for publication in the next issues.

On behalf of the collection publishers, yours respectfully,  
Natia Kentchiashvili, Doctor in Philology  
Tbilisi, January 2023

## სიტყვები, თქმული ქალთა მიმართ

### (ზოგადი მიმოხილვა)

წინამდებარე გამოცემა, რომლის თემატიკაა „ქალები ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“, წარმოადგენს იმ სამეცნიერო წამოწყების გაგრძელებას, რომელიც მიზნად ისახავს XIX-XXI საუკუნეების ქართულ მჭევრმეტყველებაში ქალთან დაკავშირებული ორატორული ნიმუშების მოძიებას, თავმოყრასა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. მაშინ, როდესაც წინამდებარე ჟურნალის წინა ნომერი იყო პირველი მცდელობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც უშუალოდ ეძღვნებოდა ქალთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს<sup>1</sup>, ახალი ნომერი ამ თემატიკას კიდევ უფრო მეტად ფარავს და მოიცავს ქალთა მიმართ წარმოთქმულ საჯარო გამოსვლის ნიმუშებს მოკლე მიმოხილვებთან ერთად ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რაც შეეხება წყაროებს, ქალთა თემატიკასთან დაკავშირებული ორატორული ნიმუშები, ძირითადად, გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში, იშვიათად – სხვადასხვა კრებულში. ორატორული ნიმუშების წყაროები, რომელთა უმეტესობაც პერიოდული გამოცემებია, დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წყაროების ციფრული ვერსიების არსებობამ მნიშვნელოვნად გაამარტივა ტექსტების მოძიება, დამუშავება და მომზადება წინამდებარე გამოცემისთვის, რაც, თავის მხრივ, ახალ შესაძლებლობებს ხსნის კვლევის ინტერდისციპლინური გააზრებისთვის.

ამასთან, ვფიქრობთ, რომ კვლევისას გამოვლენილი მასალა იქნება მდიდარი რესურსი, ზოგადად, ქართული რიტორიკის და კერძოდ, ქალთა საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის. ამგვარ ორატორულ ნიმუშებში კარგად ჩანს, თუ ვინ არიან ის მამაკაცები, რომელთა სიტყვებიც ქალებს მიემართებათ, რომელ უცნობ თუ საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს შეეხებათ საჯარო გამოსვლები, როგორი იყო აღნიშნული პერიოდის ქალთა როლი და ადგილი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში, რამდენად ძლიერი იყო ქალთა ხმა საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, რა სტერეოტიპები უკავშირდებოდა ქალთა როლს იმ პერიოდის საქართველოში, რა სახის გენდერული და ფემინისტური საკითხები იკვეთებოდა ქართულ ორატორულ ნიმუშებში, როგორი იყო ქალთა პირველი ორგანიზაციები საქართველოში, რომელთა ფარგლებშიც იმართებოდა საჯარო კრებები და განიხილებოდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ზოგადად, რა სახის თემატიკას ეხება ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, იქნება ეს იუბილე, დაკრძალვა თუ სხვ.

წინამდებარე გამოცემაში სისტემური სახით პირველად ქვეყნდება ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, მოყვანილია მათი დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია, წყაროები, თემატიკა და სხვ. შეძლებისდაგვარად დადგენილია ყველა ნიმუშის ავტორი, ადრესატი, სათაური, წარმოთქმის დრო, ადგილი, საგამომცემლო მონაცემები და ა.შ. წინამდებარე გამოცემა გვიქმნის ნათელ სურათს იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია ქალს ქართულ ორატორულ ხელოვნებაში.

უნდა ითქვას, რომ ქალებთან დაკავშირებული ორატორული ტექსტები ქართულ რიტორიკაში აქამდე არასდროს გამხდარა კვლევის დამოუკიდებელი საგანი. სწორედ ამიტომ ეს გამოცემა გახლავთ პირველი სისტემური მცდელობა, რომელიც არა მხოლოდ ტექსტების მოძიებასა და პუბლიკაციას გულისხმობს, არამედ მათ ანალიზსაც – განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აისახა ქალთა საზოგადოებრივი ხმა, სტერეოტიპები, ორგანიზაციული აქტივობები და ფემინისტური თემები ქართულ ორატორულ ტრადიციაში.

<sup>1</sup> კენჭიაშვილი, ნ. (მთ. რედ.), სამეცნიერო ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი“, კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი, თბილისი, „მერიდიანი“, 2022, №2, ხელმისაწვდომია: <<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/572046>>.

# 1. წყაროების მიმოხილვა

პირველ რიგში, შევხებით ქალთა ორატორული ხელოვნების თემატიკაზე არსებულ კვლევებს. უნდა ითქვას, რომ ქალი ორატორების საკითხი არასდროს არ ყოფილა საგანგებო შესწავლის საგანი. ამ მხრივ, შეგვიძლია დავასახელოთ ცალკეული პუბლიკაცია: პირველი ასეთი პუბლიკაციაა მ. გობიანისა და თ. მებურიშვილის ავტორობით 2007 წელს გამოცემული სტატია „ქალთა ორატორული ხელოვნების სოციოლინგვისტური და ფსიქოლოგიური ანალიზი“<sup>2</sup>, ასევე 2014 წლის ს. სხირტლადის „მჭერმეტყველი ქართველი ქალი“<sup>3</sup>. ცალკე უნდა აღინიშნოს რამდენიმე ნაშრომი, რომელიც ნაწილობრივ უკავშირდება და ასახავს ქალთა ორატორულ ხელოვნებას, მაგალითად, 2013 წელს გამოცემული „ქალები წარსულიდან“, რომელშიც საუბარია საქართველოში მოღვაწე ქალების შესახებ<sup>4</sup>, ასევე, 2018 წელს ლ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით დაბეჭდილი „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921“<sup>5</sup>.

იმ წყაროებს თუ გადავხედავთ, რომლებშიც დაცულია აღნიშნული ტიპის ორატორული ნიმუშები, დავინახავთ, რომ, ძირითადად, ისინი დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემებსა და სხვადასხვა კრებულებში. კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი ჟურნალ-გაზეთი, რომლებშიც ქვეყნდებოდა მსგავსი ნიმუშები.

ფორმატი	ნიმუშების რაოდენობა
გაზეთი	33
ჟურნალი	14
კრებული	1

გაზეთებიდან უნდა დავასახელოთ: საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი „კვალი“, ყოველკვირეული გაზეთი „თემი“, გაზეთი „შინაური საქმეები“, ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სახალხო გაზეთი“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „სახალხო საქმე“. ყოველდღიური ეკონომიკური, ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, ორკვირეული ლიტერატურული გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, პირველი ქართული სპორტული გაზეთი „ლელო“ და სხვ. ჟურნალებიდან უნდა დავასახელოთ: ჟურნალი „ცისკარი“, ორკვირეული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „განთიადი“, ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“, მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, ყოველთვიური ხელოვნებისა და ლიტერატურის მცოდნეობის ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, ყოველკვირეული თეატრალური ლიტერატურული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ. ცალკე უნდა გამოვყოთ ქართული იუმორისტული გაზეთი „ეშმაკის მათრახი“, რომელშიც გვხვდება ლექსად თქმული სიტყვა<sup>6</sup>: „მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა. [ლექსი]“<sup>7</sup>.

ფორმატი	პერიოდიკის დასახელება	ნიმუშების რაოდენობა
გაზეთი	„ივერია“	5
გაზეთი	„სახალხო გაზეთი“	5

<sup>2</sup> ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, 2007, №11, გვ. 135-140.

<sup>3</sup> ჟურნალი „სამეგრელო“, თბილისი, 2014, №6 (31), გვ. 36-38.

<sup>4</sup> გოგამე, ს., ქალები წარსულიდან, მედიის განვითარების ფონდი, 2013.

<sup>5</sup> გაფრინდაშვილი, ლ. (რედ.), ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921, თბილისი, შპს კოლორადო გრუპი, 2018.

<sup>6</sup> შენიშვ. აღნიშნული სიტყვა აქ აღარ მოგვყავს, რადგან ცალკე გამოცემას ვუთმობთ ლექსად თქმულ ორატორულ ნიმუშებს.

<sup>7</sup> ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, 1917, კვირა, 11 ივნისი, №24, გვ. 11-12.

გაზეთი	„ცნობის ფურცელი“	4
ჟურნალი	„საბჭოთა სამართალი“	4
ჟურნალი	„ბიულეტენი“	4
გაზეთი	„თემი“	3
გაზეთი	„დროება“	3
ჟურნალი	„თეატრი და ცხოვრება“	2
გაზეთი	„ფონი“	2
გაზეთი	„ლელო“	2
გაზეთი	„ლიტერატურული საქართველო“	2
გაზეთი	„შინაური საქმეები“	2
გაზეთი	„ახალგაზრდა კომუნისტი“	1
ჟურნალი	„საბჭოთა ხელოვნება“	1
გაზეთი	„სახალხო საქმე“	1
ჟურნალი	„განთიადი“	1
გაზეთი	„კვალი“	1
ჟურნალი	„მნათობი“	1
გაზეთი	„მწყემსი“	1
ჟურნალი	„ცისკარი“	1

გაზეთ „ივერიაში“, რომლის რედაქტორი და გამომცემელიც ილია ჭავჭავაძე იყო, გამოქვეყნდა სულ ხუთი ნიმუში: [სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ კნენა ნინო დადიანი წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში, 1887 წლის 29 ოქტომბერს]<sup>8</sup>; 1895 წლის 18 და 19 აპრილის ნომრებშია გამოქვეყნებული: [სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ კნენა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს<sup>9</sup>] და [სიტყვა, წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ კნენა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს]<sup>10</sup>; [გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წლის 23 აპრილს]<sup>11</sup>; [სიტყვა, წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნენა ელენე გრუზინსკის დასაფლავებაზე, 1903 წლის 24 აპრილს]<sup>12</sup>.

გაზეთ „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნდა სულ ხუთი ორატორული ნიმუში. ამათგან 1910 წლის ნომერში გამოქვეყნდა ორი ნიმუში პუბლიკაციაში ჩანართების სახით: [სიტყვა, წარმოთქმული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს]<sup>13</sup> და [სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს]<sup>14</sup>. გაზეთ „სახალხო გაზეთის“ სხვადასხვა წლის ნომრებში გამოქვეყნდა კიდევ სამი ორატორული ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, 1911 წლის 1 მაისს]<sup>15</sup>, 1913 წელს – [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს]<sup>16</sup>, 1914 წელს – [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ სადამოზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის

<sup>8</sup> გაზეთი „ივერია“, 1887, პარასკევი, 6 ნოემბერი, №232, გვ. 2.

<sup>9</sup> გაზეთი „ივერია“, 1895, სამშაბათი, 18 აპრილი, №80, გვ. 2.

<sup>10</sup> გაზეთი „ივერია“, 1895, ოთხშაბათი, 19 აპრილი, №81, გვ. 2.

<sup>11</sup> გაზეთი „ივერია“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №80, გვ. 3.

<sup>12</sup> გაზეთი „ივერია“, 1903, შაბათი, 26 აპრილი, №90, გვ. 2.

<sup>13</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1910, შაბათი, 21 აგვისტო, №88, გვ. 3.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>15</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1911, კვირა, 1 მაისი, №292, გვ. 2-3.

<sup>16</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1913, ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, №1037, გვ. 4.

14 იანვარს<sup>17</sup>.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა სულ ოთხი ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის დასაფლავებაზე, 1897 წელს]<sup>18</sup>; [სიტყვა, თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნენა თებრონია ანდრონიკაშვილის დასაფლავებაზე, 1898 წელს]<sup>19</sup>; [გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული შალვა დადიანის მიერ კნენა დარია ფაღავას გასვენებაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს]<sup>20</sup>; [სიტყვა, თქმული ბლალოჩინის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნენა დარია ფაღავას დასაფლავებაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს]<sup>21</sup>.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ გამოქვეყნდა სულ ოთხი ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგიშვილის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]<sup>22</sup>, [სიტყვა, წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]<sup>23</sup>, [სიტყვა, წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]<sup>24</sup> და [სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ტყემელიაძის მიერ იურისტ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]<sup>25</sup>.

ჟურნალ „ბიულეტენში“ გამოქვეყნდა სულ ოთხი ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]<sup>26</sup>, [სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]<sup>27</sup>, [სიტყვა, წარმოთქმული ელდარ გეწაძის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]<sup>28</sup> და [სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]<sup>29</sup>.

გაზეთ „თემში“ გამოქვეყნდა სულ სამი ნიმუში. ამათგან 1911 წლის 9 მაისის ნომერში დაიბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავად გამართულ იუბილეზე წარმოთქმული ორი სიტყვა: პირველი [სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ] და მეორე [სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ]<sup>30</sup>; აღნიშნულ ნომერში ორატორული ნიმუშები გამოქვეყნდა ერთადერთხელ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „თემის“ 25 აპრილის ნომერში დართული განცხადება, რომელშიც დაანონსებული იყო საიუბილეო ღონისძიებების თაობაზე: „1 მაისს, საღამოს 8 საათზე ქართულ თეატრში გაიმართება მწერალ ქალის ეკატერინე გაბაშვილის 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე“<sup>31</sup>. გაზეთ „თემის“ 1912 წლის ნომერში ასევე გამოქვეყნდა კიდევ ერთი ორატორული ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული ქრისტინე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ

<sup>17</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1914, ხუთშაბათი, 16 იანვარი, №1091, გვ. 3.

<sup>18</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, ორშაბათი, 28 აპრილი, №181, გვ. 2.

<sup>19</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898, პარასკევი, 10 ივლისი, №579, გვ. 3.

<sup>20</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899, პარასკევი, 29 იანვარი, №737, გვ. 2.

<sup>21</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899, შაბათი, 6 თებერვალი, №743, გვ. 3.

<sup>22</sup> ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1980, მაის-ივნისი, №3, გვ. 73-74.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 74-76.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 76-77.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 77-78.

<sup>26</sup> ჟურნალი „ბიულეტენი“, 2018, სპეციალური გამოშვება, №1(84), გვ. 3-4.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>30</sup> გაზეთი „თემი“, 1911, ორშაბათი, 9 მაისი, №18, გვ. 2.

<sup>31</sup> გაზეთი „თემი“, 1911, ორშაბათი, 25 აპრილი, №16, გვ. 1.

კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1912 წელს<sup>32</sup>.

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა სულ სამი ნიმუში: [სიტყვა, თქმული ე.მ.-ის მიერ თავადი მარიამ დადიანი-აბაშიძის დასაფლავებაზე, 1880 წლის 25 აპრილს]<sup>33</sup>, [სიტყვა, თქმული ლაზარე ტურიაშვილის მიერ გორის ქალთა პროგიმნაზიის გახსნის დროს, ქ. გორში, 1881 წლის 30 აგვისტოს]<sup>34</sup> და [სიტყვა, წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს]<sup>35</sup>.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა სულ ორი ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, სახაზინო თეატრში, ქ. თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს]<sup>36</sup> და [გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს]<sup>37</sup>.

გაზეთ „ფონში“ გამოქვეყნდა სულ ორი ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული ილია ბახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს]<sup>38</sup> და [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1910 წლის 26 თებერვალს]<sup>39</sup>.

გაზეთებში წინასწარ იყო დაანონსებული ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილე. მაგალითად, გაზეთ „ახალი სხივის“ 1910 წლის 11 თებერვლის ნომრის ახალ ამბებში ვკითხულობთ: „გაზ. ფონი გადმოგვცემს, რომ ჟურ. „ჯეჯილის“ იუბილეში, რომელიც 14 თებერვალს გაიმართება თფილისში, ქუთაისის ქალებიც აპირობენ მონაწილეობის მიღებას“<sup>40</sup>. გაზეთ „ახალი სხივის“ და გაზეთ „დროების“ 1910 წლის 16 თებერვლის ნომრებში კი ვკითხულობთ უკვე ჩატარებული იუბილეს შესახებ, რომ კვირას, 14 თებერვალს, ქართულ თეატრში დილით გაიმართა ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის დღესასწაული და მოყვანილია ინფორმაცია საჯაროდ გამომსვლელთა შესახებ; პირველად სიტყვით გამოვიდა ლუარსაბ ბოცვაძე და წ.კ.გ. საზოგადოების სახელით მიულოცა იუბილე. ამის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: ქალაქის თვითმართველობის სახელით ქალაქის თავის მოადგილემ ა. ხატისოვმა, ასევე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელმა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით, ჟურნალ „ნაკადულის“ სახელით მილოცვა წაიკითხა ნ. ნაკაშიძემ, გაზეთ „ახალი სხივის“ წარმომადგენელმა და სხვ.<sup>41</sup> არც ერთი გამომსვლელის სიტყვა აღნიშნულ გაზეთებში არ დაბეჭდილა. თბილისის გარდა, ქუთაისშიც აღინიშნა იგივე იუბილე. გაზეთ „ფონის“ ცნობით, ქუთაისის ქალთა წრეც არ ჩამორჩა თბილისელ თანამოაზრეებს და პარასკევს, 26 თებერვალს, დღის 12 საათზე ქუთაისის თეატრის დარბაზში საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილე აღინიშნა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა.<sup>42</sup>

აქვე უნდა ვახსენოთ კიდევ რამდენიმე ორატორული ნიმუში, რომლებიც ნაწილობრივ უკავშირდება ქალთა თემას. ესენია: [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ახალგაზრდობის მიმართ, ქ. პარიზში, 1909 წლის 2 დეკემბერს], [სიტყვა, წარმოთქმული კატო მიქელაძის მიერ აკაკი წერეთლის მიმართ, ქ. პარიზში, 1909 წლის 2 დეკემბერს] და [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ახალგაზრდობის მიმართ კატო მიქელაძის სიტყვის პასუხად, ქ. პარიზში, 1909

<sup>32</sup> გაზეთი „თემი“, 1912, ორშაბათი, 19 ნოემბერი, №98, გვ. 3.

<sup>33</sup> გაზეთი „დროება“, 1880, შაბათი, 20 სექტემბერი, №199, გვ. 3-4.

<sup>34</sup> გაზეთი „დროება“, 1881, კვირა, 6 სექტემბერი, №186, გვ. 3.

<sup>35</sup> გაზეთი „დროება“, 1910, შაბათი, 20 თებერვალი, №40, გვ. 2-3.

<sup>36</sup> ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, კვირა, 7 თებერვალი, №6, გვ. 13-14.

<sup>37</sup> ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, კვირა, 21 აგვისტო, №34, გვ. 8-9.

<sup>38</sup> გაზეთი „ფონი“, ქუთაისი, 1909, კვირა, 6 დეკემბერი, №14, გვ. 2.

<sup>39</sup> გაზეთი „ფონი“, ქუთაისი, 1910, კვირა, 28 თებერვალი, №9, გვ. 2.

<sup>40</sup> გაზეთი „ახალი სხივი“, თბილისი, 1910, ხუთშაბათი, 11 თებერვალი, №7, გვ. 3.

<sup>41</sup> გაზეთი „ახალი სხივი“, თბილისი, 1910, სამშაბათი, 16 თებერვალი, №11, გვ. 3; გაზეთი „დროება“, თბილისი, 1910, სამშაბათი, 16 თებერვალი, №36, გვ. 3.

<sup>42</sup> გაზეთი „ფონი“, ქუთაისი, 1910, კვირა, 28 თებერვალი, № 9, გვ. 2.

წლის 2 დეკემბერს]. ორატორული ნიმუშები ჩართულია გაზეთ „საქართველოს მოამბის“ 1909 წლის ნომერში ნარკანი კურდღელაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სახელწოდებით „აკაკი პარიზში“<sup>43</sup>. წყაროში ვკითხულობთ: „მას შემდეგ რაც აკაკი პარიზშია, იქაურ ქართველობას განზრახვა ჰქონდა აკაკისათვის თავისი პატივისცემა და სიყვარული გაეზიარებინა. გვინდოდა, მოგვეწვია სხვა და სხვა მოწინავე რედაქციათა წარმომადგენელი, თუ პოლიტიკური მოღვაწენი საფრანგეთისა (ორი-სამი). მაგრამ ასეთი ფართე განზრახვა ოცნებად დარჩა. ხოლო 2 დეკემბერს (ახალი სტილით) მოვახერხეთ მცირე სერობის გამართვა აკაკის პატივისცემად. სერობას დაესწრო აკაკი თავის მეუღლითა და შვილით, დაესწრო აგრედვე ქა-ნი ნიკოლაძისა, ნ. ლოლობერიძე, შემთხვევით შესწრობილი მომღერალი ნინოშვილი, და მთელ პარიზში მყოფი ქართველობა 50 კაცამდე. სერობა გამსჭვალული იყო ქართულის ელფერით და ერთ სულოვნობით, რამაც აკაკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შიგა და შიგ სიტყვები ითქვა, რაზედაც აკაკიც პასუხს აძლევდა ხოლმე. სიტყვა სთქვა გრ. გველესიანმა, ალ. გაბუნიაძემ, ი. ჭიჭიშვილმა, მ. გობეჩიამ, კატო მიქელაძემ, ალ. ჯანელიძემ, გ. კვიციანიძემ, ალ. ჯავახიშვილმა და სხ.“<sup>44</sup> შემდეგ კი მოყვანილია აკაკი წერეთლის სიტყვა ახალგაზრდობისადმი, რომელსაც მოსდევს კატო მიქელაძის სიტყვა, ხოლო ბოლოს მის საპასუხოდ კვლავ აკაკი წერეთლის სიტყვა. სამივე ზემონახსენები სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს მოამბეში“, საერთო სათაურით „აკაკი პარიზში“<sup>45</sup>. იმის გამო, რომ სამივე სიტყვა ერთ მოვლენას მიემართება, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ ისინი არ დავანაწევროთ და წინამდებარე ჟურნალის სხვადასხვა თემატურ გამოცემაში კი არ გადავანაწილოთ, არამედ ერთად გამოვაქვეყნოთ სადღესასწაულო მქვერმეტყველების თემატიკისადმი მიძღვნილ შემდგომ ნომერში.

## 2. ორატორულ ნიმუშთა თემატიკა

წინამდებარე გამოცემის თემატური ხაზი მთლიანად მიჰყვება ქალთა საკითხს ქართულ მქვერმეტყველებაში. ორატორულ ნიმუშთა მოძიებისას აქცენტი გავაკეთეთ საკუთრივ ქართულენოვან ნიმუშებზე. ის თავს უყრის ორატორულ ნიმუშებს, რომლებსაც სამი ნიშანი აერთიანებს: 1. სიტყვები წარმოთქმულია ქალთა მიმართ ან ავტორიც და ადრესატიც ორივე შემთხვევაში ქალია; 2. ყველა ორატორული ნიმუში თემატურად აუცილებლად უკავშირდება ქალთა თემატიკას; 3. ყველა ორატორული ნიმუში ქართული ორატორული ხელოვნების შემადგენელი ნაწილია და განეკუთვნება რიტორიკის რომელიმე დარგსა და ჟანრს.

ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე თემატური ჯგუფის ორატორული ნიმუშები. მათ შორის, ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები და ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები. ამდენად, პირველ რუბრიკაში წარმოდგენილი ორატორული ნიმუშების ავტორები არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, ხოლო მეორეში – მხოლოდ ქალები. ასევე გამოიყოფა სხვა თემატური ჯგუფიც, როგორცაა სიტყვები, წარმოთქმული ქალთა საზოგადოებების მიმართ ანდა მათი წარმომადგენლების მიერ<sup>46</sup>.

თემატური ჯგუფები	ნიმუშების რაოდენობა
I. ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები	46
II. ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები	5

### 2.1. ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები

<sup>43</sup> გაზეთი „საქართველოს მოამბე“, 1909, 25 დეკემბერი, №9, გვ. 3-5.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 3-5.

<sup>46</sup> იხ. კენჭიაშვილი, ნ. (მთ. რედ.), სამეცნიერო ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი“, კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი, თბილისი, „მერიდიანი“, 2022, №2, გვ. 16-19, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/572046>>.

პირველ რუბრიკაში, რომლის სახელწოდებაა ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, შედის 46 ნიმუში:

№	I. ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, თქმული მღვდლის სოლომონ ხახანაშვილის მიერ მარიამ ერისთავის დაკრძალვაზე, იკორთის ეკლესიაში, 1858 წლის 16 აგვისტოს
2.	სიტყვა, თქმული ე. მ.-ის მიერ თავადის მარიამ დადიანი-აბაშიძის დაკრძალვაზე, 1880 წლის 25 აპრილს
3.	სიტყვა, თქმული მღვდლის ლაზარე ტურიაშვილის მიერ გორის ქალთა პროგიმნაზიის გახსნის დროს, ქ. გორში, 1881 წლის 30 აგვისტოს
4.	შესხმა, თქმული მღვდლის სამსონ ჭილაშვილის მიერ ახლადდანიშნული მასწავლებლის ელისაბედ ქართველიშვილის მიმართ ნორიოს ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფ. ნორიოში, 1886 წლის 21 ნოემბერს
5.	სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ კნენა ნინო დადიანი წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში, 1887 წლის 29 ოქტომბერს
6.	სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ კნენა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს
7.	სიტყვა, წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ კნენა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს
8.	გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს
9.	სიტყვა, წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს
10.	სიტყვა, თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნენა თებრონია ანდრონიკაშვილის დასაფლავებაზე, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქ. სიღნაღში, 1898 წლის 4 ივლისს
11.	გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული შალვა დადიანის მიერ კნენა დარია ფაღვას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს
12.	სიტყვა, თქმული ბლალაოჩინის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნენა დარია ფაღვას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს
13.	სიტყვა, წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნენა ელენე გრუზინსკის დასაფლავებაზე, ქ. მცხეთაში, 1903 წლის 24 აპრილს
14.	სიტყვა, წარმოთქმული ილია ბახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს
15.	სიტყვა, წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს
16.	სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1910 წლის 26 თებერვალს
17.	სიტყვა, წარმოთქმული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს
18.	სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს
19.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს
20.	სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს
21.	სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს

22.	სიტყვა, წარმოთქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად კურთხევის გამო, 1911 წლის 24 ივლისს
23.	სიტყვა, წარმოთქმული ქრისტიანე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1912 წელს
24.	სიტყვა, თქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს
25.	სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ სადამოზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს
26.	სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, სახაზინო თეატრში, ქ. თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს
27.	გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს
28.	სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას საიუბილეო სადამოზე, ქ. თბილისში, 1946 წლის 1 ივლისს
29.	სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ თსუ-ის ქალთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე, 1975 წლის 7 მარტს
30.	სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ბერიძის მიერ ელენე ახვლედიანის გარდაცვალების გამო, ქ. თბილისში, 1976 წლის იანვარს
31.	სიტყვა, წარმოთქმული თენგიზ გიორგაძის მიერ ნანა იოსელიანის მიმართ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათმორისო ტურნირებისას, 1979 წლის ოქტომბერს
32.	სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგიშვილის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
33.	სიტყვა, წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
34.	სიტყვა, წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
35.	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ტყემელიაძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
36.	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ჯიბლაძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს
37.	სიტყვა, თქმული ლაშა თაბუკაშვილის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს
38.	სიტყვა, წარმოთქმული ანდრია აფაქიძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს
39.	სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას დასაფლავებაზე, ქ. პარიზში, 1993 წლის 27 აპრილს
40.	სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენებისას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს
41.	სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ ელენე მაჭავარიანის წიგნის „ქართული დამწერლობა“ პრეზენტაციაზე, 2008 წლის 17 დეკემბერს
42.	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი შარვაშიძის მიერ მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს გამო, თსუ-ში, 2016 წლის 13 ივნისს
43.	სიტყვა, წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს
44.	სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს

45.	სიტყვა, წარმოთქმული ელდარ გეჭაძის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს
46.	სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს

## 2.2. ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები

მეორე რუბრიკაში, რომლის სახელწოდებაცაა ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, შედის 5 ნიმუში:

№	II. ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, წარმოთქმული ანასტასია ერისთავ-ხომტარიას მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს
2.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს
3.	სიტყვა, წარმოთქმული ქრისტინე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1912 წელს
4.	სიტყვა, წარმოთქმული ლია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედეა აბაშიძე“ პრეზენტაციაზე, 2015 წელს
5.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო დობოჯგინიძის მიერ მზექალა შანიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე, 2016 წელს

## 3. ორატორულ ნიმუშთა დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია

ქალთა მიმართ წარმოთქმულ ორატორულ ნიმუშთა დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას რაც შეეხება, ისინი განეკუთვნება სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგებს. სადღესასწაულო მჭევრმეტყველებაში გაქვს ერთი შესხმის ჟანრის ნიმუში, ხოლო დანარჩენი – სიტყვის ჟანრის, რაც შეეხება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, გვაქვს მხოლოდ სიტყვის ჟანრის ნიმუშები.

დარგები	ჟანრები	ნიმუშების რაოდენობა
სადღესასწაულო მჭევრმეტყველება	სიტყვა, შესხმა	17
სამგლოვიარო მჭევრმეტყველება	სიტყვა	29
სულ		46

### 3.1. სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები

№	სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები
1.	შესხმა, თქმული მღვდლის სამსონ ჭილაშვილის მიერ ახლადდანიშნული მასწავლებლის ელისაბედ ქართველიშვილის მიმართ ნორიოს ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფ. ნორიოში, 1886 წლის 21 ნოემბერს
2.	სიტყვა, წარმოთქმული ილია ბახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს
3.	სიტყვა, წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს

4.	სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1910 წლის 26 თებერვალს
5.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს
6.	სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს
7.	სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს
8.	სიტყვა, წარმოთქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად კურთხევის გამო, 1911 წლის 24 ივლისს
9.	სიტყვა, წარმოთქმული ქრისტინე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1912 წელს
10.	სიტყვა, თქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს
11.	სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ სადამოზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს
12.	სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, სახაზინო თეატრში, ქ. თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს
13.	სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ანასტასია ერისთავ-ხომტარიას საიუბილეო სადამოზე, ქ. თბილისში, 1946 წლის 1 ივლისს
14.	სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ თსუ-ის ქალთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე, 1975 წლის 7 მარტს
15.	სიტყვა, წარმოთქმული თენგიზ გიორგაძის მიერ ნანა იოსელიანის მიმართ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათმორისო ტურნირებისას, 1979 წლის ოქტომბერს
16.	სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარიას მიერ ელენე მაჭავარიანის წიგნის „ქართული დამწერლობა“ პრეზენტაციაზე, 2008 წლის 17 დეკემბერს
17.	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი შარვაშიძის მიერ მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს გამო, თსუ-ში, 2016 წლის 13 ივნისს

### 3.2. სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები

№	სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, თქმული მღვდლის სოლომონ ხახანაშვილის მიერ თავადის მარიამ ერისთავის დაკრძალვაზე, იკორთის ეკლესიაში, 1858 წლის 16 აგვისტოს
2.	სიტყვა, თქმული ე. მ.-ის მიერ თავადის მარიამ დადიანი-აბაშიძის დასაფლავებაზე, 1880 წლის 25 აპრილს
3.	სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ კნეინა ნინო დადიანი წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში, 1887 წლის 29 ოქტომბერს
4.	სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ კნეინა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს
5.	სიტყვა, წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ კნეინა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს
6.	გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს
7.	სიტყვა, წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს
8.	სიტყვა, წარმოთქმული ანასტასია ერისთავ-ხომტარიას მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს

9.	სიტყვა, თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნენა თებრონია ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე, ზოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქ. სიღნაღში, 1898 წლის 4 ივლისს
10.	გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული შალვა დადიანის მიერ კნენა დარია ფალავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს
11.	სიტყვა, თქმული ბლალორჩინის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნენა დარია ფალავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს
12.	სიტყვა, წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნენა ელენე გრუზინსკის დასაფლავებაზე, ქ. მცხეთაში, 1903 წლის 24 აპრილს
13.	სიტყვა, წარმოთქმული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს
14.	სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს
15.	გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს
16.	სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ბერიძის მიერ ელენე ახვლედიანის გარდაცვალების გამო, ქ. თბილისში, 1976 წლის იანვარს
17.	სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგიშვილის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
18.	სიტყვა, წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
19.	სიტყვა, წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
20.	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ტყეშელაძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს
21.	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ჯიბლაძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს
22.	სიტყვა, წარმოთქმული ლაშა თაბუკაშვილის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს
23.	სიტყვა, წარმოთქმული ანდრია აფაქიძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს
24.	სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას დასაფლავებაზე, ქ. პარიზში, 1993 წლის 27 აპრილს
25.	სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენებისას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს
26.	სიტყვა, წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს
27.	სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს
28.	სიტყვა, წარმოთქმული ელდარ გეწაძის მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს
29.	სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს

ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები დარგობრივად განეკუთვნება სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგებს, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვისა და შესხმის ჟანრებს. ორატორული ნიმუშები მიემართება ისეთ მოვლენებს, როგორცაა, ერთი მხრივ, საიუბილეო სადამოებები, ხოლო, მეორე მხრივ, გარდაცვალება-დაკრძალვა და ა.შ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სადღესასწაულო და სამგლოვიარო თემატიკას მეტ-ნაკლებად თანაბრად ფარავს იმგვარი ორატორული ნიმუშები, რომლებიც ქალთა მიმართაა წარმოთქმული.

## 4. დასკვნა

წინამდებარე გამოცემის ფარგლებში ცალკე ადგილი დავუთმეთ ქალთა თემას ქართულ ორატორულ ხელოვნებაში. ჩვენ გამოვავლინეთ ქართულ მჭევრმეტყველებაში ცნობილი თუ უცნობი არაერთი ორატორული ნიმუში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ქალს. ჩვენ გამოვყავით ორატორულ ნიმუშებში სხვადასხვა თემატური ჯგუფი, მათ შორის, ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, ასევე ქალთა მიმართ ქალთა მიერ წარმოთქმული სიტყვები და სიტყვები, წარმოთქმული ქალთა საზოგადოებების მიმართ ანდა მათი წარმომადგენლების მიერ.

რაოდენობრივი მიმართება მჭევრმეტყველების მდედრობით და მამრობით წარმომადგენელთა შორის არათანაბარია. სულ გამოვავლინეთ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში მეტ-ნაკლებად ცნობილი 201 ავტორი, მათ შორის გვყავს მამრობითი სქესის 181 (90%), ხოლო მდედრობითი სქესის – 20 (10%) ორატორი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სიტყვიერი ხელოვნების ასპარეზზე ძირითადად სწორედ მამაკაცები გამოდიოდნენ და მათი როლი ქართულ საზოგადოებაში გაცილებით უფრო დიდი იყო<sup>47</sup>.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჩარჩოს, წინამდებარე გამოცემის თითოეულ რუბრიკაში ორატორული ნიმუშები წლების მიხედვითაა დალაგებული. აქ წარმოდგენილი ნიმუშები განეკუთვნება XIX-XXI საუკუნეებს. ყველაზე ადრეული ნიმუში თარიღდება 1859 წლით, ხოლო ყველაზე ახალი – 2017 წლით. ამდენად, კვლევის ფარგლებში დამუშავდა და მოკლე მიმოხილვების სახით, სპეციალური შესწავლის საგნად იქცა ამ პერიოდის ორატორული ნიმუშები.

რაც შეეხება ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშების დარგობრივ გადანაწილებას, ისინი განეკუთვნება სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგებს, ხოლო ჟანრობრივად ყველა ნიმუში წარმოდგენილია სიტყვის, ხოლო ერთი ნიმუში – შესხმის ჟანრში. რაოდენობრივად ყველაზე მეტი ორატორული ნიმუში დასტურდება სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დარგში, ხოლო სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგში – შედარებით ნაკლები. დარგობრივად და ჟანრობრივად თავმოყრილი და დალაგებული ორატორული ნიმუშები თავისთავად უკვე ბევრ რამეს ამბობს და გვიქმნის საერთო წარმოდგენას ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშების შესახებ.

ჟურნალის მომზადებისას, შევეცადეთ შეგვენარჩუნებინა თემატური ხაზი და კვლევის საგნად შევარჩიეთ ქალების საკითხი ქართულ რიტორიკაში, კერძოდ, მათ მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები. მოვიძიეთ და გამოვავლინეთ სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ორატორული ნიმუშები, რომლებიც დამოუკიდებელი ანდა ჩანართის სახით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემაში. ვფიქრობთ, ამით მეტ-ნაკლებად წარმოვაჩინეთ აღნიშნული საკითხი, რომელიც საინტერესო უნდა იყოს მკვლევრებისა და, ზოგადად, მკითხველებისთვის.

წინამდებარე გამოცემაში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია თითოეული ორატორული ნიმუშის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, ე.წ. მეტაინფორმაცია: ნიმუშის სათაური, ავტორი, წარმოთქმის ადგილი და თარიღი (თუ ეს დგინდება), დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია, პირველწყარო, პირველი ნაბეჭდი გამოცემა, შემდგომი ნაბეჭდი გამოცემები და ა.შ. ყველა ორატორული ნიმუშისთვის ვეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაგვედგინა ზემოჩამოთვლილი მონაცემები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, უცნობი რჩება ამა თუ იმ ტიპის ინფორმაცია.

<sup>47</sup> კენჭიაშვილი, ნ., ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზი: ტროპის სახეები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, 2020, გვ. 173, ხელმისაწვდომია: <<https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/333384>>;

კენჭიაშვილი, ნ., ტროპი ქართულ მჭევრმეტყველებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, „მერიდიანი“, 2021, გვ. 99, ხელმისაწვდომია: <<https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/360442>>;

კენჭიაშვილი, ნ. (მთ. რედ.), სამეცნიერო ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი“, კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი, თბილისი, „მერიდიანი“, 2022, №2, გვ. 24, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/572046>>.

აქ წარმოდგენილ ორატორულ ნიმუშებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი მიმოფანტულია სხვადასხვა სახის წყაროში, მათ შორის, უმეტესწილად – პერიოდულ გამოცემებში, მცირე რაოდენობით – სხვადასხვა კრებულში. ზოგიერთ ორატორულ ნიმუშს წარმოდგენილი რუბრიკებიდან პირველად ვაქვეყნებთ, რაც ზრდის ამ გამოცემის ღირებულებას. შეკრებილი ორატორული ნიმუშები მოგვყავს აკადემიური გამოცემებიდან და პირველწყაროებიდან ბეჭდური ენისა და სტილის სრული დაცვით. გთავაზობთ ორატორული ნიმუშების ტექსტებს უცვლელი სახით დასახელებული წყაროებიდან.



**I. სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები**

**I. FESTIVE ORATORICAL SAMPLES**



შესხმა, თქმული მღვდლის სამსონ ჭილაშვილის მიერ ახლადდანიშნული  
მასწავლებლის ელისაბედ ქართველიშვილის მიმართ ნორიოს  
ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფ. ნორიოში,  
1886 წლის 21 ნოემბერს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ნინო ყოჩიშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [შესხმა, თქმული მღვდლის სამსონ ჭილაშვილის მიერ ახლადდანიშნული მასწავლებლის ელისაბედ ქართველიშვილის მიმართ ნორიოს ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფ. ნორიოში, 1886 წლის 21 ნოემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – შესხმის ჟანრს.

შესხმის ავტორია სამსონ ევფთიმეს ძე ჭილაშვილი (ჭილაევი), ხოლო ადრესატი ელისაბედ გიორგის ასული ქართველიშვილი (ქართველოვი). მათ შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. მხოლოდ ირკვევა, რომ სამსონ ჭილაშვილი 1871 წლიდან სოფელ ნორიოს (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტი) ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელი იყო, ხოლო ელისაბედ ქართველიშვილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი 1908 წლიდან.

ორატორული ნიმუში გამოქვეყნდა გაზეთ „მწყემსში“, ორიგინალური სათაურით „შესხმა, ბლად.<sup>48</sup> მღვდლის მ.<sup>49</sup> სამსონ ჭილაევისაგან სოფლის ნორისის<sup>50</sup> ნათლის-მცემლის ეკლესიაში 21 ნოემბერს, 1886 წ. ამავე სოფელში ახლად განწესებულის მასწავლებლის ელისაბედ გიორგის ასულის ქართველოვისადმი“, ხოლო ბოლოში აქვს მიწერილი: „ნორისის სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი, ბლად. მღვდელი სამსონ ჭილაევი“<sup>51</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>48</sup> ბლად. – ბლადოჩინი, მღვდელი, განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეებს რუსეთის იმპერიაში.

<sup>49</sup> მ. – ამ შემთხვევაში, რადგან წინ მღვდელი უწერია, იგულისხმება მამა (მამაო).

<sup>50</sup> ნორისი – იგივე ნორიო. სოფლის სახელი შეცდომით არის დაბეჭდილი წყაროში, უნდა იყოს ნორიო, სოფელი საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

<sup>51</sup> გაზეთი „მწყემსი“, 1887, 20 იანვარი, №2, გვ. 8-9.

**Panegyric Delivered by the Priest Samson Tchilashvili to the Newly Ordained  
Teacher Elisabeth Kartvelishvili in Norio Baptismal Church,  
in the Village of Norio, on November 21, 1886**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Nino Qochishvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Panegyric delivered by the Priest Samson Tchilashvili to the newly ordained teacher Elisabeth Kartvelishvili in Norio baptismal church, in the village of Norio, on November 21, 1886]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the panegyric genre.

The author of the panegyric is Samson Tchilashvili (Tchilaev), and the addressee is Elisabeth Kartvelishvili (Kartvelov). Not much is known about them. It is only clear that since 1871, he was the priest of the Baptist Church in the village of Norio (now Gardabani Municipality) and she was the member of “The society that spread literacy among Georgians” since 1908.

The oratorical sample was published in the newspaper “Mtsqemsi” under the original title “Panegyric by the Priest Samson Tchilaev in the church of the Baptist in the village of Norisi on November 21, 1886 to the newly appointed teacher in the same village, Elisabeth, daughter of Giorgi Kartvelov”, and at the end he has written: “Teacher of the Divine Liturgy of the Noris School, Priest Samson Chilaev”<sup>52</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>52</sup> Newspaper “Mtsqemsi” 1887, January 20, №2, pp. 8-9 (in Georgian).

შესხმა

**თქმული მღვდლის სამსონ ჭილაშვილის მიერ ახლადდანიშნული  
მასწავლებლის ელისაბედ ქართველიშვილის მიმართ ნორიოს  
ნათლისმცემლის ეკლესიაში, სოფ. ნორიოში, 1886 წლის 21 ნოემბერს**

„დღეს ჩვენ ყველანი დიდი სიხარულით ვეგებებით თქვენს მობრძანებას, ელისაბედ გიორგის ასულო<sup>53</sup>! სიხარულით ვეგებებით თქვენს მობრძანებას იმიტომ, რომ სანამ თქვენ ჩვენი სოფლის სკოლის<sup>54</sup> მასწავლებლად დაინიშნებოდით, ბევრი კარგი გაგვიგონია თქვენზე. გავიგეთ, რომ თქვენ, სადაც კი გიმსახურნიათ მასწავლებლად, ყველგან დაგიმსახურებიათ სიყვარული როგორც თქვენი თანამოსამსახურეებისა და მოსწავლეებისა, აგრეთვე იმ საზოგადოებისა, რომელშიც კი გიმსახურნიათ. ერთი სიტყვით, თქვენი წარსული სამსახური გვარწმუნებს ჩვენ, რომ თქვენ წესიერად და სინდისიერად წაიყვანთ საქმეს თქვენდამი ახლად რწმუნებული ნორიოს სოფლის სკოლაშიაც. იმედი გვაქვს, რომ თქვენ ისეთივე გულს-მოდგინებით შეუდგებით სწავლების საქმეს ამ ჩვენ მცირე სასწავლებელშიაც, როგორც ბეჯითობით იღვწოდით მასწავლებლობის ასპარეზზე ქ. თბილისში. მართალია, თქვენ აქ გექნებათ საქმე გაუნათლებელ საზოგადოებასთან, მაგრამ ეს საზოგადოებაც დააფასებს თქვენს მოქმედებას და ყოველივე თქვენი მოთხოვნილების აღმსრულებელი იქნება. თქვენი წინა-მოადგილენიც ბევრსა შრომობდნენ ამ სასწავლებელზე და ბევრიც გააკეთეს. ბევრი იშრომა ამ სკოლისათვის პატივცემულმა დეკანოზმა მ.<sup>55</sup> ალექსანდრე მანსვეტოვმა<sup>56</sup>, რომელსაც ეკუთვნის ამ სკოლის დაარსება. სკოლის გახსნის შემდეგაც დიდი შრომა გასწია სკოლაზე მ. მანსვეტოვმა: ის ბევრი ეცადა, რომ სკოლის მასწავლებელს შესაფერი ჯამაგირი ჰქონებოდა დანიშნული. დღეს მ. მანსვეტოვი თუმც ჩვენგან დაშორებულია, მაგრამ არც ეხლა აკლებს ჩვენს სკოლას და ეკლესიებს თავის ყურადღებას. მ. მანსვეტოვის შემდეგ დიდი შრომა გასწიეს სკოლაზე მისმა მოადგილეებმა, რომელთა შორის ყველაზე შესანიშნავი არის ნიკოლოზ ბ. ჯაჯანიძე<sup>57</sup>, რომელიც სინდისიანათ ასრულებდა თავის მოვალეობას და მშვენიერი განწყობილება ჰქონდა როგორც თავის თანამოსამსახურეებთან და მოსწავლეებთან, აგრეთვე ჩვენს საზოგადოებასთან. ბევრი იღვაწეს ამ სკოლისათვის ზემოთ მოხსენებულმა პირებმა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და იმედი, რომ დანარჩენს თქვენ შეასრულებთ. ამ საქმეში თქვენ დიდი მხნეობა, მოთმინება და სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. ჩვენც, როგორც თქვენი თანამოსამსახურე, ვეცდებით, რომ ისეთივე შემწეობა აღმოგიჩინოთ თქვენც, როგორც შემწეობასაც უჩენდით თქვენ წინა-მოადგილეებსაც. ამ ნაირი შეერთებული ალით, იმედი, წინ წაიწევს ჩვენი სკოლის საქმე, რომელმაც უნდა მოფინოს განათლება ჩვენს საზოგადოებას.“

<sup>53</sup> იგულისხმება შესხმის ადრესატი – ელისაბედ გიორგის ასული ქართველიშვილი.

<sup>54</sup> იგულისხმება სოფელი ნორიო, სოფელი საქართველოში, ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

<sup>55</sup> მ. – შემოკლებით მამა (მამაო).

<sup>56</sup> ალექსანდრე მანსვეტოვი – იგივე ალექსანდრე მანსვეტაშვილი (1833-1902), დეკანოზი; მას ეკუთვნის სოფელი ნორიოში აღნიშნული სკოლის დაარსების იდეა. თავადაც ამ სოფელში იყო დაბადებული და აქვე მოღვაწეობდა მღვდლად და მასწავლებლად, სანამ თბილისში გადაიყვანდნენ.

<sup>57</sup> ნიკოლოზ ბ. ჯაჯანიძე – დეკანოზი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ჯაჯანიძე. მისი ძმა გერმანე, ასევე სასულიერო პირი და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანია.

სიტყვა, წარმოთქმული ილია ბახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის  
30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო  
სადამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ილია ბახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო სადამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მქვერმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ილია ლუკას ძე ბახტაძე (ფსევდონიმი ხონელი) (1859-1900) – ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. ილია ბახტაძე სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „კავკაზი“, „დროება“, „ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მოამბე“ და სხვ., სატირულ-იუმორისტული ფელეტონების სერიაში: „საკვირაო სხარტულა“, „სახელდახელო“, „კვირის საუბარი“, „კვირის სურათები“ და სხვ. – ამხელდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებს. ილია ბახტაძემ თარგმნა მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ა. ბუვიეს, ე. ზოლას, ა. დოდესა და სხვების თხზულებანი. სიტყვის ადრესატია ნატალია (ნატო) გაბუნია-ცაგარელი (1859-1910) – ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის მეუღლე. სასცენო მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქ გორში დაიწყო ხელოსნების მიერ დაარსებულ სცენისმოყვარეთა დრამწრეში. 1879 წელს მსახიობად მიიწვიეს თბილისის ქართულ პროფესიულ თეატრში. მას ჰქონდა ჩინებული სასცენო მონაცემები. შესანიშნავად ფლობდა მეტყველების, პლასტიკური გამომსახველობისა და სიმღერის ხელოვნებას. მისთვის პიესებს სპეციალურად წერდნენ: ილია ჭავჭავაძე („მაჭანკალი“), აკაკი წერეთელი („კინტო“), ავქსენტი ცაგარელი („ხანუმა“), დავით კლდიაშვილი („დარისპანის გასაჭირი“). შესრულებული აქვს შემდეგი როლები: დედა, ხორეშანი, მაჭანკალი (ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედა“, „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, „მაჭანკალი“), სალომე (აკაკი წერეთლის „კინტო“), ხანუმა, თალალა, ორომსე, ქალია (ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“, „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“<sup>58</sup>, „რაც გინახავს, ვედარ ნახავ“, „ციმბირელი“), გლეხი დედაკაცი (დავით ერისთავის „სამშობლო“), კუკუშკინა (ალექსანდრე ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), შუშანიკა, ხამფერა (გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“, „ხათაბალა“) და სხვ. მონაწილეობდა ოპერეტებშიც. ნატალია (ნატო) გაბუნია-ცაგარელის 30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად საიუბილეო სადამოზე გაიმართა ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3 დეკემბერს. საიუბილეო სადამოზე სიტყვები წარმოთქვეს: დავით კლდიაშვილმა, ილია ბახტაძემ, დავით მესხმა, ვალერიან გუნიამ, ნატალია გიგაურმა, კონსტანტინე ნიკოლაძემ და სხვებმა<sup>59</sup>. სხვა სიტყვებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ფონის“ 1909 წლის 6 დეკემბრის ნომერში, სათაურით „საიუბილეო დღესასწაული“ ჩანართის სახით<sup>60</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>58</sup> სპექტაკლის ეს სათაური არის ხალხური ანდაზა, ხოლო „სვინა“ მესხურ დიალექტში ნიშნავს მეჯვარეს ან ნათლიას.

<sup>59</sup> გაზეთი „ფონი“, ქუთაისი, 1909, კვირა, 6 დეკემბერი, №14, გვ. 2.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 3.

Speech delivered by Ilia Bakhtadze at the Anniversary Evening Held to  
Celebrate Natalia Gabunia-Tsagareli's 30th Year of Acting Career,  
at the City Theatre, in Kutaisi, on December 3, 1909

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Ilia Bakhtadze at the Anniversary evening held to celebrate Natalia Gabunia-Tsagareli's 30th year of acting career, at the city theatre, in Kutaisi, on December 3, 1909]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Ilia Bakhtadze (pseudonym Khoneli) (1859-1900) – Georgian publicist, journalist and translator. Ilia Bakhtadze collaborated at various times with magazines and newspapers: “Kavkazi”, “Droeba”, “Iveria”, “Novoe Obozrenie”, “Kvali”, “Moambe” and others. In the series of satirical-humorous feuilletons “Sakvirao Skhartula”, “Sakheldakhelo”, “Kviris saubari”, “Kviris suratebi” and others. He exposed the shortcomings of the public life of that time. Ilia Bakhtadze translated the works of M. Saltykov-Shchedrin, A. Bouvier, E. Zola, A. Dode and others. The addressee of the speech is Natalia (Nato) Gabunia-Tsagareli (1859-1910) – Georgian actress, one of the best representatives of Georgian realistic school, wife of playwright Avksenti Tsagareli. She began her stage career in her hometown of Gori, in the Drama Theatre of Stage Lovers, founded by craftsmen. In 1879, she was invited as an actress to the Georgian Professional Theatre in Tbilisi. She had excellent stage skills. She perfectly mastered the art of speech, plastic expression, and singing. Plays were written specifically for her by Ilia Tchavtchavadze (“Matchankali”), Akaki Tsereteli (“Kinto”), Avksenti Tsagareli (“Khanuma”), and Davit Kldiashvili (“Darispan's Trouble”). She has performed the following roles: Mother, Khoreshan, Matchmaker (Ilia Tchavtchavadze's “Mother of Georgia”, “Scenes from the Early Days of the Peasants' Liberation”, “Matchmaker”), Salome (Akaki Tsereteli's “Kinto”), Khanuma, Talala, Oromse, Kalia (Avksenti Tsagareli's “Khanuma”, “As You Come Svina, So Go Home”, “What You Have Seen, You Will Never See Again”, “Sibiryani”), Peasant Woman (David Eristavi's “Motherland”), Kukushkina (Alexander Ostrovsky's “Arable Land”), Shushanika, Khamphera (Gabriel Sundukian's “Pepo”, “Khatabala”) and others. She also participated in operettas. To celebrate Natalia (Nato) Gabunia-Tsagareli's 30th anniversary as an actress, an anniversary evening was held in Kutaisi on December 3, 1909. Speeches at the anniversary evening were delivered by: Davit Kldiashvili, Ilia Bakhtadze, Davit Meskhi, Valerian Gunia, Natalia Gigauri, Konstantine Nikoladze and others<sup>61</sup>. We have not been able to find other speeches yet.

The speech was published in the December 6, 1909 issue of the newspaper “Poni” as an insert under the title “Anniversary Celebration”<sup>62</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>61</sup> Newspaper “Poni”, 1909, Sunday, December 6, №14, p. 2 (in Georgian).

<sup>62</sup> Ibid, p. 3.

სიტყვა

წარმოთქმული ილია ზახტაძის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის  
30 წლის სამსახიობო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ  
საიუბილეო საღამოზე, ქალაქის თეატრში, ქ. ქუთაისში, 1909 წლის 3  
დეკემბერს

„პატივცემულო ნატო!

ჩვენში საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლა თავ-განწირვა და წამებაა! არც ერთი დარგი საზოგადოებრივ მოღვაწეობის ჩვენს მოღვაწეს ნივთიერათ არ აკმაყოფილებს; ამ მხრით მომეტებულათ მწარე ხვედრი მიუძღვნა ბედმა ჩვენს ეროვნულ სცენაზე მსახურთ. წელიწადში 8-9 თვე შიმშილი სწორეთ ძნელი ასატანია, და ვინც აიტანს ამ შიმშილს საზოგადო, საერო საქმისათვის, სწორეთ, რომ მისი ღვაწლი ძნელი დასაფასებელია. – შენ, ნატო, 30 წელი იმოღვაწე ქართულ სცენაზე, 30 წელი იარე ეკლით მოფენილ საზოგადო მოღვაწის გზაზე და არც ერთხელ 30 წლის მოღვაწეობაში გული არ გაგტეხია ქართველ საზოგადოებაზე, რომელიც გამოტეხით უნდა ვსთქვა გულცივად გეპყრობოდა. არამც თუ 30 წლის წინათ, ახლაც კი მოიძებნებიან ჩვენში „უვიცნი“, რომელთაც თეატრი სალაზღანდარო, მდიდართა თავშესაქცევ დაწესებულებათ მიაჩნიათ, „არტისტი“ „მასხარად“ და „აკტრისა“ უცილობელ გარყვნილ არსებათ, მაგრამ დღეს ასეთები გამონაკლისია. შენს სცენაზე გამოსვლისას, ნატო, გამონაკლისს თეატრზე და მსახიობზე შეგნებულათ მცქერალნი შეადგენდენ, მომეტებულს-კი არ ესმოდა თეატრის მნიშვნელობა, და ნაცვლად დახმარებისა ომს უცხადებდა მას. შენ, ნატო, სინორჩეშივე ჩაები ამ ომში და 30 წლის დაულალავი შრომით ქართველ ხალხს აცანი თუ რა არის სცენა, და ვინ არის სცენის მსახური?! ქართველი ხალხი დღესასწაულობს შენს ღვაწლს; ამ საერთო ეროვნულ დღესასწაულს ვუერთდები, გილოცავ დღესასწაულს და გამკობ შენდამი კეთილის სურვილით აღსავსე პოეტის სიტყვებით:

ქართული სცენის მშვენიეზავ  
ანდამატო, მარგალიტო!  
კიდევ დიდხანს გვიღულუნე  
ჩვენო მტრედო, ჩვენო გვრიტო!  
– გვითამაშე კვლავ „ხანუმა“,  
გაიმვერა მაჰანკალი,  
პარიზელი „მადამ-ფრომარ“  
უტიფარი ქუჩის ქალი.  
ქართულ სცენას შეალიე  
შენი ღონე, შენი ძალი.  
შენს როლებში უცილო ხარ  
არ გყავს ტოლი და ბადალი.  
მემნელება შენი ღვაწლი  
მე სავსებით გამოვხატო,  
არ გჭირია ქება-ხოტბა  
ჩვენო „ხანუმ“, „ჩვენო ნატო!“

სიტყვა, წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ალექსი ჭიჭინაძე (1851-1917) – ქართველი პედაგოგი, მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1875 წელს მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა ქუთაისში. 1880 წელს ქუთაისში დაარსდა სათავადაზნაურო სასწავლებელი, იგი ამ სასწავლებლის ინსპექტორად მიიწვიეს, მან თავისი კერძო სასწავლებელი დახურა და მოსწავლეებიანად ახალ სასწავლებელში გადავიდა. 1886 წელს გადაიყვანეს თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად, სადაც 1894 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1894-1900 წლებში მუშაობდა თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად. 1900 წელს ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორად დაინიშნა, ამ თანამდებობაზე მან 1905 წლამდე იმუშავა. 1905-1914 წლებში ალექსი ჭიჭინაძე ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად მუშაობდა. 1900-იან წლებში მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქუთაისის ქართული სცენა, რისთვისაც ი. მიქელაძესთან ერთად თარგმნა ნ. გოგოლის „რევიზორი“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ და სხვ. 1914 წელს იგი გადაიყვანეს თბილისში და დანიშნეს ქართული გიმნაზიის დირექტორად. სიტყვის ადრესატია ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი (1849-1932) – ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. თბილისში დაამთავრა ჯერ ფავრის პანსიონი, შემდეგ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1865). იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა“ და ქალთა საზოგადოება „განათლების“ დამაარსებელი. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში. 1890 წელს დააარსა ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც თავად იყო. სიტყვა ეძღვნება სწორედ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს. გამოდიოდა 1890-1920, 1922-1923 წლებში თბილისში. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო მღვიმელი და სხვანი. უმთავრესად იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები, ასევე რუს და ევროპელ ავტორთა თარგმანები, ფართო ადგილი ეთმობოდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. „ჯეჯილი“ შედგებოდა მცირეწლოვანთა და მოზრდილთა განყოფილებებისაგან.

სიტყვა გამოქვეყნდა 1910 წელს გაზეთ „დროების“ პუბლიკაციაში, სათაურით „სასარგებლო მოღვაწეობა“, ხოლო ქვესათაურით „სიტყვა, თქმული „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის გამო ხონის წმ. გიორგის ტაძარში“<sup>63</sup>. გათავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>63</sup> გაზეთი „დროება“, 1910, შაბათი, 20 თებერვალი, №40, გვ. 2-3.

**Speech Delivered by Alexi Tchitchinadze to Anastasia Tumanishvili-Tsereteli  
on the Occasion of the 20th Anniversary of the Magazine “Jejili”,  
in the St. George's Cathedral of Khoni,  
in Khoni, on February 14, 1910**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Alexi Tchitchinadze to Anastasia Tumanishvili-Tsereteli on the occasion of the 20th Anniversary of the magazine “Jejili”, in the St. George’s Church of Khoni, in Khoni, on February 14, 1910]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Alexi Tchitchinadze (1851-1917) – Georgian teacher and translator. Graduated from the Law Faculty of Moscow University. In 1875, the first Georgian school was opened in Kutaisi under his leadership. In 1880, a noble school was founded in Kutaisi, he was invited as an inspector of this school, he closed his private school and moved to a new school with his students. In 1886, he was transferred to the position of inspector of the Tbilisi noble school, where he was engaged in pedagogical activities until 1894. In 1894-1900 he worked as an inspector of public schools in Tergi district. In 1900 he was appointed director of public schools in Yerevan province, a position he held until 1905. In 1905-1914 Alexi Tchitchinadze worked as director of the Khoni Master's Seminary. In the 1900s, with his direct participation, the Georgian stage of Kutaisi was formed, for which, together with I. Mikeladze, he translated N. Gogol's “The Inspector General”, A. Ostrovsky's “A Profitable Place” and others. In 1914 he was transferred to Tbilisi and appointed director of the Georgian Gymnasium. The addressee of the speech is Anastasia Tumanishvili-Tsereteli (1849-1932) – a children's writer in Georgia, publicist, public figure. She graduated first from the Favre boarding school in Tbilisi, then from the Transcaucasian Institute of Noble Women (1865). She was an active member of the “Society for the Promotion of Literacy among Georgians”, the founder of the “Society for Mutual Assistance of Women Teachers and Educators” and the women's society “Education”. She made a special contribution to the development of journalism for the youth. In 1890 she founded the illustrated children's magazine “Jejili”, of which she herself was the editor-publisher. The speech is dedicated to the 20th anniversary of the magazine “Jejili”, which was published in Tbilisi in 1890-1920, 1922-1923. Iliia Tchavtchavadze, Akaki Tsereteli, Rafiel Eristavi, Iakob Gogebashvili, Ekaterine Gabashvili, Shio Mgvimeli and others collaborated with the publication. Mainly, works of fiction were published, as well as translations of Russian and European authors, and a large place was devoted to the samples of oral speech. “Jejili” consisted of sections for children and adults.

The speech was published in 1910 in the newspaper “Droeba” under the title “Useful Activity” and the subtitle “Speech, Delivered on the Occasion of the Twenty-Year Existence of “Jejili” in the St. George's Cathedral of Khoni”<sup>64</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>64</sup> Newspaper “Droeba”, 1910, Saturday, February 20, №40, pp. 2-3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ალექსი ჭიჭინაძის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-  
წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო,  
ხონის წმინდა გიორგის ტაძარში, ქ. ხონში, 1910 წლის 14 თებერვალს**

„ღვთაებრივმა მოძღვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, გვასწავლა ჩვენ: „არა პურითა ხოლო სცხოვრების კაცი არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელიც გამოვალს პირისაგან ღმრთისა“. ორი ათას წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები წარმოითქვა, და აქამდის ვერ შეუთვისებია ბევრს მათი აზრი და ვერ მოუხერხებია კანონად გაიხადოს ეს სიტყვები თავის ცხოვრებაში. ყოველ კაცს ედება ეს ბრალი, მაგრამ სხვათა შორის ჩვენ, ქართველებს, უფრო მეტი ბრალი გვედება – ბევრს გავუსწარით წინ ქრისტეს მოძღვრების შეუსმენელობაში. რა არის ცხოვრება სიტყვითა ღვთისათა? როგორ უნდა გვესმოდეს? ეს სიტყვები მოითხოვს ადამიანისაგან მისი სულისა და გულის გაწმენდას ანგარებისაგან და საზოგადოთ იმისთანა გრძნობისაგან, რომელიც ამცირებს მის ღირსებას და ამსგავსებს მას პირუტყვს. პირუტყვი ხომ ბედნიერია მხოლოდ თავის სხეულის კმაყოფილებით. იგი ეძებს მხოლოდ სასმელ-საჭმელს: როდესაც იშვობს მას, გაძლება და დაიძინებს; რომ გამოიღვიძებს, კიდევ შიმშილს იგრძნობს და ხელახლა შეუდგება კუჭის საქმეს. ასე მიდის მისი დღე და სოფელი, სწორედ ამისთანა პირუტყვს ჰგავს კაცი, რომელიც მუდამ თავის სარგებლობაზე ჰფიქრობს და იმის ძიებაშია. იმისთვის არ არსებობს არც მოძმე, არც საზოგადოება. ქვეყნის ბედ-იღბალი, ხალხის გაჭირვება მას არ აწუხებს. რომ ჰკითხოთ ამისთანა კაცს, რა სარწმუნოებისა ხარო, იგი ამაყად გეტყვის: „რა სარწმუნოებისა ვარ და ქრისტიანი“. მაგრამ ამაოა ლიტონი სიტყვა! „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“. ნამდვილი ქრისტიანები მაშინ ვიქნებით, თუ იმ გზას დავადგებით, რომელიც მაცხოვარმა გვიჩვენა, და მის მაგალითს მივბაძავთ. მან თავი შესწირა კაცობრიობისათვის, და, თუ ჩვენ ის გვწამს, მარტო ჩვენს კუჭზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ, – არა, სხვებისთვისაც უნდა ვაკეთებდეთ რასმე კარგს. თუ სხვისი ჭირი საკუთარ ჭირად გვაქვს მიჩნეული და შეძლებისა-დაგვარად არ გვშურს მისთვის წამლის დადება, მაშინ ჩვენის მოქმედებით ვამტკიცებთ ჩვენ სიყვარულს მოძმისას; ეს სიყვარული აგვამაღლებს ღვთისადმი და ცხოვრებული ვიქნებით სიტყვითა ღვთისათა. ამა დავეუდოთ ყური ამავე დიდებული მოძღვრის უდიდეს მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, მოყვასის სიყვარული, თუ კი გვაქვს იგი, უნდა გამოვიჩინოთ იმათ შორის, ვინც გარს გვარტყია, იმ ხალხისათვის, რომელმაც გვშვა და გაგვზარდა. ყოველ ჩვენთაგანს, დიდსაც და პატარას, მდიდარსაც და არა-მდიდარს, – ყველას შეუძლია გასწიოს ეს სამსახური. ამ საქმეს თითოეულმა უნდა შესწიროს ის და იმდენი, რამდენიც შეუძლია; მდიდარმა – მეტი, ღარიბმა – ცოტა; ფულიანმა – ფული, ხოლო ვისაც ფული არა აქვს – თავის შრომა, თავის ცოდნა და მეცადინეობა.

ყოველს დროსა და ყოველს ჟამს რაიმე განსაკუთრებული საჭიროება ადგია კარს და თხოულობს დაკმაყოფილებას. ამ ჟამად, მაგალითად, ჩვენი ხალხის მდგომარეობა გაჭირვებულია ნივთიერად და სწავლა-განათლებით. ამაზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, და ეს ცხადი ჭეშმარიტებაა. აბა, ვინც კაცია, ვინც ამბობს, ღვთის სული მაქვს შთაბერილი და ქრისტეს მცნება გულს მიმარხიაო, ყური იქონიოს სმენად, თვალი ხედვად, შესწიროს თავისი წვლილი საზოგადო საჭიროებას და მით შეუერთდეს ღმერთს სულითა და გასწიოს ქრისტეს თანაზიარობა.

ის შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია დღევანდელი ჩემი სიტყვა, მავალეს მე შევეხო ჩვენი ქვეყნის ბავშვების სწავლა-აღზრდას და მოვიხსენო ის პირი, რომელმაც იშრომა მისთვის და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მინიჭებული ნივთიერად და სულიერად, მთელი ეს ძალა გულწრფელად და თავმდაბლად მოახმარა ამ საქმეს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტაა ჩვენს ქვეყანაში მშობელი, რომელიც იმისთანა გზაზე აყენებს

შვილებს, რომ ძვალში და რბილში გაუჯდეს მათ ქრისტეს მცნება და შეიძლონ მომავალში თავიანთ ხალხის სამსახური. ბევრს მშობელს ისე ესმის შვილების აღზრდა, რომ თუ შვიდ-რვა წლამდის ტანთ ჩააცვა და ასვა-აჭამა, თუ ბავშვს სული შერჩა სკოლაში შესვლამდის, თავის მოვალეობა მოხდილი ჰგონია. ეს შვიდი-რვა წელიწადი, ბატონებო, იმისთანა დროა, როდესაც ითესება ყმაწვილის სულში და გულში თესლი მომავლის ცოდნისა და კეთილ-სურვილებისა. სწორედ ამ დროს ბევრი ჩვენი ბავშვი მივიწყებულია მამისაგანაც და დედისაგანაც: დარბის სადღაც, სად არის, ვისთან არის, კაცმა არ იცის; არავითარი საუბარი ბავშვთან, რომელიც მის გონებას ავარჯიშებდეს და ამზადებდეს ცოდნისთვის! არავითარი იმისთანა მაგალითი, რომელიც უღვიძებდეს გულში მას კეთილ გრძნობას. პირიქით ბევრი იმისთანა შემთხვევა აქვს ხოლმე ბავშვს, რომ თავისიანებისგანავე ესმის სხვების დაცინვა, სხვების გაკიცხვა. ხშირად ისეთი სიტყვა-პასუხის გამგონეც არის, რომელიც ითესება მის გულში უზნეობის თესლად და იქ ფესვებს იკეთებს ღრმად. არა იშვიათია იმისთანა შემთხვევაც, რომ ბავშვები მოწმენი არიან უზნეო საქციელისა: საკუთარის თვალით ჰხედავენ, რომ მათი მშობლები უდიერად ექცევიან თავის მოძმეებს, ღალატობენ მათ, ჰყვლეფენ, სძარცვენ. ამ გვარად თითონ მშობლები და მახლობელი, საუბედუროდ ჩვენთვის, ცუდად მოქმედებენ ყრმათა ზნეობაზე, მაშინ როდესაც ისინი განსაკუთრებით უნდა ჰზრუნავდნენ მათთვის; ავიწყდებათ მოძღვრება მაცხოვრისა: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათაგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამოთუიკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“. (სახარ. მათესი, თავი 18, მუხლი 6). – ვისზე ამყარებენ ამისთანა მშობლები თავის იმედს, როდესაც ასე იქცევიან? ვისგან მოელიან შვილების აღზრდას და განათლებას? – სკოლისაგან. სკოლაში მივსცემ და იქ გამიწვრთნიან, იქ ასწავლიან ჩემ შვილებსო. ძალიან შემცდარი იმედია. ჯერ ერთი ის, რომ რაც პატარობისას უზნეობა და უსაქციელობა ჩაეთესება ბავშვს გულში, ის, როგორც მოგახსენეთ, ღრმად იკეთებს ფესვებს და მხამავს ნორჩს არსებას, ხოლო სკოლაზე ის უნდა ვსთქვათ, რომ, სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერჯერობით იქაც ვერ არის საქმე სასურველად მოწყობილი. მოწაფეს იქ დრო არა აქვს ბუნებრივად გონება და ზნეობა განივითაროს. იქ მისი ყმაწვილობის ძალა და ენერჯია უნდა შეალიოს მან ენის შესწავლას, რადგან არ იცის ის ენა, რომელზედაც ესაუბრებიან და ასწავლიან სხვა და სხვა საგნებს. ამგვარ მდგომარეობაშია დიდი ხანია საქმე.

სწავლა-აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, საყმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ბავშვებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლა გაუგებარ ენაზე ასწავლის მათ. ოთხი-ხუთი წლის პატარა ბავშვებსაც კი, რომელთაც ჯერ, რასაკვირველია, წერა-კითხვა არ იციან, ძალიან უყვართ, როდესაც ესაუბრებიან მათ და რასმეს წაუკითხავენ ხოლმე. შეგნებულ დედმამას შეუძლიან ისარგებლოს ამ ინტერესით და კეთილად გამოიყენოს საყმაწვილო ჟურნალი და წიგნები. შემდეგ, როდესაც ბავშვები წერა-კითხვას ისწავლიან, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა შესაფერ წიგნის კითხვას, რადგან მაშინ თითონ შეუძლიან იკითხოთ წიგნი, თითონ დაუფიქრდნენ წაკითხულს, გაეცნონ კარგ მაგალითებს, კარგ საქციელს და ივარჯიშონ აზროვნებაში. ჩვენი პატარა ყმაწვილები ამ მხრივაც ცუდს მდგომარეობაში იყვნენ ამ ოცი წლის წინად<sup>65</sup>. შეგნებული თუ ვინმე იყო მშობელთა და მასწავლებელთა შორის და აფასებდა საყმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს, იმათ წიგნები არ მოეძეოდა. (გამოდოდა, მართალია, 1884 წელს საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“<sup>66</sup>, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო დაიხურა). ამ დროს გამოუჩნდა ჩვენ პაწია ბავშვებს და მათ მშობლებს გულ-შემატკივარი მზრუნველი, რომელსაც ღრმად ჰქონდა გულში დანერგილი სამშობლო ხალხის შვილების სიყვარული თანახმად ქრისტე მაცხოვრის სიტყვებისა: „რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარეთ“. დღეს ტფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში, დღესასწაული აქვსთ გამართული ამ პირის მოღვაწეობის პატივსაცემლად<sup>67</sup>. ეს პირია ანასტასია მიხეილ თუმანიშვილის ასული, მეუღლე აწ უკვე გარდაცვალებულის ცნობილის ქართველ

<sup>65</sup> სწორედ 20 წლის წინათ დაარსდა ჟურნალი „ჯეჯილი“.

<sup>66</sup> „ნობათი“ – ყოველთვიური ქართული საბავშვო ჟურნალი, გამოდიოდა 1883–1885 წლებში თბილისში. რედაქტორი-გამომცემელი – ანდრია ღულაძე. ჟურნალში იბეჭდებოდა საბავშვო ლექსები, მოთხრობები, მოგონებები, ზღაპრები, ლეგენდები, წერილები; დართული ჰქონდა გასართობები, ანდაზები, გამოცანები, რეზუსები, ნახატები და სხვა. თანამშრომლობდნენ რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, მოსე ჯანაშვილი, ალექსი მირიანაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, გიორგი წერეთელი, პარმენ თვალჭრელიძე, ალექსი ჭიჭინაძე, ანასტასია ერისთავი და სხვანი. „ნობათი“ პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი იყო.

<sup>67</sup> იგულისხმება, რომ 1910 წლის 14 თებერვალს ქ. თბილისში აღინიშნა ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილე.

მოღვაწის, გიორგი წერეთლისა<sup>68</sup>. წარსულ იანვარში პირველ რიგზე შესრულდა ოცი წელიწადი, რაც ქალბატონი ანასტასია განუწყვეტლივ და თავ-აუღებლივ შრომობს ქართველ ბავშვებისათვის. ამ ოცი წლის წინად ტფილისში მოიწვია მან ქართველი მოღვაწეები, ქართველი მწერლები და განუზიარა მათ განზრახვა საყმაწვილო ჟურნალის გამოცემისა. კრებამ ერთ ხმათ აღნიშნა სრული უქონლობა თითქმის საბავშვო წიგნებისა ქართულ ენაზე და საცოდავი მდგომარეობა ყრმათა, რომელთაც არც სკოლაში შესვლამდის და არც სკოლაში ყოფნის დროს არა ჰქონდათ საკითხავი რამ გასაგებ ენაზე. მშობლებსაც და მასწავლებლებსაც ეჭირვებოდათ შინაარსიანი ქართული წიგნები ბავშვებთან სასაუბროდ და საკითხავად, რომ ევარჯიშებით მათ გულში ადამიანური გრძნობა და ამასთანავე შეეყვარებიათ მათთვის სამშობლო ენა. მაგრამ არსად იყო ამისთანა წიგნები. ეს გარემოება ხელს უწყობდა, რასაკვირველია, სამშობლო ენის დავიწყებასაც. კრებამ მოიწონა ანასტასიას განზრახვა, დამსახურებულმა მწერლებმაც და ახალგაზრდებმაც თანამშრომლობა აღუთქვეს მას, და იმ დღეს გადაწყდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოცემა, რომელშიდაც უნდა ებეჭდათ წერილები როგორც მცირე წლოვანებისათვის, ისე უფრო მოზრდილებისათვისაც.

სიტყვა „ჯეჯილი“ ნიშნავს ახალ ამოსულ პურის მცენარეს, ქორფას, მწვანეს და ეს სახელი შესაფერიც არის იმ ასაკისათვის, რომლისთვისაც დაარსდა ჟურნალი. იქიდგან დაწყებული დღემდის განუწყვეტლივ გამოდის ეს წიგნი ყოველ თვიურად. ბევრი რამ სასარგებლო დაიბეჭდა შიგ: ლექსები ჩვენი საუკეთესო მგოსნებისა, საბავშვო მოთხრობები, არაკები, მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან, წერილები ბუნების მეცნიერებიდან და სხვა-და-სხვა. ამ ჟურნალმა და სხვა წიგნებმა, რომელიც თან მოჰყვა მას ანასტასიას დაუცხრომელი შრომის წყალობით, მისცეს მშობელთა და მასწავლებელთა შესაფერი მასალა ყრმათა გონებისა და გრძნობის საწვრთნელად. ქართველი ბავშვები ეღირსენ წიგნებს, რომელთაც ჰკითხულობდენ და რომელნიც ესმოდათ; ესმოდათ და სიამოვნებას ჰპოვებდნენ წიგნის კითხვაში, სიამოვნება-კი ხალისს უღვიძებდა მათ სწავლისას, სიყვარულს სამშობლო ენისას, და ვინ იცის, რამდენი კარგი აზრი და კარგი გრძნობა ჩაუნერგა ამ ჟურნალმა ყმაწვილებს სულსა და გულში. აჰა, მისი მკითხველებიც! ზოგნი უკვე გამოდიან სამოღვაწეოდ და ვხედავთ მათს კეთილ მიმართულებას, მათს სიყვარულს სამშობლოსადმი, ხოლო სხვები, უფრო მრავალნი, ახლო მომავალში გამოვლენ სამუშაოდ და თავის სწავლა-ცოდნით, იმედია მიეშველებიან მშობელ ხალხს. აღსრულდა მაშინ ის სიტყვები, რომელიც ზეწარწერილი აქვს ჟურნალს: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო, მისივე სარჩო შეიქენ, ვინც გთესა-მოგიყვანაო“.

ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრჯელ გადაეღობა წინ დაბრკოლება „ჯეჯილს“ და მასთან განუყრელს ანასტასიას, ბევრი განსაცდელი დაადგა, მაგრამ იმ სიყვარულის წყალობით, რომლითაც გამსჭვალულია იგი პაწია ქართველებისადმი, ჟურნალი მაინც ფეხზე სდგას კიდევ და ბეჯითათ უნერგავს მკითხველებს გულში ქართულ გრძნობას და ახალისებს მათ სწავლისადმი.

მოღვაწეობა ანასტასიასი მარტო ჟურნალისა და წიგნების გამოცემით არ თავდება: იმას დიდი სამსახური მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიაც“: ერთი საუკეთესო მშრომელთაგანი იყო იქ მრავალ წლის განმავლობაში, რამდენსამე წელიწადს საზოგადოების გამგეობაშიაც მსახურებდა და ყოველ წელიწადს დიდ შრომას ჰკისრულობდა საზოგადოების ნივთიერ საშუალების გასაძლიერებლად. ამას კიდევ დაეუმატოთ ის, რომ ანასტასიამ დიდად შეუწყო ხელი თავის სამშობლო სოფელში, ხელთუბანში (გორის მაზრაშია), სახალხო სკოლის გახსნას და არ აკლებდა ამ სკოლას ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას. ამას გარდა ანასტასიას თაოსნობით ტფილისში არსებობს აგერ რამდენიმე წელიწადია დედათა სასწავლებელი ყაზბეგის სახელობისა, რომელშიდაც სწავლობენ ღარიბ ქართველთა შვილები. იგი დიდს მონაწილეობას იღებს ამ სასწავლებლის სვე-ბედში; ერთი უმთავრესი სულის ჩამდგმელთაგანია მისი.

თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ანასტასია წერეთლისა არასოდეს არ ყოფილა იმ აზრით შეცული, რომ ცხოვრებულ იყოს პურითა. თავის ნივთიერი საშუალების შესაფერად და რაც ძალ-ლონე მიუნიჭებია მისთვის ღმერთს, ის ყოველთვის ამსრულებელი იყო მცნების: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ყოველი ქართველი მადლიერი უნდა იყოს მისი უანგარო შრომისათვის. ვსთხოვოთ ღმერთს ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს ანასტასიას და კიდევ დიდხანს განაგრძოს მისი ნაყოფიერი შრომა საქართველოს მოზარდ თაობის სასარგებლოდ.“

<sup>68</sup> გიორგი წერეთელი – გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი (1842-1900) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-  
წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო,  
ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1910 წლის 26 თებერვალს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-  
წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში,  
1910 წლის 26 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო  
მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია აკაკი წერეთელი (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო  
მოღვაწე. სიტყვის ადრესატია ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი (1849-1932) – ქართველი საბავშვო  
მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. თბილისში დაამთავრა ჯერ ფავრის პანსიონი,  
შემდეგ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1865). იყო „ქართველთა შორის წერა-  
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა  
საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა“ და ქალთა საზოგადოება „განათლების“ დამაარსებელი.  
განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში. 1890 წელს  
დააარსა ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც  
თავად იყო. სიტყვა ეძღვნება სწორედ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს. გამოდიოდა 1890-  
1920, 1922-1923 წლებში თბილისში. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი  
წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო მღვიმელი და  
სხვანი. უმთავრესად იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები, ასევე რუს და ევროპელ ავტორთა  
თარგმანები, ფართო ადგილი ეთმობოდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. „ჯეჯილი“ შედგებოდა  
მცირეწლოვანთა და მოზრდილთა განყოფილებებისაგან.

გაზეთ „ფონის“ ცნობით, 1910 წელს ქუთაისის ქალთა წრის ინიციატივით, საბავშვო ჟურნალ  
„ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს აღსანიშნავად სალიტერატურო დილა გაიმართა ქუთაისის თეატრში.  
ამ მოვლენასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა<sup>69</sup>. გთავაზობთ ორატორულ  
ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>69</sup> გაზეთი „ფონი“, ქუთაისი, 1910, კვირა, 28 თებერვალი, №9, გვ. 2.

**Speech Delivered by Akaki Tsereteli to Anastasia Tumanishvili-Tsereteli on  
the Occasion of the 20th Anniversary of the Magazine “Jejili”,  
at the Georgian Theatre, in Kutaisi, on February 26, 1910**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Akaki Tsereteli to Anastasia Tumanishvili-Tsereteli on the occasion of the 20th Anniversary of the magazine “Jejili”, at the Georgian Theatre, in Kutaisi, on February 26, 1910]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – a poet, writer, publicist and public figure. The addressee of the speech is Anastasia Tumanishvili-Tsereteli (1849-1932) – a children's writer in Georgia, publicist, public figure. She graduated first from the Favre boarding school in Tbilisi, then from the Transcaucasian Institute of Noble Women (1865). She was an active member of the “Society for the Promotion of Literacy among Georgians”, the founder of the “Society for Mutual Assistance of Women Teachers and Educators” and the women's society “Education”. She made a special contribution to the development of journalism for the youth. In 1890 she founded the illustrated children's magazine “Jejili”, of which she herself was the editor-publisher. The speech is dedicated to the 20th anniversary of the magazine “Jejili”, which was published in Tbilisi in 1890-1920, 1922-1923. Ilia Tchavtchavadze, Akaki Tsereteli, Rafiel Eristavi, Iakob Gogebashvili, Ekaterine Gabashvili, Shio Mgvimeli and others collaborated with the publication. Mainly, works of fiction were published, as well as translations of Russian and European authors, and a large place was devoted to the samples of oral speech. “Jejili” consisted of sections for children and adults.

According to the newspaper “Poni”, in 1910, at the initiative of the Kutaisi Women’s Circle, a literary morning was held at the Kutaisi Theatre to celebrate the 20th anniversary of the children’s magazine “Jejili”. Akaki Tsereteli delivered a speech on the occasion<sup>70</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>70</sup> Newspaper “Poni”, Kutaisi, 1910, Sunday, February 28, №9, p. 2 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ანასტასია თუმანიშვილ-  
წერეთლის მიმართ ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო,  
ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1910 წლის 26 თებერვალს**

„ბატონებო!

პატარა პრუსიამ<sup>71</sup> რომ დიდი საფრანგეთი დაამარცხა<sup>72</sup> და მანამდი, თითქოს, უმნიშვნელო სამეფო, მთლიანად გერმანიის დიდ იმპერიად გახდა, მიზეზად ძლევა მოსილებისა ერთპირად აღიარეს არა მარტო ნიჭიერი სარდლები და გაწრთვნილი ჯარი, არამედ სოფლის მასწავლებლები, რომელთაც ბავშვებს ჩაუნერგეს გულში სამშობლოს თავდადებული სიყვარული. აქედან ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახალგაზრდობის თვალ-ყურის გდებას და მის აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა ოცი წელია ადგია ამ გზას<sup>73</sup> და ადგია არა მარტო... მხოლოდ ჩვეულებრივი ელვითა და ქუხილით, სხვების თვალსა და ყურში საჩხირებლად!.. ჩუმათ... სიტკბოებით ეჩურჩულება მოზარდ-თაობას და ამ წყნარ სამსახურს უგვირგვინებენ დღეს პატარა ბავშვები და მათი მშობლები მადლობის გადახდით. მათთან ერთად მთელი საზოგადოება... ქართველობაც, როგორც საყოველთაო გრძნობას უერთებს თავის გულის თქმას და ისურვებს ამ ქალ-მოდვრისათვის ხანგრძლივ მოღვაწეობას და სიმრთელეს მრავალ-ჟამიერ.“

<sup>71</sup> პრუსია – პრუსია (გერმ. Preußen, ლათ. Borussia, Prussia, Prutenia; პოლ. Prusy; რუს. Пруссия; ლიეტ. Prūsija) – ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გერმანულ ფეოდალთა სამხედრო ექსპანსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, რომელიც გერმანიაში მილიტარიზმისა და რეაქციის დასაყრდენი იყო. საბოლოოდ მოისპო მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის განადგურების შედეგად.

<sup>72</sup> იგულისხმება საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 წწ. ომი, სადაც პრუსიის სამეფომ ბუნდესკანცლერ ოტო ფონ ბისმარკის მეთაურობით დაამარცხა საფრანგეთის მეორე იმპერია.

<sup>73</sup> იგულისხმება ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიერ 1890 წელს დაარსებული ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილე.

სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნინო ტატიშვილი-ყიფიანი (1867-1937) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი. იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწის – დიმიტრი ყიფიანის შუათანა ვაჟის, ცნობილი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, კონსტანტინე ყიფიანის მეუღლე. ნინო აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალ „ნაკადულის“ დაარსებაში, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოება „იმედის“ დამფუძნებელი. სიტყვის ადრესატია ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილ-გაბაშვილი (1851-1938) – ქართველი მწერალი, ფემინისტი და საზოგადო მოღვაწე. 1881 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და თარგმანები. 1879 წლიდან ეკატერინე გაბაშვილი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, 1880 წელს აირჩიეს საზოგადოების წევრად, ხოლო 1914 წლიდან – მის საპატიო წევრად. 1911 წლის პირველ მაისს ეკატერინე გაბაშვილს დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

გაზეთ „თემის“ 1911 წლის ნომერში გამოქვეყნებულია ეკატერინე გაბაშვილის სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავად გამართულ იუბილეზე წარმოთქმული ორი სიტყვა: პირველი სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ და მეორე სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ<sup>74</sup>. სიტყვა გამოქვეყნდა ერთადერთხელ გაზეთ „თემში“, სათაურით „სიტყვა ნინო ყიფიანისა“<sup>75</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>74</sup> გაზეთი „თემი“, 1911, ორშაბათი, 9 მაისი, №18, გვ. 2.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 2.

## Speech Delivered by Nino Qipiani on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's Birth and 40th Anniversary of her Literary and Public Activity, at the Georgian Theatre, in Tbilisi, on May 1, 1911

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nino Qipiani on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's birth and 40th Anniversary of her literary and public activity, at the Georgian Theatre, in Tbilisi, on May 1, 1911]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nino Tatishvili-Qipiani (1867-1937) – a Georgian public figure, writer and translator. She was the wife of the great statesman Dimitri Qipiani, the middle son of the famous actor and public figure Konstantine Qipiani. Nino actively participated in the establishment of the magazine “Nakaduli”, as well as in other public activities. She was the founder of the Tbilisi Georgian Women’s Society “Imedi”. The speech is addressed to Ekaterine Tarkhnishvili-Gabashvili (1851-1938) – a Georgian writer, feminist and a public figure. From 1881 onward, her short stories and translations were published on a regular basis. Since 1879, Ekaterine Gabashvili had been an active participant in the “Society for the Spreading of Literacy among Georgians”; in 1880 she was elected a member of the Society, and from 1914 she became its honorary member. On May 1, 1911, Ekaterine Gabashvili her 60th birthday was celebrated, as well as the 40th anniversary of her literary and public activity.

The 1911 issue of the newspaper “Temi” published two speeches delivered at the anniversary celebration of Ekaterine Gabashvili’s the 40th anniversary of literary activity: the first speech, delivered by Nino Qipiani, and the second speech, delivered by Platon Gelovani, a representative of the Georgians from Baku<sup>76</sup>. The speech was published only once in the newspaper “Temi” under the title “Speech delivered by Nino Qipiani”<sup>77</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>76</sup> Newspaper “Temi”, 1911, Monday, May 9, №18, p. 2 (in Georgian).

<sup>77</sup> Ibid, p. 2

სიტყვა

**წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის  
დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40  
წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1  
მაისს**

„ღრმად პატივცემულო ეკატერინე!

თბილისის ქართველ-ქალებმა მე დამავალეს მოგილოცო ორმოცი წლის მოღვაწეობა სამწერლო და საზოგადო ასპარეზზე და აი სიამაყით ვასრულებ ამ საპატიო დავალებას, გილოცავ, როგორც მათ მხრივ, აგრეთვე კერძოთ ჩემ მხრივაც, ორიოდ სიტყვის დამატებით.

როგორც მწერალს, კარგად გიცნობს შენ ჩვენი მკითხველი საზოგადოება. შენს ღირსებაზე, როგორც მწერალზე, კიდევაც იყო ნათქვამი და ამაზე თქმა რისამე მე მეტადლა მიმაჩნია. არას ვიტყვი აგრეთვე შენი ფრიად ნაყოფიერი შრომის შესახებ სხვა და სხვა საზოგადო საქმეში. არც საზოგადოთ მიღებული გაზვიადებული ქება-დიდებათ შევლახავ შენს კდემ-მოსილ, სადა და მყვირალა პატივის-მოყვარულობას მოკლებულ პიროვნებას.

მე აღვნიშნავ მხოლოდ ამ დარბაზში შენს პატივ-საცემლად შეკრებილ საზოგადოების წინაშე იმ განსაკუთრებულ ღირსებას, შენს იმ თვალსაჩინო თვისებას, რომელსაც ბევრად-ბევრია ჩვენში მოკლებული.

ამ თვისებას, როგორი დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს ხალხისთვის მწერალსა, – ყოველი პატარა, დამოკიდებული ერისათვის და თვით იმ მწერლისათვისაც, მასზე თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა მაინც, ვგონებ არ უნდა ჰქონდეს.

ეს თვისება არის – შენში უმაღლეს წერტილამდე ასული სამშობლოს სიყვარულის გრძნობა.

გულ-წრფელად აღვიარებ, რომ ამ მხრივ მე ქართველ ქალებში მეორე ეკატერინე გაბაშვილისას ვერ ვიცნობ! ამ მხრივ შენ ქართველ ქალებში ისევე თვალ-საჩინო ხარ, ამ გრძნობით ისევე განირჩევი მათში, როგორც წყვილიადით მოცულ ღამეში ცის კიდურზე ოდნავ მობჟუტავ მნათობთ შორის ერთი რამ გამორჩევით, მომეტებული სიცხოველით ანათებს! და ვაგლახ შენი ერის ბედს, რომ გარემოებამ ხელი არ შეგიწყო, და არ მოგცა ასპარეზი, თორემ საჭირო, საფუძვლიანი თავ-განწირვით, არც ერთი ხალხის საუკეთესო, თავ-დადებულ მამულის შვილთ არ ჩამოუვარდებოდი!

აი ამ თვისებას აღვნიშნავ მე აქ ხაზ-გასმით, ამ გრძნობისთვის გცემ უღრმესს პატივს, ვუთითებ მასზე ქართველ ქალებს და შენ კი გისურვებ იმათ წამბადველობას, ვინაიდგან ვიცი, რომ ამაზე უკეთესს ჯილდოს ვერ მიიღებ ვერავისგან ამ ორმოცი წლის ეკლიანი გზის განვლისათვის საზოგადო ასპარეზზე!“

სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის  
პლატონ გელოვანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და  
სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე,  
ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ქონამ მასიმოვამ

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია პლატონ ლევანის ძე გელოვანი (1874-1937) – აგრო-ეკონომისტი. 1906 წლიდან იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1909 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობის წევრი გახდა. 1913 წლის 30 იანვარს მან ქალაქიდან წასვლის გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობა დატოვა. სიტყვის ადრესატია ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილ-გაბაშვილი (1851-1938) – ქართველი მწერალი, ფემინისტი და საზოგადო მოღვაწე. 1881 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და თარგმანები. 1879 წლიდან ეკატერინე გაბაშვილი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, 1880 წელს აირჩიეს საზოგადოების წევრად, ხოლო 1914 წლიდან – მის საპატიო წევრად. 1911 წლის პირველ მაისს ეკატერინე გაბაშვილს დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

გაზეთ „თემის“ 1911 წლის ნომერში გამოქვეყნებულია ეკატერინე გაბაშვილის სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავად გამართულ იუბილეზე წარმოთქმული ორი სიტყვა: პირველი სიტყვა, წარმოთქმული ნინო ყიფიანის მიერ და მეორე სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ<sup>78</sup>. სიტყვა გამოქვეყნდა ერთადერთხელ გაზეთ „თემში“, სათაურით „ბაქოელ ქართველების წარმომადგენლის პლატონ გელოვანის სიტყვა“<sup>79</sup>. გთავაზობთ ტექსტს უცვლელი სახით ზემოხსენებული წყაროდან.

<sup>78</sup> გაზეთი „თემი“, 1911, ორშაბათი, 9 მაისი, №18, გვ. 2.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 2.

**Speech Delivered by Platon Gelovani, Representative of the Baku Georgians,  
on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's Birth and 40th  
Anniversary of her Literary and Public Activity, at the  
Georgian Theater, in Tbilisi, on May 1, 1911**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Konash Masimova

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Platon Gelovani, representative of the Baku Georgians, on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's birth and 40th Anniversary of her literary and public activity, at the Georgian Theater, in Tbilisi, on May 1, 1911]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Platon Gelovani (1874-1937) – an agro-economist. Since 1906, he has been a full member of the Society for the Promotion of Literacy among Georgians. In 1909, he became a member of the board of the Baku branch of the Society for the Promotion of Literacy among Georgians. On January 30, 1913, he left the board of the Baku branch of the Society for the Promotion of Literacy among Georgians due to his departure from the city. The speech is addressed to Ekaterine Tarkhnishvili-Gabashvili (1851-1938) – a Georgian writer, feminist and public figure. From 1881 onward, her short stories and translations were published on a regular basis. Since 1879, Ekaterine Gabashvili had been an active participant in the “Society for the Spreading of Literacy among Georgians”; in 1880 she was elected a member of the Society, and from 1914 she became its honorary member. On May 1, 1911, Ekaterine Gabashvili her 60th birthday was celebrated, as well as the 40th anniversary of her literary and public activity.

The 1911 issue of the newspaper “Temi” published two speeches delivered at the anniversary celebration of Ekaterine Gabashvili’s the 40th anniversary of literary activity: the first speech, delivered by Nino Qipiani, and the second speech, delivered by Platon Gelovani, a representative of Georgians from Baku<sup>80</sup>. The speech was published only once in the newspaper “Temi” under the title “Speech by Platon Gelovani, a representative of the Baku Georgians”<sup>81</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>80</sup> Newspaper “Temi”, 1911, Monday, May 9, №18, p. 2 (in Georgian).

<sup>81</sup> Ibid, p. 2

სიტყვა

**წარმოთქმული ბაქოელი ქართველების წარმომადგენლის, პლატონ გელოვანის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს**

„დიდად პატივცემულო ქალ-ბატონო ეკატერინე<sup>82</sup>!

დღევანდელი დღე ისეთი ღირსშესანიშნავია ჩვენს კულტურულ ცხოვრების ისტორიაში, რომ შეუძლებელია მას რომელიმე ჩვენი კუთხის მცხოვრები გულგრილად შეხვედროდა. ბაქოს ქართველობა ადგილობრივ წ. კ. გ. საზოგადოების<sup>83</sup> თაოსნობით უერთდება ამ ჩვენს საერო დღესასწაულს და გილოცავს ორმოცი წლის ეროვნულ სამწერლო ასპარეზზედ მოღვაწეობას. ვერ დავმაღავთ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ მეტად გულ-გატეხილი ვართ ქართველ ქალებზედ. მათი ხასიათისა და ეროვნულ გრძნობის სისუსტით ისარგებლა მტერმა და მათის შემწეობითვე შეგვებღალა ოჯახი, ენა და თვით ეროვნებაც შეგვისუსტდა, მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდნილვართ, მუდამ გვქონდა იმედი ქართველ ქალის გამოღვიძებისა და აჰა, მეოცე საუკუნის დასაწყისში უკვე ვდღესასწაულობთ ქართველი ქალის მოღვაწეობის ხანას. მადლობას გიძღვნით იმედის გამართლებისათვის. დაე თქვენი მაგალითი იყვეს ქართველი ქალის ბრწყინვალე მომავლის წინამორბედი. მაშ, გაუმარჯოს ქართველ ქალს და მის წინ მავალს ჩვენთვის ძვირფასს ეკატერინეს!..“

---

<sup>82</sup> ეკატერინე – ეკატერინე გაბაშვილი.

<sup>83</sup> წ. კ. გ. საზოგადოება – (აბრევ.) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე  
გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი  
მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში,  
ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) – ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იაკობ გოგებაშვილი იბრძოდა საქართველოში სახალხო სკოლების შექმნისთვის. იგი მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და მის საქმიანობაში. იაკობ გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია: 1865 წელს გამოცემული „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“<sup>84</sup>, 1868 წელს – „ბუნების კარი“<sup>85</sup>, 1876 წელს – „დედა ენა“<sup>86</sup>, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში. სიტყვის ადრესატია ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილ-გაბაშვილი (1851-1938) – ქართველი მწერალი, ფემინისტი და საზოგადო მოღვაწე. 1881 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და თარგმანები. 1879 წლიდან ეკატერინე გაბაშვილი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, 1880 წელს აირჩიეს საზოგადოების წევრად, ხოლო 1914 წლიდან – მის საპატიო წევრად. 1911 წლის პირველ მაისს ეკატერინე გაბაშვილს დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

ორატორული ნიმუში დაიბეჭდა რამდენჯერმე: პირველად, 1911 წელს გაზეთში „სახალხო გაზეთი“, სათაურით „საიუბილეო სიტყვა“, ხოლო ბოლოში მიწერილი აქვს „იაკობ გოგებაშვილი“<sup>87</sup>. აღნიშნული სიტყვა შემოკლებული სახით ასევე დაიბეჭდა სხვა გამოცემებში, მათ შორის, უნდა დავასახელოთ 1955 წლის ი. გოგებაშვილის „თხზულებათა ათტომეული“<sup>88</sup> და 1990 წლის ი. გოგებაშვილის „რჩეული თხზულებანი“<sup>89</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

<sup>84</sup> გოგებაშვილი, ი. (შემდგ.), ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, ტფილისი, მელიქიშვილის და კამპანიის სტამბა, 1865.

<sup>85</sup> გოგებაშვილი, ი. (შემდგ.), ბუნების კარი: საყმაწვილო წიგნი. დაბალ კლასებში სახმარებელი, საქართველოს კარტით, ტბილისი, მელიქიშვილის და კამპანიის სტამბა, 1868.

<sup>86</sup> გოგებაშვილი, ი. (შემდგ.), დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის, თბილისი, მელიქიშვილის და კამპანიის სტამბა, 1876.

<sup>87</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1911, კვირა, 1 მაისი, №292, გვ. 2-3.

<sup>88</sup> გოგებაშვილი, ი. თხზულებათა ათტომეული, IV ტ., თბილისი, ინსტიტუტის გამომცემლობა, 1955, გვ. 175-478.

<sup>89</sup> გოგებაშვილი, ი. რჩეული თხზულებანი, III ტ., თბილისი, განათლება, 1990, გვ. 302-306.

## Speech Delivered by Iakob Gogebashvili on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's Birth and 40th Anniversary of her Literary and Public Activity, at the Georgian Theatre, in Tbilisi, on May 1, 1911

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Iakob Gogebashvili on the 60th Anniversary of Ekaterine Gabashvili's birth and 40th Anniversary of her literary and public activity, at the Georgian Theatre, in Tbilisi, on May 1, 1911]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Iakob Gogebashvili (1840-1912) – a Georgian teacher, founder of scientific pedagogy in Georgia, publicist, children's writer and public figure. Iakob Gogebashvili fought for the creation of public schools in Georgia. He participated in the establishment and activities of the Society for the Promotion of Literacy among Georgians. Among the school textbooks of Iakob Gogebashvili, the following are noteworthy: in 1865 he published “The Alphabet of the Georgian Language and the First Reading Book for Students”<sup>90</sup>, in 1868 – “The Door to Nature”<sup>91</sup>, in 1876 – “Mother Language”<sup>92</sup>, which played a great role in the development and establishment of the new Georgian literary language. The speech is addressed to Ekaterine Tarkhnishvili-Gabashvili (1851-1938) – a Georgian writer, feminist and public figure. From 1881 onward, her short stories and translations were published on a regular basis. Since 1879, Ekaterine Gabashvili had been an active participant in the “Society for the Spreading of Literacy among Georgians”; in 1880 she was elected a member of the Society, and from 1914 she became its honorary member. On May 1, 1911, Ekaterine Gabashvili her 60th birthday was celebrated, as well as the 40th Anniversary of her literary and public activity.

The oratorical sample was printed several times, for the first time in 1911 in the newspaper “Sakhalkho Gazeti” under the title “Jubilee Speech”, and at the end it is written “Iakob Gogebashvili”<sup>93</sup>. The above-mentioned speech was printed in abbreviated form in other publications, among which we should mention: I. Gogebashvili's “Ten-Volume Works” was published in 1955<sup>94</sup> and I. Gogebashvili's “Selected Works” was published in 1990<sup>95</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>90</sup> Gogebashvili, I. (Comp.), *Georgian Alphabet and the First Reading Book for Students*, Tiflis, Melikishvili and Campania Printing House, 1865 (in Georgian).

<sup>91</sup> Gogebashvili, I. (Comp.), *The Gate of Nature: A Book for Young People. For Use in Lower Classes, with Maps of Georgia*, Tbilisi, Melikishvili and Campania Printing House, 1868 (in Georgian).

<sup>92</sup> Gogebashvili, I. (Comp.), *Mother Language or the Alphabet and the First Reading Book for Public Schools*, Tbilisi, Melikishvili and Campania Printing House, 1876 (in Georgian).

<sup>93</sup> Newspaper “Sakhalkho gazeti”, 1911, Sunday, May 1, №292, pp. 2-3 (in Georgian).

<sup>94</sup> Gogebashvili, I. *Ten-volume collection of works, IV volume*, Tbilisi, Institute Publishing House, 1955, pp. 175-478 (in Georgian).

<sup>95</sup> Gogebashvili, I. *Selected Works, III vol.*, Tbilisi, Ganatleba, 1990, pp. 302-306 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის მიერ ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1911 წლის 1 მაისს**

„ვინა თქვა საქართველო მომაკვდავიაო? სიტყვა „კურთხეულმა“ ბიუროკრატია, სიტყვა კაი ხანია. ვინ ირწმუნა და დაიჯერა? ყველაზე ადრე და სავსებით ეს „კეთილი“ ნათქვამი დაიჯერა ქართველმა ქალობამ, გამოზრდილმა ბიუროკრატულს სკოლებში. დაიჯერა, მონურად დაემორჩილა ბიუროკრატის გულის წადილს და ზურგი შეაქცია: ეროვნულს ოჯახს, ეროვნულს ეკლესიას, ღვიძლს ენას, ქართულს ლიტერატურას, ეროვნულს საქმეს, ეროვნულს მისწრაფებას და გადაბირების გზას დაადგა. მან სრულიად და სავსებით დაივიწყა დიდებული ანდერძი თავის ღვაწლით შემოსილი წინაპრებისა, ქართველთა დედებისა, რომელნიც იყვნენ ძველს საქართველოში ნამდვილნი, შეურყეველნი ბურჯნი ეროვნულის არსებობისა, განვითარებისა, აღორძინებისა.

ამ მოწყვეტამ ეროვნულის ნიადაგიდან ქართველს ქალობას დამართა იგივე უბედურება, რომელიც თავზე დაატყდა ამ გვარივე მიზეზით ძველს საბერძნეთის გმირს ანთეოზს<sup>96</sup>. ანთეოზი, როგორც მოგეხსენებათ, იყო ღვიძლი შვილი დედა-მიწისა, და ვიდრე მას თავის მშობელს დედამიწაზე ფეხი მაგრა ედგა, იგი იყო უძლეველი და მას ვერასგზით ვერ მოერია თვით გმირთა გმირი ჰერკულესი<sup>97</sup>. მაგრამ, როცა ამ უკანასკნელმა შეიგნო, რომ უძლეველობა ანთეოზისა იმალებოდა დედა-მიწასთან კავშირში, აიტაცა მალა, მოაშორა დედა-მიწას, გააჩერა დიდ ხანს ჰაერში, დააუძლურა და დაღუპა.

ჩვენი ქალობა, მოშორებული ეროვნულს ნიადაგს, წარმოადგენს უძლურს და უფერულს კრებულს, რომელიც უსარგებლოა ქვეყნისათვის, ატარებს ფუჭს ცხოვრებას, არავითარს ღვაწლის დათესვა არ შეუძლიან, არავითარს კვალს არა სტოვებს თავისი პირისაგან ქვეყნისა და იკარგება დავიწყების უფსკრულში. მათზეა ზედ გამოჭრილი შემდეგი ლექსი მაღალ ნიჭიერი ქართველის პოეტისა:

„ვითარცა ცეცხლი მარტოდა  
სჩანს ველსა ზედ შთობილი,  
რომლისა კვამლი ჰაერში  
ქარის შებერვით არს მქრალ,  
ეგრედ იქმნების აღხორცილ  
ამ სოფლად მისი სახელი,  
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო  
და ვერ აღბეჭდა ნავალი“.

სამწუხაროდ, თითქმის ამდენადვეა მოწყვეტილი ეროვნულს ნიადაგს მეორე ნახევარი ქართველის ინტელიგენციისა – ქართველი ნასწავლი ვაჟობა და თითქმის ამდენადვეა დაუძლურებული ბიუროკრატული სკოლის წყალობით.

მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ სადაც უდაბნო სახარაა<sup>98</sup>, იქ უსათუოდ მოიპოვება აქა იქ თვალ-წარმტაცი, გულის მალხინებელი ღაღანა ოაზისები<sup>99</sup>, ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველ ქალთა

<sup>96</sup> ანთეოზი – ძველი ბერძნები მითოლოგიური გმირი, ერთ-ერთი თქმულების მიხედვით. მას უძლეველს დედამიწა ხდიდა და ენერგიას მისგან იღებდა. ანთეოზი ჰერაკლეს უთუოდ დაამარცხებდა, რომ არა ამ უკანასკნელის გონებამახვილურობა. იგი მიიხვდარა, რომ ანთეოზის სხეულს ენერგიასა და ძალას დედამიწა აძლევდა ყოველი შეხებისას. ამიტომ ჰერაკლემ მოაშორა იგი მიწას, აიყვანა ჰაერში და იქ გააჩერა, რის შედეგადაც ის თანდათან დასუსტდა და დაუძლურდა. ანთეოზი ამგვარად დამარცხდა ჰერაკლესთან ბრძოლაში.

<sup>97</sup> ჰერკულესი – იგივე ჰერაკლე, ძველი ბერძნული მითოლოგიური გმირის ჰერაკლეს რომაული სახელწოდება.

<sup>98</sup> უდაბნო საჰარა – მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკაში. იგი მსოფლიოში უდიდესი ქვიშიანი უდაბნოა.

<sup>99</sup> ოაზისი – უდაბნოში მდებარე წყლიანი ადგილი, სადაც მცენარეები ხარობს.

სფერაშიაც ვხედავთ ოაზისებს. დიად, ჩვენ გვყავს ქალთა გუნდი, რომელიც მოგვაგონებს ძველს ნეტარ დედებსა. იგი მტკიცედ სდგას ეროვნულს ნიადაგზე მხარში უდგია საუკეთესო მამულიშვილ ვაჟებს და გამსჭვალულია წადილით: დაიცვას თავისი ერის არსებობა, დააყენოს იგი თავისი განვითარების და წარმატების გზაზე, უვიცობა ცოდნაზე შესცვალოს, სიმწუხარე სიხარულზე და თავისს დაჩაგრულს სამშობლოს ნათელი მომავალი მოუმზადოს. ეს გუნდი მოწადინებულია აღადგინოს პროგრესიულს საფუძველზე ეროვნული ოჯახი, გაამეფოს დედა-ენა ქართველს საზოგადოებაში, ხელი შეუწყოს ქართულის მწიგნობრობის აღორძინებას, შექმნას მდიდარი საყმაწვილო ლიტერატურა და თვით ეროვნულს სკოლასაც ფეხი მოაკიდებინოს ჩვენს ცხოვრებაში. ამ გუნდის სასიქადულო მოღვაწეობაში უპირველესი ადგილი უჭირავს იმ სახელოვან ასულს ივერიისასა, რომელიც არის მიზეზი დღევანდელის კულტურის დღესასწაულისა, იუბილესა – ეკატერინე რევაზის ასულისა...

ბატონებო! მომაკვდავს ერს არ ძალუძს მოყვარეს ღირსეული მოყვრობა გაუწიოს, მტერს მტრულად დაუხვდეს. ამისთანა ერი ვერც სავსებით დააფასებს თავის შვილის ღვაწლსა და ვერც ძლიერად და მხურვალედ გადაუხდის მას თავისს მადლობას, თავისს პატივისცემას და სიყვარულსა... მრავალი წერილი, რომელიც ქართველობამ უძღვნა მთელის უკანასკნელის წლის განმავლობაში მეიუბილეს<sup>100</sup> მოღვაწეობას და დღევანდელი დღესასწაული, აღსავსე უძლიერესი თანაგრძნობით, უტყუარი მოწამეა მისი, რომ ქართველი ერი ცოცხალია, და ცოცხალიც დარჩება დუშმანთა და მოღალატეთა გულსაკლავად.

რითი დაიმსახურა ასეთი საყოველთაო, ასეთი ძლიერი, ასეთი გულწრფელი თანაგრძნობა ეკატერინე რევაზის ასულმა<sup>101</sup>? დაიმსახურა თავის მრავალ მხროვანი<sup>102</sup> მოქმედებით საზოგადო ასპარეზზე, მოქმედებით, რომელსაც აზის ბეჭედი მაღალი ჭკუისა, ღრმა გრძნობისა, მოსიყვარულე გულისა, მხურვალე მამულიშვილობისა. პირველი და უბრწყინვალესი ნაყოფი ამ სასიქადულო მოქმედებისა ახლა თვალწინ უდევს ქართველობასა. ეს გახლავთ ვებერთელა ტომი მისი თხზულებებისა, მშვენივრად გამოცემული და შემკული ავტორის ორის პორტრეტითა<sup>103</sup>. ჩაკვირდით ამ პორტრეტებს და მათს იშვიათს გამომეტყველებაში ამოიკითხავთ საიდუმლოებას იმ ღრმა კვალისას, რომელიც გაავლო ქართველთ ცხოვრებაში ეკატერინე რევაზის ასულმა. ამ ტომს ამშვენებს მთელი ორმოცი სალიტერატურო მარგალიტი<sup>104</sup>, სადაც ერთმანეთს ეცილებიან პირველობას: წმინდა ქართული ენა, მომხიბლავი გრძნობანი, მხატვრული სურათები, აღმზრდელი მიმართულების ბეჭედი. ეს სამკეცი წიგნი, რომელსაც ვერ დაუტევია თავის მრავალრიცხოვანს ფურცლებზე ყველა ნაწარმოები მაღლიანი კალმისა, ნამდვილს მშვენიებას შეადგენს ჩვენის ლიტერატურისას. იგი ძვირფასს სამსახურს გაუწევს ორსავ<sup>105</sup> ასაკს – ნორჩს თაობასაც და სრულს წლოვანებსაც...

სალიტერატურო მოღვაწეობა ეკატერინე რევაზის ასულისა სრულიად მოკლებული იყო რაიმე სივიწროვეს, ცალმხროვანს<sup>106</sup> პირადობას. იგი თავისი კალმის ნაწარმოებს როდი ჰბეჭდავდა რომელსამე ერთს გამოცემაში. ქართულს ენაზე არ არსებობდა არც ერთი რიგიანი ორგანო, რომელშიაც მას მონაწილეობა არ მიეღოს.

ჰქმნიდა და ბეჭდავდა არა მარტო მოთხრობებსა, არამედ პუბლიცისტურს წერილებსაც შესახებ საჭირბოროტო საკითხებისა. თავისი წვლილი შეიტანა თვით ქართულის თეატრის სფეროშიაც-კი.

მოქმედებდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მისი საქმიანობის საუკეთესო ნაყოფი არის ქალთა პროფესიონალური სკოლა, რომელსაც ასობით მოუმზადებია ქართველი ღარიბი ქალები პირდაპირ ცხოვრებისათვის, პატიოსანი შრომისათვის, დამოუკიდებელი არსებობისათვის.

წყურვილი მოყვასის სიკეთისა იმდენად დიდი იყო ჩვენს ეკატერინეში, რომ სადაც კი მოექცეოდა, ყველგან ჰფენდა თავის გარშემო ნუგეშსა, იმედსა, შვებასა და ღებნასა. ჩამომავლობით

<sup>100</sup> მეიუბილე – იუბილარი – ის, ვინც იუბილეს იხდის.

<sup>101</sup> ეკატერინე გაბაშვილი – ოფიციალური სახელი და გვარი: ეკატერინე თარხნიშვილი. ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი. დაიბადა 1851 წელს, გორში. გარდაიცვალა 1938 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

<sup>102</sup> მრავალ მხროვანი – მრავალმხრივი.

<sup>103</sup> პორტრეტი – იგულისხმება მწერლის სურათი.

<sup>104</sup> „ორმოცი სალიტერატურო მარგალიტი“ – იგულისხმება სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წელი.

<sup>105</sup> ორსავ – ორივე.

<sup>106</sup> იგულისხმება მწერლის მრავალმხრივი მოღვაწეობა და თანამედროვე პრესასთან მისი აქტიური თანამშრომლობა.

თავადიშვილი, იგი გამსჭვალული იყო ნამდვილი დემოკრატობით. იგი დაულალავად ზრუნავდა გლეხ-კაცობის ვარამის გასაქარვებლად, შესამცირებლად, მისი სიბნელის გასაფანტავად, განათლების სხვის შესატანად სოფლის ცხოვრებაში.

მადამ ფავრის პანსიონში<sup>107</sup>, სადაც იგი სწავლობდა, თავის მაგალითით, სრულიად მოსპო გულგრილობა დედა-ენისადმი თავის ამხანაგთა შორის და გადააქცია იგი მათთვის საყვარელ საგნად.

მაგრამ განა შესაძლებელია სავსებით ამოვწუროთ ის მეტად ფართო თაღარი<sup>108</sup> მამულიშვილისა, რომელსაც წარმოადგენს ორმოცის წლის სახელოვანი მოღვაწეობა ეკატერინე რევაზის ასულისა?

ვწუხვარ, რომ სერიოზულმა უქეიფობამ იძულებული გამხადა ამ პატარა სინტეზით განმესაზღვრა ჩემი საიუბილეო სიტყვა<sup>109</sup>.

დასასრულ, ვინატრი ეკატერინე რევაზის ასულის მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს, მით უმეტესი გულწრფელობით, რომ მას მოხუცებულებამ მადლიანი ნიჭი კი არ შეუმცირა, არამედ გაუმღიერა, და ამისი უტყუარი საბუთი არის ისა, რომ მისი უკანასკნელი წლების ნაწერები ზედმეტი ღირსებით ბრწყინავენ.

ბოლოს, ვინატრი კიდევ ერთს რასმე: ვინატრი, რომ ამ დიდებულს იუბილეს ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინოს, სხვათა შორის, ქართველს გადაბირებულს ქალობაზე, გონზე მოეყვანოს იგი, საქართველოს მრავალ-ჟამიერ სიცოცხლე ერწმუნებინოს, უკუღმართის, გადაგვარების გზისათვის შეეფურთხებინოს, ეროვნული გზა შეეყვარებინოს, სამშობლოს შვება და ლხენა თავის ხატად დაესახოს, ბევრი მადლი და სიკეთე დაეთესოს თავისი ქვეყნისათვის და ღრმა კვალი გაევიდოს ჩვენს ცხოვრებაში, – და ბოლოს მორჯულებულ ქალბატონთა შორის რჩეულნი, დიდი ღვაწლით შემოსილნი, ღირსებოდნენ იმისთანა დიდებულს იუბილეს, რომლითაც დააჯილდოვა მადლიერმა საქართველომ თავისი დიდი კატო<sup>110</sup>, რომლის სახელი მთელს ქართველ ერის ხსოვნაში ბრწყინვალე შარავანდედით იქნება მოცული.“

<sup>107</sup> იგულისხმება ევგენია მარი-ფავრის ქალთა პანსიონი თბილისში. იგი გაიხსნა 1854 წელს მტკვრის სანაპიროზე, ბელიაევის სახლში. პანსიონში ისწავლებოდა საღვთო სჯული, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია, რუსული, ფრანგული, ქართული, სომხური, სუფთა წერა, ცეკვა, მუსიკა, ხელსაქმე. ცნობილია, რომ აქ განათლება მიიღო ქართველმა მწერალმა ანასტასია თუმანიშვილმა. პანსიონი 1875 წელს გიმნაზიად გადაკეთდა.

<sup>108</sup> თაღარი – ტყავის დასალბობი ჭურჭელი. ჰგავს გადაჭრილ წვევს. თაღარი მზადდებოდა ხის, თიხის, ქვისა და ცემენტისაგან.

<sup>109</sup> გულისხმობს, რომ ავადმყოფობის გამო შეიძლება უშუალოდ ვერ დასწრებოდა იუბილეს და სიტყვა პუბლიკაციის სახით მაინც გამოაქვეყნა.

<sup>110</sup> კატო – ეკატერინე გაბაშვილი.

სიტყვა, წარმოთქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ თეკლათის დედათა  
მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად  
კურთხევის გამო, 1911 წლის 24 ივლისს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ნინო ნოზაძემ

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად კურთხევის გამო, 1911 წლის 24 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ეპისკოპოსი ლეონიდი, იგივე ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე; 1861-1921) – ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1919-1921 წლებში, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ძმისშვილი და მისი გაზრდილი. დღემდე ჩვენთვის ცნობილია მის მიერ წარმოთქმული ქადაგების, მოძღვრებისა და სიტყვის ჟანრის არაერთი ორატორული ნიმუში. იგი იყო აღიარებული მქადაგებელი. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში. სიტყვის ადრესატია ილუმენია ნინო (ერობაში – ელენე ვაჩნაძე, 1878-1946). 1910 წლის იანვარში მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ნინო ეწოდა. 1911 წლის 10 ივლისს წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე თეკლათის მონასტრის წინამძღვრად დაამტკიცეს და ამავე წლის 24 ივლისს ეპისკოპოსმა ლეონიდემ ილუმენიას წოდება მიანიჭა. სიტყვა წარმოითქვა სწორედ თეკლათის დედათა მონასტერში<sup>111</sup> მისივე წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად კურთხევის გამო. მონაწილეობდა 1917 წლის 11-17 სექტემბერს გამართულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე. ამ კრების გადაწყვეტილებით, ილუმენია ნინო კვლავ ბოდბის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1923-24 წლებში კომუნისტური ხელისუფლების ზეწოლის შედეგად წინამძღვარი და მონასტრის კრებული იძულებული გახდა დაეტოვებინათ მონასტერი. ილუმენია ნინო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, თბილისში ჩამოვიდა და რამდენიმე მონაზონთან ერთად ანჩისხატის ტაძართან დასახლდა. იგი 1946 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა.

წინამდებარე ორატორული ნიმუში მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, როგორც წესი, ქართულ მჭევრმეტყველებაში ბევრი ნიმუში მოგვეპოვება, რომელიც ეძღვნება ეპისკოპოსად კურთხევას, ეკლესიის კურთხევას, სკოლის კურთხევას და ა.შ., ხოლო მონაზვნის ილუმენიად კურთხევის აღსანიშნავად წარმოთქმული ორატორული სიტყვა იშვიათად გვხვდება.

სიტყვა გამოქვეყნდა 1911 წლის 31 ივლისს გაზეთში „შინაური საქმეები“, სათაურით „სიტყვა თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად კურთხევის გამო“<sup>112</sup>. სავარაუდებელია, რომ სიტყვა წარმოითქვა 1911 წლის 24 ივლისს. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

<sup>111</sup> თეკლათის დედათა მონასტერი – მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სახარბედიოს მთაზე. მონასტრის ისტორია XIX ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება.

<sup>112</sup> გაზეთი „შინაური საქმეები“, 1911, კვირა, 31 ივლისი, №22, გვ. 1-3.

**Speech Delivered by Bishop Leonide on the Occasion of the Consecration of  
the Abbess of the Teklati Monastery, the Nun Nino,  
as abbess, on July 24, 1911**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Nino Nozadze

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Bishop Leonide on the occasion of the consecration of the abbess of the Teklati Monastery, the Nun Nino, as abbess, on July 24, 1911]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Bishop Leonid, also known as Leonid (in layman's terms Longinoz Okropiridze; 1861-1921) – a Georgian cleric and public figure, Catholicos-Patriarch of All Georgia and Archbishop of Mtskheta-Tbilisi in 1919-1921, the nephew of Bishop Alexander Okropiridze and his protégé. To this day, we know of numerous oratorical samples of sermons, teachings, and speech genres delivered by him. He was a recognized preacher. Buried in Sioni Cathedral in Tbilisi. The speech is addressed to Abbess Nino (Elene Vachnadze, 1878-1946). In January 1910, she was tonsured as a nun and given the name Nino. On July 10, 1911, by the decree of the Holy Synod, she was confirmed as abbess of the Teklati Monastery, and on July 24 of the same year, Bishop Leonide granted her the title of abbess. She participated in the First Ecomenical Council of the Georgian Apostolic Church, which was held on September 11-17, 1917. By the decision of this council, Abbess Nino was reappointed as the abbess of the Bodbe Monastery. In 1923-24, as a result of pressure from the communist authorities, the abbess and the monastery congregation were forced to leave the monastery. Abbess Nino, with the blessing of the Catholicos-Patriarch of Georgia Ambrose (Khelaia), arrived in Tbilisi and settled near the Anchiskhati Cathedral with several nuns. She died on February 10, 1946.

The speech was delivered at the Teklati Monastery on the occasion of the consecration of its abbess, the Nun Nino, as abbess. The present oratorical sample is very interesting in that, as a rule, in Georgian oratory we find many samples dedicated to the consecration of a bishop, the consecration of a church, the consecration of a school, etc., while an oratory speech delivered to celebrate the consecration of a nun as abbess is rare.

The speech was published on July 31, 1911 in the newspaper "Shinauri sakmeebi" under the title "Speech on the Consecration of the Teklati Monastery Abbess, the Nun Nino, as abbess"<sup>113</sup>. It is believed that the speech was delivered in 1911. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>113</sup> Newspaper "Shinauri sakmeebi", 1911, Sunday, July 31, №22, pp. 1-3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ თეკლათის დედათა  
მონასტრის წინამძღვრის მონაზონი ნინოს ილუმენიად კურთხევის  
გამო, 1911 წლის 24 ივლისს**

„მიიღე კვერთხი ესე, რომლითაცა  
დამტკიცებითა სამწყსო შენი წარმართო,  
რამეთუ ჯერ გიჩნს<sup>114</sup> სიტყვისა მიცემად მათთვის  
ღვთისა ჩვენისა მიმართ დღესა მას სასჯელისასა  
(იხ. სამღვდელმთავრო კონდაკი.)

სრული სიწრფელით, ჩემი გულის მთელი ძალითა და გრძნობით მოგილოცავ, ახლად დადგინებულ პატიოსანო დედაო ილუმენია<sup>115</sup> ნინო, უმაღლეს ეკლესიურ ხარისხზე აღწევას<sup>116</sup>. საუკეთესო იმედებით აღვსილი და საღმრთო მხიარულებით აღფრთოვანებული გადმოგცემ ამ კვერთხს, – რომელიც არის შენი უმფროსობის, შენი უფლება-მოსილობის, შენი ძალის და უპირატესობის გარეგანი ნიშანი.

ღვთისაგან ნაკურთხსა და ყველაფრით დალოცვილს შენს სათაყვანო სამშობლო – ქიზიყში, რომლის ისედაც გამოუთქმელ სიტურფეს აათკეცებენ მისი ხშირი მთებიდან და მალღობებიდან ტყესავით ატეხილი, თეთრად გამომზირალი ქვითკირის მოხდენილი ეკლესიები, ეჭვს გარეშეა, ხშირად გენახვება დიდძალი ცხვრების ფარები, რომლებსაც თვალ დაუხუჭავად და მუხლ ჩაუკეცავად სდარაჯობენ და თავს დასტრიალობენ გონება შეკრებილი, ჩაფიქრებული და დინჯად მოუბარი მწყემსები აუცილებელი თავმოკაუჭებული დიდრონი ჯოხებით ხელში. უსათუოდ შენიშნული გექნება, რომ ამ ყავარჯნებს ანუ კვერთხებს მწყემსები მარჯვედ ხმარობენ ხოლმე, როდესაც მათ ძვირფას ცხვრებს ეპარება ქურდი, ან მტაცებელი ნადირი; ამ ყავარჯნებს გადუქნევენ ხოლმე თვით ცხვრებს, თუ ისინი ერთმანეთში იბრძვიან და მოსვენებას არ აძლევენ ერთი მეორეს, ამ ყავარჯნებით გამოითრევენ ხოლმე შამბ-ეკალ-ბარდებში გაბმულ, ან წყალში და ღრანტეში<sup>117</sup> გადავარდნილ ცხოველებს, ამ ყავარჯნების საშუალებით ერეკებიან მათ საუკეთესო საძოვრებისკენ, საამო ჩეროში<sup>118</sup> და სამშვიდობო ბინაზე, გარნა ამ ყავარჯნებს პატრონები არას ოდეს არ ხმარობენ თავიანთი ცხვრების უბრალოდ და უმიზნოდ გასალახ-სარტყმელად.

ეს შენი უმფროსობის სიმბოლო, ახალი მაღლიანი კვერთხიც, ნურც ერთხელ ნუ იქნება შენგან გადაქნეული შენი პატარა სულიერი სამწყსოს რომელიმე წევრისადმი უმიზნოთ და უმიზეზოთ ტკივილის მისაყენებლათ. ცხვრებისათვის თავდადებული მწყემსის მსგავსად ნურც შენ მისცემ შენს თვალსა და მუხლებს მოსვენებას, თავდადებით უდარაჯე დღე და ღამ საწინამძღვრო კვერთხით ხელში ღვთისაგან მოცემულს შენს სამწყსოს, რომ არსაიდგან შემოგეპაროს მგელი და არ წაგიწყმიდოს რომელიმე ცხოვარი, იფრთხილე და თვალყური ადევნე, რომ დათა შორის არა დაითესოს რა და ფეხი არ მოიკიდოს ისეთმა რამემ, რაც მავნებელია მათი მონაზონობის წოდებისათვის და, საჭირო შემთხვევაში, იმარჯვე კვერთხი ესე, მოსწვი ამით, როგორც ჯოჯოხეთის ქვით, თესლი ბოროტებისა და სისწრაფით ამოფხვარ იგი ძირიან-ფესვიანათ შენი საგამგებლოდან, ოდნავაც არა მიმხედველმან ვისამე ხათრისა ანუ შიშისა; იმხნევე, იზრუნე, იმუშაკე, იღვაწე და იგულსმოდგინე, როგორც ერთგულმა ჭირისუფალმა, რომ შენს ხელქვეითებს არ აკლდეთ არც ხორციელი და არც სულიერი საზრდო-საკვები, რომ შენმა სულიერმა შვილებმა აქაც კეთილად იმოქალაქონ და იქაც ღირსნი

<sup>114</sup> გიჩნს – მიგაჩნია, გგონია.

<sup>115</sup> ილუმენია – მართლმადიდებლური მონასტრის წინამძღვარი.

<sup>116</sup> მონაზონი ნინო ილუმენიად ეკურთხა.

<sup>117</sup> ღრანტი – ღრმა და ვიწრო ხევი, ხრამი.

<sup>118</sup> ჩერო – მცირე ჩრდილი.

აღმოჩნდნენ სასუფეველის დამკვიდრებისა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მძიმე და ძნელი განსახორციელებელია. ნათქვამის შესრულება აღმატება ჩვენს უძლებურებას, მაგრამ მაინც ნუ შესწუხდები და ნუ დაეჩაგვრინები ამაო შიშს: გაიხსენე ის გარემოება, რომ თვით საქმით, პირადი გამოცდილებით, საკუთარი ცხოვრებით გაცნობილი, მიჩვეული და რამდენადმე უკვე მომზადებული ხარ ამ სიმძიმის საზიდავათ: გაიხსენე რომ მხსნელმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელიც „მონაზონთა დიდება და მოღვაწეთა შემამკობელია“, მოგცა უდიდესი ბედნიერება სიყრმიდგან მონასტერში აღზრდისა ისეთი დიდებული სულიერი მნათობისა კალთის ქვეშ, როგორც არის მოციქულთა სწორი წმ. ნინო<sup>119</sup>? ქართველი ერის სულიერმა საუზრემ – წმ. ნინოს მადლით მოსილმა საფლავმა<sup>120</sup>, – რომლის მსახურებაშიაც განვლე საუკეთესო ხანა შენი ქვეყნიური ცხოვრებისა, საკმაოდ გაგაცნო სიტკბო ქრისტეს სიყვარულისა, ქრისტეს გამოსახვისა გულსა და გონებაში, ქრისტეზე და მხოლოდ ქრისტეზე სასოების დამყარებისა და რაღათ უნდა გერიდებოდეს საწინამძღვარო კვერთხისა, როდესაც წმ. ნინოს ცხოვრებიდან იცი, რომ ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა (მარკ. 9, 23), როდესაც თვითონ იესო ტკბილი გასწავებს: უკეთუ გაქვდეს სარწმუნოება, და არა შეორგულდეთ... ჰრქვათ თუ მთასა ამას: აღიფხვარ ამიერ, და შთავარდი ზღვასა, იყოს ეგრეთ და ყოველსა, რაოდენსა ითხოდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ (მათ. 21,21-22).

მაშ მოვედ კადნიერებით, ქრისტესაგან გამორჩეულო დედაო იღუმენია, და მიიღე ჩემი ღირსებისაგან კვერთხი ესე, „რომლითაც დამტკიცებითა სამწყსო შენი წარმართო, რამეთუ ჯერ გიჩნს სიტყვისა მიცემად მათთვის ღვთისა ჩვენისა მიმართ დღესა მას სასჯელისასა“.

დედის სიხარული და ბედნიერება, უსათუოდ, მისი მოსიყვარულე შვილებისთვისაც სასიამოვნოა, რამდენათაც გასახარელი და სანეტაროა ეს დღე თქვენი სულიერი დედისთვის, იმდენათ სანეტარო და სადღესასწაულოა იგი თქვენთვისაც, პატიოსანო დეებო და დებო, რა დარიგებით, რა მოძღვრებით და სწავლით გაგიმასპინძლდეთ დღეს, რომ უფრო გაღრმავდეს თქვენი სიხარული, უფრო შეგნებით დასტკბეთ თქვენს ცხოვრებაში შესანიშნავი დღესასწაულით?

ყოველთვის, როდესაც კი შემთხვევა მქონია ამ წმ. ტამარში<sup>121</sup> წირვა-ლოცვის მოსმენისა, მადლითა და შეწევნითა ღვთისათა არ დამიტოვებხართ ისე, რომ არ მომემართნოს თქვენდამი ჩემი სუსტი გონებისაგან შესაძლო სწავლა-დარიგებით. დღეს კი იმაზე უკეთესს, იმაზე შესაფერს და თქვენს მდგომარეობაზე ამაზე უფრო ზედ გამოჭრილს ვერას გეტყვით, რის მოსმენაც ძველ დროთაგანვე სავალდებულოდ უცვნია დათა და ძმათათვის წმ. ეკლესიას წინამძღვრის დადგინების გამო. აი ეს საგულისხმო მოძღვრება:

„თქვენცა, პატიოსანო დედანო, თანა გამსთ<sup>122</sup> წინამძღვრისა ამის თქვენისა პატივისა ღირსისა მიცემად და დამორჩილებად უფლისა მიერ, ვითარცა<sup>123</sup> შვილთა დედისა მიმართ, ვითარცა მოწაფეთა, მოძღვრისა მიმართ, ვითარცა ცხოვართა მწყემსისა მიმართ, თვინიერ ყოვლისავე ურჩების და უჯეროებისა<sup>124</sup>, მცნებისამებრ საღმრთოისა მოციქულისა პავლესსა, რომელი იტყვის: ძმანო დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის. და ესეც უწყოდეთ, რამეთუ ყოველნივე ხელმწიფენი ღვთისაგან განწესებულ არიან, და რომელნი წინა აღუდგებიან ხელმწიფესა, ღვთისა ბრძანებასა წინააღდგებიან და წინააღმდგომნი იგი ცოდვასა თავისა თვისისათვის შეიწყნარებენ, ხოლო ცოდვა იგი შობს სიკვდილსა სულიერსა. ამისთვისცა, რათა არა მოჰკვდეთ, იყვენით მორჩილნი, გაქვდინ<sup>125</sup> სიყვარული და ამისთვისცა ღმერთი იმყოფებოდეს თქვენს შორის.

იყავნ, იყავნ, ამინ!“

<sup>119</sup> წმ. ნინო – ნინო კაბადოკიელი, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში, მოციქულთაწერი. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. ქართველი ერის გაქრისტიანება მეფე მირიანის მმართველობისას 324 წელს დასრულებულა, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით.

<sup>120</sup> წმ. ნინოს საფლავი – მდებარეობს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში. წმინდანის საფლავზე ეკლესია პირველად ააგო პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა.

<sup>121</sup> იგულისხმება თეკლათის დედათა მონასტერი – მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სახარბედიოს მთაზე. მონასტრის ისტორია XIX ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება.

<sup>122</sup> თანა გამსთ – გევალებათ, გევალდებულებათ. აქ უფრო იგულისხმება ნებაყოფლობით თანაგრძნობის, თანადგომის გამოჩენა.

<sup>123</sup> ვითარცა – როგორც.

<sup>124</sup> უჯეროება – უჯერობა, ურჩობა, დაუმორჩილებლობა.

<sup>125</sup> გაქვდინ – გქონდეთ.

სიტყვა, წარმოთქმული ქრისტიანე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის  
პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში,  
ქ. ქუთაისში, 1912 წელს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ქრისტიანე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში, 1912 წელს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ქრისტიანე (ჩიტო) შარაშიძე (1889-1973) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, პირველი ქართველი ქალი ლექტორი. ქრისტიანე შარაშიძე 1909 წლიდან იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი, ხოლო 1917 წლიდან საზოგადოების გამგეობის წევრი. 1919 წელს არჩეული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიიდან და შედიოდა პრეზიდიუმის სამდივნოში. ქრისტიანე შარაშიძე ასევე იყო საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიის წევრი, თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. იგი ასევე იყო 1918-1921 წლების რესპუბლიკის დამფუძნებელი წევრი. სიტყვის ადრესატია ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილ-გაბაშვილი (1851-1938) – ქართველი მწერალი, ფემინისტი და საზოგადო მოღვაწე. 1881 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და თარგმანები. 1879 წლიდან ეკატერინე გაბაშვილი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, 1880 წელს აირჩიეს საზოგადოების წევრად, ხოლო 1914 წლიდან – მის საპატიო წევრად. 1911 წლის პირველ მაისს ეკატერინე გაბაშვილს დაბადების 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

სიტყვა გამოქვეყნდა 1912 წელს გაზეთ „თემში“ სათაურით „ჩ. შარაშიძის ასულის სიტყვა, ქუთაისში ეკ. გაბაშვილის პატივსაცემად გამართულ კრებაზე წარმოთქმული“<sup>126</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

---

<sup>126</sup> გაზეთი „თემი“, 1912, ორშაბათი, 19 ნოემბერი, №98, გვ. 3.

Speech Delivered by Kristine Sharashidze at a Meeting Held in Honor of  
Ekaterine Gabashvili at the Georgian Theatre,  
in Kutaisi, in 1912

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Kristine Sharashidze at a meeting held in honor of Ekaterine Gabashvili at the Georgian Theatre, in Kutaisi, in 1912]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Kristine (Chito) Sharashidze (1889-1973) – a Georgian public figure, educator, scholar, and politician; a member of the Constituent Assembly of Georgia and the first Georgian woman lecturer. From 1909, Kristine Sharashidze was a full member of the “Society for the Spreading of Literacy among Georgians”, and from 1917 she served as a member of the Society’s governing board. In 1919, she was elected to the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia from the Social Democratic list and was a member of the Presidium’s secretariat. Kristine Sharashidze was also a member of the Library, Editorial, and Public Education Commissions, as well as a member of the founding society of Tbilisi University. She was likewise among the founders of the Republic during the period 1918-1921. The speech is addressed to Ekaterine Tarkhnishvili-Gabashvili (1851-1938) – a Georgian writer, feminist and public figure. From 1881 onward, her short stories and translations were published on a regular basis. Since 1879, Ekaterine Gabashvili had been an active participant in the “Society for the Spreading of Literacy among Georgians”; in 1880 she was elected a member of the Society, and from 1914 she became its honorary member. On May 1, 1911, Ekaterine Gabashvili her 60th birthday was celebrated, as well as the 40th Anniversary of her literary and public activity.

The oratorical sample was published in 1912 in the newspaper “Temi” under the title “Speech by Ch. Sharashidze’s daughter, delivered at the meeting held in Kutaisi in honor of Ek. Gabashvili.”<sup>127</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the source mentioned above.

---

<sup>127</sup> Newspaper “Temi”, 1912, Monday, 19 November, №98, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული ქრისტიანე შარაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის  
პატივსაცემად გამართულ კრებაზე, ქართულ თეატრში, ქ. ქუთაისში,  
1912 წელს

„ნება მიზოდეთ გამოვთქვა ჩემი აღტაცება ქ. ეკ. გაბაშვილის სტუმრობის გამო და აქ დამსწრე ქალებს გავუზიარო მისი აქ ყოფნით გამოწვეული ფიქრები.

„თუ გსურს რომელიმე ერის სახე იხილო, მის სულს გაეცანი, გაიცანი ამ ერის ქალიო“, უთქვამს აკაკის თავის სიტყვაში.

აი, მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენ წინ სდგას ჩვენი ერის ქალი, ქალი დედა, ოჯახის თავი, ქალი-მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ასეთი ქართველი ქალი გადმოსცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა მეოცე საუკუნის დასაწყისს... ჩვენი მწერლობა-კი, ეს უტყუარი სარკე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ქართველი ქალის გაქრობაზე გლოვას და ტირილს განაგრძობს. ამ გლოვას თავისი საინტერესო ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც „ქართლის მზე ჩაესვენა“, როდესაც დაცემული ერი თვითონვე მიეცა მონობას, როცა მისმა მესვეურმა მამაკაცებმა სამშობლო ჩინ-ორდენებზე გაჰყიდეს, – ამ შავ-ბნელ დროს ჩვენი ლიტერატურის ბრწყინვალე ვარსკვლავმა, ნ. ბარათაშვილმა, მიაპყრო თავისი სევდით აღსავსე თვალები მის თანამედროვე ქართველ ქალებს და მოიგონა რა მარად ნეტარი ძველი დედები, ახლებში გადაგვარების უტყუარი ნიშნები დაინახა... აქედან დაწყებული დღევანდლამდე ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელი მგოსნები და მწერლები ქართველი ქალის დაცემას და დაწვრილმანებას ადასტურებენ და მის აღდგენას ევედრებიან ღმერთს. ილია თავის „ქართველ დედაში“, აკაკი „სიზმარში“ და მრავალ სხვა ლექსებში ნინოს, ქეთევანს და თამარის სხივოსან სახელს გვიყენებენ თვალწინ, რომ უფრო ცხადჰყონ დღევანდელი ქალის არარაობა და სიფუჭე. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობამ თითქმის სრულიად წარიკვეთა სასო ამ მხრით. მხოლოდ აკაკის ლექსებში გამოსჭვივის ხანდახან იმედის ნატამალი. მხოლოდ იმას აქვს კიდევ იმედი, რომ მომავალი ქართველი ქალი შეაერთებს თავის არსებაში ნინოს და თამარის მაღალ თვისებებს.

და აი, გასულ საუკუნის მიწურულში ერთმა ქართველმა მწერალმა, რომელსაც აქ დამსწრენი შეიძლება სხვებზე ნაკლებ იცნობდენ, ეგ. ნინოშვილმა, ერთ თავის ნაწარმოებში დაგვანახვა ქალი-ადამიანი, ქალი – მამაკაცის მეუღლე – მეგობარი. ეს ქალი იყო სოფლის მასწავლებლის ცოლი, სოფლის მღვდლის გაუნათლებელი ქალიშვილი, რომლის სულს და გონებასაც მისმა მომავალმა ქმარმა აუცილა თვალი. ეს ქალი დაეწაფა სწავლას, გონებრივ განვითარებას, შეეცადა ამალღებულები ამ მხრით იმდენად მაინც, რომ ქმართან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულს შესძლებოდა ცხოვრების მძიმე უღლის წევა. – წყვილიადში სინათლის შუქის შეტანა... ეს ქალი და მისი ქმარიც მოუხეშავმა, ველურმა ძალამ ისმხვერპლა. მაგრამ, თუმცა პირველნი იყვნენ ისინი, უკანასკნელნი კი არ ყოფილან...

ამნაირად, ჩვენ მწერლობაში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გამოაშუქა ქალი-ადამიანის სახემ... მას აქეთ გავიდა წლები, ცხოვრებამ მოგვცა არაერთი ღირსეული ქალი. მოიგონეთ „ჯეჯილის“<sup>128</sup> და „ნაკადულის“<sup>129</sup> ხანგრძლივი, ნაყოფიერი არსებობა ქალ-რედაქტორების მეოხებით, და სხვა ჩვენი მოღვაწე ქალები. ქართველმა ქალმა არა ერთხელ დაამტკიცა საქმით, რომ ის არც ისე დაცემულია, რომ მეტის-მეტი მკაცრი მსჯავრის ღირსი იყოს. ჩვენი მწერლობისათვის-კი ახლაც გამოცანაა – „ქალი ადამიანია თუ არა?“ (ა. ჯორჯაძის წერილი „სახალხო გაზეთში“ – „ქალია ადამიანი?“); ახლაც იწვევენ მორეულ წარსულიდან სამ ქართველ ქალის სულს; ახლაც ეძებენ იმათ, – მეოთხე, მეთორმეტე და

<sup>128</sup> იგულისხმება ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი (1890-1920, 1922-1923).

<sup>129</sup> იგულისხმება ჟურნალი „ნაკადული“, რომელსაც სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ მარიამ დემურია (1906-1909), ნინო ნაკაშიძე (1910-1920) და სხვ.

მეჩვიდმეტე საუკუნის ქალებს – ჩვენ შორის. ეძებენ და ვერ დაუნახავთ, რომ იშვა კიდევაც იმათი მემკვიდრე ქალი, მხოლოდ თანამედროვე ელფერით და მისწრაფებით...

ამ ნაირად – მეცხრამეტე საუკუნის მწერლობამ ანდერძი აუგო ქართველ ქალს – გადაგვარებულის, მონის, თითქმის მოღალატის სახელიც კი უწოდა მას.

მაგრამ, აკაკის თქმისა არ იყოს, ერთი ჩვენ უღმობელ მსაჯულებს, მამაკაცებსაც რომ ვკითხოთ – ისინი რა იყვნენ ამ ხნის განმავლობაში? – რას გვიპასუხებენ? ქართველი ქალის მიზეზს რომ მის ქალურ ბუნებაში ეძებენ, მისი – არაადამიანობით ხსნიან! ისინი კი, ოჯახის ტონის მიმცემნი დედაკაცზე თავისუფალნი და მაღალნი სულით, როგორი იყვნენ ამ დროს, როდესაც ქართველი ქალი, მათი აზრით, სამშობლოს ღალატობდა, ენას ივიწყებდა, ოჯახს ხრწნიდა! რა შემოჰქონდა „ქალის მიერ გახრწნილ“ ოჯახში ქართველ მამაკაცს? თუ ქალებში თამარი, ქეთევანი, ნინო აღარ მოიძებნებოდა, სამაგიეროთ მამაკაცებში იქნებ იყვნენ ერთგული მამულიშვილნი, თავდადებული მეზრდოლნი, ძველი ლომ-გმირები? სახელოვან წინაპართა ღირსეული მემკვიდრენი?

მამ ვინ დაიმშენა მხრები ჩინ-ორდენებით? ვინ წაუბიძგა ერს მონობისაკენ, ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი გადაგვარებისაკენ? ვისზე მოსთქვამს ვაჟა-ფშაველა, როცა გვეუბნება: „ბიჭები, გადაჩრებულნი ყბედობენ სიყვარულზედა, უმზგავსო მათი სიცილი ეკლათ მეხევა გულზედა“? განა გასაკვირალია, რომ დედა-კაცი, უფრო მონა, უფრო ჩამორჩენილი – მამაკაცზე დაბლა დაეცა ამ საერთო გათახსირების და დაცემის ხანაში? არა, საკვირველი ეს კი არ არის, საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთმა ქართველმა ქალმა, მიუხედავად მრავალი შემბოჭავი დაბრკოლებისა, მაინც შესძლო თავისი ადამიანობის დამტკიცება, უწმინდესათ შეასრულა მოვალეობა დედისა, მეუღლისა, დიასახლისის: საზოგადო მოღვაწის და მწერლის. ისეთმა ქალებმა, როგორც არის ჩვენი ძვირფასი სტუმარი, უიმედო, უგზო-უკვლობის დროს, გვიჩვენეს ნათელი გზა, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ. ესენი გვეუბნებიან: „დიდიხნის მონობამ ვერ ჩააქრო დედაკაცში ღვთიური შუქი“.

თუ ახლა ამდენი სიმტკიცე გამოიჩინა ქართველმა ქალმა, თუ ამ დახშულ ჰაერშიაც-კი მოახერხა შემოქმედების გამოხატვა, რა იქნება მაშინ, როდესაც ქალი უფრო სუფთა ჰაერით ისუნთქებს, როცა მას უფრო ფართოთ გადაეშლება თვალწინ ქვეყნიერება, ცხოვრება და ყოველივე მისი კუნჭული? მაშინ-კი ვერავინ ვეღარ გაჰბედავს მის აღორძინებაში ეჭვის შეტანას!

მამ ვეცადოთ გავკაფოთ გზა თავისუფლებისაკენ, ნუ დაგვაკმაყოფილებს ცხოვრების პაწია კუნჭული! ავახილოთ გონების თვალი, გაბედულათ შევხედოთ თვალეებში ჩვენს ძმებს, ქმრებს და მეგობარ მამაკაცებს! გავფანტოთ ყოველივე ეჭვი ჩვენი ადამიანობის შესახებ.

ნუ დაგვავიწყდება აგრეთვე, რომ მარტო ჩვენ არ გვაწევს მონობის უღელი, მთელი ცხოვრება ხომ უსამართლობაზე და მონობაზეა აგებული; სანამ ერთი ბეწო მონობა იქნება ცხოვრებაში, ქალიც მონაა. ბრძოლა საკაცობრიო თავისუფლებისათვის.

რომ ქალს ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება შეუძლია, რომ ქალი ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს – ამის თავდება ჩვენი ძვირფასი სტუმარი ეკ. გაბაშვილისა.

უგულითასედი სალამი და უღრმესი მადლობა!

სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა  
საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე,  
ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ეთერ ბოკელავაძემ

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია აკაკი წერეთელი (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. სიტყვის ადრესატია გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“. რაც შეეხება აღნიშნულ საზოგადოებას, ის 1913 წელს ჩამოყალიბდა ქ. გორში. მისი დამაარსებლები იყვნენ: ანა ამილახვარი, ანასტასია ერისთავი-ხომტარია, ოლა გოგლაჩიძე, თინათინ ჯავროვი, ანა მაისურაძე, მარიამ ელიოზაშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი, ანასტასია კაპანაძე და სხვები. „მანდილოსანს“ ჩამოყალიბებული ჰქონდა წესდება, რომელიც საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურებოდა. ისინი ცდილობდნენ, დახმარებოდნენ გაჭირვებულ ქალებს, მოეწყობათ საგანმანათლებლო ხასიათის დაწესებულებები – სკოლები, საბავშვო ბაღები, გაეხსნათ სახელოსნოები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიაში „მანდილოსანი“ იყო ერთ-ერთი პირველი ქალთა სოციალური ორგანიზაცია.

სიტყვა პირველად გამოქვეყნდა 1913 წელს „სახალხო გაზეთში“ ჩანართის სახით პუბლიკაციაში, სათაურით „გორის ქართველ ქალთა წრის „მანდილოსანი“-ს წევრთა საზოგადო კრება მგოსან აკაკის მონაწილეობით.“<sup>130</sup>, ხოლო მეორედ – 1991 წელს „განთიადში“<sup>131</sup>. პირველწყაროში ვკითხულობთ, რომ კრება ჩატარდა 3 ნოემბერს, რითაც ვადგენთ სიტყვის წარმოთქმის ზუსტ თარიღს<sup>132</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

---

<sup>130</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1913, ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, №1037, გვ. 4.

<sup>131</sup> განთიადი, ქუთაისი, 1991, №11-12 (აკაკი - 150), გვ. 39.

<sup>132</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1913, ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, №1037, გვ. 4.

**Speech Delivered by Akaki Tsereteli at the Meeting of Members of  
the Gori Georgian Women's Society “Mandilosani”,  
in Gori, on November 3, 1913**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Eter Bokelavadze

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [speech delivered by Akaki Tsereteli at the meeting of members of the Gori Georgian Women’s Society “Mandilosani”, in Gori, on November 3, 1913]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – a poet, writer, publicist and a public figure. The speech is addressed to the Georgian Women's Society of Gori “Mandilosani”. The society was formed in 1913 in the city of Gori. Here are the names of some of the founders: Anna Amilakhvari, Anastasia Eristavi-Khoshtaria, Olga Goglachidze, Tinatin Javrov, Anna Maisuradze, Mariam Eliozashvili, Ketevan Javakhishvili, Anastasia Kapanadze and others. “Mandilosani” had a charter that served public purposes. They tried to help women in need, to organize educational institutions – schools, kindergartens, open workshops, etc. It is noteworthy that in the history of Georgia, “Mandilosani” was one of the first women’s social organizations.

The speech was published for the first time in 1913 in the “Sakhalkho gazeti” as a supplement to the publication entitled “Public Meeting of Members of the Gori Georgian Women’s Circle “Mandilosani” with the Participation of Mgosan Akaki”<sup>133</sup>, and for the second time – in 1991 in “Gantiadi”<sup>134</sup>. In the primary source we read that the meeting was held on November 3, thus establishing the exact date of the speech<sup>135</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>133</sup> Newspaper “Sakhalkho gazeti”, 1913, Thursday, November 7, №1037, p. 4 (in Georgian).

<sup>134</sup> Gantiadi, Kutaisi, 1991, №11-12 (Akaki - 150), p. 39 (in Georgian).

<sup>135</sup> Newspaper “Sakhalkho gazeti”, 1913, Thursday, November 7, №1037, p. 4 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა  
საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის  
3 ნოემბერს**

„გული მიკვდებოდა, ქალებს რომ აქნობამდე<sup>136</sup> ძილით შეპყრობილთ გხედავდით, მაგრამ ეხლა მოხარული ვარ, რომ გხედავთ გამოღვიძებულთ, რომ აქ შეკრებილხართ არა უმიზნოთ, არა ლოტოს სათამაშოდ, არამედ საზოგადო საქმისათვის.

50 წელი დაკვირვებული ვარ ჩვენ საქმიანობას და დავრწმუნდი, რომ იგი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ; ეს იმიტომ, რომ ამ საქმიანობაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას. რომ საქმე კარგად წარიმართოს, საჭიროა საზოგადო საქმეში დედაკაცების დახმარებაც.

გადავათვალიერე თქვენი წესდება და დავრწმუნდი, რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, თუ თანხმობით იმუშავებთ. ერთდეთ ერთმანეთში უთანხმოებას, მტრობას. ამ უთანხმოებამ, მტრობამ დაღუპა საქართველო და ვიღუპებით დღესაც. ამან წარმომათქმევინა მწარე სიტყვები. ერთი ქართველი საზოგადო საქმეში გმირია, ბევრი კი ყველა ვირია-მეთქი. იარეთ, იმუშავეთ ერთად, თანხმობით და მაშინ თქვენი შრომაც ნაყოფს მოიტანს.“

---

<sup>136</sup> აქნობამდე – ამ დრომდე.

სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ  
ქალთა საზოგადოების პირველ სადამოზე, ქართულ თეატრში,  
ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და სოფო ჭუმბურიძემ

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ სადამოზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია აკაკი წერეთელი (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. სიტყვა მიემართება თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარე იყო მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი დომინიკა ზურაბის ასული ერისთავ-მდივანი (განდევილი). მასთან ერთად ორგანიზაციის წევრები იყვნენ: ეფემია მესხი, ნინო ნაკაშიძე, ნინო მაჭავარიანი, ნეიმანი, ოლა ალაძე, ნინო დაფქვიაშვილი. დომინიკამ შეიმუშავა სამუშაო პროგრამა, მაგრამ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და მან ორგანიზაციის ყურადღება ფრონტის ინტერესებს დაუკავშირა. დაიწყო ფრონტის დასახმარებლად სახსრების გამონახვა, რადგანაც მხოლოდ ლიტერატურული სადამოებით და კონცერტებით შემოსული ფული არ იყო საკმარისი. დომინიკას თაოსნობით გაიხსნა სალონი-საჩაიე „მშური ნუგეში“, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები და პოეტები: იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ მჭედლიშვილი, ნინო ნაკაშიძე, პოეტი ქალი მარიჯანი, დარია ახვლედიანი და სხვები. აქ მიღებულ შემოსავალს ისინი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეებს გადასცემდნენ. შემოსული თანხით „ქართველ ქალთა საზოგადოება“ წმინდა ნინოს ლაზარეთში, დაჭრილი აჭარლებისათვის ათობით საწოლს ინახავდა.

სიტყვა პირველად გამოქვეყნდა 1914 წელს „სახალხო გაზეთში“ ჩანართის სახით პუბლიკაციაში, სათაურით „ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების სადამო“, რომელიც გაიმართა 14 იანვარს, თბილისში, ქართულ თეატრში<sup>137</sup>, მეორედ – 1988 წელს „სახალხო განათლებაში“ ირ. ერემეიშვილის მცირე გამოკვლევასთან ერთად<sup>138</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით პირველწყაროდან.

---

<sup>137</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1914, ხუთშაბათი, 16 იანვარი, №1091, გვ. 3.

<sup>138</sup> გაზეთი „სახალხო განათლება“, 1988, ოთხშაბათი, 4 მაისი, №36 (4086), გვ. 4.

Speech Delivered by Akaki Tsereteli at the First Evening of the Tbilisi  
Georgian Women's Society, at the Georgian Theatre,  
in Tbilisi, on January 14, 1914

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Sopho Tchumburidze

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Akaki Tsereteli at the first evening of the Tbilisi Georgian Women's Society, at the Georgian Theatre, in Tbilisi, on January 14, 1914]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – poet, writer, publicist and public figure. The speech is addressed to the Tbilisi Georgian Women's Society, whose chairman was the writer, poet, publicist and journalist Dominika Eristavi-Mdivani (Hermit). Along with her, the members of the organization were: Efemia Meskhi, Nino Nakashidze, Nino Machavariani, Neiman, Olga Agladze, Nino Dapkviashvili. Dominika developed a work program, but less than a year had passed when the First World War began and she linked the organization's attention to the interests of the front. Funds began to be raised to help the front, since the money earned from literary evenings and concerts alone was not enough. Under Dominika's initiative, the salon-tea house "Brotherly Solace" was opened, where prominent figures of the time, writers, and poets would gather: Ioseb Grishashvili, Konstantine Gamsakhurdia, Ioseb Mtchedlishvili, Nino Nakashidze, the woman poet Marijani, Daria Akhvlediani, and others. They donated the income received here to participants in the First World War. With the money received, the "Georgian Women's Society" maintained dozens of beds for wounded Adjarians in the St. Nino Infirmary.

The speech was published for the first time in 1914 in the "Sakhalkho gazeti" as a supplement to the publication entitled "Evening of the Georgian Women's Society of Tb.", which was held on January 14th in the Georgian Theatre in Tbilisi<sup>139</sup>, for the second time – in 1988 in the newspaper "Sakhalkho ganatleba" together with a small study by Ir. Eremeishvili<sup>140</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>139</sup> Newspaper "Sakhalkho gazeti", 1914, Thursday, January 16, №1091, p. 3 (in Georgian).

<sup>140</sup> Newspaper "Sakhalkho ganatleba", 1988, Wednesday, May 4, №36 (4086), p. 4 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ სადამოუფრო, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს**

„დღევანდელი დღესასწაული ორნაირად არის სასიხარულო, პირველი იმით, რომ ვდღესასწაულობთ და მოვიგონებთ ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოს<sup>141</sup>, მეორე იმით, რომ დღეს პირველად აიდგა ქართველმა ქალმა ფეხი და საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა.

ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქალი. როდესაც ქართველი ერი წყვილიად იყო ჩაფლული და კერპთაყვანისმცემელი იყო, ამ დროს საქართველოში მოგზაურობდნენ ქრისტიანები და ცდილობდნენ ერის მოქცევას. ამისათვის საგანგებოდ გამოგზავნეს საქართველოში მოციქული ანდრია პირველწოდებული<sup>142</sup>, რომელიც მოღვაწეობდა შავი ზღვის ნაპირებში. იმასთან იყო სვიმონ ქანანელი<sup>143</sup>. თუმცა მეცნიერება უარყოფს ანდრია მოციქულის დასავლეთ საქართველოში ყოფნას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სვიმონ ქანანელი იყო საქართველოში, რადგანაც დღესაც მისი საფლავი ბიჭვინთაშია<sup>144</sup>. ეს საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ანდრია მოციქულიც იქნებოდა საქართველოში. შედეგი კი მოგზაურობისა ფრიად მცირე იყო. აქა-იქ დათესილი იყო ქრისტიანობის თესლი, მაგრამ ერის სულსა და გულს იგი არ შეჰხებია. მოვიდა საქართველოში ვინმე ერთი კაბადოკიელი, მას ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა და მის წინ პირქვე დაემხნენ მეფენი და მთავარნი, სარდალნი და დიდებულნი, ქალი და კაცი. მან დაამხო კერპები, რომელსაც თაყვანსა სცემდნენ ქართველნი. წმინდა ნინო შეიქმნა ქართველი ერის განმანათლებლად, მის განმასპეტაკებლად. ასეთი დიდია ქალის მნიშვნელობა სარწმუნოებრივ

<sup>141</sup> წმინდა ნინო – ნინო კაბადოკიელი, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში, მოციქულთასწორი. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. ქართველი ერის გაქრისტიანება მეფე მირიანის მმართველობისას 324 წელს დასრულებულა, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით.

<sup>142</sup> ანდრია პირველწოდებული – წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული, ქრისტეს მოციქული, წარმოშობით ბეთსაიდიდან. ძმასთან, პეტრესთან ერთად ცხოვრობდა კაპერნაუმში. ძმები მეზადურები იყვნენ და მათ მამას ერქვა იონა. იონას სახარების მიხედვით, ანდრია პირველწოდებული იყო იონას ნათლისმცემლის მოწაფეთაგანი, რომელიც შემდეგ პირველი დაემოწაფა ქრისტეს. მოციქულებზე სულიწმინდის მოფენის შემდეგ ისევე, როგორც სხვა მოციქულებმა, ანდრია პირველწოდებულმა დაიწყო ქრისტეს მოძღვრების ქადაგება და გაემგზავრა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში. 62 წელს მოწამებრივად აღესრულა საბერძნეთში, ქ. პატრამში. ანდრია პირველწოდებული მიიჩნევა პონტოელთა, სკვითთა, იბერთა, სავრომატთა და სხვათა განმანათლებლად.

<sup>143</sup> სვიმონ ქანანელი – წმ. მოციქული სვიმონ კანანელი, ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი. წმ. მოციქული სვიმონი ცხოვრობდა გალილის კანაში და ამიტომ ცნობილია, როგორც სვიმონ კანანელი. მას არ სჯეროდა იესო ქრისტეს ღვთაებრიობა, სანამ იესო ქრისტემ სვიმონის ქორწილში წყალი ღვინოდ არ გადააქცია. ეს იყო ქრისტეს მიერ ღმრთისმშობლის თხოვნით ჩადენილი პირველი სასწაული. ამ სასწაულით იწამა წმინდა მოციქულმა სვიმონმა ქრისტე ღმერთად და გახდა მისი ერთი მოწაფეთაგანი. მოციქული სვიმონ კანანელი ქადაგებდა ქრისტეს სწავლებას იუდეაში, ეგვიპტეში, ლივიაში, კირინეასა და ბრიტანეთში. ბოლოს ჩამოვიდა საქართველოში და აფხაზეთში წამებით აღესრულა ქრისტესათვის. დასაფლავებულია ქ. ნიკოფსიაში, ახალი ათონის მთაზე, სოხუმთან ახლოს. მისი გარდაცვალების წელი დაუდგენელია. მე-19 საუკუნეში წმინდა სვიმონ კანანელის სახელზე ახალი ათონის მთაზე – სოხუმსა და ბიჭვინთას შორის – ააგეს მონასტერი. დღემდე კარგადაა შემონახული გამოქვაბული, სადაც თავს აფარებდა წმინდა მოციქული სვიმონ კანანელი.

<sup>144</sup> ბიჭვინთა – დაბა და კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზეთში, ბიჭვინთის კონცხზე, ქ. სოხუმიდან 80 კმ დაშორებით. ბიჭვინთა არის ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი დასავლეთ საქართველოში. ბიჭვინთა IV ს-იდან იყო საეპისკოპოსო ცენტრი, ხოლო მოგვიანებით აქ იჯდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსი.

მხრივ. განვლო ხანმა, საქართველომ ბევრი ჭირი და ვაივაგლახი გამოიარა, იგი დაკნინებული იყო. ბევრი წარჩინებული მოღვაწენი იღვწოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის, განმტკიცებისათვის, ძლევამოსილებისათვის. აქაც პირველობა ერგო ქართველ ქალს – თამარ მეფეს<sup>145</sup>. მან თავისი გამჭრიახი გონებით და ძლიერების ნებისყოფით შექმნა ერთი მთლიანი საქართველო, ძლევამოსილებისა და განათლების ჯილით მოსილი. თამარ მეფის ხანა დღესაც ქართველებისათვის იდეალად არის შექმნილი თავისი მთლიანობისა და კულტუროსნობის მხრივ.

დადგა ქართველი ერისათვის შავზნელი ხანა. ურწმუნოთა ურდოები თავისი საშინელებით დააწვა საქართველოს და ქრისტიანობის აღმოფხვრას ლამობდა. ბევრმა ქართველმა შეიმოსა თავისი შუბლი მოწამობრივის შარავანდედით. მაგრამ აქ გამოჩნდა ქართველი ქალი ქეთევანი<sup>146</sup> ვინც თავისი საშინელი ტანჯვა-წამებით აღადგინა იდეალი ზნეობისა.

ქართველ ხალხშიც ეხლაც არის ერთგვარი თამაში „სამაია“. სამი ქალი ჩაჰკიდებენ ერთმანეთს ხელს და ცეკვავენ – ნინო, თამარი, ქეთევანი – სწორედ ეს „სამაია“ ჩვენი ერის ისტორიაში. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი იცავდნენ ქართველი ერის სარწმუნოებას, ძლევამოსილებას და ზნეობას.“

---

<sup>145</sup> თამარ მეფეს – თამარ მეფე (დაახ. 1160-1213, შესაძლოა 1210 ან 1207), საქართველოს მონარქი 1184 წლიდან.

<sup>146</sup> ქეთევანს – კახეთის სამეფოს დედოფალი (1601-1602) და დედადედოფალი (1606-1624) ქეთევან მუხრანბატონი.

სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ  
ჩერქეზიშვილის სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე,  
სახაზინო თეატრში, ქ. თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, სახაზინო თეატრში, ქ. თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია იოსებ იმედაშვილი (1876-1952) – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, ასევე გაზეთებს – „ხალხის ერთობა“ და „ხალხის თავისუფლება“. სიტყვა წარმოითქვა „სახაზინო თეატრში“ (დღევანდელი ოპერის თეატრის შენობა). სიტყვის ადრესატია ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილი (1863-1948) – ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. პროფესიულ სცენაზე ე. ჩერქეზიშვილის დებიუტი გაიმართა 1886 წლის 15 სექტემბერს ვ. დიაჩენკოს პიესაში „ეხლანდელი სიყვარული“. ელისაბედ ჩერქეზიშვილი 1921-1924 წწ.-ში მოღვაწეობდა შ. რუსთაველის სახელობის თეატრში, 1924-1925 წწ.-ში – ქუთაისის, 1930-1948 წწ.-ში კი – ვ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მისი თეატრში შესრულებული როლებია: სარა და ხანუმა (აქვსენტი ცაგარელის „ხანუმა“), ელისაბედი (რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), კატინა (აქვსენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ანა ანდრეევნა (ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი“) და სხვ. ელისაბედ ჩერქეზიშვილს საინტერესო როლები აქვს შესრულებული კინოშიც, მაგალითად, დასამახსოვრებელია მისი ჯუფანა („ვინ არის დამნაშავე?“), ხანუმა („ხანუმა“) და სხვ. ჯერ კიდევ 1916 წელს მას 30 წლის, ხოლო 1926 წელს 45 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს. 1941 წელს, იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, გამოქვეყნდა ლიზას მოგონებები, მოთხრობები და წერილები: „ადდგომის დამე“, „მსახიობთა დღე“, „პეტერბურგის თეატრები“, „სცენა სოფლად“, „საბრალო ნენე“, „სამოცი წლის არმიყნი“ და სხვები. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ორატორული ნიმუში ერთადერთხელ დაიბეჭდა 1916 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ მოკლე სათაურით „ელ. ჩერქეზიშვილს“, ხოლო ქვესათაურით „30 წ. დღესასწაულზე 2 თებ. სახაზინო თეატრში წარმოთქმული“<sup>147</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

<sup>147</sup> ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, კვირა, 7 თებერვალი, №6, გვ. 13-14.

**Speech Delivered by Ioseb Imedashvili on the 30th Anniversary  
of Elisabeth Cherkezishvili's Acting Career, at the Treasury  
Theatre, in Tbilisi, on February 2, 1916**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Ioseb Imedashvili on the 30th Anniversary of Elisabeth Cherkezishvili's acting career, at the Treasury Theatre, in Tbilisi, on February 2, 1916]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Ioseb Imedashvili (1876-1952) – Georgian writer, public figure. He edited the journal “Teatri da tskhovreba”, as well as the newspapers “Khalkhis ertoba” and “Khalkhis tavisupleba”. The speech was delivered at the “Treasury Theatre” (the building of the present-day Opera Theatre). The addressee of the speech is Elisabeth (Liza) Cherkezishvili (1863-1948) – Georgian actress, People's Artist of Georgia. E. Cherkezishvili's debut on the professional stage took place on September 15, 1886 in V. Diachenko's play “Current Love”. Elisabeth Cherkezishvili worked in 1921-1924 at the Shota Rustaveli Theatre, in 1924-1925 – at the Kutaisi Theatre, and in 1930-1948 – at the K. Marjanishvili Theatre. Her roles in the theatre include: Sara and Khanuma (Akvinti Tsagareli's “Khanuma”), Elisabeth (Rafiel Eristavi's “First They Died, Then They Got Married”), Katina (Akv senti Tsagareli's “What You've Seen, You Can't See Again”), Anna Andreevna (Nikolay Gogol's “The Inspector General”), and others. Elisabeth Cherkezishvili has also played interesting roles in cinema, for example, her memorable roles are Jufana (“Who is to blame?”), Khanuma (“Khanuma”), and others. Back in 1916, she was honored with a 30-year jubilee, and in 1926 – with a 45-year jubilee of stage work. In 1941, under the editorship of Ioseb Grishashvili, Lisa's memoirs, stories and letters were published: “Easter Night”, “Actors' Day”, “Petersburg Theatres”, “Scene in the Village”, “Poor Nene”, “Sixty-Year-Old Arshiqni” and others. She is buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures.

The oratorical sample was published only once in 1916 in the magazine “Teatri da tskhovreba” with the short title “To El. Cherkezishvili”, and with the subtitle “30th Anniversary of the 2nd of February. Delivered in the Treasury Theatre”<sup>148</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>148</sup> Magazine “Teatri da tskhovreba”, 1916, Sunday, February 7, №6, pp. 13-14 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ელისაბედ ჩერქეზიშვილის  
სამსახიობო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, სახაზინო თეატრში, ქ.  
თბილისში, 1916 წლის 2 თებერვალს**

„იყო და... არა იყო რა...“

იყო ერთი ყრუ სოფელი, გარს გველემპაპი შემოჰხვეოდა, ხალხს სასო წარკვეთოდა, სიბნელეში ჩაფლულიყო, რწმენა დაეკარგნა და უკეთესი მომავლის გზას ვერა ჰხედავდა...

გაბოღმებული ხალხი ურთიერთს ესეოდა...

სოფლის მახლობლად მაღალ კოშკში მზე ქალი ცხოვრობდა, ჟამისი-ჟამად დილა-სადამოთი სოფლად ჩამოდიოდა, ხალხში ჩაერეოდა ხოლმე, ლამაზ მომხიბლავ ზღაპრებს მოუთხრობდა, რწმენა გამქრალი მაღალ მისწრაფებათ უნერგავდა, ცხოვრების განახლებისკენ მოუწოდებდა... შთააგონებდა, რა გზას დასდგომოდენ, რომ გველემპაპისგან თავი ეხსნათ...

ყრუ სოფელი გამოფხიზლდა.

\*\*\*

სწორედ ასეთი იყო ჩვენი ცხოვრება ამ ორი-ოცდაათის წლის წინად: ყრუ, რწმენა-გამქრალი, მიზან გაურკვეველი, შურ-ღვარძლიანი, გაბედოვლათებული...

და ვითარცა მზე-ქალი, ღვაწლ-მოსილო დედაო, ჩვენი სცენის დამსახურებულ სხვა მუშაკებთან ერთად, მოველინე სამშობლო სცენას და ზენაარის, ბუნებითი ნიჭით, ხან მდურვა-მხილებით, ხანდაცინვა-გაკილვით, ჩვენთა მანკიერებათა მესარკეობით, მოგვითხრობდი ხელოვნების გამტაც, გრძნობის გამფაქიზებელ და სულის დამატკობებელ ლამაზ ზღაპრებს...

და, აჰა, შენმა ჯადო-ზღაპრებმა – შენმა ხელოვნებამ უქმად არ ჩაიარა: დღეს შეკრებილი ქართველი ერის შვილნი, რომელთ გათვითცნობიერებაში შენც არა ნაკლები ღვაწლი მიგიძღვის, როგორც სცენის ჭეშმარიტ ქურუმს, და მისი თანამომძე მეზობელნი შენს ამაგს დღესასწაულობენ...

მაგრამ ეს დღესასწაული მარტო შენ არ გეკუთვნის, როგორც მსახიობს!.. არა, ეს დღესასწაულია ქართველი ქალისა, რომელიც უკვე ებმის ჩვენი ერის აღორძინების ფერხულში...

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“<sup>149</sup> გილოცავს, როგორც შენ, ისე ყველა ქართველ ქალს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს... შენ გისურვებს, კიდევ მრავალ წელს დაგემშვენებინოს სამშობლო სცენა, ხოლო ქართველ ქალს – უფრო შეგნებით და თავგამოდებით ჩაბმულიყოს სამშობლო ქვეყნის აღორძინების საქმეში...

და მაშინ ჩვენი „ყრუ სოფელიც“ – ჩვენი ქვეყანა შვებით ამოისუნთქებს...

გაუმარჯოს შენს შრომას!..“

<sup>149</sup> თეატრი და ცხოვრება – ქართული ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა 1910, 1914-1920, 1923-1926 წლებში თბილისში, მისი დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი იყო იოსებ იმედაშვილი. სწორედ ჟურნალის სახელით ულოცავს იუბილეს იგი ელისაბედ ჩერქეზიშვილს.

სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ანასტასია ერისთავ-ხოშტარის საიუბილეო საღამოზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1946 წლის 1 ივლისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუში [სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ანასტასია ერისთავ-ხოშტარის საიუბილეო საღამოზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1946 წლის 1 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნიკოლოზ კანდელაკი (1907-1965) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1962). 1929 წელს თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ბათუმის საშუალო სპეციალურ სასწავლებელში პედაგოგად და პარალელურად სამეცნიერო მოღვაწეობას. 1938 წელს საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და თანამშრომლობს თელავის, ბათუმის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან, მუშაობს ლექტორად, კათედრის გამგედ. ნიკოლოზ კანდელაკი იყო პირველი, რომელმაც გამოიკვლია ქართული მჭევრმეტყველების ისტორია. იგი ავტორია არაერთი ფუნდამენტური ნაშრომისა, მათ შორის, 1958 წელს გამოიცა „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“<sup>150</sup>, 1961 წელს – „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“<sup>151</sup>, 1975 წელს – „ქართული მჭევრმეტყველება: ქართველი ორატორები“<sup>152</sup> და სხვ. 1988 წელს გამოიცა მისი ავტორობით კრებული სახელწოდებით „წერილები“, რომელიც თავს უყრის მისივე ორატორულ ნიმუშებს<sup>153</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა 1988 წელს ნ. კანდელაკის კრებულში „წერილები“, სათაურით „სიტყვა თქმული 1946 წლის 1 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ანასტასია ერისთავ-ხოშტარის საიუბილეო საღამოზე“<sup>154</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>150</sup> კანდელაკი, ნ. (შემდგ.), ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბილისი, ხელოვნება, 1958.

<sup>151</sup> კანდელაკი, ნ., ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება: ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, ხელოვნება, 1961.

<sup>152</sup> კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, ტ. 1, ქართველი ორატორები, თბილისი, ხელოვნება, 1975.

<sup>153</sup> კანდელაკი, ნ., წერილები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1988.

<sup>154</sup> იქვე, გვ. 252-256.

**Speech Delivered by Nikoloz Kandelaki at the Anniversary Evening of  
Anastasia Eristav-Khoshtaria at the Tbilisi Opera and Ballet  
State Theatre, in Tbilisi, on July 1, 1946**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Nikoloz Kandelaki at the Anniversary Evening of Anastasia Eristav-Khoshtaria at the Tbilisi Opera and Ballet State Theatre, in Tbilisi, on July 1, 1946]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nikoloz Kandelaki (1907-1965) – a Georgian literary critic, Doctor of Philological Sciences (1961), Professor (1962). After graduating from Tbilisi University in 1929, he began working as a teacher at the Batumi Secondary Specialized School and simultaneously engaged in scientific activities. In 1938, he moved to Tbilisi and collaborated with the pedagogical institutes of Telavi, Batumi, and Gori, working as a lecturer and head of the department. Nikoloz Kandelaki was the first to research the history of Georgian oratory. He is the author of a number of fundamental works, including “Georgian Rhetoric: Monuments and Materials” published in 1958<sup>155</sup>, “Georgian Classical Rhetoric” in 1961<sup>156</sup>, “Georgian Rhetoric: The First Georgian Orators” in 1975<sup>157</sup>, and others. In 1988, a collection of his own oratory samples entitled “Letters” was published<sup>158</sup>.

The speech was published in 1988 by N. Kandelaki's collection “Letters” under the title “Speech delivered on July 1, 1946 at the anniversary evening of Anastasia Eristav-Khoshtaria at the Tbilisi Opera and Ballet State Theatre”<sup>159</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>155</sup> Kandelaki, N. (ed.), *Georgian Rhetoric: Monuments and Materials*, Tbilisi, Khelovneba, 1958 (in Georgian).

<sup>156</sup> Kandelaki, N., *Georgian Classical Rhetoric: Essays from the History of Georgian Oratory Art*, Tbilisi, Khelovneba, 1961 (in Georgian).

<sup>157</sup> Kandelaki, N., *Georgian Rhetoric, Vol. 1, Georgian Orators*, Tbilisi, Khelovneba, 1975 (in Georgian).

<sup>158</sup> Kandelaki, N., *Letters*, Tbilisi, Sabtchota Sakartvelo, 1988 (in Georgian).

<sup>159</sup> *Ibid*, pp. 252-256.

სიტყვა

**წარმოთქმული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას საიუბილეო საღამოზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1947 წლის 1 ივლისს**

„ამხანაგებო!

ნება მომეცით, უწინარეს ყოვლისა, სიამოვნებით აღვნიშნო ჩემი საპატიო და მაღალი ხვედრი რომ ამ ზეიმზე წილად მხვდა; მცირე სიტყვით ვიყო ათასეულ მკითხველთა აზრის გამოხატველი და მადლიერებით აღმნიშვნელი სახელოვანი მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას დიდი ღვაწლის და ხანგრძლივი დამსახურებისა.

დღევანდელ საზეიმო გარემოში, როცა ქართველი მკითხველი აღტაცებით გამოხატავს თავის სიხარულს, სიყვარულს და მადლიერებას, რაც ჩვენ გვარგუნა დღევანდელმა იუბილარმა თავისი მორცხვი და უხმაურო შემოქმედებით.

გულწრფელი, უანგარო და ნათელი ხელოვნების სამყაროთი ის წარმატებით ზრდიდა და თავს ევლებოდა კულტურის გზაზე ფეხადგმულთ, რომელთაც ასე სჭირდებოდათ სულიერი შველა და მორალური დახმარება.

ყველამ იცის, ფიზიკური მშობლების გვერდით ჩვენს ახალთაობას მე-19 საუკუნეში ჯერ სულიერი მშობელი დაუვიწყარი იაკობ გოგებაშვილი ევლინებოდა მეკვლედ და მეგზურად და შემდეგ დიდი მწერლების – ილიას, აკაკის და ვაჟას შთაგონების წყაროდან მომდინარე ბევრი ქართველი მწერალი, რომელთა შორის ერთი მნიშვნელოვანთაგანი არის ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

ულამაზესი ქართული პედაგოგიური ლირიკის გოგებაშვილის „დედა ენის“ დაძლევის შემდეგ ჩვენში ხშირად „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდნენ, მაგრამ აღმოჩნდებოდა თუ არა, რომ საჭიროა მათ შორის გარდამავალი საფეხური. ჩვენი ახალგაზრდობა ხარბად ეწაფებოდა ახალ ქართულ მწერლობას, რომლის ღირსეული მონაწილეა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი იუბილარის სიტყვაკაზმული ქმნილებანი დაახლოებით თანაბარი ინტერესით და გულისყურით იკითხებოდა და იკითხება, როგორც სიჭაბუკის, ისე ჭარმაგობის ჟამს. მოზარდთათვის იგი არ არის სიმძიმით დაუძლეველი და გაზრდილთათვის სიმსუბუქით მოსაწყინარი. ეს არის მხოლოდ, რომ ადრეული მოჭარბებული ჟრუანტელი შემდეგ გზას უთმობს ჭკუადამჯდარ ზომიერ განცდებს.

ჩვენ ყველას გვახსოვს „მოლიპული გზის“ განცდების სამყარო, „ბედის ტრიალის“ უკუდმართობანი, „ეკლესიის გარშემო“ გამართული ბრძოლა...

აქ საქართველოს მახლობელი წარსულის სოციალური უკუდმართობა და მრავალი სახის ჩრდილებია წარმოდგენილი; აქ არის ჩვენი ჩამორჩენა, სიღარიბე, უსწავლელობა; უსამართლობის ზეიმი და ძალმომრეობა; უღირსთა დაბალი სიხარული და ღირსეულთა მაღალი მოთქმა; მაგრამ აქვეა ხვალისდელი იმედის სხივი და მისთვის დიადი ბრძოლის ჩანასახი, არის ნიშნები – ძირს დასცემენ უკანონობის ძალმოსილებას, მაგრამ ყრუდ ისმის გოდების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ძახილი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია მხატვარია და უაღრესად საჭირო მხატვარი.

ის სხვებთან ერთად მეზარე იყო დიდი მომავლის და ბევრზე იმით ბედნიერია, რომ მათთვის საოცნებო მომავალი მისთვის საქმედ ქცეულ აწმყოდ გადაიქცა. ეს დიდებული აწმყო აფასებს და შესაფერის ჯილდოს მიუზღავს დღეს უზუცეს ქართველ მწერალს – შრომით ვალმოხდილს და ამავმოსილს, რომელსაც ახლა, ალბათ, მხოლოდ ის აწუხებს, რომ უბედურების ჟამს მის მახლობლად

მებრძოლი მწერლები – ნინოშვილი<sup>160</sup>, ევდოშვილი<sup>161</sup>, ლალიონი<sup>162</sup>, ლომთათიძე<sup>163</sup> და სხვები ბედნიერების ჟამს მის სიხარულს ვერ იზიარებენ.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შემოქმედების თემა ცხოვრებაა, ცხოვრება თავისი ლამაზი და მახინჯი მხარეებით, მაგრამ არა ღრმა, უხილავი და ძნელად მისაწვდომი მოვლენებით, არამედ მისი ხილული გარემოთი, მზით განათებული ზედაპირით. ანასტასია ხოშტარია ცხოვრების ზედაპირის მხატვარია; იგი არ ეძებს მის ფარულ ხვეულებს, ბნელ კოლიზიებს, რთულ მომენტებს; ის კმაყოფილდება ბუნებრივად წარმოდგენილი ცხოვრების ბუნებით; მისთვის ყოფიერებას არ აქვს ორმაგი განზომილება; აქ ცხოვრება სიბრტყეშია დაჭერილი და ასახული და არა სიღრმეში; მაგრამ ეს სიბრტყე და ზედაპირული ხილვადობა ისეთი სისრულით და სისადავით არის დახატული, რომ მკითხველის წინაშე ამ „პატარა ამბებში“ მოცემულია დიდი ცხოვრების ყველა ნიშანი, როგორც ერთ წვეთ ზღვისა წყალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს უზარმაზარი ზღვის ნიშანდობლივი მხარეები.

აქ ამაოდ მოსძებნით ხელოვნურ ორნამენტებს, ხვეულ ჩუქურთმებს, შეზავებულ სურნელებას. წინ წამოდგარა წარმტაცი სისადავე, უბრალოება და ბუნებრივობა.

ანასტასია ხოშტარიას ლიტერატურული ქმნილებანი რიყის ქვებიდან აგებული საქართველოს მკერდის ბორცვებზე ამართული მკვრივი ციხეებია და არა რომელიმე სვეტიცხოველი – ეს თლილი ქვების მუსიკალური სიმფონია. მისი მოთხრობები უპრეტენზიო და შეუფერავი კომპეზია, ხშირად საკუთარი საყრდენი კლდისაგან რომ ძნელად განირჩევიან, მათ მსგავსად რუხია, მრუმე, მდუმარე, მაგრამ ბევრის მთქმელი.

საქმეში ღრმად ჩახედულებმა იციან ფასი ამ სიმარტივის და ენა ამ მდუმარების. მას იშვიათად ნახულობენ, მაგრამ მთელი არსებით მარად მისკენ მიისწრაფიან. ასეთია ანასტასია ხოშტარია მოთხრობები – ისინიც მათი საყრდენი ცხოვრებისაგან ბევრით არ განირჩევიან, მაგრამ ნამდვილი ცხოვრების ყოველი მოტრფიალე სიამოვნებით შეჩერდება და მოკრძალება-მოწიწებით დაისადგურებს მათ გასაცნობად და შესათვისებლად.

აქ ადამიანური სამყაროა წარმოდგენილი – ეს პატარა, მაგრამ დიდის დამახასიათებელი ნაწილი. ამ სამყაროში ყოველი მაღალი ადამიანი ცხოვრობს წარსულის მოგონებით, აწმყოს განცდით და მომავლის იმედით. და ნამდვილი ადამიანი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმას, ვისაც წარსულში გააჩნია რამ ღირსი მოგონებისა, აწმყოში – განცდის მასალა და მომავალში შორიდან შენიშნული იმედის სინათლე. ჩვენი არსებობის სამივე მხარეს პასუხობს ანასტასია ხოშტარია თავისი კდემამოსილი შემოქმედებით. ყოველი დაკვირვებული და გულისხმიერი მკითხველი აქ ნახულობდა და ნახულობს გუშინდელი დღის მოგონების მდიდარ წყაროს, დღევანდელი განცდის სამყაროს და ხვალისდელი იმედის საფუძველს. ერთიანდებოდა ეს მხარეები სხვადასხვა თაობის წიგნის და სიტყვის მოყვარულებში და ყოველი მათგანი ხანგრძლივად იკვებებოდა კეთილშობილი სულიერი საზრდოთი, რაც შეზავებული იყო ტკბილი წარსულით, გმირული აწმყოთი და ბედნიერი მომავლით. მაგრამ იგრძნობოდა, რომ წარსულის სიტკბო იყო მოჩვენებითი და პირობითი, ხოლო მომავლის ბედნიერება გარდაუვალი და აუცილებელი.

ამ საზრდოთი აღზრდილა ყველა, ვისთვისაც მუდამ ძვირფასი იყო ჩვენი კულტურის მდიდარი ტრადიციები და ფართო პერსპექტივები; ვინც ხარბად ვეწაფებოდით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლამაზ სიტყვებად ქვეულ ღრმა ფიქრებს და მათი სკოლის მიმდევართა აზრთა წყობით და სიტყვაკაზმულობით ვსტკბებოდით, ვიზრდებოდით და ვიარაღდებოდით.

და აი, დიდი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის ერთი უკანასკნელი მოჰიკანელი – ჩვენი დღევანდელი იუბილარი ზრდიდა ჩვენს სიჭაბუკეს და აჩქარებდა დავაჟგავებას. აქ არის ჩვენი ბავშვობის რომანები, თავგანწირული მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, მოყვასის დაცვა, გულუბრყვილო ტრაგედიები და გატაცება განუსაზღვრელი გატაცება მაღალით, დიადით და კეთილშობილურით. აქ არის პატარა ადამიანების ქეთინოს და ოქროს დიდი სიყვარული,

<sup>160</sup> ნინოშვილი – ეგნატე ნინოშვილი (ნამდვილი გვარი ინგოროყვა; 1859-1894) – ქართველი მწერალი.

<sup>161</sup> ევდოშვილი – იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილი (ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილი; 1873-1916) – ქართველი მწერალი.

<sup>162</sup> ლალიონი – ლალიონი, ნამდვილი სახელი – არსენ ანტონის ძე მამულაიშვილი (1866-1918) – ქართველი პედაგოგი და მწერალი, მესამე დასის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი.

<sup>163</sup> ლომთათიძე – ბიკენტი (ჭოლა) ბიბონის ძე ლომთათიძე (1874-1915) – ქართველი მწერალი, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს მეორე მოწვევის დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან.

ჩვეულებრივი კაცის მამა იოსების ღრმა განცდები, უმწეო ციცი უთანასწორო ბრძოლა... ყოველი მათგანის ისტორია საზრდელი რძის, განმაახლებელი ცრემლის და განმამტკიცებელი სისხლის მაგივრად მდინარებდა ადამიანთა არსებაში.

სახელოვანი ქართველი მანდილოსანი დედობას სწევდა მის სამშობლოში. ის აღმზრდელია – ტკბილ იავნანათა და მზრუნველ რჩევა-დარიგებათა ავტორი, ქართველი დედა, ფაქიზი და მოამაგე მანდილოსანი.

შორიდან იღებს ფესვებით საზრდოს ეს ქალურობა ჩვენს ქვეყანაში – ნინოს<sup>164</sup>, თამარის<sup>165</sup>, ქეთევანის<sup>166</sup> და სხვათა სამშობლოში, იმ ქვეყანაში, სადაც დედები საკუთარ თმებში ხვევდნენ უსახლკაროდ დარჩენილ ბავშვებს, თვითონ უსამართლობის მსხვერპლად ეცემოდნენ, მაგრამ შვილებს იმავე უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ანდერძს უტოვებდნენ, ან ცრემლებით ცოცხლობდნენ და ბრძოლის ველზე დაცემულ პირშოებს იმის მიხედვით სტიროდნენ, თუ სად ჰქონდათ მომაკვდინებელი ჭრილობა: მკერდში – გმირული, თუ ზურგში – სამარცხვინო.

ამ დედების შორეული მემკვიდრე, დღეს ბედნიერ დედათა ერთი მრავალთაგანის სახეა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. მათ გაგზავნეს ქართველი ვაჟკაცები ახლახან დაწყებულ სამამულო ომის მრისხანე ბრძოლის ველებზე; ეს მათ მოიგეს ძლევამოსილად სისხლის მოტრფიალეთა სამარადჟამოდ დამამხოველი შერკინება. ეს მათ აღმართეს დროშები რაიხსტაგზე; მათ გაიარეს სისხლიანი გზა ბერლინამდე, რომ უკან ვარდ-ყვავილებით დაფენილი გზით დაბრუნებულიყვნენ.

ქართველ ისტორიკოსს უკვირდა ერთ დროს, ჩვენი აღზევების დიად წარსულში, ქართველი დედის შვილებმა დროშა აღმართეს შორი მარალისა და ყაზვინის<sup>167</sup> ცის ქვეშ. ესოდენ ძლევით შეწრფებოდა იგი, რომ ეხილა ასეული ქვეყნის შუაგულში აღმართული საბჭოთა დროშა, რომლის ჩრდილს კი არ აფარებს თავს თანამედროვე საქართველო, არამედ ასეულ გამარჯვებათა მონაწილეა.“

<sup>164</sup> ნინოს – მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო სხვადასხვა საისტორიო წყაროს მიხედვით კაბადოკიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) დაიბადა III საუკუნის მიწურულს. IV საუკუნეში კი, წმინდა ნინომ იბერიის სამეფოში ქრისტიანობა იქადაგა.

<sup>165</sup> თამარის – თამარ მეფე (დაახ. 1160-1213, შესაძლოა 1210 ან 1207), საქართველოს მონარქი 1184 წლიდან.

<sup>166</sup> ქეთევანის – კახეთის სამეფოს დედოფალი (1601-1602) და დედადედოფალი (1606-1624) ქეთევან მუხრანბატონი.

<sup>167</sup> ყაზვინი – ქალაქი ირანში, მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

### (მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ თსუ-ის ქალთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე, ქ. თბილისში, 1975 წლის 7 მარტს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მურმან ლებანიძე (1922-2002) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1973). 1940 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1948 წელს. მეორე მსოფლიო ომმა სწავლა გააწყვეტინა და 19 წლისამ ჯერ კავკასიის უღელტეხილზე წარმოებულ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ – ყუბანში. 1943 წელს მძიმედ დაიჭრა და დაბრუნდა თბილისში. 1946 წლიდან მუშაობდა საყმაწვილო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მთავარ რედაქტორად. 1978 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანია. ასევე იყო შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. ლირიკული ლექსების პირველი კრებული 1950 წელს გამოაქვეყნა. მას ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები „რჩეული“ (1972), „ანისის აღება“ (1972), „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ (1974), „რჩეული ლირიკა“ (1977), „რჩეული“ (1979), საბავშვო წიგნები: „ბიჭები“ (1963), „ოთხი დრო“ (1964) და სხვ. მურმან ლებანიძე ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობით სფეროშიც. მან თარგმნა იაპონური, კლასიკური და ძველი ეგვიპტური პოეზიის ნიმუშები, რადიარდ კიპლინგის, რობერტ ბერნსის ლექსები, შექმნა რუსული კლასიკური პოეზიის მიკროანთოლოგია (კრებული „უკვდავი ყვავილები“, 1971). მურმან ლებანიძის ლექსები თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, უკრაინულ, ფრანგულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე.

გამოქვეყნდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, სათაურით „სიტყვა – წარმოთქმული თსუ-ის ქალთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1975 წლის 7 მარტს“<sup>168</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>168</sup> გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 2000-2001, 29 დეკემბერი-4 იანვარი, №52, გვ. 6.

## Speech Delivered by Murman Lebanidze at the ceremonial Session of the TSU Women's Council, in Tbilisi, on March 7, 1975

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Murman Lebanidze at the ceremonial session of the TSU Women's Council, in Tbilisi, on March 7, 1975]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Murman Lebanidze (1922-2002) – a Georgian poet, translator and essayist, Rustaveli Prize laureate (1973). In 1940, after receiving secondary education, he continued his studies at the Faculty of Philology of Tbilisi State University, which he graduated in 1948. World War II interrupted his studies, and at the age of 19 he took part in the battles at the Caucasus Pass, then in Quban. In 1943, he was seriously wounded and returned to Tbilisi. Since 1946, he has worked in the editorial offices of youth and literary magazines and newspapers as well as the editor-in-chief of the Georgian Committee for Printed Speech. Since 1978, he has been the responsible secretary of the Shota Rustaveli State Prize Committee. He was also the President of the Shota Rustaveli Society. His first collection of lyrical poems was published in 1950. He owns the collections of poems and the following ones “The Favorite” (1972), “The Capture of Anise” (1972), “A Drop of Blood-Colored Poppy at the Prince's Palace” (1974), “The Favorite Lyric” (1977), “The Favorite” (1979), children's books: “Boys” (1963), “The Four Times” (1964) and others. Murman Lebanidze also worked fruitfully in the field of translation. He translated old samples of Japanese, classical and ancient Egyptian poetry, poems by Rudyard Kipling, Robert Burns, and created a micro-anthology of Russian classical poetry (collection “Immortal Flowers”, 1971). Murman Lebanidze's poems have been translated into Russian, Azerbaijani, Armenian, Ukrainian, French, German and Czech.

It was published in the newspaper “Literaturuli sakartvelo” under the title “Speech – delivered at the Ceremonial Session of the TSU Women's Council on March 7, 1975”<sup>169</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>169</sup> Newspaper “Literaturuli Sakartvelo”, Tbilisi, 2000-2001, December 29-January 4, №52, p. 6 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ თსუ-ის ქალთა საბჭოს საზეიმო  
სხდომაზე, 1975 წლის 7 მარტს

„არათუ საგანგებოდ შერჩეული ერთი დღე, ერთი რომელიმე თვე და, თუ გნებავთ, წელიწადი, არამედ სიცოცხლის ყოველი წუთი, არსებობის ყოველი წამი, ათასწლეულების მანძილზე ქალს, ქალზე ოცნებას, ქალის სიყვარულს მიუძღვნა და მოახმარა კაცობრიობის მეორე ნახევარმა, ხოლო პირველი და უკეთესი ნახევარი – თქვენ ბრძანდებით!

და, მაინც, იცოტავა ყოველივე ეს, აი, დაფიქრდა ქალის მაღლიერი კაცობრიობა გამმაფრებული მამებლობის ამ ჩვენს მეოცე საუკუნეში, რა ეხარჯება და, ქალის საამებლად მთელი გრძელი 1975 წელი გამოიგონა.

ძვირფასო ქალებო! თქვენს აზრს გავიმეორებ, თუ ვიტყვი, რომ მთელი თავისი ცხოვრება მამრი მდედრის მოტყუებაშია. მაგრამ ეს საქმის სულ სხვა ასპექტია. ხუთივე კონტინენტი ქალის დიდებას გაჰყვინის და ეს ყვირილი წელიწადს უნდა გაგრძელდეს. ეს არ არის მოტყუება, ეს გულიდან ამოსული ბაჯალლო მაღლიერებაა ქალისადმი. შეგვიძლია, ამაყად გავიმეოროთ ფასშეუვალი სიტყვები ქალის შესახებ: – დიდება ქალს – დას, ცოლს, დედას – ფუძეს, საწყისს, დასაბამს სიცოცხლისა და ყოველივე დიადისა მზისქვეშეთში!..

ამას მეც დავსძენ ჩემსას:

– გაუმარჯოს ქალს – კაცობრიობის უმშვენიერესსა და უკეთეს პირველ ნახევარს!

ხოლო, რაც შეეხება პოეზიას, კაცობრიობა მუნჯია და უენო, მხოლოდ პოეტების მეშვეობით გამოუხატავს მას უმშვენიერეს, უკვდავ სახეებში ქალისადმი სიყვარული და მაღლიერება.

და მე მახსენდება ახლა 80 წლის ბრძენი გოეთე, მკერდბუმბერაზი, ზევსივით კეთილადნაგი და ბაღში მჯდომი; 16 წლის ქალწული დაინახა მან და გულამგერებულმა უჩურჩულა მეგობარს: „ახლა გამხადაო, – როგორ ფიქრობთ, რამდენი წლის? – ახლა გამხადაო 70 წლის!“ როგორია, ძვირფასო ქალებო! ლაპარაკობს თუ არა ეს მაგალითი უკვდავ, სამუდამო, უბერებელ გრძნობაზე მშვენიერებისადმი, რასაც ქალის სახელი ჰქვია?!

ნება მომეცით, სიტყვა ლექსით<sup>170</sup> დავასრულო:

\*

მარეკები<sup>171</sup> შლიდნენ ბანაკს,  
ქარი ჩამიჩუმით ქროდა,  
ვიწიქ, – რომელიღაც ბალახს  
უცბად –  
ქალის სუნი ჰქონდა.

თითქოს ურო დამკრეს თავში,  
თითქოს პაპაჩემი ცხონდა –  
ათას სურნელოვან შვავში  
ბალახს –  
ქალის სუნი ჰქონდა.

<sup>170</sup> მურმან ლებანიძე სიტყვას ასრულებს თავისივე ლექსით – „მარეკები შლიდნენ ბანაკს...“

<sup>171</sup> მარეკები – (ძვ.) ნადირის მომრეკები ნადირობისას.

სუნი ჰქონდა არა დალის,  
ლალის, – ცისფრის ანუ თეთრის, –  
სუნი – საზოგადოდ ქალის,  
სუნი –  
საზოგადოდ მდედრის...

ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი  
სიკვდილს, შენ მაცოცხლო ვინძლო,  
სანამ ვიცნო ეგ სურნელი,  
სანამ –  
ეგ სურნელი ვიგრძნო!“

სიტყვა, წარმოთქმული თენგიზ გიორგაძის მიერ ნანა იოსელიანის მიმართ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებისას, 1979 წლის ოქტომბერს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული თენგიზ გიორგაძის მიერ ნანა იოსელიანის მიმართ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებისას, 1979 წლის ოქტომბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია თენგიზ გიორგაძე (1925-2012) – ქართველი მოჭადრაკე, საერთაშორისო არბიტრი (1972), საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი. საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი (1976), საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი (1981), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (2002). ეროვნული ოსტატი (1994), პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (2004), პროფესორი (2005). მის სიტყვაში ჩართულია ინტერვიუს ფრაგმენტი. სიტყვის ადრესატია ნანა იოსელიანი (დ. 1962) – საერთაშორისო დიდოსტატი (1979), სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი (1981, 1982, 1986, 1987). მან მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში მოიპოვა 5 ოქროს (1980, 1982, 1992, 1994), ერთი ვერცხლის (2000) და ერთი ბრინჯაოს მედალი (1998). ნანა იოსელიანი 2003 წლიდან მონაწილეობას აღარ იღებს ოფიციალურ ტურნირებში.

სიტყვა გამოქვეყნდა სპორტულ გაზეთ „ლელოში“ სათაურით „სიტყვა ნანა იოსელიანზე“<sup>172</sup>. არც დღე და არც წელი არსადაა აღნიშნული. ტექსტის შინაარსის გაცნობის შედეგად, სავარაუდებელია, რომ საჯარო გამოსვლის სიტყვა წარმოითქვა იმავე წელს, რომელ წელსაც დაიბეჭდა. სხვა ხელჩასაჭიდი წყარო ამის დასადასტურებლად არ გაგვაჩნია. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>172</sup> გაზეთი „ლელო“, 1979, ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, №200 (6511), გვ. 2.

## Speech Delivered by Tengiz Giorgadze to Nana Ioseliani during the Women's World Chess Championship Interzonal Tournaments, in October, 1979

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Tengiz Giorgadze to Nana Ioseliani during the Women's World Chess Championship Interzonal Tournaments, in October, 1979]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Tengiz Giorgadze (1925-2012) – Georgian chess player, international arbiter (1972), chess columnist, writer and historian. Honored Journalist of Georgia (1976), Honored Worker of Physical Culture and Sports of Georgia (1981), Honored Coach of Georgia (2002). National Master (1994), Candidate of Pedagogical Sciences (2004), Professor (2005). A fragment of an interview is included in his speech. The addressee of the speech is Nana Ioseliani (b. 1962) – international grandmaster (1979), four-time champion of the USSR (1981, 1982, 1986, 1987). She won 5 gold medals (1980, 1982, 1992, 1994), one silver medal (2000) and one bronze medal (1998) at the World Women's Chess Olympiads. Nana Ioseliani has not participated in official tournaments since 2003.

The speech was published in the sports newspaper "Lelo" under the title "Speech about Nana Ioseliani"<sup>173</sup>. Neither the day nor the year is mentioned anywhere. As a result of familiarizing ourselves with the content of the text, it is assumed that the public speech was delivered in the same year in which it was printed. We have no other reliable sources to confirm this. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>173</sup> Newspaper "Lelo", 1979, Thursday, October 18, №200 (6511), p. 2 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული თენგიზ გიორგაძის მიერ ნანა იოსელიანის მიმართ ჭადრაკში  
ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებისას, 1979 წლის  
ოქტომბერს**

„ვისაც უყვარს ჩვენი ჭადრაკი, ქომაგობს ჩვენ სახელოვან მოჭადრაკეებს, ჭეშმარიტად სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღუვსო გული ნანა იოსელიანის<sup>174</sup> შესანიშნავმა გამარჯვებამ<sup>175</sup> რიო-დე-ჟანეიროს ქალთა საზონათშორისო ტურნირში<sup>176</sup>. 17 წლის თბილისელმა სტუდენტმა<sup>177</sup> ვეებერთელა ძალა, შემართება და მუყაითობა გამოიჩინა უძნელეს ბრძოლაში ქალთა მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა მატჩების საგზურისთვის. აუღელვებლად ვერ გაიხსენებ პატარა ნანას ტრიუმფალურ სვლას სტარტიდან, როდესაც მან ზედიზედ თორმეტი გვირგვინოსანი დაამხო და ფინიშიზე, ვადამდე, პირველი მიიჭრა. მსგავსი რამ არ ახსოვს მსოფლიო პირველობის მემატეანეს.

სანდომიანი სახის, ნაზი გოგონას არსებაში დიდ მოჭადრაკეს დაუსადგურებია. მისთვის ბუნებას ნიჭი და შრომისმოყვარეობა არ დაუკლია, მაგრამ ყველაზე უხვად უბოძებია მტკიცე ხასიათი, გაუტეხელი ნებისყოფა. ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ეს თვისებები დაჭირდა ნანას რიო-დე-ჟანეიროს ტურნირში, როცა თავს ესხმოდა მეტოქეთა ლაშქარს. ზოგს შეიძლება სულიც შეჰკვროდა ზედიზედ ამდენი მოგებებისას. მაგრამ არა ნანას.

ბევრს ახსოვს სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატსა და საბჭოთა ზონალურ ტურნირში როგორ გაუჭირდა ნანას სტარტზე. შესამჩნევად ჩამორჩა მეტოქეებს. სწორედ ამ დროს მან ხასიათის ისეთი სიმართლე გამოავლინა, რომ პარტიას პარტიაზე იგებდა. პირველ ტურნირში ვერცხლის მედალს მიწვდა, მეორეში – საზონათშორისო ტურნირის საოცნებო საგზურს. ამ „ჩვეულებამ“ ბრაზილიაში მას უპრეცედენტო გამარჯვება მოუტანა.

ამბობენ, როგორი ბუნებისაა მოჭადრაკე, თამაშის ისეთივე სტილიც აქვსო. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ იგი ნანა იოსელიანის შესახებაა ნათქვამი. ყმაწვილი ქალი დიდბუნებოვანია, კეთილი, მეგობრული, გულთბილი. თამაშის სტილიც მომხიბლავი, ელეგანტური აქვს, მუდამ შემართული, ლაზათიანი და ძალზე ობიექტური. ბრაზილიელებიც მოიხიბლნენ ახალგაზრდა მოჭადრაკის შემოქმედებითი პალიტრით. ნანას სტილს ბეჭდად აზის ქართველ მოჭადრაკეთათვის დამახასიათებელი წინსწრაფვა, ინიციატივა, რომლის შემოღება-დამკვიდრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სწორუპოვარ ნონა გაფრინდაშვილს<sup>178</sup>.

როცა ნანა იოსელიანის ნიჭის ახალ, მძლავრ ამოფეთქვაზე ვფიქრობ, ძალაუნებურად მახსენდება

<sup>174</sup> ნანა იოსელიანი (დ. 1962) – საერთაშორისო დიდოსტატი (დ. 1979), სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი (1981, 1982, 1986, 1987). მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში მოიპოვა 5 ოქროს (1980, 1982, 1992, 1994), ერთი ვერცხლის (2000) და ერთი ბრინჯაოს მედალი (1998).

<sup>175</sup> ნანა იოსელიანმა რიო-დე-ჟანეიროს ქალთა საზონათშორისო ტურნირში, 1979 წელს I ადგილი მოიპოვა.

<sup>176</sup> თენგიზ გიორგაძის სიტყვა რიო-დე-ჟანეიროს ქალთა საზონათშორისო ტურნირში ნანა იოსელიანის გამარჯვების შემდეგაა დაბეჭდილი. რიო-დე-ჟანეიროს ქალთა საზონათშორისო ტურნირი 1979 წლის 24 სექტემბერი-19 ოქტომბერს ჩატარდა, ხოლო სიტყვა დაიბეჭდა 18 ოქტომბერს.

<sup>177</sup> იგულისხმება ნანა იოსელიანი, რომელიც 1979 წლის 12 თებერვალს 17 წლის გახდა. სავარაუდოებია, რომ სიტყვა წარმოითქვა 12-18 ოქტომბრის პერიოდში.

<sup>178</sup> ნონა გაფრინდაშვილი – ნონა გაფრინდაშვილი (დ. 1941) – ქართველი და საბჭოთა მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის (1977) და პირველი ქალი, ვისაც საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა ვაჟთა შორის (1978). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962–1978). 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი. საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი (1964, 1973, 1981, 1983, 1985), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (1969, 1972). ჭადრაკის „ოსკარის“ პირველი მფლობელი (1982). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი (ოქროს პრიზი). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1969, 1975). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964).

დედამისის, ქალბატონ ნათელას ერთი ნაამბობი, რომლის გამხელას, ალბათ არ მიწყენს.

– იცით, ნანა შეიძლება მოჭადრაკე არც ყოფილიყო, მისი გატაცების ისეთი წინააღმდეგი ვიყავი, – გვიამბობდა ქალბატონი ნათელა ლვოვში საკავშირო ჩემპიონატში ნანას წარმატების შემდეგ. – როცა გავიგე, რომ ჭადრაკით დაინტერესდა და გაკვეთილების შემდეგ სამეცადინოდ შორს უნდა ევლო, თამაში ავუკრძალე, თითქოს გამიგონა, მაგრამ ჩუმად მაინც დადიოდა ოთარ ალხანიშვილთან, თანაც ისე, რომ მეცადინეობას არ აცდენდა. ამის შემდეგ ვიფიქრე, იქნებ მისი ძმაც დავაინტერესო-მეთქი თამაშით და ბავშვებს ერთად ვატარებდი. მაგრამ ზურაბმა მალე გული აიცრუა. ნანამ კი განაგრძო სწავლა. წარმატებებიც ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მაინც წინააღმდეგი ვიყავი, რომ იგი ჭადრაკს გაჰყოლოდა. მხოლოდ ახლა, ლვოვში მივხვდი, თუ რა ცოდვას ჩავდიოდი, თამაშს რომ ვუკრძალავდი. ნანა ჭადრაკისთვის მოწოდებული ყოფილა.

– მაინც რატომ იყავით ჭადრაკით თქვენი გოგონას გატაცების წინააღმდეგი?

– ვფიქრობდი, რომ ჭადრაკი უფრო დროსტარებაა, ვიდრე სერიოზული საქმე. ახლა კი ვაღიარებ, რომ ნამდვილად ვცდებოდი. სხვა რა უნდა გაეკეთებინა ჩემს გოგონას, რომ ამდენი თანამემამულე გაეხარებინა? არ ვიცი. ჭადრაკმა მას ხალხის სიყვარული მოუტანა. ეს ბევრზე ბევრია. ახლა მრცხვენია კიდევ, რა ავი დედინაცვალივით ვიქცეოდი. ვუხშობდი ნიჟს, მისწრაფებას. მერე ვის – საკუთარ ერთადერთ გოგონას.

საბედნიეროდ, ეს არ მოხდა, თორემ დღეს არ გვეყოლებოდა ქართული ჭადრაკის კიდევ ერთი მშვენიება.

ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიაში, 1962 წლიდან დედოფლობენ ქართველი ასულები. ამ ბოლო დროს გვირგვინისთვის მატჩებიც კი მათს შორის იმართება. შესაძლოა, რომ კიდევ ერთხელ მსოფლიოში ნომერ პირველი მოჭადრაკის სახელისთვის პაექრობა ქართველ მოჭადრაკეთა შინაური საქმე გახდეს. ყოველივე ეს ცოტას როდი ნიშნავს. შთამომავლობა მუდამ იამაყებს ჩვენი მოჭადრაკე ქალების ბრწყინვალე გამარჯვებით, როგორც დღეს ვხარობთ!“

სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარიას მიერ ელენე მაჭავარიანის  
წიგნის „ქართული დამწერლობა“ პრეზენტაციაზე,  
2008 წლის 17 დეკემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარიას მიერ ელენე მაჭავარიანის წიგნის „ქართული დამწერლობა“ პრეზენტაციაზე, 2008 წლის 17 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მიხეილ ქავთარია (1929-2019) – ქართველი ფილოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1952 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1954-1957 წლებში ასპირანტურის კურსი გაიარა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით. 1960 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე – „ბესარიონ ორბელაშვილის შემოქმედება“. 1981 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი თემაზე – „XVII-XVIII საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფია“. მიხეილ ქავთარია 1958-2019 წლებში იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი. სიტყვის ადრესატია ელენე (ლეღიკო) მაჭავარიანი (დ. 1931) – ისტორიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1954 წელს. 1958 წელს მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად; 1968 წელს ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1988 – წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, 2004 – მეცნიერ-მკვლევრად, 2009 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლად; 1973-2004 წწ. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის პედაგოგია. არის 47 სამეცნიერო ნაშრომისა და 7 წიგნის ავტორი. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „XII-XIII სს. ქართულ და ბიზანტიურ მოხატულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისთვის“, ხოლო 1987 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „XI-XIV სს. ქართული ოთხთავის სისტემა“. 1977 წელს ელენე მაჭავარიანის ავტორობით გამოიცა წიგნი „ქართული ანბანი“<sup>179</sup>, 1982 წელს – „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“<sup>180</sup>, 2012 წელს – „ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები“<sup>181</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა 2012 წელს წიგნში „ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები“, სათაურით „ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე“<sup>182</sup>. კრებული მიემდგვნა ელენე მაჭავარიანის დაბადებიდან 80 წლისთავს. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>179</sup> მაჭავარიანი, ე., ქართული ანბანი: საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება, თბილისი, განათლება, 1977.

<sup>180</sup> მაჭავარიანი, ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბილისი, ხელოვნება, 1982.

<sup>181</sup> მაჭავარიანი, ე., ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012.

<sup>182</sup> იქვე, 2012, გვ. 399-400.

## Speech Delivered by Mikheil Kavtaria at the Presentation of Elene Matchavariani's Book "Georgian Script", on December 17, 2008

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Mikheil Kavtaria at the presentation of Elene Matchavariani's book "Georgian Script", on December 17, 2008]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Mikheil Kavtaria (1929-2019) – Georgian philologist, Doctor of Philological Sciences, Professor. In 1952 he graduated from Ivane Javakhishvili Tbilisi State University. In 1954-1957 he completed a postgraduate course under the guidance of Academician Korneli Kekelidze. In 1960 he defended his PhD in Philological Sciences on the topic "The Creativity of Besarion Orbelashvili". In 1981 he defended his PhD in Philological Sciences on the topic "Georgian Hymnography of the 17th-18th Centuries". In 1958-2019 Mikheil Kavtaria was a research associate at the National Center for Manuscripts. The addressee of the speech is Elene (Leliko) Matchavariani (b. 1931) – historian, scientist, teacher, art historian, Doctor of Art History, Professor. She graduated from the Faculty of History of Tbilisi State University in 1954. In 1958, she worked as a junior research fellow at the Institute of Manuscripts; in 1968, as a senior research fellow at the same institute; 1988 – as a leading research fellow, 2004 – as a research scientist, 2009 – as a chief specialist of the Art History Department of the National Center of Manuscripts, G. Chubinashvili Institute of Georgian Art History; In 1973-2004 teacher of the Department of Art History and Theory at the Tbilisi Academy of Arts. She is the author of 47 scientific papers and 7 books. In 1964, she defended her candidate's thesis on the topic "Interrelations between Georgian and Byzantine Painted Manuscripts of the 12th-13th centuries", and in 1987 – her doctoral thesis on the topic "The Georgian Four-Headed System of the 11th-14th centuries". In 1977, the book "Georgian Alphabet" was published under the authorship of Elene Matchavariani<sup>183</sup>, in 1982 – "Graphic Foundations of the Georgian Alphabet"<sup>184</sup>, in 2012 – "Georgian Manuscripts: Issues of Writing and Ornamentation"<sup>185</sup>.

The speech was published in 2012 in the book "Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration" under the title "The work will remain forever"<sup>186</sup>. The collection was dedicated to the 80th Anniversary of the birth of Elene Matchavariani. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>183</sup> Matchavariani, E., *Georgian Alphabet: Voluntary Society of Book Lovers of the Georgian SSR*, Tbilisi, Ganatleba, 1977 (in Georgian).

<sup>184</sup> Matchavariani, E., *Graphical Fundamentals of the Georgian Alphabet*, Tbilisi, Khelovneba, 1982 (in Georgian).

<sup>185</sup> Matchavariani, E., *Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration*, Tbilisi, Printing House of the Georgian National Academy of Sciences, 2012 (in Georgian).

<sup>186</sup> *Ibid*, pp. 399-400.

სიტყვა

**წარმოთქმული მიხეილ ქავთარიას მიერ ელენე მაჭავარიანის წიგნის  
„ქართული დამწერლობა“ პრეზენტაციაზე, 2008 წლის 17 დეკემბერს**

„სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰუმანიტარული მეცნიერების ამ უმძიმეს სიტუაციაში გამოქვეყნდა ქართული ხელნაწერით ულამაზესი წიგნი – „ქართული დამწერლობა“, რომლის ავტორი გახლავთ ქალბატონი ელენე (შინაურობაში ლელიკო) მაჭავარიანი. წიგნი ეროვნული აკადემიისა და ქართული ენციკლოპედიის ეგიდით გამოვიდა. ენციკლოპედიის სარედაქციო ჯგუფმა ზურაბ აბაშიძემ, გიორგი დარსალიამ და მარინე თუშიშვილმა მხატვრის გიორგი გიგაშვილის ხელისშეწყობით დაულოცა გზა მკითხველისაკენ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ტანადგომამ – საილუსტრაციო მასალის უშურველად გაღებამ მომხიბვლელობა შემატა წიგნს.

ენციკლოპედიისათვის ამ საქმის გადაწყვეტა შემთხვევითი არ არის. სწორედ ამ ცოტა ხნის წინ ენციკლოპედიამ დასტამბა სოლიდური წიგნი „ქართული ენა“. დღევანდელი საზეიმო წიგნიც სწორედ ამ განწყობის და მიმართულების ლოგიკურ გაგრძელებად მიმაჩნია, რაც ამ ბოლო ხანს დამკვიდრდა ენციკლოპედიის – ამ ღირსეული ეროვნული დაწესებულების მუშაობის სტილად.

ლელიკო მაჭავარიანი სრულიად ახალგაზრდა (იგი ახლაც ახალგაზრდაა) ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან მოვიდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. გიორგი ჩუბინაშვილის<sup>187</sup>, რენე შმერლინგის<sup>188</sup> და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა მაღალი აკადემიური სკოლა გავლილი, გახდა ასევე დიდი მეცნიერის ილია აბულაძის<sup>189</sup> პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური სკოლის შეგირდი. ქართული და არა ქართული ხელნაწერების დიდმა მოამაგემ, ქართული ფილოლოგიის დიდმა წარმომადგენელმა ილია აბულაძემ არსებითად განსაზღვრა ლელიკო მაჭავარიანის სამეცნიერო საქმიანობა და მას ვეებერთელა მეცნიერული ტვირთი დააკისრა – ქართული ხელნაწერების მხატვრული მემკვიდრეობის და ქართული დამწერლობის – როგორც მხატვრული ფენომენის შესწავლა. შედეგად არ დააყოვნა და 1970 წელს გამოვიდა ქალბატონ ლელიკოს წიგნი-ალბომი „ქართული ხელნაწერები“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მომხიბვლელობა და პეწი. დღევანდელი საპაექროდ წარმოდგენილი წიგნიც იმ პერიოდიდან იწყებს თავის ისტორიას. უნდა ხმამაღლა ითქვას, რომ ელენე მაჭავარიანის პირველი მეცნიერული ნაბიჯები განსაზღვრული იყო სწორედ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის შემოქმედებითი თანამშრომლობით, მეგობრული კოლეგიალობით და იმ ტრადიციით, რომელიც ჰუმანიტარულ დაწესებულებათა შორის არსებობდა იმჟამად, როდესაც ცალკეული ინსტიტუტის მნიშვნელოვანი წარმატება ითვლებოდა ჰუმანიტარული დაწესებულებების საერთო მიღწევად.

უძველეს ქართულ ხელნაწერთა მორთულობაზე მუშაობამ, განსაკუთრებით ე.წ. საზედაო ასოთა მოხატვა-მოხაზულობათა კვლევამ ელენე მაჭავარიანის წინაშე უცილობლად დააყენა პრობლემა – ქართული დამწერლობა ისტორიკოსის პოზიციებიდან და ქართულ ასოთა მოხაზულობა ხელოვნებათმცოდნეობის თვალთ დანახული. სწორედ ასეთმა კომპლექსურმა ძიებამ ათქმევინა მოგვიანებით ქალბატონ ლელიკო მაჭავარიანს „ძველი ქართული ანბანის ასოთა მოხაზულობანი შეიქმნა ადგილობრივ ნიადაგზე ერთბაშად, სხვა ანბანებისაგან დამოუკიდებლად“.

დაიწყო ლელიკო მაჭავარიანის შემოქმედებაში ქართული დამწერლობის გრაფიკული

<sup>187</sup> გიორგი ჩუბინაშვილი (1885-1973) – ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი.

<sup>188</sup> რენე შმერლინგი (1901-1967) – გერმანული წარმოშობის ქართველი ხელოვნების ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1966).

<sup>189</sup> ილია აბულაძე (1901-1968) – ქართველი ფილოლოგი, ძველი ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი.

მოხაზულობების კვლევა. საქმეს ართულებდა ის ფაქტიც, რომ ქართული დამწერლობის სამივე ფორმას სრულიად განსხვავებული მოხაზულობა და გრაფიკული თავისებურებები გააჩნია. გადაუდებელი გახდა ფორმათა ერთმანეთისაგან გამიჯვნა და, ამავე დროს საერთო, მსგავსი ელემენტების დაკონკრეტება, განსაზღვრა და გაერთიანება. ლელიკო მაჭავარიანმა მიიჩნია და ეს ამ წიგნის მთელი სისტემის საფუძველთა საფუძველია და ხაზგასმით არის ნათქვამი: „ასომთავრულის გრაფიკული თავისებურება: 1. მოხაზულობათა ფორმები ორ ხაზშია მოთავსებული – ყველა ასო ერთნაირი სიმაღლისაა, 2. გრაფიკული სისტემის ამოსავალი ფორმებია წრე და სწორი ხაზი, 3. შემადგენელი ელემენტების განაწილების შესაბამისად, ნაწილი ასოებისა კვადრატულ არეშია მოთავსებული, ნაწილს კი კვადრატის ნახევარი უკავია, 4. მხატვრულ ასოთა დაწერილობა ხელის რამდენჯერმე აღებით სრულდება, 5. ასოები სიტყვაში ერთმანეთთან დაშორებით იწერება.

ნუსხური დამწერლობის გრაფიკული თავისებურება: 1. შექმნილია წერის ოთხხაზოვანი სისტემა – ასოები სხვადასხვა სიმაღლისაა, 2. ასოთა მოხაზულობა კუთხოვან ფორმებს იძენს, 3. ყველა ასოს მოხაზულობა მარჯვნივაა გადახრილი, 4. ასოები სიტყვაში გაბმით, უინტერვალოდ იწერება.

მხედრული დამწერლობის თავისებურებანია: 1. ასოთა ფორმები გამარტივებულია, კონტური ხელის აურებლად სრულდება, 2. ასოთა მოხაზულობა ვერტიკალურ ღერძზეა აგებული, 3. ფორმები მომრგვალებულია, 4. ასოთა დაწერილობა ოთხხაზოვან სისტემას ექვემდებარება“.

ეს რამდენადმე ვრცელი დასკვნები მხოლოდ იმიტომ გავახმოვანე, რომ ყველას ცხადად დაენახა ლელიკო მაჭავარიანს რამდენად ხელეწიფება მარტივი გეომეტრიული ელემენტების – წრეებისა და ხაზებისაგან პოეტური და მომხიბვლელი ანბანის კონტურებად ასხმა და მკითხველთათვის ურთულესი პრობლემების უმარტივესად მიტანა. დღევანდელი თავყრილობა უექველი დასტურია, რომ ელენე მაჭავარიანს კვლავ დიდი და რთული სამუშაო უდევს წინ. ამავე დროს იმასაც ამტკიცებს, რომ წიგნი „ქართული დამწერლობა“ სპეციალისტთა და მოყვარულთა ქების, კამათის, განსხვავებული აზრის შთამაგონებელი იქნება.

მე მინდა ქალბატონ ელენე მაჭავარიანს მთელი ჩვენი მეგობრების სახელით მოვულოცო დღევანდელი დღე და ვუსურვო ფორმითაც და შინაარსითაც ასეთი ლამაზი წიგნების დახვავება.“

**სიტყვა, წარმოთქმული გიორგი შარვაშიძის მიერ მარიკა  
ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს გამო, თსუ-ში,  
2016 წლის 13 ივნისს**

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული გიორგი შარვაშიძის მიერ მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს გამო, თსუ-ში, 2016 წლის 13 ივნისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია გიორგი შერვაშიძე (დ. 1963) – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (2016-2022). 2023 წლიდან საქართველოს ელჩი სომხეთში. სიტყვის ადრესატია მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე (1922-2018) – ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (1993), აკადემიკოსი. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1975), ივ. ჯავახიშვილის (1976), ნ. ბერძენიშვილის (1980) სახელობის და საქართველოს სახელმწიფო (1982) პრემიების ლაურეატი. 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (ABI) მინიჭა „მეორე ათასწლეულის ღირსების მედალი 2000“. 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1947 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თბილისის საამირო“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი 1963 წლიდან (სადისერტაციო თემა – „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“). 1972 წლიდან არის თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1993 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 წიგნი. რუსულად თარგმნა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები: „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. მისი თაოსნობით 1996 წელს თსუ საქართველოს ისტორიის კათედრასთან ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია. მარიამ ლორთქიფანიძე 95 წლისა, 2018 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის საიუბილეო ღონისძიება თსუ-ში 2016 წლის 13 ივნისს აღინიშნა. სხდომის მონაწილეებისთვის ასევე გაიმართა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „ისტორიამ რა ჰქმნა?“, რომელიც ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიემდგვნა. ფილმის რეჟისორია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი ნინო კაკულია.

სიტყვა გამოქვეყნდა 2017 წელს ნინო კაკულიას რედაქტორობით შედგენილ პუბლიცისტურ ნარკვევში „ისტორიამ რა ჰქმნა?“, რომელიც მიემდგვნა მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს. სიტყვა დაიბეჭდა სათაურით „95 წლის „დიდი ქალბატონი“ – თანამედროვე ხედვით“, ხოლო ქვესათაურით „თსუ-ს რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა“<sup>190</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>190</sup> კაკულია, ნ., ისტორიამ რა ჰქმნა? მარიკა ლორთქიფანიძე 95, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 8-9.

## Speech Delivered by Giorgi Sharvashidze on the Occasion of Marika Lortkipanidze's 95th Birthday in TSU, on June 13, 2016

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Giorgi Sharvashidze on the occasion of Marika Lortkipanidze's 95th birthday in TSU, on June 13, 2016]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Giorgi Shervashidze (b. 1963) – Rector of Tbilisi State University (2016-2022). Since 2023, Ambassador of Georgia to Armenia. The addressee of the speech is Mariam (Marika) Lortkipanidze (1922-2018) – a Georgian historian, full member of the Georgian National Academy of Sciences (1993), academician. Honored Worker of Science of Georgia (1975), laureate of the Iv. Javakhishvili (1976), N. Berdzenishvili (1980) and Georgian State (1982) prizes. In 1997, she was awarded the Order of Honor. The American Biographical Institute (ABI) awarded her the “Second Millennium Medal of Honor 2000”. In 1943 she graduated from the Faculty of History of Tbilisi State University. Since 1947 she has worked as a research associate at the Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnography. In 1948 she defended her candidate dissertation on the topic “Tbilisi Emirate”, Doctor of Historical Sciences since 1963 (thesis topic – “Political Union of Feudal Georgia”). Since 1972 she has been the head of the Department of History of Georgia at TSU. Academician of the Georgian Academy of Sciences since 1993. She has published 100 scientific works, including 10 books. She translated into Russian the monuments of Georgian historical writing: “Chronicles of Kartli”, “Life and Message of the Bagratians” by Sumbat Davitis Dze. Under her leadership, in 1996, a laboratory for the study of the history of Georgian villages was established at the Department of Georgian History at TSU. Mariam Lortkipanidze died on January 8, 2018, at the age of 95. She is buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures. The 95th anniversary of Marika Lortkipanidze was celebrated at TSU on June 13, 2016. The premiere of the documentary film “What Has History Created?” dedicated to the life and work of Mariam Lortkipanidze was also held for the participants of the session. The film was directed by Nino Kakulia, editor of the newspaper “Tbilisi University”.

The speech was published in 2017 in the publicistic essay “What Has History Created?” edited by Nino Kakulia, which was dedicated to the 95th anniversary of Marika Lortkipanidze. The speech was published under the title “The 95th “Great Lady” – A Modern Perspective”, and under the subtitle “Speech of TSU Rector Giorgi Sharvashidze”<sup>191</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>191</sup> Kakulia, N., What has history created? Marika Lortkipanidze 95, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 2017, pp. 8-9 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული გიორგი შარვაშიძის მიერ მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს გამო თსუ-ში, 2016 წლის 13 ივნისს**

„მარიამ ლორთქიფანიძის სახელთან მთელი ეპოქაა დაკავშირებული. იგი გახლავთ ძალიან ბევრი ისტორიკოსის აღმზრდელი, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; არის გამოჩენილი ისტორიკოსი, დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი, 150-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და ბევრი მონოგრაფიის ავტორი და, რაც მთავარია, არაერთი თაობის წარმომადგენლისთვის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქისთვის, გზის გამკვალავი. ბევრი რამ, რაც მან შექმნა, არის ძალიან მაღალი სამეცნიერო ხარისხის მატარებელი და, ამავე დროს, მეტად პოპულარული.

რა შეიძლება ქალბატონ მარიკაზე ვთქვათ, გარდა იმისა, რომ იყო სახე ქართული ისტორიოგრაფიისა... ის ცვლილებები, რაც ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაკავშირებულია ქართული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებასთან, დიდ წილად ხომ ქალბატონი მარიკას უშუალო დამსახურებაა. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ლაბორატორიაც, რომელიც სწავლობდა ქართულ სოფლებს – ეს დიდი ეროვნული საქმეა, რაც საქართველოში გაკეთდა.

ქალბატონი მარიკა დღემდე არის ჩვენი სამეცნიერო პროფესურის ღირსეული წარმომადგენელი და ძალიან აქტიური წევრი, რომელიც მისთვის უჩვეულო ენერჯითა და შემართებით იღებს მონაწილეობას უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაშურია ის ენთუზიაზმი, რაც მხოლოდ და მარტო მარიკას გააჩნია და რაც, ალბათ, მისაბამიც არის ახალგაზრდებისთვის.

მის სიტყვას ყოველთვის ჰქონდა ფასი, მაგრამ გასაოცარია ის, რომ დღემდე იგი ახლებური ხედვით გამოირჩევა. მარიამ ლორთქიფანიძე დღესაც რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია და იგი ძალიან ხშირად გვთავაზობს ნოვატორულ, ინოვაციურ იდეებს.

ჩვენ აღვნიშნავთ ქალბატონი მარიკას 95 წლის საიუბილეო თარიღს. მინდა, მას ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა! ჩვენ თავს კი ვუსურვებ, რომ ქალბატონი მარიამი დიდი ხნის განმავლობაში გვყავდეს ჩვენს რიგებში!“



**II. სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები**

**II. FUNERAL ORATORICAL SAMPLES**



სიტყვა, თქმული მღვდლის სოლომონ ხახანაშვილის მიერ მარიამ  
ერისთავის დაკრძალვაზე, იკორთის ეკლესიაში,  
1858 წლის 16 აგვისტოს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და თინათინ ჯიქურაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული მღვდლის სოლომონ ხახანაშვილის მიერ მარიამ  
ერისთავის დაკრძალვაზე, იკორთის ეკლესიაში, 1858 წლის 16 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში  
დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის  
ჟანრს.

სიტყვის ავტორია გორის მაზრაში მოღვაწე სასულიერო პირი – სოლომონ ქრისტეფორეს ძე  
ხახანაშვილი (ის იყო ცნობილი ფილოლოგისა და ისტორიკოსის, ალექსანდრე ხახანაშვილის მამა).  
სიტყვა მიემართება მარიამ იოანეს ასულ ერისთავს (დაბადების თარიღი უცნობია, ხოლო გარდაიცვალა  
1858 წელს), იგი გახლდათ პოეტი. აღსანიშნავია მისი ისტორიულ-პატრიოტული ლექსი „იკორთა“.  
მასვე ეკუთვნის ე. წ. „შესხმანი“ (გამოუქვეყნებელია). პოეტის თხზულებები იბეჭდებოდა ჟურნალ  
„ცისკარში“ მისი გარდაცვალების შემდეგ.

ორატორული ნიმუში 1861 წელს ერთადერთხელ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“, სათაურით  
„სიტყვა ჟამსა დასაფლავებისასა, გარდაცვალებულის თავადის იოანე ქსნის ერისთავის ასულის  
კნიაჟნა მარიამისა, თქმული იკორთის ეკლესიასა შინა, ბლალოჩინის<sup>192</sup> მღვდლის სოლომონ  
ხახანოვისაგან, 1858 წლის აგვისტოს 16-სა“<sup>193</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით  
აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>192</sup> ბლალოჩინი – მღვდელი, განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეებს რუსეთის იმპერიაში.

<sup>193</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1861, ივნისი, №6, გვ. 93-99.

**Speech Delivered by the Priest Solomon Khakhanashvili at the Funeral of  
Mariam Eristavi, in the Ikorta Church,  
on August 16, 1858**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Tinatin Jikurashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by the Priest Solomon Khakhanashvili at the funeral of Mariam Eristavi, in the Ikorta church, on August 16, 1858]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is a clergyman working in the Gori region – Solomon Khakhanashvili (he was the father of the famous philologist and historian Alexandre Khakhanashvili). The speech is addressed to Mariam Eristavi (the date of birth is unknown, and she died in 1858), who was a poetess. Her historical-patriotic poem “Ikorta” is noteworthy. The so-called “Praises” (unpublished) also belongs to her. The poet’s works were published in the magazine “Tsiskari” after her death.

The oratorical sample was published only once in the magazine “Tsiskari”, in 1861 under the title “Speech at the Burial of the inscription of the Princess Mariam, daughter of Prince Ioane Eristavi of Ksani, said in the Church of Ikorti by Solomon Khakhanov, a member of the Blagochini priest, on August 16, 1858”<sup>194</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>194</sup> Magazine “Tsiskari”, 1861, June, №6, pp. 93-99 (in Georgian).

სიტყვა

თქმული მღვდლის სოლომონ ხახანაშვილის მიერ მარიამ ერისთავის  
დაკრძალვაზე, იკორთის ეკლესიაში, 1858 წლის 16 აგვისტოს

„აღესრულა მცირეთა დღეთა და აღავსნა ჟამნი მრავალნი გრძელნი, რამეთუ სათნო იყო უფლისა  
სული ამისი“ ესრეთ დაღადებს ბრძენი სოლომონ.

ქრისტეს მოყუარენო!

მოწმობისამებრ დაბადების აღმწერლის მოსე წინასწარ-მეტყულისა<sup>195</sup> მეცა მოგახსენებ თქუწნ, რომელ გარდახდა რა მცნებასა შემომქმედისა თვისისა პირველ შექმნილ კაცი ადამ, უხრწნელებისა წილ დაიმკვიდრა მან ხრწნილება და მასთან უჟამოდ სიკუდილი, დაესაჯა მას ცხოვრებისაგან განსვლა შეურაცხებით და ტომთა თვსთა ესე დაუმკვდრა მან, ვითარცა ხარკი თანამდებ ცოდვისა.

მაშასადამე არა საიჭვო არს, რომელ ჟამიერი ესე სიკუდილი ანუ გარდაცულება არს საზოგადო მხუჭდრი ყოველთა კაცთა, გამოურიცხავთ ყოველთა აჰსაკთა და სქესთა დიდთა და მცირეთა.

მაშასადამე აწ აქა მდებარემან ქსნის-ერისთავის ასულმან კნიაჟნა მარიამ აღესრულა, ვითარცა ადამის ტომმან მიუცილებელი ვალი უძღურებისა, რომელისადმიცა მოულოდებელად მოიწია ბრძანებამან ღუთისამან და ესმა ასმას სიტყუა ესე, ვითარცა პირუჭლსა მამასა ჩუწნსა ადამს: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“ მგზავსადვე, აწ უჟამოდ მოჰკვეთა ესეცა ცელმან სიკუდილისამან ჯერეთ ახალყვავილოვანი, სრული ყოვლის კეთილ-თვისებითა და გონიერებითა. თუმცაღა აღესრულა ესე მცირედთა დღეთა, გარნა აღავსნა ამან ჟამნი მრავალნი გრძელნი, რამეთუ სათნო იყო სული ამისი უფლისადმი ღუთისა ჩუწნისა; თუმცა გარდაიცუალა შემდგომად მოკლე ჟამიერისა სნეულებისა, გარნა მარადის განმზადებულ-იყო ესე ლოცვთა და ვედრებითა წინაშე ღუთისა, მოქენე მისისა წყალობისა და შეწევნისა.

თუმცაღა არა ჯერ-არს განვაქიქო<sup>196</sup> მე, მშუდნი და კეთილგონიერებრივნი ქველის საქმენი მისნი, აქა შემოკრებილნო მმანო და ნათესავნო მისნო, თვთ უწყით კეთილნი თვსებანი ამისნი, ხოლო უცნობთა მე დავარწმუნებ, რომელ ესე ნეტარად ხსენებულ იყო აღსავსე ყოვლის კეთილგონიერებითა და სიმართლითა, რაოდენსაცა დაიტევს ბუნება მდებდრისა ესე იგი: უყუარდა მას ღმერთი, ვითარცა დაჰსწრეს, მახარებელი ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა, ამასთანავე უყუარდა მმანი და მოყვასნი, ვითარცა თვსი, მაშასადამე ამით აღასრულა მან მცნებანი ღუთისანი.

კვალად ვიტყვ: ესე იყო ფრიად კეთილი, გონიერი, მომთმინო, უზაკველი, უბიწოებისა დამცუჭლი, იყოცა წმინდა გულითა „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ!“

ესე მცირე წლოვანებითგანვე განსწავლულ და წვრთილ იყო მამისა მიერ თვისისა, სიბრძნის მოყვარის თავადის იოანე ერისთავისამიერ ყოვლის კეთილის სწავლითა, ამან უწყოდა, რომელ ყოველივე დიდება ამა სოფლისა მსწრაფლ წარმავალ-არს, ვითარცა ყვავილი ველისა, ამისთვს იგი არა რასა არა ზრუნვისა დროებითის დიდებისა და ამოებისათვს, არამედ მარადის იყო ლოცუასა და ვედრებასა შინა, დღე და ღამე განუშორებელ იყო კელთაგან მისთა კითხუა ფსალმუნთა, სულისა დამატკობებლთა. დღე და ღამ იწვრთიდა და შესძინებდა ახალ-ახალთა ჰსწავლათა საღმრთოთა წიგნთაგან.

დიდება განგებასა ღუთისასა! ესე ვითარის მოქმედი აწ უხმოდ და უსულოდ მდებარე არს!

<sup>195</sup> მოსე წინასწარ-მეტყუელი – მოსე, ბიბლიის მიხედვით, ძვ. ებრაელთა სჯულმდებელი, წინასწარმეტყველი და განმათავისუფლებელი. ის ცნობილია თავისი ხალხის ზებუნებრივი გამოყვანით მონობიდან ეგვიპტეში ჩ.წ.-მდე მე-13 საუკუნეში. მოსეს თანახმად, სამყარო 10 მცნებაზე არის დამოკიდებული, რომლებგანაც ადამიანის ქცევის საბაზისო წესები გამოდის. მისი ცხოვრების ისტორია პირველად აღწერილი ბიბლიის წიგნში „გამოსლვათა“, თუმცა არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი მითითებები წიგნებში „რიცხვთა“, „ლევიტელთა“ და „მეორე სჯული“.

<sup>196</sup> განვაქიქო – შევარცხვინო.

ოხ! გონებით სრულო და კეთილ-ზრდილო, ვითარ დასხცხრა ღუთის-მეტყუფლი, ტკბილათ მოუბარი ენა შენი; ოხ! ვითარ დადუმებულხარ და არა რასა მომიგებ მე მოძღუარსა შენსა, ჩუჭულებისაებრ შენისა პასუხსა, საღმრთოდასა წერილისაგან; ოხ! მართალო სულო, ჭემმარიტად განჩინებითა ღუთისათა, თუმცა მოაკლდი შენ ამა სოფლისა ჟამიერსა სიხარულსა და დიდებასა, გარნა ღუთისა მცნებათა აღმასრულებლო, შევედ სიხარულსა დაუსრულებელსა უფლისა შენისასა!

სულო მართალო! მოვედ და განისვენე შენთვს გამზადებულსა სავანესა, ახლოს საყუარელისა მამისა შენისასა, შემდგომად სიკუდილისა რომლისაცა რაოდენსამე წელსა, გადამეტებულისა შენისა მიზდამი საყუარელისა გამო მოაკლდი შენ თვალთა სინათლესა; გარნა ზეგარდამო განგებითა, ლოცვითა და ვედრებითა შენითა შენიაშე ღუთისა კვალად იქმენ შენ განკურნებულ, ვითარმედ შემთხვევა ესე უკვრდათვა მრავალთა მცნობთა შენთა.

წმინდაო იკორთის<sup>197</sup> ეკკლესიავე! კეთილად მიიღე და შეიწყნარე გუამი განსუწმენბულის კნიაჟნა მარიამისა, მუნ, სადაცა განისუწმენბენ ძულანი საყუარელისა მამისა მისისანი, შეიტკბე იგი წიაღთა შინა შენთა, სადაცა მდებარე არიან ნაშთნი წინაპართა მათთა, თავადთა ქსნის ერისთავთანი. ხოლო თქუწნა წმინდანო მოწამენო, ქსნის ერისთავთგანნო: შალვა და ელიზბარ! მიიღეთ და თქუწნათანა აღრაცხეთ ერთგუაროვანი თქუწნი სიწმინდისა და მშჯდობის მოყუარე კნიაჟნა მარიამ, და წარუძედვლ მას წინაშე ქრისტესსა, რომლისათვსცა სისხლი დაჰსთხიეთ, კადნიერება გაქუსთ მეოხებად ჩუწნდა.

თქუწნა აქა შემოკრებილნო ქრისტეს-მოყუარენო ერნო! უფალსა ევედრენით, რათამცა აღრაცხილ ღირს-იქმნას აწ აღსრულებული კნიაჟნა მარიამ მართალთა და მოღუაწეთა თანა სასუფეველსა ღუთისასა. ამასთანავე მოგაგონებ თქუწნ, რათამცა სახედ გვაქუნდეს ესე, რომელ ჩუწნ ყოველთა მგზავსადვე გვეგულების აღსრულებად და წარდგომად წინაშე საყდართა ქრისტესთა. არა უწყითა, არა ხედავთა, არა გულის ხმას ჰყოფთა? რომელ ყოველივე მიწისაგანნი გამოურიცხავად აღსრულებიან მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი, მოხუცებულნი და ჭაბუკნი მცირე წლოვანთაგანთათანა, ამისთვს მარადის განმზადებულ იყავით, რამეთუ არა იცით ოდესცა მპარავი იგი მოვიდეს და წარტაცებულ-ვიქმნეთ, ამისთვს მოზამავი იყავით კნიაჟნა მარიამის კეთილ-გონიერებისა, შეძინებითა მარადლე კეთილთა და ღუთივ სათნოთა საქმეთა, მიმყვანებელთა საუკუნისა დიდებისადმი.

გახსოვდეთ ყოველთა, რომელ ამა ამოისა სოფლისა ყოველივე დიდება, შუჭბა, განცხრომანი, სიმდიდრენი და ღირსებანი, ვითარცა მეფესა შინა თვალთასა მსწრაფლ წარმავალნი ქუჭყანასავესა ზედა დაშთებიან; ხოლო ჩუწნათანა მოგზაური იქნებიან კეთილნი საქმენი და საუკუნოდ ჩუწნათანა დაადგრებიან, ესე იგი: მარადლე ლოცუა, სინანული, სიმშჯდე, მოთმინება და ყოველივე მგზავსნი მათნი, რადცა არიან ნაყოფნი სულისანი.

გახსოვდეთ ძმანო, რომელ თქუწნ სამკვდრებელი და მოქალაქოება ზეცათა შინა არს, ამისთვს ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღუთისასა და ყოველივე შეგემინოთ თქუწნ.

და ესრედ, მე, ვითარცა მსახური წმინდისა საკურთხეველისა გულს-მოდგინედ ვევედრები ყოვლად მოწყალესა ღმერთსა თქუწნ ყოველთათვს, და ეგრეთვე, რათამცა მოანიჭოს უფალმან მწუხარეთა და მგლოვარეთა ამათ, ვითარცა მოხუცებულსა მშობელსა მიცუალეებულისასა, ეგრეთვე ძმათა და დათა ამისთა მოთმინება და ნუგეშინისცემა, ხოლო სული გარდაცუალეებულისა აქა მდებარისა ნეტარხსენებულისა კნიაჟნა მარიამისა დააწესოს, სადაცა მართალნი განისუწმენბენ წიაღთა შინა აბრაამისთა, მეოხებითა ყოვლად წმინდისა ღუთის-მშობლის მარიამისათა და ყოველთა წმინდათა, და იყავნ სახსენებელი მისი უკუნითი უკუნისამდე ამინ.“

<sup>197</sup> იკორთა – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში.

სიტყვა, თქმული ე. მ.-ის მიერ თავად მარიამ დადიანი-აბაშიძის  
დასაფლავებაზე, 1880 წლის 25 აპრილს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ე. მ.-ის მიერ თავად მარიამ დადიანი-აბაშიძის დაკრძალვაზე, 1880 წლის 25 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორად მითითებულია ინიციალები ე. მ., რომელიც არ გვხვდება ი. გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონში“<sup>198</sup>, ხოლო გ. მიქაძის ლექსიკონის მიხედვით იშიფრება, როგორც ე. ა. მარჯანოვი<sup>199</sup>, თუმცა ძნელი დასადგენია, მართლაც მას გულისხმობს თუ არა აღნიშნული ფსევდონიმი. სიტყვის ადრესატია მარიამ დადიანი-აბაშიძე, ტარიელ დადიანის მეუღლე.

სიტყვა გამოქვეყნდა 1880 წელს გაზეთ „დროებაში“, ორიგინალური სათაურით „დაფლვითი სიტყვა თავადი მარიამ დადიანისა-აბაშიძის ასულის დასაფლავებაზე“, ხოლო ქვესათაურად აქვს: „25 აპრილს 1880 წელს“<sup>200</sup>. სიტყვას სათაურთან დართული აქვს სქოლიო ტექსტით: „ამ დაფლვითი სიტყვას ვბეჭდავთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ძვირი და სანატრელი შეიქმნა ამ აწმყო დროში ამ გვარის ჰაზრის და ხასიათის დედები... რედ.“<sup>201</sup> გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>198</sup> გრიშაშვილი, ი., ფსევდონიმების ლექსიკონი, თბილისი, მეცნიერება, 1987.

<sup>199</sup> მიქაძე, გ., ფსევდონიმების ლექსიკონი, თბილისი, მეცნიერება, 1984, გვ. 75.

<sup>200</sup> გაზეთი „დროება“, 1880, შაბათი, 20 სექტემბერი, №199, გვ. 3-4.

<sup>201</sup> იქვე, გვ. 3.

## Speech Delivered by E. M. at the Funeral of the Princess Mariam Dadiani-Abashidze, on April 25, 1880

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by E. M. at the funeral of the Princess Mariam Dadiani-Abashidze, on April 25, 1880]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The initials E. M. are indicated as the author of the speech, which are not found in I. Grishashvili's "Dictionary of Pseudonyms"<sup>202</sup>, and according to G. Mikadze's dictionary it is deciphered as E. A. Marjanov<sup>203</sup>, although it is difficult to determine whether the pseudonym above actually refers to him/her or not. The addressee of the speech is Mariam Dadiani-Abashidze, the wife of Tariel Dadiani.

The speech was published in 1880 in the newspaper "Droeba" under the original title "Funeral speech at the funeral of the Princess Mariam Dadiani-Abashidze", and has the subtitle: "On April 25, 1880"<sup>204</sup>. The speech has a footnote attached to the title with the text: "We print this funeral speech based on how precious and desirable the mothers of this family's lineage and character have been in this present time... Ed.)<sup>205</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>202</sup> Grishashvili, I., Dictionary of Pseudonyms, Tbilisi, Metsniereba, 1987 (in Georgian).

<sup>203</sup> Mikadze, G., Dictionary of Pseudonyms, Tbilisi, Metsniereba, 1984, p. 75 (in Georgian).

<sup>204</sup> Newspaper "Droeba", 1880, Saturday, September 20, №199, pp. 3-4 (in Georgian).

<sup>205</sup> Ibid, p. 3.

სიტყვა

თქმული ე.მ.-ის მიერ თავად მარიამ დადიანი-აბაშიძის დასაფლავებაზე,  
1880 წლის 25 აპრილს

„განსვენებულო მარიამ!

შენ მცნობს და შენგან მრავალ გვარად დავალებულს ვერ მომითმენია, კუბოში უძრავად მდებარეს რომ გხედავ, უკანასკნელად არ აღვიარო ის, რითაც შენი წყნარი ცხოვრება იყო უხვად შემკული და რაც ახლა გინათებს ზეციერს გზას. შენს სიცოცხლეში არა ერთისა და ორის გულში მოგიხდენია სანატრელი და სასიკეთო ცვლილება, – არა ერთისა და ორის გულში ჩაგინერგავს და აღგიზრდია ის მაცხოვარებითი რწმენა, რომ კაცს უფრო ბევრი შეუძლია ჰქმნას საქმით – ცხოველი სიტყვით და ტკბილი დარიგებით, ვინემ მკაცრი და მკვახე ბრძანებით და ბევრი ქადაგებით და ჩუმად, უჩინრად რომ უფრო ბევრი რამ და ჭეშმარიტად კარგი გაკეთდება...

შენ შენის ცხოვრებით ცხადად გვიჩვენებდი იმ გზას, რომელსაც ერდგულად უნდა ადგეს ყოველი დედა, თუ კი ნამდვილად სურს ემსახუროს კაცობრიობას. – შენ ზედ-მიწევნით გესმოდა შენი მოვალეობა, როგორც დედის და როგორც მამულის შვილისა. – შენ კარგად იცოდი ცხოვრების საგანი: – ბევრჯერ გამოგონია შენგან, რომ კაცი მარტო თავის-თავისათვის არ არის გაჩენილი ღვთისაგანაო, – ის მოვალეა მოყვრის წარმატებისათვის ზრუნავდესო და ამ სხვის ბედნიერებისათვის ზრუნვაში უნდა ხედავდეს კაცი თავის საკუთარს ბედნიერებასაო. – იმან მითხრას – ვიცხოვრეო, ვინც სხვისათვის ცხოვრებდა<sup>206</sup>, იტყოდი ხოლმე ხშირად. – მაგრამ შენ ისიც კი იცოდი, რაც ამისათვის იყო საჭირო: ღვთისა და კაცის სიყვარული, მტკიცე ხასიათი და შრომის-მოყვარეობა და შენს ხელში არ გამოილეოდა და არასოდეს ხელსაქმარი, თუ არა წიგნი – აღზრდის საგნადაც სწორედ ეს მიგაჩნდა: მეცნიერება მახვილიაო, იტყოდა ხოლმე. – ის თუ პატრონმა კარგად ვერ მოიხმარა, უფრო მავნებელია, ვინემ სასარგებლოვო. ამიტომ ყოველ მოზარდ ყმაწვილს, რომელსაც კი ჰქონდა შენს ახლოს ყოფნის ბედნიერება, ეუბნებოდა: – ისწავლე, ისწავლე, მაგრამ არ დაგავიწყდეს მეცნიერება ღონე-საშვალე<sup>207</sup> რომ არის და არა საგანი, და შენც ღმობიერის დედობრივის სიტყვით და ტკბილის საქმიანი ჩაგონებით უნერგავდი ყმაწვილებს ღვთისა და კაცის სიყვარულს, მაგრამ ან კი რაღა საჭირო იყო სიტყვა, როდესაც თვითონ შენი ცხოვრება ამის ცოცხალს მაგალითს წარმოადგენდა: – რამდენი სული სწუხს და იღვრება მდუღარე წრფელი ცრემლით, რამდენი ადამიანი ევედრება მხურვალედ ღმერთს შენთვის და ისინი ხომ ყველანი შენგან დავალებულნი არიან!..

დიდს მნიშვნელობას აძლევდი შენ აღზრდაში რელიგიურ ელემენტს; მაგრამ რელიგიურ აღზრდად არ მიგაჩნდა ორი-სამი ლოცვისა და ფაქტის გაზეპირება; ეს გაკვრითი გაცნობა ხანდისხან<sup>208</sup> მავნებელიც არის, თუ მას შემდეგში საფუძვლიანი შესწავლა თან არ მოჰყვავო და სულაც ამის ბრალია, ზოგიერთი ყმაწვილი კაცი რომ ასე აგდებით იხსენიებს სამღვთო წერილსაო... შენ სამღვთო წერილის ღრმად მცოდნე და მუდამ მკითხველი, დარწმუნებული იყავი, რომ საგნის საფუძვლიანად შესწავლა გამოიყვანდა მათ დაბრკოლებისაგან და შენც თვითონ სულ იმას სცდილობდი, რომ ამ დაბრკოლებაში არ შთავარდნილიყვნენ შენს გარშემო მყოფნი და რამდენი ოჯახია ახლა გაბედნიერებული შენგან ღვთის სიყვარულში და ცნობაში გაზრდილობისაგან...

შენ იყავი შესანიშნავი შენის პატიოსანი, მტკიცე ხასიათით; შენში არ მოიძებნებოდა არავითარი ზაკვა, შური; მტერობისაგან და შურისძიებისაგან შენი გული წმინდა იყო, როგორც შენი ენა უშვერის, გინა უმსგავსის სიტყვისაგან. ვერ იტყვის კაცი, შენ რომ ვისმესთვის ოდესმე მტრად შეგეხედოს, ან ვისთვისმე შური გეძიოს, თუნდაც ძალიან ბევრჯერ გდგომია ამის განსაცდელი ცხოვრებაში; შენ ყოველთვის მზათ იყავი შეცოდება მიგეტყვებინა კაცისათვის, ითხოვდა ის ამ მოტყეებას, თუ არა.

<sup>206</sup> ცხოვრებდა – ცხოვრობდა.

<sup>207</sup> ღონე-საშვალე – საშუალება.

<sup>208</sup> ხანდისხან – ხანდახან.

შენ იყავი სამაგალითო, ღირსი დედა: სიყმაწვილეში დაქვრივებულმა, მთელი შენი სიცოცხლე შესწირე ერთად-ერთი შვილის აღზრდას; ამ საქმეში გამოუცდელს გიძლოდა წინ და გინათებდა გზას განუსაზღვრელი სიყვარული შვილისადმი, ღონეს გაძლევდა ღრმა სარწმუნოება და მტკიცე სასოება ღმერთსა და სამართალზედ, მაგრამ როგორ გესმოდა შენ სიყვარული შვილისადმი? ბევრჯერ გითქვამს – სიბრალულით: ეხლანდელს დედებს შვილები აღარ უყვართ და ეს გიტანჯავდა შენ გულს, ამაში ხედავდი ჩვენი უბედურების სათავეს. ვაი, ხალხის ბრალი, სადაც დედები მამულს არ უზრდიან შვილებსაო, იტყოდი ხოლმე და თან ამოიოხრებდი კიდეც ყრუთ, თითქო გამხელის გეშინოდა.

ღიახ, შენ დედა დედობის ღირსად არ მიგაჩნდა, თუ ის მამულის სასარგებლოდ არ ზრდიდა შვილს, თუ მას შვილი მამულის მსხვერპლად არ ეგულებოდა; ბევრჯერ იტყოდი: ნდობა და სიყვარული თუ არ არის დედაშვილობას შუა, – ახალსა და ძველს თაობაში კავშირი გაწყდებაო და ერთმანეთისას ვეღარას გაიგონებენო. ჩვენ დედებში ნამდვილი მამულის შვილი სანთლით საძებნი არისო, უფრო ბევრს ჩვენგანს მამული მიაჩნია თავის მსხვერპლადო და ეს უკუღმა სამართალი გითუთქავდაგულს. ამხრით შენიყავიწარმომადგენელიძველის დროისქართველის დედისა, სადღა არის ახლა ამისთანა ღვთის მოყვარე, სამშობლო ენისა და საღმთო წერილის ზედ-მიწევნით მცოდნე, თავის უარის-ყოფამდის ერთგული, მშრომელი და მამულისათვის მსხვერპლად განმზადებული დედა; სადღა არის ის დრო, როდესაც ამ გვარი დედები ამშვენებდნენ და ამხნევებდნენ ჩვენს მხარეს და თუ სადმე ახლა ორიოდ მოიმეზნება, ისინიც გვეცლებიან გულ-დაწყვეტილები, მაგრამ კიდეც მაინც მოიმედენი, როგორც შენ განსვენებულ ღირსო დედაო, მარიამ!..

შენი სკოლა იყო ოჯახობრივი, მშობლიური აღზრდის სკოლა, ეს მიგაჩნდა შენ სიმტკიცედ და გზად რწმენისა და სიმხნისა ახალის დგმისა და მომავალისათვის; ამას აძლევდი შენ უმთავრესს და უძალუმესს<sup>209</sup> მნიშვნელობას კაცის ხასიათისათვის, გრძნობის სიკეთისათვის და მთელი ქვეყნის გამამტკიცებელის ძმობისათვის. აქ მოქმედებდი შენ წყნარის, შეუნიშნავის მოქმედებით, რომელიც საზოგადო, საქვეყნო გამოჩენილს ადგილზედ მოღვაწეობას ერთის შეხედვით გარედგან არა ჰგავს თითქო, მაგრამ ნაყოფი უფრო მტკიცე, უფრო უტყუარი და სანდო აქვს. ხშირად იტყოდი: გრძნობა და მოსწრაფება ოჯახმა უნდა დააპუროსო, გამოზარდოსო და გონება კი სასწავლებელმა და მოქალაქობამაო: მარტო სიტყვითა და ქადაგებით არავინ გაიზრდებაო; როგორც შენ იქცევი, რაც შენ გრწამს, რასაც ესწრაფები მისთანა გამოვა შენი გასაზრდელიო. რომელიც შენს სიტყვას კი არა, თვითონ შენ გიყურებს, თვითონ შენი საქმე უძღვის შენს გაზდილსაო... და ამას შენი მტკიცე რწმენა, მხურვალე სიყვარული სამშობლოსი და ყველა მახლობლებისა, მოყვრებისა, შენი ზედმიწევნილი ცოდნა მშობლიურისენისა, ღრმა სწავლა საღმთო წერილისა, სიტკბოებით სავსე სიტყვები, მაღლიანი მიმზიდველი ქცევა იზიდავდენ და იპყრობდენ ტკბილის დედა-შვილურის კავშირით ყველა შენს ახლო მცნობებს, შენ გყავდენ მეგობრები მოსამსახურეების მაგივრად, შენ გქონდა ალერსი ბრძანების მაგივრად, მიმზიდველი მუსაიფი ქადაგების მაგივრად, საწადელი საქმეები წვრთის მაგივრად და ყველა ამითი აღსავსე ჩინებული ნაშთი ჩვენ ძველთ კეთილშობილთ დედათა შორის შემაერთებელი იყავი ახალის და ძველის დროის დედობრივი მოთხოვნილებისა; შენ იყავი წმინდა კავშირი ამ ორს დროს შუა, შენი ანდერძი არის: სიყვარული, არზრდა, ხასიათის სიმტკიცე, მამულის წრფელი სამსახური და უკვდავი წრმენა საღმრთო სიმართლისა და სამართლიანობისა. ვევედრები ღმერთს, ეს საღმრთო ანდერძი შენის ცხოვრებისა გაცოცხლდეს საქმით ჩვენში და მოგვეცეს პატიოსანი და მხნე დედები, პატიოსანი და მხნე შვილების აღმზრდელნი და წარმმართველნი ცხოვრებისა. მრავლად ბნელოვანს გზაზედ და ამით ცხოველ იქმნენ შენი სასოება, შენი რწმენა მომავალზედ ჩვენის მამულისა.

მშვიდობით, მართალო და ღირსად დაგუვიწყარო დედაო, მარიამ! ღმერთმან შენი მყუდრო ცხოვრება მოგვეცეს ხმა-მაღალ სწავლად და საჩინო მაგალითად ცხოვრების ასპარეზზედ სჯულისათვის, მამულისათვის და კაცობრიობისათვის!..“

<sup>209</sup> უძალუმესი – ძალიან ძლიერი.

სიტყვა, თქმული, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ  
ნინო დადიანის წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში,  
1887 წლის 29 ოქტომბერს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ ნინო დადიანის წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში, 1887 წლის 29 ოქტომბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მქვერმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ეპისკოპოსი გრიგოლი (ერისკაცობაში – გიორგი დადიანი) (1824-1907) – ქართველი სასულიერო მოღვაწე, მისიონერი. სწავლობდა ღვთისმშობლის მონასტერში ნახარებაოში (ახლანდ. ქ. მარტვილი), შემდეგ – სამეგრელოს სამაზრო სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1849 წელს კი ბერად აღიკვეცა. 1850 წლის იანვარში თავისივე თხოვნით თბილისის ფერისცვალების მონასტერში გადაიყვანეს, 1852 წელს კი ეგზარქოსმა ისიდორემ მღვდელ-მონაზვნად აკურთხა. 1857 წლის ნოემბერში გრიგოლი სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელ-მონაზვნად განამწესეს, 1858-1862 წწ.-ში – ბიჭვინთის, შემდეგ აბჟუას ოლქის მთავარხუცესი იყო, 1862 წელს კი სოხუმის საკათედრო ტაძრის ილუმენად დანიშნეს. 1875 წელს გრიგოლი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს, 1879 წლის 28 ივლისიდან დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1886 წელს, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსის ხარისხი მიანიჭეს და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად აკურთხეს (გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი 1886-1898 წწ.-ში). სიტყვა მიემართება სამეგრელოს მთავარ ლევან V (1805-1840 წწ.) დადიანის ასულს, ნინოს (1816-1886). იგი გარდაიცვალა 1886 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო სიტყვა წარმოითქვა 1887 წლის 29 ოქტომბერს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, სათაურით „სიტყვა, თქმული მცხეთის სობოროში<sup>210</sup> გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ კნეინა ნინო დადიანი წლის წირვაზე, 29-ს ოქტომბერს 1887 წ.“<sup>211</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>210</sup> სობორო (რუს. собор) – ეკლესია. ქართულში შემოსულია, როგორც ბარბარიზმი.

<sup>211</sup> გაზეთი „ივერია“, 1887, პარასკევი, 6 ნოემბერი, №232, გვ. 2.

**Speech Delivered by the Bishop of Guria-Samegrelo, Grigol, at the  
Anniversary Service of Nino Dadiani, in Mtskheta,  
in Svetitskhoveli, on October 29, 1887**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by the Bishop of Guria-Samegrelo, Grigol, at the Anniversary service of Nino Dadiani, in Mtskheta, Svetitskhoveli, on October 29, 1887]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Bishop Grigoli (in layman's terms – Giorgi Dadiani) (1824-1907) – a Georgian cleric, missionary. He studied at the Monastery of the Virgin Mary in Nakharebao (now Martvili), then at the Samegrelo Theological Seminary and the Tbilisi Theological Seminary. In 1849 he was tonsured a monk. In January 1850, at his request, he was transferred to the Transfiguration Monastery in Tbilisi, and in 1852, Exarch Isidore ordained him a monk. In November 1857, Grigory was ordained a monk of the Sukhumi Cathedral, in 1858-1862, he was the archpriest of the Bichvinta, then Abzhua regions, and in 1862, he was appointed abbot of the Sukhumi Cathedral. In 1875, Grigory was elected a member of the Synodal Cantor of Georgia-Imereti, and on July 28, 1879, he became the abbot of the David-Gareji Monastery. In 1886, by the decision of the Russian Synod, he was granted the rank of bishop and consecrated as the bishop of Guria-Samegrelo (Bishop Grigoli of Guria-Samegrelo (1886-1898). The speech is addressed to Nino (1816-1886), daughter of Levan V (1805-1840) Dadiani of Samegrelo. She died on October 28, 1886, and the speech was delivered on October 29, 1887, in Mtskheta, in Svetitskhoveli Cathedral.

It was published in the newspaper “Iveria” under the title “Speech, spoken at the Mtskheta Soboro by Bishop Grigory of Guria-Samegrelo at the service of the Nino Dadiani of the year, October 29, 1887”<sup>212</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>212</sup> Newspaper “Iveria”, 1887, Friday, November 6, №232, p. 2 (in Georgian).

სიტყვა

თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მიერ ნინო დადიანის წლის წირვაზე სვეტიცხოველში, ქ. მცხეთაში, 1887 წლის 29 ოქტომბერს

„სახელითა, მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა.

დიდება შენდა, ტაძარო წმინდაო, დედაო საქართველოს ეკლესიათაო<sup>213</sup>, რომელმანცა მიეცა ადგილი განსასვენებელი მხევალსა ღთისასა დადიანის ასულს, კნ-ა ნინოს<sup>214</sup>. დიდება შენდა, სვეტო ცხოველ წარმმართველო და მფარველო ივერიის ერისაო! ვინ მისწვდეს განგებასა დამბადებელისასა, ვინ განზომოს სიბრძნე ცათა და ქვეყანისა შემოქმედისა!

სადა არიან ფილოსოფოსნი, რომელთა შეიგნონ განზრახვა განგებისა; სადა არს ისტორიისა მწერალი, რომელმანცა გვიჩვენოს გზა განვლილი და განსავლელი კაცთა ნათესავისა! ვინ კაცთაგანმა სცნას ჩვენ ქართველთათვის მიზეზი მრავალ საუკუნოვანის ცხოვრებისა და დიდთა გაჭირებათაგან გამოსვლისა მცირედისა საქართველოს ერისა? ვინ მოგვითხრას, ვითარითა ცვადადობითა შეერთებულ არს ამა ჟამისა ქართველი ივერიელთა მამათ-მთავრის ქართლოსისათანა; ვინ გვეუბნოს, ვითარითა ზნეობისა თვისებითა და ხასიათითა ეკვრის დღევანდელი ქართველი ქალი ქართველთა განმანათლებელის მოციქულთა ჰსწორის ნინოს თანამედროვეთა. გონება კაცისა შეიგნებს მხოლოდ გარეგანსა სახესა ზოგადობისასა, გარნა დაფარული ღთაებრივი ჰაზრი განგებულებისა, რომელიცა სძევს ერთა და ტომთა ცხოვრებასა და ისტორიასა შინა, მიუწოთმელ არს მისთვის. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვადიდოთ ღმერთი, „ფილოსოფოსთა“ სულელად გამომჩინებელი, ვითარცა იტყვის წმიდა მამა, და უარ-მყოფელთა ღმერთის განგების შეგნებისა. მადლობით შეგვყურებდეთ წარსულსა ჩვენსა ცხოვრებასა და ვისწავიდეთ მისგან მაგალითსა მომავლისა ჩვენისა ცხოვრებისათვის.

ყოველნივე ესე ფიქრნი იბადებიან გონებასა შინა ჩვენსა წინაშე საფლავისა, რომელსა შინა განისვენასა საღმრთოთაგან<sup>215</sup> სოფლისათა ნეტარ-ხსენებულმა დადიანის ასულმა კნეინა ნინომ. საფლავი ესე არ შეიცავს თვის შორის განსვენებულსა, სიკვდილი რომლისა ჩვენ მხოლოდ გვაწუხებს; იგი შეიცავს განსვენებულსა, რომლისა ცხოვრება ჩვენ უმეტესს გვაფიქრებს. მაშ ვისწავოთ<sup>216</sup> ლეღვისაგან იგავი. მოვიგონოთ ცხოვრება განსვენებულისა და მივილოთ მისგან მოძღვრება, სასარგებლო ჩვენისა ცხოვრებისათვის.

განსვენებული მხევალი ღვთისა ნინო იყო ერთი იმ ძველთა ქართველთა დედათაგანი, რომელნიცა იყვნენ წარმომადგენელი ისტორიულის ქართულის ოჯახისა. მასთან ერთად განქრა ამიერ სოფლით ერთი უდიდესთა ზნეობითთა დედათაგან, რომელნიცა უნებლიეთ იმორჩილებდენ კაცად-კაცადისა ჩვენისა პატივის-ცემასა. რა იყო მიზეზი ესე ამ გვარის მისის ზნეობითის სიმაღლისა? ქვა-კუთხედი მისის ზნეობისა და ბედნიერის ცხოვრებისა, ანი და პოე მისის დიდებისა იყო ღვთის შიში, ღრმა და ცოცხალი სარწმუნოება, რომლისა გარეშე არა არს არავითარი სიკეთე ამა ქვეყნად. ეს სარწმუნოება იყო ყოველთვის ძლიერება ქართველის ქალისა, ქართველის ერისა, ქართველის ისტორიისა. მან სძლია მძვინვარე მტერი, მან აღადგინა დაცემული ერი, მან გვიდგნა სულნი და განგვარინა სიკვდილისაგან. ამოშაღეთ ეს სარწმუნოება საქართველოს წარსულიდამ და თქვენ დაინახავთ რა წყვდიადი შემოსს მას.

როგორც ნამდვილი წარმომადგენელი ქართველის ქალისა, განსვენებული კნა ნინო იყო განმსჭვალული სარწმუნოებითა ქრისტესითა. მან განატარა სიყრმე თვისი იმ ოჯახში, საშვალ იმ საზოგადოებისა, საცა ბავშვი, ვიდრე იგი ისწავლიდა კითხვას, გულ-ხელ-დაკრეფილი, თავშიშველი იდგა საღამო-საღამოთ აღმოსავლეთისაკენ პირ-მიქცეული და სწავლობდა ზეპირად მცირესა

<sup>213</sup> ტაძარო წმინდაო, დედაო საქართველოს ეკლესიათაო – იგულისხმება სვეტიცხოველი.

<sup>214</sup> ნინო – იგულისხმება სამეგრელოს მთავრის ლევან V (1805-1840 წწ.) დადიანის ასული ნინო (1816-1886).

<sup>215</sup> საღმრთო – ტკივილი.

<sup>216</sup> ვისწავოთ – ვისწავლოთ.

სერობასა. მან ამ სიყრმეშივე შეითვისა და სამარის პირადმდე დაიცვა: სიყვარული ღუთისა და მოყვასთა, დამარხვა მცნებათა ეკკლესიისათა. არც ურწმუნობამან, არცა გულ-გრილობამან ვერ შეარყიეს მასში ამ სიყრმეშივე შეთვისებული სწავლა ქრისტესი. სამოც-და-ათის წლის დედა იგი იმავე სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდა ბრწყინვალეთა დღესასწაულთა და ინახვიდა კრძალვით მარხვათა, ვითარცა ეგებებოდა იგი სიყრმესა შინა. ამასთან რამდენი გულ-წრფელი და მხურვალე ვედრება აღვიდა ქვეყნისა დამბადებელისადმი ამ მორწმუნე ქალის გულისაგან. ყოველი დღე იწყებოდა მისთვის დაუჯდომელის<sup>217</sup> ლოცვით წინაშე ხატისა ღუთის მშობლისა და თავდებოდა მცირე სერობით. ლამპარი სარწმუნოებისა განანათლებდა მთელს მისს არსებას, მთელს მისს სიცოცხლეს.

ეს იყო მხოლოდ ერთი მხარე განსვენებულისა, როგორც სამაგალითო ქალისა და წარმომადგენელისა ძველისა ქართველთა ოჯახისა.

მეორე მხარე, რომლითაც იგი უფრო უმეტესს განსხვავდებოდა თავისთა თანამემამულეთაგან, იყო მისი განთქმული და სამართლიანად ნაქები შრომის მოყვარეობა. ოჰ! ამ შრომის მოყვარეობით-კი ჩვენს პატარას და გამოჩენილს კაცებით ღარიბ ქვეყანაში მან დაუვიწყარი გახადა მისი სახელი. დამბადებელმა ღმერთმა რომ შექმნა კაცი, ქალს უბრძანა: „კვენესითა და რუდუნებითა შობდე შვილსა შენსაო“. ამ სიტყვებით შემოქმედმა განსაზღვრა ყოველი მომავალი დედათა სქესისა. ქალი უნდა იყოს პატრონი ოჯახისა, გამზრდელი და აღმზრდელი შვილთა. მის ხელიდამ უნდა გამოვიდეს მრთელი ზნეობით და გონებით სრული კაცი, მან უნდა ჩაუნერგოს შვილთა სიყვარული ღუთისა და მოყვასთა, ერთგულება მამულისა და კანონთა. როგორც კაცის თანაშემწე, ქალი, ამის გარდა, უნდა მეცადინეობდეს გამოართვას ბუნებას ის სიმდიდრე, რომელსაც იგი აძლევს მხოლოდ შრომის მოყვარეთა და ცხოვრებისათვის მებრძოლთა ჩვენის ერის ქალი დიდის ხნიდამ არის ჩვეული შრომასა. როდესაც ქართველი ჯარში იყო და ლაშქრობდა მტერთა წინააღმდეგ, ქალს უნდა გაეწია შრომა შინაც და გარეც. ამ მხრით განსვენებული მხევალი ღუთისა ნინო ეკუთნოდა იმ წარსულთა საუკუნეთა და არა ჩვენს განებიერებულს დროს. არც დიდისკაცის შვილობამ, არც დიდისკაცის მეუღლეობამ ვერა დაუგეს მას საფრხე განცხრომით ცხოვრებისა და ვერ შეუსუსტეს მას შრომის-მოყვარე ენერგია. ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში მისის მეცადინეობით ოჯახი მეუღლისა მისისა გახდა უმდიდრესს ოჯახად საქართველოში. ხსენება მისის ოჯახობისა განითქვა კიდიდამ კიდედმდე საქართველოსა.

ეს არის ორი ზნეობითი სიმდიდრე განსვენებულისა: სარწმუნოება არის მისთვის სათავე ყოველ გვარის სულიერის სიკეთისა; შრომის მოყვარეობა – საფუძველი ხორციელის კეთილდღეობისა. ამ ორის წყაროსაგან მომდინარეობს ის ბედნიერი და მშვიდობით სავსე ცხოვრება, რომლითაცა აღავსო დამბადებელმან ოჯახი განსვენებულისა.

ვითარსა მაგალითსა და მოძღვრებასა გვაძლევს, მძანო და დანო, ესე ამ გვარი ცხოვრება განსვენებულისა? დიდსა და ფრიად საყურადღებოსა. ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალმა და ფილოსოფოსმა სთქუა ერთს თვისს სასიქადულო ნაწერში: „სახელის მოხვეჭნა სჯობს ყოველსა მოსახვეჭნელსაო“. განსვენებულის პიროვნება და ის სახელი, რომელიც დასტოვა მან ჩვენ შორის, კიდევ ერთჯერ გვიმტკიცებს, რაოდენსა ჭეშმარიტებასა შეიცავს თვის შორის სიტყვა ესე. ვითარცა ქარმან აღგავის მტვერი პირისაგან ქვეყანისა, ესრეთ წარიხოცების მეყსიერებისაგან კაცთასა ხსოვნა კაცისა, რომელსაცა არა აქუს ის მკვიდრი ზნეობითი საფუძველი, როგორც აქუნდა განსვენებულსა. განსვენებული გვასწავებს მასცა, თუ ვითარ შეიძინების სახელი ესე. „მე მრწამდა და ვშრომობდიო“ შეეძლო მას ეთქვა წარსაწერად ეპიტაფიისა. ირწმუნეთ თქუწნცა, მძანო და დანო. საზოგადოების გახრწნა და ზნეობის დაცემა იქ არის, საცა არ არის სარწმუნოება. სამოქალაქოსა კეთილ-ცხოვრებასა ჰყავს გუშაგად, მფარველად უღმობელი რისხვა კანონთა მეათის ტომისა. სულიერსა ცხოვრებასა და ზნეობისა სიკეთესა, რომლისადმი არა განავრცობს მოქმედებასა თვისსა კანონთა კრება ესე, ჰყავს გუშაგად და მფარველად მხილება სინიდისისა, შიში დაუსაბამოისა სიკეთისა, სარწმუნოება ღუთისა. განაძეთ<sup>218</sup> სარწმუნოება საზოგადოებისაგან და თქუწნ დაარღვევთ თვით საზოგადოებასა. კაცი ბუნებით არის სუსტი ქმნილება, რომლისა თავისუფალმან ნებამ დალუპა კაცთა ნათესავი. დაუფიქრდით, მძანო, კარგად მნიშვნელობასა სარწმუნოებისასა. უეჭველია გსმენიეს თქვენ, რომ

<sup>217</sup> დაუჯდომელი – სადიდებელი საგალობელი. დაუჯდომელი ანუ აკათისტო იმიტომ ეწოდება, რომ ამ ლოცვის შესრულების დროს მღვდელმსახურები და მრევლი არ უნდა დასხდნენ, არამედ ფეხზე უნდა იდგნენ ან უნდა დაიჩოქონ (ბერძნულად ა-არ, ხოლო xaqistu-ვზივარ).

<sup>218</sup> განაძეთ – გააძევეთ.

ყოფილან და არიან ქვეყანაზე ისეთნი პირნი, რომელთაც მთელი სიცოცხლე განუტარებიათ გარეშე სარწმუნოებისა, მაგრამ შესულან რა მოხუცებულობასა შინა, აღუარებიათ მცნება ღვთისა. რა არის მიზეზი მოვლენისა ამის? – ის, ძმანო და დედანო, რომ მოხუცებული კაცი, ე.ი. გამოცდილი გონება, თუმცა გვიან, ჰპოვებს, რომ ჭეშმარიტება სარწმუნოებისა არის იგივე ჭეშმარიტება სიცოცხლისა და ისტორიისა, რომელსაც იგი უნაყოფოდ ეძებდა მთელი სიცოცხლე და რომელიც საღმთოთა წიგნთა შინა განგებამან დამბადებელისამან და სიბრძნემან ისტორიისამან განგვიმზადნა ჩვენ ყოველთა.

ღმერთმან ინებოს, რომ მოგონებამან განსვენებულისამან, მისმა ცოცხალმა სარწმუნოებამან და შრომისმოყვარეობამ მისცეს ძალი სულსა და ხორცსა ჩვენსა. ამინ.“

სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ  
კნენა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე,  
ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და სალომე მიქელაძემ

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ კნენა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებელი გ. წიკლაური. იგი იყო ლადო აღნიაშვილის მიერ შექმნილი ქართველ მგალობელთა გუნდისა და ორკესტრის წევრი. სიტყვის ადრესატია ბარბარე ერისთავი (1833-1895) – მწერალი და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი საზოგადო მოღვაწე. იგი იყო გადარიბებული თავადისა და სამხედროს, ზაქარია ჯორჯაძის მეუღლე. ბარბარე ჯორჯაძემ 1863 წელს გამოაქვეყნა დრამა სახელწოდებით „შური“ (დრამა სამს მოქმედებად და ერთს სურათად)<sup>219</sup>, რითაც იგი ითვლება პირველ ქალ ავტორად ქართულ დრამატურგიაში. აგრეთვე იგი არის ავტორი წიგნისა „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“<sup>220</sup>. ბარბარე ჯორჯაძე 1895 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა და დაკრძალეს 14 აპრილს თელავის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (მოგვიანებით, 1938 წელს ბარბარე ჯორჯაძე ქისტაურიდან გადმოასვენეს და დაკრძალეს მისი ძმის, რაფიელ ერისთავის (1824-1901) გვერდით. თელავის პატარა კახის სასახლის კარის ეკლესიის დიდ ტაძარში წირვის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჯერ სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებელმა გ. წიკლაურმა, ხოლო შემდეგ – მღვდელმა ი. შიუკაშვილმა.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, ჩანართის სახით პუბლიკაციაში, სათაურით „გარდაცვალება და დაკრძალვა კნენა ბარბარე დავით ერისთავის ასულისა და თ-დის ზ. ჯორჯაძის მეუღლისა“<sup>221</sup>. გათავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>219</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1863, აგვისტო, №8, გვ. 1-85,

<sup>220</sup> ჯორჯაძე, ბ. (შემდგ.), ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი: დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა, თბილისი, ე. ხელაძის სტამბა, 1874.

<sup>221</sup> გაზეთი „ივერია“, 1895, სამშაბათი, 18 აპრილი, №80, გვ. 2.

## Speech Delivered by Teacher G. Tsiklauri at the Funeral of Princess Barbare Eristav-Jorjadze, in Telavi, on April 14, 1895

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Salome Mikeladze

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by teacher G. Tsiklauri at the funeral of Princess Barbare Eristav-Jorjadze, in Telavi, on April 14, 1895]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is G. Tsiklauri, a singing teacher at the theological school, who was a member of the Georgian choir and orchestra created by Lado Agniashvili. The speech is addressed to Barbare Eristavi (1833-1895) – a writer and public figure fighting for women’s rights. She was the wife of the impoverished prince and soldier Zakaria Jorjadze. In 1863, Barbare Jorjadze published a drama titled “Jealousy” (a drama in three acts and one scene)<sup>222</sup>, which makes her the first female author in Georgian dramaturgy. She is also the author of the book “Georgian Cuisine and Household Tried Recipes”<sup>223</sup>. Barbare Jorjadze died on April 10, 1895 and was buried on April 14, in the Telavi Pantheon of Public Figures (later, in 1938, Barbare Jorjadze was transferred from Kistauri and buried next to her brother, Rafel Eristavi (1824-1901)). After the service in the great cathedral of the court church of the Patara Kakhi Palace in Telavi, the speech was delivered first by the singing teacher of the theological school G. Tsiklauri, and then by the priest I. Shiukashvili.

The speech was published in the newspaper “Iveria” as an insert in the publication entitled “Death and Burial of Kneina Barbare, Daughter of Davit Eristavi and Wife of Z. Jorjadze”<sup>224</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>222</sup> Magazine “Tsiskari”, 1863, August, №8, pp. 1-85 (in Georgian).

<sup>223</sup> Jorjadze, B. (comp.). Georgian Cuisine and Household Tried Recipes: With the Addition of Several Russian Dishes. Tbilisi, E. Kheladze’s Printing House. 1874 (in Georgian).

<sup>224</sup> Newspaper “Iveria”, 1895, Tuesday, April 18, №80, p. 2 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული მასწავლებლის გ. წიკლაურის მიერ კნენინა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს**

„ძველად განათლებულს ეგვიპტეში მეჯლისის, გაჩაღებულ ლხინის დროს გამოიტანდნენ ხოლმე ადამიანების გამხმარს თავებსა. ამ ჩვეულების დედა აზრი იყო, რომ ლხინით გატაცებულთ არ დაჰვიწყებოდათ თვისი მომაკვდაობა და არ გამოსულიყვნენ ადამიანობის მოვალეობისაგან.

ჩვენ ეს ჩვეულება არა გვქონია, მაგრამ ძველის-ძველად ჩვენი ერი გარდაცვალებულთა პატივის-მცემელი ყოფილა. ეს პატივის-ცემა იქამდის დიდ-ხარისხოვანი იყო, რომ მრავალჯერ გამხდარა ერის სულის ჩამდგმელად მტერთან ბრძოლის დროს. დღეს ჩვენ წინაშეც არის მიცვალებული. ამისი ხილვა უნებლიედ მოგვაგონებს იმის ვინაობას. თითოეულ ჩვენგანის გონებაში ელვასავით გაირბენს ყველა ის, რაც მის პიროვნებას შეეხება, რა კვალიც დამჩნევია გარდაცვალებულს ჩვენს გრძნობასა და გონებაში. კერძოდ თითოეულმა ვიცით რომელიმე ხანა გარდაცვალებულის ცხოვრებისა და ყველამ-კი ერთად ვიცით, რომ კნ. ბარბარე საზოგადო მოღვაწე იყო ჩვენს მწიგნობრობაში<sup>225</sup>. მარტო მისი სამწიგნობრო მოღვაწეობა ისეთი მნიშვნელობიანია, საკმარისია, გამოიწვიოს ჩვენს შორის ღრმა პატივის-ცემა, თუ უღირსნი შვილნი არა ვართ სამშობლოსი; საკმარისია, ამ მხრივ გავიხადოთ იგი მაგალითად, მიუთითოთ ჩვენს ქალებს და მოვახსენოთ: ხედავთ, თქვენს წინაშე მდებარე კნ. ბარბარეს? არც ერთს სკოლაში განათლება არ მიუღია, მაგრამ აღზრდილა ისეთს ოჯახში, რომელსაც ჩაუნერგავს მის გულში დაუძლეველი და მუდმივი სიყვარული სამშობლო ენისა და ერისა. ეს უძლეველი სიყვარული გამხდარა ქვა-კუთხედად დაუღალავის თვის განვითარების სურვილისა, რომლის შედეგიც იყო მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. იმავე ოჯახის შვილიანგანსვენებულის ძმა თ-დი რაფაელი<sup>226</sup>. აქ ორი რამ არის ფრად საყურადღებო და სამაგალითო: ერთი, რომ ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის მოზარდთა მომავალზედ. მოზარდთა ავ-კარგიანობა ოჯახის ავ-კარგიანობაზედ მტკიცედ არის გადახლართული. მეორე, რომ სკოლის გარეთაც შიძლება გონების განვითარება და საზოგადო მოღვაწეობა. მაშასადამე, საჩივარი აწინდელის სკოლების შეუფერხებლობისა, რაც უნდა სამართლიანი იყოს, მაინც ვერავინ იმართლებს ამით თავსა. უტყუარი საბუთი ამისა თვალწინა გვაქვს. კნ. ბარბარე ამ მხრივ პირველი თვალ-საჩინო მაგალითია ჩვენის ქალებისათვის ამ მეცხრამეტე საუკუნეში. იგი ერთად ერთი არ არის ის ჩვენდა სასიქადულოდ, მაგრამ მესვეური-კია ამ საქმეში. იგი ბეჯითად გვარწმუნებს, რომ ქალის დანიშნულება მარტო გარეგანი მშვენიერება არ არის, როგორც ბევრსა ჰგონია, რომ ქალის უაღრესობა და ანგელოსებრივი ძალა შინაგან მშვენიერებაზედ არის დამყარებული; რომ მეორე მშვენიერებას მრავალი უპირატესობა აქვს წინაშე პირველისა, რომელთაგან ერთიც რომ დავასახელოთ, საკმარისია, ერთი მეორეს ვამჯობინოთ. ეს ერთი უპირატესობა გახლავთ იგი, რომ გარეგანი მშვენიერება წუთიერია, მალე წარმავალი და ხშირად არ მოკლებული დიდ-დიდს ნაკლულევანებას, ხოლო შინაგანი მშვენიერება არის ხანგრძლივი, ხშირად უკუდავი, მარადის უნაკლულო და კეთილ-ნაყოფიერი. კეთილნაყოფიერება მისი გარდმომავალია, სამემკვიდროა, დედაა და მიზეზი სახალხო გმირთა დაბადებისა და ამისათვის ყოველთვის უაღრესი, ღირსი, სათაყვანებელი.

აი სწორედ ამ მშვენიერებით არის შემკობილი კნ. ბარბარე და ამიტომ ყველასაგან და განსა-კუთრებით ჩვენის ქალებისაგან საუკუნოდ პატივ-საცემელი და ყოველთვის პატივით მოსაგონებელი.

კურთხეულ იყოს სახელი და დატოვებული კვალი კნ. ბარბარესი საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.“

<sup>225</sup> იგულისხმება ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის საზოგადო მოღვაწეობა. იგი გახლდათ მწერალი, ასევე მუშაობდა პოეზიასა და დრამატურგიაშიც, წერდა პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ წერილებსაც, ამავდროულად, იყო პირველი ქართული კულინარიული წიგნის ავტორიც. პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა – ყველა ამ დარგში ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე თავის საინტერესო ნაწარმოებებს ქმნიდა. ბარბარე ჯორჯაძის სტატიები თუ მოსაზრებები ხშირად იბეჭდებოდა ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, როგორცაა: „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვ.

<sup>226</sup> რაფაელი – რაფიელ ერისთავი (1824-1901), პოეტი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი, საზოგადო მოღვაწე. ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის ძმა.

სიტყვა, წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ  
კნენინა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე,  
ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ კნენინა ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მღვდელი იოანე შიუკაშვილი, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გახლდათ თელავში, პატარა კახის სასახლის კარის ეკლესიის დეკანოზი. 1877 წლის 10 იანვარს თელავის სამღვდლოების ყრილობამ სასულიერო სასწავლებლის მმართველობის წევრებად აირჩია სოლომონ ფირანიშვილი და იოანე შიუკაშვილი. 1914 წლიდან იოანე შიუკაშვილი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თელავის განყოფილების ნამდვილი წევრი. სიტყვის ადრესატია ბარბარე ერისთავი (1833-1895) – მწერალი და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი საზოგადო მოღვაწე. იგი იყო გადარიბებული თავადისა და სამხედროს, ზაქარია ჯორჯაძის მეუღლე. ბარბარე ჯორჯაძემ 1863 წელს გამოაქვეყნა დრამა სახელწოდებით „მური“ (დრამა სამს მოქმედებად და ერთს სურათად)<sup>227</sup>, რითაც იგი ითვლება პირველ ქალ ავტორად ქართულ დრამატურგიაში. აგრეთვე იგი არის ავტორი წიგნისა „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“<sup>228</sup>. ბარბარე ჯორჯაძე 1895 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა და დაკრძალეს 14 აპრილს თელავის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (მოგვიანებით, 1938 წელს, ბარბარე ჯორჯაძე ქისტურიდან გადმოასვენეს და დაკრძალეს მისი ძმის, რაფიელ ერისთავის (1824-1901) გვერდით. თელავის პატარა კახის სასახლის კარის ეკლესიის დიდ ტაძარში წირვის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჯერ სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებელმა გ. წიკლაურმა, ხოლო შემდეგ – მღვდელმა ი. შიუკაშვილმა.

სიტყვა გამოქვეყნდა 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“, სათაურით „სიტყვა მღ. იოანე შიუკაშვილისა“<sup>229</sup>. გათავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>227</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1863, აგვისტო, №8, გვ. 1-85,

<sup>228</sup> ჯორჯაძე, ბ. (შემდგ.), ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი: დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა, თბილისი, ე. ხელაძის სტამბა, 1874.

<sup>229</sup> გაზეთი „ივერია“, 1895, ოთხშაბათი, 19 აპრილი, №81, გვ. 2-3.

## Speech Delivered by the Priest Ioane Shiukashvili at the Funeral of Princess Barbare Eristav-Jorjadze, in Telavi, on April 14, 1895

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by the Priest Ioane Shiukashvili at the funeral of Princess Barbare Eristav-Jorjadze, in Telavi, on April 14, 1895]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is the priest Ioane Shiukashvili, who was the Archpriest of Patara Kakhi Palace Court Church, in Telavi, from the 80s of the 19th century. On January 10, 1877, the Telavi Clergy Congress elected Solomon Piranishvili and Ioane Shiukashvili as members of the governing body of the theological school. Since 1914, Ioane Shiukashvili has been a full member of the Telavi branch of the “Society for the Promotion of Literacy among Georgians”. The speech is addressed to Barbare Eristavi (1833-1895) – a writer and public figure fighting for women’s rights. She was the wife of the impoverished prince and soldier Zakaria Jorjadze. In 1863, Barbare Jorjadze published a drama titled “Jealousy” (a drama in three acts and one scene)<sup>230</sup>, which makes her the first female author in Georgian dramaturgy. She is also the author of the book “Georgian Cuisine and Household Tried Recipes”<sup>231</sup>. Barbare Jorjadze died on April 10, 1895 and was buried on April 14, in the Telavi Pantheon of Public Figures (later, in 1938, Barbare Jorjadze was transferred from Kistauri and buried next to her brother, Rafiel Eristavi (1824-1901). After the service in the great cathedral of the court church of the Patara Kakhi Palace in Telavi, the speech was delivered first by the singing teacher of the theological school G. Tsiklauri, and then by the priest I. Shiukashvili.

The speech was published in the newspaper “Iveria” under the title “Speech of Priest Ioane Shiukashvili”<sup>232</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>230</sup> Magazine “Tsiskari”, 1863, August, №8, pp. 1-85 (in Georgian).

<sup>231</sup> Jorjadze, B. (comp.). Georgian Cuisine and Household Tried Recipes: With the Addition of Several Russian Dishes. Tbilisi, E. Kheladze’s Printing House. 1874 (in Georgian).

<sup>232</sup> Newspaper “Iveria”, 1895, Wednesday, April 19, №81, pp. 2-3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული მღვდლის იოანე შიუკაშვილის მიერ კნენინა ბარბარე ერისთავ-  
ჯორჯაძის დაკრძალვაზე, ქ. თელავში, 1895 წლის 14 აპრილს**

„პატივ-ცემულო კრებავ!

კაცის სიცოცხლე რომ სიკვდილით თავდებოდეს, მაშინ იმაზედ უზუბედურესი არსება დედამიწის ზურგზედ აღარავინ იქნებოდა. არა, სიცოცხლე კაცისა სიკვდილით არა თავდება. კაცი შესდგება სულისაგან და ხორცისაგან, სული რომ განემორება ხორცსა – ეს უკანასკნელი მიწად იქცევა, რომლისაგანაც მოღებულია იგი, ხოლო სული მიიქცევა ღმერთთან საუკუნო ცხოვრებისათვისა. მეორედ, კაცი, სიკვდილის შემდეგაცა, უკეთუ ღვთისაგან მინიჭებულნი სულიერნი და ხორციელნი ნიჭნი იხმარა კეთილთა საქმეზედ საბედნიეროდ ხალხთა, ცოცხალია, როგორათაც ცოცხალნი არიან და იქნებიან საუკუნოდ მისნი კეთილნი საქმენი და ღვაწლნი ხალხთ ცხოვრებაში.

ზღვის ნაპირის კლდეებიდან, ბუნების სტიქიონთა ძალის ზედგავლენისა გამო, იგლიჯებიან ქვანი, ცვივიან ზღვაში, იმტვრევიან და ქუცმაცდებიან, ზვირთნი ზღვისანი რეცხვენ – სჭამენ ამ ქვებსა და შემდეგ ინთქმებიან ზღვის უფსკრულში. ქარი გლეჯს ხის ფოთოლთა, მიაქვს შორს, ცვივიან მიწაზედ და მით პოხიერდება დედამიწის ნიადაგი; ქარიშხალი ძირიანად ჰგლეჯს დიდრონსა ხეებსა და ლპებიან მიწაზედ. მაგრამ არცა ქვა მოგლეჯილი კედლიდანა და შთანთქმული ზღვის უფსკრულში, არცა კლდე, რომლისაგანაც მოიგლიჯა ქვა, არცა ფოთოლი მოგლეჯილი ხიდანა, არცა ხე, რომლისაგანაც მოიგლიჯა ფოთოლი და დაღპნენ დედამიწის ზურგზედ – არ გრძნობენ ტანჯვასა. ტანჯვა-ვაებასა გრძნობენ ისეთი არსებანი, რომელნიც უფრო ახლო ნდგანან კაცთან თვისის ბუნებით. მაგრამ მათნი ტანჯვანი არიან პირადულნი; იგინი ტანჯვა-ვაებას წინად ვერ გრძნობენ, არცა ემინიათ მათი. ამათთანა ცხოველს არსებათა არ შეუძლიანთ წარსულნი ტანჯვა-ვაებანი წარმოიდგინონ და წინად გრძნობდნენ მათზედ შეწუხებასა; იგინი გრძნობენ მხოლოდ თვისს ტანჯვასა და არა სხვისასა. რამდენადაც ცხოველს არსებასა მინიჭებული აქვს ღვთისაგან მაღალნი და ძლიერნი ნიჭნი და გონებანი, იმდენად უფრო ღრმად და ძლიერად გრძნობს ტანჯვა-ვაებასა. კაცზედ გონიერი, შემკული მაღალის და ძლიერის სულიერის და ხორციელის ნიჭითა არ მოიპოება ქვეყანაზედ არცა ერთი ქმნილება, არცა ერთი არსება; კაცი არის გვირგვინი ქვეყნისა; კაცსა აქვს მინიჭებული ღვთისაგან უფლება შრომისა დედამიწის ზურგზედ, რათა მით დაიცვას თვისი არსება, აიცილოს თავიდგან ტანჯვა-ვაებანი, როგორც თვისნი, უმეტესად თვისთა მოყვასთა. მხოლო კაცს შეუძლიან ყოველთა ქვეყნიერთა არსებათა უმეტესად გრძნობდეს ტანჯვასაცა და ბედნიერებასაცა: კაცსა აქვს მინიჭებული ღვთისგან ის ღრმა და ფართო გრძნობანი, რომ იგი მზად არის იტვირთოს თვის თავზედ ტანჯვა-ვაება არა მხოლოდ თვისი, არამედ და უმეტესად ყოველთა სხვათა ცხოველთა არსებათა.

კაცის ქვეყნიერის ცხოვრების ხვედრად გამხდარან მრავალ-გვარნი ტანჯვა-ვაებანი; მითი სავსეა სიცოცხლე კერძოდ კაცისა, მითი მდიდარია სიცოცხლე მთლად კაცობრიობისა. კაცისთვის ბედნიერება იქნებოდა, რომ მას შესძლებოდა არ ეგრძნო ტანჯვა-ვაებანი, ვერ ეგრძნო მისი ძალა და ზედგავლენა; მაგრამ მაშინ საჭირო იქნებოდა კაცს დაეხმო თვისს თავში აზროვნობა, დაეხმო და აღმოეხოცნა თვისში ცხოველნი გრძნობანი და უარ ეყო თვის არსებობაზედ, მაგრამ ამის აღსასრულებლად კაცს არა აქვს არცა ძალა, არცა შეძლება, არცა უფლება.

ყოველნი ტანჯვა-ვაებანი გამხდარან ხვედრად კაცისა მის სიცოცხლის დროს მისთვის, რომ კაცის არსებობა უსიცოცხლოდ შეუძლებელია, ხოლო სიცოცხლე კაცისა არის შრომა, რომლისთვისაცა იგი ჩნდება ქვეყანაზედა, როგორათაცა ჩნდება ფრინველი მისთვის, რომ უეჭველად იფრინოს. ხოლო შრომა კაცისა გამოიწვევს პირველად ტანჯვა-ვაებასა, მაგრამ მოვა დრო, როდესაც ამ შრომით გამოწვეულის ტანჯვა-ვაების შედეგი – ბედნიერება განხორციელდება კაცის სანუგეშოდ. აი მხოლოდ ამისთანა შრომით სავსე სიცოცხლე არის ჭეშმარიტი სიცოცხლე, რომელიც არის მიმართული მხოლოდ კეთილისადმი, პატიოსნურის შრომისადმი, შრომისათვის ღვთის დიდებისა და მოყვასთა სარგებლობისადმი. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ ძალასა კაცსა მშრომელსა და კეთილ-ნაყოფიერებასა თვით შრომასა აძლევს სიყვარული შრომისადმი და მოყვასისადმი.

აი პატივ-ცემულო კრებავ, მოკლედ წარმოთქმული ჩემგნით ამ წმ. ტადარში ის ჭეშმარიტება, რომ დანიშნულება კაცის ქვეყანაზედ ცხოვრებისა არის შრომა, სიყვარული შრომისადმი, რომელსაცა თანა უძღვის ტანჯვა-ვაება და რომელშიცა მდგომარეობს სიცოცხლე და ბედნიერება კაცისა. ყოველნი ჩემნი მოსაზრებანი, თქმულნი თქვენ წინაშე დღეს, გამოიწვია ჩვენ წინ მდებარე კუბოში განსვენებულის კნ. ბარბარე ჯორჯადის გვამმა. განსვენებული ესე ბარბარე, მეუღლე თ-ს ზაქარია ჯორჯადისა, იყო ასული თ-დის დავით ერისთავისა, მამისა იმ ოჯახისა, რომელიც იყო ძველებურ ქართულ ზნე-ჩვეულებაზედ, წეს-წყობილებაზედ, სწავლა აღზრდაზედ და მიმართულებაზედ დაფუძნებული. იყო ასული იმ ოჯახისა, რომლის წევრნიცა იყვნენ მოყვარულნი და თავ-დადებულნი სამშობლო ენისა, ერისა, სჯულისა და მამულისა და რომელნიცა იყვნენ გამსჭვალულნი და თავ-დადებულნი მის სიკეთისა და აღორძინებისათვის. ბედნიერება თუ უბედურება, სიკეთე თუ სიავე ოჯახის წევრთა შორის ყოველთვის და ყოველგან დამოკიდებული ყოფილა და იქნება ოჯახის მამაზედ: რაც იქნება მამა ოჯახისა, ისინი იქნებიან მისნი შვილნი, არ შეიძლება კეთილმა ხემ გამოიღოს ნაყოფი ბოროტი, არცა ბოროტმა ხემ გამოიღოს ნაყოფი კეთილი. დასამტკიცებლად ამა ჭეშმარიტებისა მიგიითითებთ აწ ჩვენს კუბოში მდებარე კნ. ბარბარეს გვამზედ და სხვათა მისთა მამის ოჯახის წევრთა ზედა. ესე განსვენებული ბარბარე, აღზრდილი არა რომელსამე სასწავლებელში, არამედ ძველებურს ქართულს ოჯახში, შერაცხილია დღეს იმ მოღვაწედ ჩვენის ქართულის ლიტერატურის ასპარეზზედ გამოსულთ მწერალთა ქალთა გუნდთა შორის, რომელთაცა არ დაივიწყებს არცა ისტორია, არცა ერი, არცა მათი შრომა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებულს და მწიგნობარს ქართველსა კაცსა თუ ქალსა ეცნობება ესე ბარბარემისი ნაწერებითა, რომელმაცა შეიტანა თუმცა მცირე წვლილი ქართულის მწერლობისა და ლიტერატურის სალაროში, მაგრამ ამ დროის ჩვენის ღარიბის მწერლობის და ლიტერატურისათვის მისი ღვაწლი ჩაითვლება დიდათა. რამოდენი შრომა და ღვაწლი ამ განსვენებულმა ბარბარემ დასდო ჩვენის მწერლობის ასაღორძინებლად, იმოდენა შრომა და ღვაწლი რომ შეეტანათ არამც თუ ჩვენს ქალებსა არამედ კაცებსაცა, ჩვენის მწიგნობრობის სალარო დღეს ისეთი ღარიბი არ იქნებოდა იგი, როგორსაცა ვხედავთ. შრომა, ტანჯვა-ვაება, სიყვარული შრომისა, რომელნიცა გამოიარა ამა განსვენებულმა ბარბარემ ჩვენის მწერლობისა და ერის სასარგებლოდ ბევრს არ რგებია ხვედრად ამ დროის ჩვენს არცა ქალსა და არცა კაცსა. ესე განსვენებული სულით და გულით ეძებდა შემთხვევასა, რითაც-კი შეიძლებოდა და როგორც-კი შეიძლებოდა, შემწეობა აღმოეჩინა ყოველგვარის ქართულის მწერლობისა თუ ისტორიულის გამოურკვეველის კითხვების ასახსნელად, რომელსაცა გვიმტკიცებენ როგორც დაბეჭდილნი ამისნი შრომანი ქართულს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში<sup>233</sup>, აგრეთვე მრავალნი ხელთ ნაწერები, რომელნიცა გადმომცა მე ასულმა ამა განსვენებულისამა მანანამ<sup>234</sup>, რომელიცა ამ ჟამად იმყოფება ამ წმ. ტადარში და შეუპყრია ღრმა მწუხარებას და აფრქვევს მწარე ცრემლთა თვისსა საყვარელსა დედასა. ესე განსვენებული ბარბარე არის ნაყოფი არა იმ სასწავლებელისა, სადაცა სწავლობენ და ითვისებენ გარდა სამეცნიერო საგნებისა სხვა-და-სხვა ენებსა, საიდანაცა<sup>235</sup> გამოსულნი ხდებიან „მოდების“ მონანი, რომელნიცა შრომასა და სიყვარულსა შრომისასა უყურებენ ზიზღითა.

ამა განსვენებულმა არ იცოდა სხვა და-სხვა უცხო ენები, არცა უსწავლია სასწავლებელში, მაგრამ მაღლობელნი ვიქნებოდით და სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის, რომ ნათალი სარგებლობა მაინც მოეტანათ ჩვენის მწიგნობრობისა და ერისათვის ახლანდელთა სასწავლებლებში აღზრდილთა და მრავალთა უცხო ენებზედ მობაასეთ ჩვენს ქალებსა, რამოდენი სარგებლობაც შესძინა ამ განსვენებულმა ბარბარემ ჩვენს მწიგნობრობასა. იყო განსვენებული ესე ბარბარე მაგალითად შრომისა და სიყვარული მწერლობის ასპარეზზედ ახლანდელის სწავლა-განათლებით აღჭურვილთა ჩვენთა ქალთათვის; იყავით მბაძავნი, საყვარელნი დანო და შვილნი ჩემნი, ამა განსვენებულისა; დარწმუნებულნი იყავით, რომ თუ არა დედა-ენის ცოდნითა, თუ არა თვისის ერის, სჯულისა და მამულის სიყვარულით გამსჭვალულნი, თუ შრომის მოყვარულნი არ ვიქნებით, სიცოცხლე ჩვენი დაემზგავსება იმ სახარების მონასა, რომელმაცა მიიღო ტალანტი მაცხოვრისაგან და დაფლა მიწაში და მით<sup>236</sup> გამოჩნდა ზარმაცი და უსარგებლო კაცი თავისთვისაცა და სხვისთვისაცა, რომელმაცა მიიღო ჯილდოდ საუკუნო ტანჯვა ჯოჯოხეთის უფსკრულში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კნ. ბარბარევ.“

<sup>233</sup> იგულისხმება ბარბარე ჯორჯადის პუბლიცისტური თუ ლიტერატურული წერილები, რომლებსაც აქვეყნებდა ისეთ ქართულ პერიოდულ გამოცემებში, როგორიცაა „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და „ჯეჯილი“.

<sup>234</sup> მანანა – მანანა ჯორჯაძე-გეხტმანისა, ბარბარე ერისთავი-ჯორჯადისა და ზაქარია ჯორჯადის ქალიშვილი.

<sup>235</sup> საიდამაცა – საიდანაც.

<sup>236</sup> მით – ამით, ამგვარად.

გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ  
კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში,  
1897 წელს 23 აპრილს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ანი გვირჯიშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია აკაკი წერეთელი (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. სიტყვა მიემართება ვინმე გრიგოლის ასულ დიასამიძეს, სახელი უცნობია. როგორც ირკვევა, სიტყვა მიემართება ნინო გრიგოლის ასულ ბებუთოვს, რომელიც იყო მეუღლე თეატრალური და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ქველმოქმედის – ნიკოლოზ დიასამიძის (1845-1897). სოფელ დოესში სტუმრად მყოფი ნინო დიასამიძე 1897 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა, 23 აპრილს ჩასვენეს გორში, პანაშვიდი გადაუხადეს გორის სომხების ყველაწმინდის ეკლესიაში, შემდეგ წაასვენეს ბრილში და იქ დაკრძალეს 25 აპრილს. გორში სიტყვები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა<sup>237</sup>, ივანე მაჩაბელმა<sup>238</sup> და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ<sup>239</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, ჩანართის სახით პუბლიკაციაში, სათაურით „გასვენება და დაკრძალვა კნენა ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძისა“<sup>240</sup>, ასევე – გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სათაურის გარეშე<sup>241</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>237</sup> გაზეთი „ივერია“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №80, გვ. 3; გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №180, გვ. 3.

<sup>238</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, ორშაბათი, 28 აპრილი, №181, გვ. 2.

<sup>239</sup> გაზეთი „კვალი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №18, გვ. 346.

<sup>240</sup> გაზეთი „ივერია“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №80, გვ. 3.

<sup>241</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №180, გვ. 3.

**Farewell Speech Delivered by Akaki Tsereteli at the Funeral of  
the Princess Nino Bebutov-Diasamidze,  
in Gori, on April 23, 1897**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Ani Gvirjishvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Farewell speech delivered by Akaki Tsereteli at the funeral of the Princess Nino Bebutov-Diasamidze, in Gori, on April 23, 1897]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – a poet, writer, publicist and a public figure. The speech is addressed to the daughter of Grigol Bebutov, whose name is unknown. As it turns out, the speech is addressed to the Nino daughter of Grigol Bebutov, who was the wife of the theatrical and public figure, publicist and philanthropist Nikoloz Diasamidze (1845-1897). Nino Diasamidze died on April 20, 1897 while visiting the village of Doesi. She was buried in Gori on April 23, and her funeral was held at the Armenian Church of All Saints in Gori. She was then taken to Brili and buried there on April 25. The speeches in Gori were delivered by Akaki Tsereteli<sup>242</sup>, Ivane Machabeli<sup>243</sup>, and Anastasia Eristav-Khoshtaria<sup>244</sup>.

The speech was published in the newspaper “Iveria” as an insert in the publication under the title “Rest and Burial of Kneina Nino daughter of Grigol Diasamidze”<sup>245</sup>, as well as in the newspaper “Tsnobis purteli” without a title<sup>246</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>242</sup> Newspaper “Iveria”, 1897, Sunday, April 27, №80, p. 3 (in Georgian); Newspaper “Tsnobis purteli”, 1897, Sunday, April 27, №180, p. 3 (in Georgian).

<sup>243</sup> Newspaper “Tsnobis purteli”, 1897, Monday, April 28, №181, p. 2 (in Georgian).

<sup>244</sup> Newspaper “Kvali”, 1897, Sunday, April 27, №18, p. 346 (in Georgian).

<sup>245</sup> Newspaper “Iveria”, 1897, Sunday, April 27, №80, p. 3 (in Georgian).

<sup>246</sup> Newspaper “Tsnobis purteli”, 1897, Sunday, April 27, №180, p. 3 (in Georgian).

გამოსათხოვარი სიტყვა

წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის  
სამბიძარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს

„გული ამევსო ნაღვლით!.. ენა დაბმულია!.. სიტყვას ვეღარ ვახერხებ და ან-კი რა უნდა ვსთქვა, ჩემო დედასავით ტკბილო და დასავით ძვირფასო არსებავ? ჩემ ხანმოკლე სიცოცხლეში კი არა, საუკუნოებიც რომ შესაძლებელი იყოს გავძლო, მაშინაც ვერ გაგიმეტებ, რომ მკვდრად წარმოგიდგინო და ეგ შენი სათნო სახე ყოველთვის ცხადად მექნება გათვალისწინებული!.. დღეიდგან ჩვენში მე ასეთ შესანიშნავ დედას, სამაგალითო მეუღლეს და ღირსეულ ქართველ ქალს ვერსად შევხვდები, რომ მათში შენ არ წარმომიდგე განხორციელებულად. ყველასათვის თავ-გადაუვალია და აუცილებელი სიკვდილის ჯერი, დღეს შენზედ მოდგა და უნდა ჩაგასვენოთ ცივ მიწაში, მაგრამ ნამდვილი სამარე-კი ჩვენი მხურვალე გულია!.. აქ გვეყოლები დამარხული და ერთად იმ გულთან ჩავატანთ საფლავში. სიკვდილი ყველასათვის თანასწორი არ არის... ზოგი კვდება სამარადისოდ და ზოგნი-კი მხოლოდ მიიცვლებიან ხოლმე, ე.ი. ხორციელად გვეშორდებიან და სულიერად-კი აქვე ჩვენთან რჩებიან, რომ მოგვაგონონ თავი და თავისის ცხოვრების მიმბაძველი გაგვხადონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. შენც ერთი ამგვარ რჩეულთაგანი იყავი, ძვირფასო გვამო, და იმიტომაც ასე გვამწარებს შენი უდროოდ დაკარგვა. „სიკვდილი მართალთა განსვენებაა“, ბრძანებს საღმრთო წერილი. და შენც, მართალო სულო, ამ ქვეყნიურის ვალის ქრისტიანულად მომხდელო, ნაღვლიანო და მაშვრალო განგისვენოს უფალმა იქ, სადაც ჩვენი დიდებული ქართველი დედები განისვენებენ... და აწ ჩემგანაც ნიშნად სამარადისო ხსოვნისა და კავშირის განუწყვეტელობისა მიიღე უკანასკნელი ამბორი.... მშვიდობით!..“

**სიტყვა, წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ  
კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე,  
ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს**

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ივანე მაჩაბელი (1854-1898) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1870 წელს ივანე მაჩაბელმა წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია. 1871-1874 წწ.-ში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, 1874-1877 წწ.-ში – ჯერ გერმანიაში, ჰოენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, მერე კი – პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში. იგი იყო შოთა რუსთაველის პოემის 1888 გამოცემის რედაქტორი; ივანე მაჩაბელი 1879 წლიდან „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი, ხოლო 1882-1883 წელს რედაქტორი იყო. 1883-1885 წლებში იგი რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“. ივანე მაჩაბელმა გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი. თარგმნა მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“, სხვადასხვა ენიდან გადმოაკეთა პიესები, „ადვოკატი მელაძე“, „ფრუ-ფრუ ანუ ცქრიალა საძაგელი“, „ორ ცეცხლ შუა“ და სხვ. თარგმნა შექსპირის ტრაგედიები. 1898 წლის 26 ივნისს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა.

როგორც ირკვევა, სიტყვა მიემართება ნინო გრიგოლის ასულ ბებუთოვს, რომელიც იყო მეუღლე თეატრალური და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ქველმოქმედის – ნიკოლოზ დიასამიძის (1845-1897). სოფელ დოესში სტუმრად მყოფი ნინო დიასამიძე 1897 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა, 23 აპრილს ჩასვენეს გორში, პანაშვიდი გადაუხადეს გორის სომხების ყველაწმინდის ეკლესიაში, შემდეგ წასვენეს ბრილში და იქ დაკრძალეს 25 აპრილს. გორში სიტყვები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა<sup>247</sup>, ივანე მაჩაბელმა<sup>248</sup> და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ<sup>249</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, სათაურით „თ. ივ. მაჩაბელის სიტყვა, წარმოთქმული კნეინა დიასამიძის<sup>250</sup> დასაფლავებაზე, 1897 წელს“<sup>251</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>247</sup> გაზეთი „ივერია“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №80, გვ. 3; გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №180, გვ. 3.

<sup>248</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, ორშაბათი, 28 აპრილი, №181, გვ. 2.

<sup>249</sup> გაზეთი „კვალი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №18, გვ. 346.

<sup>250</sup> არაა მოყვანილი სახელი.

<sup>251</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, ორშაბათი, 28 აპრილი, №181, გვ. 2.

Speech Delivered by Prince Ivane Machabeli at the Funeral of  
the Princess Nino Bebutov-Diasamidze,  
in Gori, on April 23, 1897

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Prince Ivane Machabeli at the funeral of Princess Nino Bebutov-Diasamidze, in Gori, on April 23, 1897]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Ivane Machabeli (1854-1898) – a Georgian writer, translator, publicist and a public figure. In 1870, Ivane Machabeli graduated with honors from the gymnasium. From 1871 to 1874, he studied at the Faculty of Natural Sciences at St. Petersburg University. Between 1874 and 1877, he continued his studies – first in Germany at the Hohenheim Agricultural Academy, and then – in Paris at the Sorbonne University. He was the editor of the 1888 edition of Shota Rustaveli’s poem “The Knight in the Panther’s Skin”; Ivane Machabeli was an active contributor to “Iveria” from 1879 and served as its editor in 1882-1883. From 1883 to 1885, he edited the newspaper “Droeba”. Ivane Machabeli enriched the repertoire of Georgian theatre. He translated Molière’s “The Imaginary Invalid”, adapted plays from various languages, including “Advocate Meladze”, “Frou-Frou or the Dazzling Scoundrel”, “Between Two Fires”, and others, and translated Shakespeare’s tragedies. On 26 June 1898, he left his home and never returned.

It is assumed that the speech is addressed to her. As it turns out, the speech is addressed to the Nino daughter of Grigol Bebutov, who was the wife of the theatrical and public figure, publicist and philanthropist Nikoloz Diasamidze (1845-1897). Nino Diasamidze died on April 20, 1897 while visiting the village of Doesi. She was buried in Gori on April 23, and her funeral was held at the Armenian Church of All Saints in Gori. She was then taken to Brili and buried there on April 25. The speeches in Gori were delivered by Akaki Tsereteli<sup>252</sup>, Ivane Machabeli<sup>253</sup>, and Anastasia Eristavi-Khoshtaria<sup>254</sup>.

The speech was published in the newspaper “Tsnobis purtseli” under the title “T. Iv. Machabeli’s speech, delivered at the funeral of Kneina Diasamidze, in 1897”<sup>255</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>252</sup> Newspaper “Iveria”, 1897, Sunday, April 27, №80, p. 3; Newspaper “Tsnobis purtseli”, 1897, Sunday, April 27, №180, p. 3 (in Georgian).

<sup>253</sup> Newspaper “Tsnobis purtseli”, 1897, Monday, April 28, №181, p. 2 (in Georgian).

<sup>254</sup> Newspaper “Kvali”, 1897, Sunday, April 27, №18, p. 346 (in Georgian).

<sup>255</sup> Newspaper “Tsnobis purtseli”, 1897, Monday, April 28, №181, p. 2 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული თავადის ივანე მაჩაბლის მიერ კნეინა ნინო ბებუთოვ-  
დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს**

„როდესაც ამოდენა მწუხარე ხალხი შენს პატიოსანს გვამს მოვდევდით, გამვლელ-გამომვლელნი ჩვეულებრივის ცნობის-მოყვარეობით ჩვენში ჭირისუფლებს ეძებდნენ; ეგონათ, ჯეროვანი პასუხი მივიღეთო, როდესაც შენს ქმარსა და შვილებზედ მიუთითებდნენ და უწყალოდ კი სცდებოდნენ. შენი ჭირისუფლები მარტო შენნი მახლობელნი არ არიან, მარტო ისინი არა გგლოვობენ, შენ გულწრფელად გგლოვობს ყველა, ვინც შორიდან მაინც გიცნობდა. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ შენ შენი სიცოცხლე შენს მოვალეობას შესწირე, იყავ საგანგებო მეუღლე და სამაგალითო დედა და ეს ძვირფასი სიტყვა, ისე ძვირფასი, რომ ჩვენი ხალხი თვით ჩვენ ყველას მსაზრდოებელს და აღმზრდელს მიწას უწოდებს, შენ კიდევ უფრო განსწმინდე-განასპეტაკე. ზრდიდი შვილებს, ცდილობდი „კაი კაცები“ გამოსულიყვნენ, კარგი კაცები არა მარტო თავის თავისთვის, არამედ ყველასთვის, მეგობარ-მეზობლებისათვის, მამულისათვის; ითმენდი ყოველ გვარ გასაჭირს, დნებოდი სანთელივით და სიამოვნებით სწირავდი შენს სიცოცხლეს შენს ქმარ-შვილს და თუ დაგკითხებოდნენ, შენი სიმდიდრე წარმოადგინეო, შენც თვალ-მარგალიტს ვერას იშოვიდი, მაგრამ პასუხად, რომაელ დედასავით, შეგეძლო შენი რვა შვილი დაგემწკრივებინა და გეთქვა: აი, ჩემი სიმდიდრეო. ასე გაიარე ცხოვრების მღელვარე გზა, გაუმაგრდი ყოველგვარ დაბრკოლებას და, როდესაც მიუახლოვდი სანატრელ სანაპიროს, როდესაც საგულის-გულოდ არჩეული მეგობარი უმოვნე შენს პირმშო შვილს და დღე დღეზედ მოელოდი მისს გაბედნიერებას<sup>256</sup>; როდესაც თითქო ხელ მეორედ გაყმაწვილდი და უაღრესმა სიხარულმა ფრთები შეგასხა, – სწორედ ამ დროს, მოულოდნელად საუკუნოდ გამოეთხოვე. ნება არა აქვთ განა უდროოდ დაობლებულთ მოგმართონ და გითხრან, რად ჩაგვიმწარე, შენი ესოდემ სიკეთის დროს, რად გვიღალატე, რად ჩაგვირიე სიამით სავსე თასში მწარე ნალველი? მაგრამ ეს სიტყვები საყვედურისა-კი არ იქნება, ეს იქნება გარდმონადენი მთელის გრძნობით. მშვიდობით, ძვირფასო ადამიანო, განისვენე იქ შენს საყვარელს მამულში, „ველსა მას მწვანაილოვანსა“, იქ ანკარა წყაროს ჩუხჩუხით დაიტკბე შენი უმანკო სული და ინუგეშე იმით, რომ შენგან შენს შვილებში ჩასახული გრძნობა კაცთმოყვარეობისა თავის დღეში არ ამოიფხვრება.“

<sup>256</sup> 1897 წელს განსვენებულის უფროსი ვაჟი გრიგოლ დიასამიძე დაინიშნა სოფიო დიმიტრის ასულ ხიმშიაშვილზე.

სიტყვა, წარმოთქმული ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მიერ  
კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე,  
ქ. გორში, 1897 წლის 23 აპრილს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-დიასამიძის სამძიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ანასტასია ერისთავ-ხოშტარია (1868-1951) – ქართველი მწერალი, პედაგოგი, ქალთა უფლებების დამცველი. როგორც ირკვევა, სიტყვა მიემართება ნინო გრიგოლის ასულ ბებუთოვს, რომელიც იყო მეუღლე თეატრალური და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ქველმოქმედის – ნიკოლოზ დიასამიძის (1845-1897). სოფელ დოესში სტუმრად მყოფი ნინო დიასამიძე 1897 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა, 23 აპრილს ჩაასვენეს გორში, პანაშვიდი გადაუხადეს გორის სომხების ყველაწმინდის ეკლესიაში, შემდეგ წაასვენეს ბრილში და იქ დაკრძალეს 25 აპრილს. გორში სიტყვები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა<sup>257</sup>, ივანე მაჩაბელმა<sup>258</sup> და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ<sup>259</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „კვალში“ პუბლიკაციაში უსათაუროდ, ჩანართის სახით<sup>260</sup>. გათვალისწინებული ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>257</sup> გაზეთი „ივერია“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №80, გვ. 3; გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №180, გვ. 3.

<sup>258</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, ორშაბათი, 28 აპრილი, №181, გვ. 2.

<sup>259</sup> გაზეთი „კვალი“, 1897, კვირა, 27 აპრილი, №18, გვ. 346.

<sup>260</sup> იქვე, გვ. 346.

**Speech Delivered by Anastasia Eristav-Khoshtaria at the Funeral of  
the Princess Nino Bebutov-Diasamidze,  
in Gori, on April 23, 1897**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Anastasia Eristav-Khoshtaria at the funeral of Princess Nino Bebutov-Diasamidze, in Gori, on April 23, 1897]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Anastasia Eristav-Khoshtaria (1868-1951) – a Georgian writer, teacher, and defender of women’s rights. As it turns out, the speech is addressed to Nino daughter of Grigol Bebutov, who was the wife of the theatrical and public figure, publicist and philanthropist Nikoloz Diasamidze (1845-1897). Nino Diasamidze died on April 20, 1897 while visiting the village of Doesi. She was buried in Gori on April 23, and her funeral was held at the Armenian Church of All Saints in Gori. She was then taken to Brili and buried there on April 25. The speeches in Gori were delivered by Akaki Tsereteli<sup>261</sup>, Ivane Machabeli<sup>262</sup>, and Anastasia Eristavi-Khoshtaria<sup>263</sup>.

The speech was published in the newspaper “Kvali” in the form of an insert without a title<sup>264</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>261</sup> Newspaper “Iveria”, 1897, Sunday, April 27, №80, p. 3; Newspaper “Tsnobis purtseli”, 1897, Sunday, April 27, №180, p. 3 (in Georgian).

<sup>262</sup> Newspaper “Tsnobis purtseli”, 1897, Monday, April 28, №181, p. 2 (in Georgian).

<sup>263</sup> Newspaper “Kvali“, 1897, Sunday, April 27, №18, p. 346 (in Georgian).

<sup>264</sup> Ibid, p. 346.

სიტყვა

**წარმოთქმული ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მიერ კნენა ნინო ბებუთოვ-  
დიასამიძის სამმიმარზე, ქ. გორში, 1897 წელს 23 აპრილს**

„შენს ფერმიხდილ, უმოძრაო სახეზე ვკითხულობთ შემდეგს: სიცოცხლეა – სიყვარული, თავ-  
შეწირვა და მსხვერპლათ გახდომა. ამასვე გვეუბნებოდენ თავიანთის მაგალითებით ჩვენი წინანდელი  
დედები, როდესაც ზრდიდენ შვილებს და დავაჟაკებულთ გზავნიდენ ბრძოლის ველზე, რათა  
მსხვერპლათ შეეწირათ თავი სამშობლოსთვის; თვით ტანჯულ სახეზე ეფინებოდათ გამარჯვების  
ღიმილი, რადგან გრძნობდენ, რომ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. დაკარგვა ამნაირის  
დედისა, მაშინ ისე საზარელი და შემაწუხებელი არ იყო, როგორც მის ადგილს იჭერდა მეორე და  
მესამე, მაგრამ დღეს კი, როდესაც ისე დავწვრილმანდით<sup>265</sup>, გადავმახინჯდით, რომ სამშობლო  
ენა, მის კეთილ-დღეობაზე ზრუნვა განზე დაგვიყენებია, დღეს შენისთანა დედის დაკარგვა ყველა  
ქართველისათვის საგრძნობელი უბედურებაა. შენ გულგონებას არასოდეს ბედზე არ უჩივლია,  
რადგან მარად ჟამს პირადი არსებობა, სიამე მუდამ დავიწყებული გქონდა: შენი ქმარ-შვილის  
გულისთვის თვით წვალეზაც ბედნიერებათ მიგაჩნდა. შენი მუდმივი ნატვრა იყო, რომ შვილებში  
დაგემკვიდრებინა სამაგალითო ზნეობა, გონივრება და გონების განვითარება. დღეს არა ერთი  
ქართველი მიმართავს თავის მეუღლეს, დას, და ეტყვის: აი, ნამდვილი მაგალითი, ნამდვილი დედა,  
რომელიც დედა-ბოძათ უდგა ოჯახს, მისი მისაყრდნობი ყავარჯენი იყო და არავითარი ქარიშხალი,  
არავითარი სისასტიკე საწუთროსი არ შეარყევდა, ვერ შამძრავდა მას და თქვენც მიჰბამეთ მას.

საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.“

<sup>265</sup> დავწვრილმანდით – წვრილმანებზე, უმნიშვნელო რაიმეზე ყურადღების გამახვილება.

სიტყვა, თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნეინა თებრონია ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქ. სიღნაღში, 1898 წლის 4 ივლისს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნეინა თებრონია ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქ. სიღნაღში, 1898 წლის 4 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მიხეილ ნასიძე (ფსევდონიმები: „მე გახლავარ“, „ქსნელი“, „მომაკვდავი“) (1859-1935 წწ.) – ლიტერატორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1880 წ. დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი. 80-იანი წლებიდან დაიწყო ლიტერატურულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების განვითარებაში. ცნობილია, როგორც „განმარტებითი კითხვის“ მიმდინარეობის ფუძემდებელი (უპირისპირდებოდა იაკობ გოგებაშვილის „ენციკლოპედიური განათლების“ იდეას). მიხეილ ნასიძის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, სტატიები, რეცენზიები ქვეყნდებოდა „ივერიაში“, „ნობათში“, „მწყემსში“. ავტორი განიხილავდა საბავშვო ლიტერატურის, ქართული ენის გრამატიკის, თეატრალური ხელოვნების, ხალხური შემოქმედების საკითხებს. მიხეილ ნასიძე არის სასკოლო სახელმძღვანელოების („ქართული ქრესტომატია“, 1885, „ქართველი მწერლები“ – სამ ნაკვეთად: საბა-სულხან ორბელიანი (1886), დავით გურამიშვილი (1887), ვახტანგ მეექვსე (1887)) შემდგენელი, ილია ჭავჭავაძის პირველი ბიოგრაფი („ილია ჭავჭავაძე“ (1898)). სიტყვა მიემართება თებრონია გიორგის ასულ რუსიშვილ-ანდრონიკაშვილს (გ. 1898 წლის 1 ივლისს), რომელიც იყო მეუღლე სიღნაღის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლე სვიმონ ანდრონიკაშვილისა (1823-1902 წწ.).

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, სათაურით „სიტყვა თქმული მ. ნასიძის მიერ კნ. თებრონია ანდრონიკაშვილის დასაფლავებაზე“<sup>266</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>266</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898, პარასკევი, 10 ივლისი, №579, გვ. 3.

**Speech Delivered by Mikheil Nasidze at the Burial of Kneina  
Tebronia Andronikashvili, in the Bodbe St. Nino  
Monastery, in Signaghi, on July 4, 1898**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Mikheil Nasidze at the burial of Kneina Tebronia Andronikashvili, in the Bodbe St. Nino Monastery, in Signaghi, on July 4, 1898]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Mikheil Nasidze (pseudonyms: “Me Gakhlavar”, “Ksneli”, “Momakdavi”) (1859-1935) – a writer, teacher and a public figure. In 1880, he graduated from the Tbilisi Pedagogical Institute. He began his literary, pedagogical, and public activities in the 1880s. He played an important role in the development of Georgian methodological thinking. He is known as the founder of the “explanatory reading” movement (he opposed Iakob Gogebashvili’s idea of “encyclopedic education”). Mikheil Nasidze’s critical-publicist letters, articles, and reviews were published in “Iveria”, “Nobati”, and “Mtskhemi”. The author discussed issues of children’s literature, Georgian language grammar, theatrical art, and folk art. Mikheil Nasidze is the compiler of school textbooks (“Georgian Chrestomathy”, 1885, “Georgian Writers” – in three parts: Saba-Sulkhan Orbeliani (1886), David Guramishvili (1887), Vakhtang VI (1887)), the first biographer of Ilia Tchavtchavadze (“Ilia Tchavtchavadze” (1898)). The speech is addressed to Tebronia Rusishvili-Andronikashvili (b. July 1, 1898), who was the wife of Signaghi district mediator-judge Svimon Andronikashvili (1823-1902).

The speech was published in the newspaper “Tsnobis purtseli” under the title “Speech delivered by M. Nasidze to Kn. Tebronia On the Burial of Andronikashvili”<sup>267</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>267</sup> Newspaper “Tshonis purtseli”, 1898, Friday, July 10, №579, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

თქმული მიხეილ ნასიძის მიერ კნენა თებრონია ანდრონიკაშვილის  
დაკრძალვაზე, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქ. სიღნაღში,  
1898 წლის 4 ივლისს

„მშვიდობით, განსულო ამა სოფლითგან, კნენა თებრო! კეთილშობილმან სულმან შენმან ინება განშორება ამა სოფლისა. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სული მსწრაფლ არ სტოვებს სხეულს. ვითარცა ნელ-ნელა ცივდება სხეული, ისე ნელ-ნელა სტოვებს სულიც აქაურს საწუთროს, ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ სპეტაკი სული შენი ჯერ აქავ არის, ჰხედავს ყოველივეს, რაც გარშემო ხდება და სტკბება ერთგვარის ხილვით. და აჰა, ერთი უმთავრესი ჯილდოც სულისა ამა სოფლად. სპეტაკი სული შენი, რომელიც, ვითარცა „სული წმიდა“, დასტრიალებს შენს კუბოს, ამ სამგლოვიარო სურათს საერთოდ, ესოდენს რიცხვს გულწრფელ მგლოვიარეთა, რწმუნდება, რომ კეთილთა საქმეთ ამა სოფლად მუქთად არ ჩაუვლიათ, თესლმა კეთილმა მოიმკოს ნაყოფიც კეთილი. იყავ კეთილი დედა და აგერ გულეზ-დაწყვეტილნი, დაობლებულნი შვილნი შენნი თავს გაკლავენ ზედ, იყავ სათნო და სამაგალითო მეუღლე და აგერ დიდის მწუხარებისაგან ქვასავით უტყვი სახე შენის მხცოვანის მეუღლისა აღნიშნავს ესოდენს მწუხარებას, რაოდენიც-კი ძალ უმს ადამის შვილსა. იყავ კეთილი და სათნო ყველასთან და ყოველთვის და აჰა ეს აუარებელი ხალხი, განურჩევლად წოდებისა, ასაკისა, სქესისა და ეროვნებისა, მოსულა, უკანასკნელი სალამი მისცეს კეთილს და მოწყალეს „კეთილს თებროს“, – როგორც მარტივად გეძახოდა შენ ყველა. განუსაზღვრელმა კაცთმოყვარე გულმან შენმან ბევრი სათნო მაგალითი დაგვიტოვა ადამიანობისა და კაცური კაცობისა. მაგრამ იყო ერთი ისეთი მხარეც შენს ცხოვრებაში, რომელიც შენ და შენს გარდაცვალებას განსაკუთრებულს და სულ სხვა მნიშვნელობას აძლევს. სწორედ ეს მხარეც მაიძულებს მე ამ ორიოდ სიტყვის თქმას შენს გამოსათხოვებლად. საქმე ის არის, ბატონებო, რომ კნენა თებრონიას გარდაცვალებით ჩვენ კვლავ მოგვაკლდა ერთი ნამდვილი „ქართველი დედა“, კვლავ გადაბრუნდა და წაიქცა ერთი იმ დიდებულ ბოდბეგანი, რომელთაც ორი ათასი წლის განმავლობაში ეკავათ საქართველოს ისტორიული შენობა. „ქართველი დედა!..“ ეს ორი პატარა სიტყვა ბევრს რასმეს ეუბნება განათლებულს გონებას აწინდელის ქართველისას. თქვენნი თვისებანი იყვენენ: ცოტა სიტყვა, ბევრი საქმე. ჩვენმა ახალმა ქალებმა ეს თქვენი წმინდა ანდერძი უკუღმართად შესცვალეს. მეორე თქვენი მთავარი თვისება გულ-წრფელი სიყვარული, სიყვარული გულით, მთელის არსებით და არა სიტყვით; მაგარი და მოუდრეკელი ხასიათი ჭირსა თუ ლხინში... ამ თვისებათ, სამწუხაროდ, იკლეს ჩვენში. ძველი საქართველო ამ საუკუნის დასაწყისში მოისპოვო. ეს შემცდარი აზრია. ერი უცებ და ერთის ხაზის გასმით არც შეიქმნების და არც დასრულდება. ქალაღზე, რასაკვირველია, მოისპო ძველი საქართველო 1800 წელში<sup>268</sup>, ხოლო ცხოვრებაში დღემდის იგი ცხოვრებდა, ცოცხალი იყო და აჰა ერთი წარჩინებული წევრი იმ საქართველოსი აწ ჩვენს წინ ასვენია. აი კიდევ რატომ არის მწვავე და მწარე შენი გარდაცვალება, კნენა თებრო, თქვენი რიცხვი მცირდება და თქვენთან ერთად ვეთხოვებით საუკეთესო ანდერძს ჩვენთა მამა-პაპათა. აი აქ არის საზოგადო და საქვეყნო ხასიათი თქვენის გარდაცვალებისა. ამ მხრივ თუ შევხედავთ საგანს, ბატონებო, დღეს კნენა თებროს გლოვობს არა თუ ვიწრო წრე ნათესაობისა და ნაცნობებისა, არამედ მთელი გუნდი განათლებულთა ქართველთა, რომელთათვისაც ჩვენი წარსული ტაძარია...

დღევანდელს ამბავს, დღევანდელს პატივისცემას შენის გვამისადმი, კნენა თებრო, ის

<sup>268</sup> მოისპო ძველი საქართველო 1800 წელში – ივლისხმება 1801 წელს რუსეთის იმპერატორების პეტრე I-ისა და ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემული მანიფესტები, რომელთა ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

გაკვეთილი, ის სწავლა მოჰყვება ახალგაზრდა ქართველ ქალებისათვის, რომ ყველა გაიგებს, თუ რა გზით მოიხვეჭს კაცი სახელს და პატივისცემას თანამედროვეთა შორის. ეს არის გზა ხასიათის სიმტკიცისა, სულის კეთილ-შობილობისა და რაც ყველაზე უფრო დიდია: გულში ტარება ეროვნულის იდეის დაუმრეტელის ცეცხლისა.

ასე რომ, თუ სიცოცხლით ბძანდებოდით სამაგალითო ადამიანი, სიკვდილი თქვენცა საგულისხმო და სამაგალითო გახდა. თქვენ წარსდგებით, კნეინა თებრო, ჩვენთა წინაპართა წინაშე, თქვენ იხილავთ მალე დიდებულ ქართველთა დედებს: თამარს<sup>269</sup>, ქეთევანს<sup>270</sup>... უთხარით, რომ თუმცა ჩვენ დავძაბუნდით, გარნა მადლი იმედისა არ გამქრალა ჩვენში და ეს არის საბუთი, რომ უკეთუ ვეცადეთ, კიდევ შვეიქნებით მათი ღირსი...

კვლავ მშვიდობით, პატიოსანო და სათნო ქართველო დედავ, კნეინა თებრო!“

---

<sup>269</sup> თამარს – თამარ მეფე (დაახ. 1160-1213, შესაძლოა 1210 ან 1207), საქართველოს მონარქი 1184 წლიდან.

<sup>270</sup> ქეთევანს – ქეთევან დედოფალი, კახეთის სამეფოს დედოფალი (1601-1602) და დედადედოფალი (1606-1624) ქეთევან მუხრანბატონი.

გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული შალვა დადიანის მიერ კნეინა  
დარია ფალავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში,  
სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული შალვა დადიანის მიერ კნეინა დარია ფალავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია შალვა ნიკოლოზის ძე დადიანი (1874-1959) – ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე. სიტყვა მიემართება დესპინე (დარია) ფალავას (1869-1899), რომელიც იყო ქუთაისის დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე. ის გახლდათ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელის, მელქისედეკ ფალავას მეუღლე. ცნობილია, რომ დარია ფალავა (1869-1899) მხატვარმა მიხაი ზიჩიმ 1882 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმაში მიიწვია და ილუსტრაციებისათვის, თამარის და თინათინის პროტოტიპად გამოიყენა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცნობილია, რომ იგი 1899 წლის 18 იანვარს ქუთაისის თეატრში წარმოდგენის მსვლელობისას მოულოდნელად გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო (გაუცნობიერებლად მოწამლული საკვები შეჭამა, 5 დღე იტანჯა და 23 იანვარს გარდაიცვალა). მისი დაკრძალვის დღეს ქუთაისის თეატრმა წარმოდგენა გადადო. საზოგადოება გლოვობდა თავის მშვენიერებას. მწუხარების დღეებში „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჩიქოვანის (პონტოელის) წერილი – „სასიქადულო ქალის ხსოვნას“, ასევე დაიბეჭდა მსახიობ ნინო ჩხეიძის გამოსათხოვარი წერილი იმავე „ივერიაში“<sup>271</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ უსათაუროდ პუბლიკაციაში ჩანართის სახით<sup>272</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>271</sup> გაზეთი „ივერია“, 1899, კვირა, 31 იანვარი, №23, გვ. 2.

<sup>272</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899, პარასკევი, 29 იანვარი, №737, გვ. 2.

**Farewell Speech Delivered by Shalva Dadiani at the Funeral of the  
Princess Daria Paghava, in Samegrelo, in the Village  
of Bandza, on January 26, 1899**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Farewell speech delivered by Shalva Dadiani at the funeral of the Princess Daria Paghava, in Samegrelo, in the village of Bandza, on January 26, 1899]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Shalva Dadiani (1874-1959) – a Georgian writer, playwright, actor and a theatrical personality. The speech is addressed to Despina (Daria) Paghava (1869-1899), who was the chairman of the Kutaisi Dramatic Society. She was the wife of Melkisedek Paghava, the head of the Kutaisi Subdistrict Bank. It is known that Daria Paghava (1869-1899) was invited by the artist Mikhai Zichy to stage the live pictures of “The Rider in the Tiger’s Skin” in 1882 and used her as the prototype for Tamar and Tinatin for the illustrations. As for her death, it is known that she died suddenly during a performance at the Kutaisi Theatre on January 18, 1899 due to an accident (she unknowingly ate poisoned food, suffered for 5 days and died on January 23). On the day of her funeral, the Kutaisi Theatre postponed the performance. The public mourned its beauty. During the days of mourning, a letter by Ilia Chikovani (Pontoeli) was published in “Iveria” – “In Memory of a Pious Woman”, and also the farewell letter of the actress Nino Chkheidze was also printed in the same “Iveria”<sup>273</sup>.

The speech was published in the newspaper “Tsnobis purtseli” as an insert in an untitled publication<sup>274</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>273</sup> Newspaper “Iveria”, 1899, Sunday, January 31, №23, p. 2 (in Georgian).

<sup>274</sup> Newspaper “Tsnobis purtseli”, 1899, Friday, January 29, №737, p. 2 (in Georgian).

გამოსათხოვარი სიტყვა

თქმული შალვა დადიანის მიერ კნიენა დარია ფაღავას დაკრძალვაზე,  
სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს

„ბრძენს უთქვამს: როდესაც ვიბადებით ვტირით, სხვები კი იცინიანო, საქმე ის არის ისე მოვაგვაროთ, რომ როდესაც მოვკვდებით სხვები ტიროდენ, ჩვენ კი ვიღიმებოდეთო და ეს ღიმილი კი იყოს ნეტარებისა, დამშვიდებული სულის ნაყოფი. შენ სწორედ ეგრე მოიქმედე. – აღარა ხარ ამ ქვეყნად და ყველანი ტირიან; ყველანი ვინც კი ოდნავ გიცნობდა ეს ტირილი კი მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი გულწრფელია, მოუფერებელი. ამაშია კიდევ შენი ღირსება; კაცი მართლაც საუკეთესო თვისებებით უნდა იყოს შეჭურვილი, რომ ასეთი გულითადი, თითქმის საყოველთაო მწუხარება გამოიწვიოს. შენ კი, დარია<sup>275</sup>, მართლაც გქონდა ეგ თვისებები, თუ არა და გავიხსენოთ შენი მართლაც კეთილი გული, რომელიც ყველასათვის მზათ იყო მასალბუნებლად, მკურნალ მალამოთ გადახსნილიყო, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვდა; გავიხსენოთ შენი ჭკვა-მზიანობა, რომლითაც ყოველს ჩვენს ავ-კარგს თვალს ადევნებდი გონივრულათ და გინდოდა, რითაც კი შენ შეიძლებდი, კარგი და სასურველი მხარე მიცემოდა ყოველივეს. შენთვის განურჩევლად ყველა კარგი იყო, თუ კი იგი მართლაც კარგობდა. ეს კი დიდი ღირსებაა ადამიანისათვის. შენ ამ დიდი ღირსებისაც პატრონი იყავი. აი, ამიტომ უფრო გგლოვს<sup>276</sup> ყველა, გგლოვს იმიტომ, რომ შენი სახე მათ სამუდამოთ თვალთაგან მიეფარა: ველარ გაგვახსოვნებს ჩვენი დარია მისის ქცევით ჩვენ საამაყო სახელს ძველი ქართველი ქალისას; ვერ დაგვანახებს ნათლად სიწმინდესა და უმანკობას ძველებურს იმ სიკეთის სხივით გარ-შემოსილს, რომელიც კაცს ცხოვრებით მიღლილს კიდევ სასიცოცხლო ძალას უნერგავს, კიდევ იმედს უღვიძებს. აი ესენი ყველა შენ გამო სამუდამოთ გაგვეცალა და მიტომაც გვაწვება თვალში ცრემლი, გულს – მწუხარება... შენ კი რა გიჭირს! შენ ნეტარი ხარ, ნეტარი მით, რომ იყავ იმ გვარი, „ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“. შენი ვალი მოიხადე; მხოლოდ ჩვენ, ვინც კი შენ გიცნობდით მიტომ ვართ ზარ-განხდილნი<sup>277</sup>, რომ შენი ჭვრეტა ასე ადრე მოგვესპო და არ დაგვალდა, რომ შენი კეთილი თვისებანი უფრო ფართო წრისათვისაც გეგრძნობინებინა – ვაი, ვაი, დარია, რომ მხოლოდ ესღაა სათქმელი შენზედ! ცრემლები მადრჩობს... მშვიდობით საუკუნოდ“!..

<sup>275</sup> დარია – დარია ფაღავა (1869-1899).

<sup>276</sup> გგლოვს – გლოვობს.

<sup>277</sup> ზარ-განხდილი – მიშგამოვლილი, შემინებული, შემკრთალი.

სიტყვა, თქმული მღვდლის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნეინა დარია  
ფაღავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში,  
1899 წლის 26 იანვარს

---

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული მღვდლის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნეინა დარია ფაღავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია კონსტანტინე ბერიძე (1892-1911 წწ.) – გურია-სამეგრელოს საეპარქიოს მღვდელი, დეკანოზი. სიტყვა მიემართება დესპინე (დარია) ფაღავას (1869-1899), რომელიც იყო ქუთაისის დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე. ის გახლდათ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელის, მელქისედევ ფაღავას მეუღლე. ცნობილია, რომ დარია ფაღავა (1869-1899) მხატვარმა მიხაი ზიჩიმ 1882 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმაში მიიწვია და ილუსტრაციებისათვის, თამარის და თინათინის პროტოტიპად გამოიყენა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცნობილია, რომ იგი 1899 წლის 18 იანვარს ქუთაისის თეატრში წარმოდგენის მსვლელობისას მოულოდნელად გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო (გაუცნობიერებლად მოწამლული საკვები შეჭამა, 5 დღე იტანჯა და 23 იანვარს გარდაიცვალა). მისი დაკრძალვის დღეს ქუთაისის თეატრმა წარმოდგენა გადადო. საზოგადოება გლოვობდა თავის მშვენიერებას. მწუხარების დღეებში „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჩიქოვანის (პონტოელის) წერილი – „სასიქადულო ქალის ხსოვნას“, ასევე დაიბეჭდა მსახიობ ნინო ჩხეიძის გამოსათხოვარი სიტყვა იმავე „ივერიაში“<sup>278</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, სათაურით „სიტყვა, თქმული ბლალოჩინის<sup>279</sup> კონ. ბერიძის მიერ კნეინა დარია ფაღავას დასაფლავებაზე, ს. ბანძაში (სამეგრელო), 26 იანვარს“<sup>280</sup>. ვთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>278</sup> გაზეთი „ივერია“, 1899, კვირა, 31 იანვარი, №23, გვ. 2.

<sup>279</sup> ბლალოჩინი – მღვდელი, განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეებს რუსეთის იმპერიაში.

<sup>280</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899, შაბათი, 6 თებერვალი, №743, გვ. 3.

**Speech Delivered by the Priest Konstantine Beridze at the Funeral of the  
Princess Daria Paghava, in Samegrelo, in the Village  
of Bandza, on January 26, 1899**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by the priest Konstantine Beridze at the funeral of Princess Daria Paghava, in Samegrelo, in the village of Bandza, on January 26, 1899]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Konstantine Beridze (1892-1911) – a priest of the Guria-Samegrelo Diocese, dean. The speech is addressed to Despina (Daria) Paghava (1869-1899), who was the chairman of the Kutaisi Dramatic Society. She was the wife of Melkisedek Paghava, the head of the Kutaisi Subdistrict Bank. It is known that Daria Paghava (1869-1899) was invited by the artist Mikhail Zichy to stage the live pictures of “The Knight in the Panther's Skin” in 1882 and he used her as the prototype for Tamar and Tinatin for the illustrations. As for her death, it is known that she died suddenly during a performance at the Kutaisi Theatre on January 18, 1899 due to an accident (she unknowingly ate poisoned food, suffered for 5 days and died on January 23). On the day of her funeral, the Kutaisi Theatre postponed the performance. The public mourned her beauty. During the days of mourning, a letter by Ilia Chikovani (Pontoeli) was published in “Iveria” – “In Memory of a Pious Woman”, and the farewell speech of actress Nino Chkheidze was also printed in the same “Iveria”<sup>281</sup>.

The speech was published in the newspaper “Tsnobis purtseli” under the title “Speech, said by Blagochini Kon. Beridze at the burial of Kneina Daria Paghava, in S. Bandza (Samegrelo), January 26”<sup>282</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>281</sup> Newspaper “Iveria”, 1899, Sunday, January 31, №23, p. 2 (in Georgian).

<sup>282</sup> Newspaper “Tsnobis purtseli”, 1899, Saturday, February 6, №743, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

**თქმული მღვდლის კონსტანტინე ბერიძის მიერ კნენა დარია ფალავას დაკრძალვაზე, სამეგრელოში, სოფ. ბანძაში, 1899 წლის 26 იანვარს**

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ“.

ჩვენ წინაშე მდებარეობს კუბოსა ამას შინა მიცვალებული ერთი ჩვენთა მოყვასთაგანი, ნეტარ ხსენებული კნენა დარია ფალავა. პირველად იციან ყოველთა და ჩვენცა ვსცნობთ და გვესმა, მისთვის, რომელ მიცვალებული ესე იყო ერთი ჩვენთა მოყვასთაგან, შთამომავლობით თავადიშვილი, შობიდან 30-ის წლისა. ვითარცა ვსცნობდით და გვესმა მისთვის, იგი იყო სიყრმიდგან აღზრდილი პატიოსანსა ოჯახსავე შინა თვისსა, რომელიც სარგებლობდა ბუნებითის ღვთისაგან მინიჭებულის ნიჭით, და არა სწავლა-განათლებლით, რომელიმე სასწავლებელში კურს დამთავრებულ და აქვდა შესწავლილი საღმრთო წერილი; ჰქონდა მტკიცედ შეყვარებულ-შეთვისებული იგი და აღსრულებდა საღმრთო მოვალეობას, ქრისტიანულის წესით (მაგრამ არა ისე, როგორც სხვანი მრავალნი) ლოცვასა და ვედრებასა შინა ღვთისასა. უყვარდა აგრეთვე კითხვა და განმარტება წმ. სახარების თარგმანისა და მსჯელობა ამის შესახებ, რომლითაც მრავალნი ვსარგებლობდით. არამც თუ მარტო საღმრთო წერილი, არამედ ერთი ქართული წიგნაკი და № რომელიმე გაზეთისა არ დარჩენია გადაუკითხავი, ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ განსვენებული სხვა და სხვა ნაწილებზე (როგორც მაგ. მედიცინაზე და სხვ.) ჰქონდა მსჯელობა. უფრო გასაკვირი ის არის, რომ ფილოსოფიაზედაც მსჯელობდა ხოლმე, მაშინ, როდესაც რუსული განსვენებულმა კარგად არ იცოდა და ქართულად ფილოსოფიაზე თითქმის არაფერი ცნობა არა გვაქვს ჩვენ, ქართველებს. ამ ბუნებითის ნიჭით შეკავშირებულმა გონიერითა ყოფა-ქცევითა, ზომიერითა ჭკუიანითა და მოხერხებულობითა ცხოვრებითა, გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა, შეიძინა, თუმცა არა დიდი, მაგრამ საკმაო სწავლა, რომლითაც სარგებლობდა: გაიცნო მაღალი საზოგადოება, გაერთო ლიტერატურაში, იღებდა მონაწილეობას და იბრძოდა სამშობლო ასპარეზზე, რომელსაც კი მოუმკია ჯეროვანი ნაყოფი. შრომა თქვენი არ დაიკარგება ამოდ, ვინაჲდგან იგი არის დაფუძნებული სიმართლესა და პატიოსნებასა ზედა. მე მაინც და მაინც დაწვრილებით არ ვიცი ცხოვრება თქვენი ნეტარ-ხსენებული კნენავ, გარნა დარწმუნებული ვარ სარწმუნო წყაროებიდგან, რომელსაც ამტკიცებდა თქვენი სახის მეტყველება, რომ საწოლი თქვენი იყო შეუფენებელი, ქმარს მსახურებდით ერთგულად, შვილებს ზრდიდით ქრისტიანულად, ძველებურ-ქართველად, სტუმართ მოყვარეობდით, პურ-ღვინო თქვენი იყო კურთხეულ უფლისა მიერ და ცხოვრება თქვენი მიდიოდა პირ-დაპირ პატიოსანის გზით. დიდი ღვაწლი მიგიძღვის ზოგიერთ პირთა და საზოგადოებისადმი: მართავდი წარმოდგენებს, საღამოებს და ლატარიებს, რომლითაც ხელს უწყობდით ახალ-თაობას (ღარბ სტუდენტობას) და სხვა საქველმოქმედო საქმეებს. სცდილობდით და შრომობდით სწავლა-განათლებაზე, სამშობლოს წარმატებაზე, პატიოსნებაზე და ბევრ სხვა საქმეებს ჰვიქრობდით მომავლისათვის, მაგრამ ყოველივე ესე მოკვეთა ულმობელმა სიკვდილმა და ბოლო მოუღო თქვენს ყოველივე წინა-განზრახვას.

თუმცა ნუგეშობს და ხარობს თქვენი სოფელი, სადაც შობილხარო, რადგან ჰხედავს დღეს თქვენს ცხედარს ხორციელად აქა მდებარეს, მაგრამ რა ქნას და რით ინუგეშოს სოფ. ზანამ, თქვენმავე სამშობლომ, სადაც სიყრმით შენიდგან სრულ ჰასაკობამდის აღზრდილხარო, რომელიც მწუხარედ იგონებს, რომელსაც წარმოვადგენთ ჩვენ, ზანელები, და რომელ მხარისაგან თქვენ მიიღეთ ბედნიერება და გვირგვინებითი კავშირი; ჩვენ ვსცრემლით ვგლოვთ და ვტირით თქვენისთანა ყოველივე სიკეთით და წარმატებით შემკული გვამის დაკარგვას, მაგრამ ჩვენცა ცოტათივე ვნუგეშობთ თქვენის გულ-კეთილობით, პატიოსნებით და კარგი ქალობით, რომელმანაც ასახელით (აღმზრდელი თქვენი მხარე) და ურცხვენელ ჰყავით თქვენი აღმზრდელი მხარე, სადაცა დიდ ხანს არ დაიკარგება თქვენი სახელის ხსენება.

დასასრულ ვვედრები ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა გულ-ტკივნეულთა ჭირისუფალთა და ნაცნობებთა თქვენთა ნუგეშ სცეს, და თქვენ „წიაღთა შინა აბრაამისათა განგისვენოს“.

საუკუნომცა იყოს ხსენება შენი ღირსო ნეტარებისაო და სამარადისოდ ხსენებულო „კნენავ, დარია“.

სიტყვა, წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნეინა  
ელენე გრუზინსკის დასაფლავებაზე, ქ. მცხეთაში,  
1903 წლის 24 აპრილს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნეინა ელენე გრუზინსკის დასაფლავებაზე, ქ. მცხეთაში, 1903 წლის 24 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია სოფ. ახალქალაქში მოღვაწე მასწავლებელი ნიკო თარხნიშვილი. სიტყვა მიემართება ელენე ზაქარიას ასულ თარხან-მოურავს (1831-1903), რომელიც იყო ალექსანდრე ბაგრატიონ-გრუზინსკის (1820-1865) პირველი მეუღლე. მათი ვაჟი, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი (1857-1922), გახლდათ რუსეთის იმპერატორის სახელმწიფო მრჩეველი და კამერჰერი, რაც ყველაზე მაღალ წოდებად მიიჩნეოდა. დასაფლავებას ესწრებოდა მრავალრიცხოვანი საზოგადოება თბილისიდან, ახალქალაქიდან და უახლოესი სოფლებიდან, სხვადასხვა წოდებისა და ეროვნების ადამიანები, მათ შორის, კნ. მარიამ ორბელიანი, თბილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. მელიქიშვილი, თბილისისა და გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი თ-დნი საგინაშვილი და ბაგრატიონ-დავითაშვილი, გენერალ-ადიუტანტი თ-დი ამილახვარი, თ-დი ილია ჭავჭავაძე, თბილისის სკოლის გამგე მოწაფეებით, ბ-ნი დ. სარაჯიშვილი და სხვ.<sup>283</sup> აქვე აღნიშნულია შემდეგი: „შესაფერისი სიტყვები წარმოთქვეს მღვდელმა მარკოზ ტყემალაძემ, მღვდელმა გრიგოლ გძელიშვილმა, ახალქალაქის მონდობილებით თავადმა ნიკოლოზ თარხნიშვილმა და ანეტა კაპანაძისამ“<sup>284</sup>.

სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, სათაურით „უგანათლებულესის კნეინა ელენე გრუზინსკის დასაფლავება“<sup>285</sup>. სიტყვას წინ უძღვის ამ სამწუხარო მოვლენის აღწერილობა: „ხუთშაბათს, 24 ამა აპრილს, მცხეთის ტაძარში დაკრძალეს გვამი საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი მე-XIII შვილის-შვილის მეუღლის, უგანათლებულესის კნ. ელენე გრუზინსკისა, ზაქარია თარხნიშვილის ასულისა“<sup>286</sup>. აქედან ვარკვევთ სიტყვის წარმოთქმის ზუსტ დროსა და ადგილს. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

<sup>283</sup> გაზეთი „ივერია“, 1903, შაბათი, 26 აპრილი, №90, გვ. 2.

<sup>284</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>285</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>286</sup> იქვე, გვ. 2.

## Speech Delivered by Niko Tarkhnishvili at the Funeral of Princess Elene Gruzinsky, in Mtskheta, on April 24, 1903

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Niko Tarkhnishvili at the funeral of Princess Elene Gruzinsky, in Mtskheta, on April 24, 1903]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Niko Tarkhnishvili, a teacher working in the village of Akhalkalaki. The speech is addressed to Elene Tarkhan-Mouravi (1831-1903), who was the first wife of Alexander Bagration-Gruzinsky (1820-1865). Their son Peter Bagration-Gruzinsky (1857-1922) was a state advisor and chamberlain of the Russian Emperor, which was considered the highest rank. The funeral was attended by a large congregation from Tbilisi, Akhalkalaki and the nearby villages, people of various ranks and nationalities, including Mariam Orbeliani, Tbilisi Governor Mr. Svechin, Tbilisi Governorate Nobility Leader Mr. D. Melikishvili, Tbilisi and Gori Nobility Leaders Mr. Saginashvili and Bagration-Davitashvili, Adjutant General Mr. Amilakhvari, Mr. Ilia Tchavtchavadze, Tbilisi School Director with students, Mr. D. Sarajishvili and others<sup>287</sup>. The following is also noted: "...appropriate words were delivered by Pastor Markoz Tqemaladze, Pastor Grigol Gdzlishvili, Akhalkalaki delegates Prince Nikoloz Tarkhnishvili and Aneta Kapanadze."<sup>288</sup>

The speech was published in the newspaper "Iveria" under the title "The Burial of the Most Educated Countess Elene Gruzinsky"<sup>289</sup>. The speech is preceded by a description of this sad event: "On Thursday, April 24, the body of the wife of the great-grandson of the last king of Georgia, George XIII, the Most Educated Countess Elene Gruzinsky, daughter of Zakaria Tarkhnishvili, was buried in the Mtskheta Cathedral"<sup>290</sup>. From this we can deduce the exact time and place of the speech. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>287</sup> Newspaper "Iveria", 1903, Saturday, April 26, №90, p. 2 (in Georgian).

<sup>288</sup> Ibid, p. 2.

<sup>289</sup> Ibid, p. 2.

<sup>290</sup> Ibid, p. 2.

სიტყვა

**წარმოთქმული ნიკო თარხნიშვილის მიერ კნეინა ელენე გრუზინსკის  
დასაფლავებაზე, ქ. მცხეთაში, 1903 წლის 24 აპრილს**

„დღეს ჩვენის ახალქალაქის პატარა საზოგადოებაც სხვებთან ერთად, განურჩევლად წოდებისა, დასტირის და სამუდამოდ აბარებს დიდებულ მცხეთის ტაძარს შენს ნაშთს, ტკბილო დედაო და ჩვენის სოფლის საუკეთესო პატრონო.

სტირის იმას, რომ შეუბრალებელმა და დაუნდობელმა სიკვდილმა სამუდამოდ გამოსტაცა ხელიდან შენისთანა დაუღალავი და დაუზარებელი ქველ-მომქმედი, რომლის გონივრული დარიგება არა ერთხელ ტკბილ მალამოსავით ჰკურნავდა ცხოვრებისაგან დაჩაგრულ მუშაკის გულს.

ის გულ-საკლავი ქვითინი და მწუხარება, როგორც ჩვენის თავად-აზნაურობისა, ისე გლეხ-კაცობისა, უტყუარი მოწამეა შენდამი სიყვარულისა და პატივის ცემისა. შენს ნათელს სურათს ვერც დრო და ვერც გარემოება ჩვენი საზოგადოების გულიდან ვერ ამოჰფხვრის.

დიდს ბატონიშვილის მეუღლევ, კარგის ოჯახის ქალო და ამასთანავე შესაფერადვე განათლებულო! შენი სიცოცხლე იყო ახალქალაქის ჩაგრულ ხალხის გამუდმებული მოვლა-პატრონობა: მისი ვარამი იყო შენი ვარამი და მისი სიცილი – შენი სიცილი.

შენს მახვილს ყურს ვერ გამოეპარებოდა ვერას დროს ის შორეული ღარიბის კაცის ქოხი, საიდგანაც გამოდიოდა გულ-საკლავი კვნესა და ამ ქოხს არა ერთხელ მიჰფენია ნათელი შენის იქ მისვლით.

გესმოდა კარგად, რა მძლავრი იარაღია ცხოვრებაში სწავლა-განათლება და აკი თავმოწონებითაც შეგიძლიან სთქვა, რომ არ დაჰზოგე არც ჯანი და არც ღონე, რათა ამ იარაღით შეჭურვილი შვილები დაგელოცნა ჩვენის დაჩაგრულის ხალხის პატრონად! აი, ბატონებო, ეს მადლიანი და მირონ-ცხებული არსება, რომლის ნაშთსაც, თუმცა ცრემლ მორევით, მაგრამ სიამაყით ვაბარებთ დიდებულ მცხეთის სვეტი-ცხოველსა.

განისვენე მშვიდობით, პატიოსანო გვამო! საუკუნოდ იქნება ხსენება შენი, მით უფრო რომ ის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა და ქველ მოქმედების დროშა, რომელიც შენ შეურყევლად მიიტანე სამარემდე, კიდევ საიმედოდ აფრიალდება შენთა მემკვიდრეთა ხელში.“

## სიტყვა, წარმოთქმული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

### (მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილი (1857-1920) – მსახიობი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე. ლადო ალექსი-მესხიშვილი თავდაპირველად სწავლობდა თბილისში „კანონიჩის ფრანგულ პანსიონში“, ხოლო შემდეგ ლეზენდორფის გერმანულ პანსიონში. 1887-1890, 1906-1910 და 1915-1920 წლებში ლადო ალექსი-მესხიშვილი რუსულ სცენაზე გამოდიოდა. 1890-1896 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის, ხოლო 1897-1906 წლებში – ქუთაისის დრამატულ დასებს. 1892 წლიდან იგი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი. იგი 40 წლის განმავლობაში ემსახურა ქართულ კულტურას, დადგა 100-ზე მეტი სპექტაკლი და ამდენივე როლი განასახიერა სცენაზე. 1930 წელს, მსახიობს, გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1940 წელს ქუთაისის დრამატულ თეატრს მისი სახელი მიენიჭა. სიტყვის ადრესატია ნატალია (ნატო) გაბუნია-ცაგარელი (1859-1910) – ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის მეუღლე. სასცენო მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქ გორში დაიწყო ხელოსნების მიერ დაარსებულ სცენისმოყვარეთა დრამწრეში. 1879 წელს მსახიობად მიიწვიეს თბილისის ქართულ პროფესიულ თეატრში. მას ჰქონდა ჩინებული სასცენო მონაცემები. შესანიშნავად ფლობდა მეტყველების, პლასტიკური გამომსახველობისა და სიმღერის ხელოვნებას. მისთვის პიესებს სპეციალურად წერდნენ: ილია ჭავჭავაძე („მაჭანკალი“), აკაკი წერეთელი („კინტო“), ავქსენტი ცაგარელი („ხანუმა“), დავით კლდიაშვილი („დარისპანის გასაჭირი“). შესრულებული აქვს შემდეგი როლები: დედა, ხორეშანი, მაჭანკალი (ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედა“, „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, „მაჭანკალი“), სალომე (აკაკი წერეთლის „კინტო“), ხანუმა, თალალა, ორომსე, ქალია (ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“, „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“<sup>53</sup>, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“), გლეხი დედაკაცი (დავით ერისთავის „სამშობლო“), კუკუშკინა (ალექსანდრე ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), შუშანიკა, ხამფერა (გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“, „ხათაბალა“) და სხვ. მონაწილეობდა ოპერეტებშიც.

სიტყვა გამოქვეყნდა 1910 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთის“ პუბლიკაციაში სათაურით „ნ. მ. გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალება“<sup>291</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

<sup>291</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1910, შაბათი, 21 აგვისტო, №88, გვ. 3.

## Speech Delivered by Vladimer Alexi-Meskhishvili on the Occasion of the Death of Natalia Gabunia-Tsagareli, on August 16, 1910

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Vladimer Alexi-Meskhishvili on the occasion of the death of Natalia Gabunia-Tsagareli, on August 16, 1910]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Vladimer (Lado) Alexi-Meskhishvili (1857-1920) – an actor, director, and public figure. Lado Alexi-Meskhishvili initially studied in Tbilisi at Canonici's French boarding school and later at the Lesendorf German boarding school. In the periods 1887-1890, 1906-1910, and 1915-1920, he performed on the Russian stage. From 1890 to 1896 he headed the Tbilisi drama troupe, and from 1897 to 1906 the Kutaisi drama troupe. Since 1892, he had been a full member of the "Society for the Spreading of Literacy among Georgians". For forty years he served Georgian culture, staging more than 100 theatrical productions and performing an equal number of roles on stage. In 1930, on the tenth anniversary of his death, he was posthumously awarded the title of People's Artist of Georgia, and in 1940 the Kutaisi Drama Theatre was named in his honor. The addressee of the speech is Natalia (Nato) Gabunia-Tsagareli (1859-1910) – Georgian actress, one of the best representatives of Georgian realistic school, wife of playwright Avksenti Tsagareli. She began her stage career in her hometown of Gori, in the Drama Theatre of Stage Lovers, founded by craftsmen. In 1879, she was invited as an actress to the Georgian Professional Theatre in Tbilisi. She had excellent stage skills. She perfectly mastered the art of speech, plastic expression, and singing. Plays were written specifically for her by Ilia Tchavtchavadze ("Matchankali"), Akaki Tsereteli ("Kinto"), Avksenti Tsagareli ("Khanuma"), and Davit Kldiashvili ("Darispani's Trouble"). She has performed the following roles: Mother, Khoreshan, Matchmaker (Ilia Tchavtchavadze's "Mother of Georgia", "Scenes from the Early Days of the Peasants' Liberation", "Matchmaker"), Salome (Akaki Tsereteli's "Kinto"), Khanuma, Talala, Oromse, Kalia (Avksenti Tsagareli's "Khanuma", "As You Come Svina, So Go Home", "What You Have Seen, You Will Never See Again", "Sibiryani"), Peasant Woman (David Eristavi's "Motherland"), Kukushkina (Alexander Ostrovsky's "Arable Land"), Shushanika, Kh-amphera (Gabriel Sundukian's "Pepo", "Khatabala") and others. She also participated in operettas.

The speech was published in 1910 in the newspaper "Sakhalkho Gazeti" under the title "The Death of N. M. Gabunia-Tsagareli."<sup>292</sup> Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>292</sup> Newspaper "Sakhalkho Gazeti", 1910, Saturday, 21 August, №88, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ ნატალია გაბუნია-  
ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს**

„მვირფასო დაო, და ამხანაგო ნატო!

ნეტავი შეგეძლოს შეხედო და დაინახო ეს კედლები, რომლებიც ჩვენ თანაგვიგრძნობენ მწუხარებას და გიგლოვენ შენ! მწამს, რომ შენი სამუდამოდ ჩამქრალი გული ძალა-უნებურად დაიწყებს ძგერას იმ ადგილის დანახვით, სადაც ოც-და-ათი წლის განმავლობაში ატკობდა და აძგერებდა მაყურებელთა გულს. ამ ქვებს რომ შეეძლოთ ლაპარაკი, – დაატკობდნენ ყურთა სმენას აქ მოგროვილ ხალხისას, რომელიც მოვიდა შენთან გამოსასალმებლად. შენ მორჩი ამ ქვეყნის ტანჯვა-ვაებას, მაგრამ შენი ძველ ამხანაგების გულში ამოუფხვრელი კვალი დასტოვე. მხოლოდ ერთს საყვედურს გეტყვით: რად დაგვაობლე, რად დასტოვე უნუგემოდ ისედაც უბედური ჩვენი სამშობლო სცენა?

რად დაგვიობლე ჩვენი ვასო, რომელიც დაგტირის თავსა? ვინ ეყოლება გვერდით უღელში, იმ მძიმე, მაგრამ მშვენიერ და ძლიერ უღელში, რომელსაც ორთავენი ერთგულად ეწეოდით? შენ გადახვედი საუკეთესო, საუკუნო ცხოვრებაში და ჩვენ ცოცხალნი, აქ დარჩენილნი შენი ამხანაგები გემუდარებით მოტყეებასა, თუ რამე შეგცოდეთ და გაწყენიეთ.

შენც შეევედრე ყოვლად შემძლებელს ღმერთს, შეგვიბრალოს, ისმინოს შენი ლოცვა-ვედრება და მოგვივლინოს შენი რამ მსგავსი.

მადლობით აღჭურვილი შთამომავლობა, მთლად საქართველო საუკუნოთ იხსენიებს შენს დიადს ღვაწლს სამშობლოსადმი. იძინე, განისვენე, მშვიდობით...“

## სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

### (მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია იოსებ იმედაშვილი (1876-1952) – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, ასევე გაზეთებს – „ხალხის ერთობა“ და „ხალხის თავისუფლება“. სიტყვის ადრესატია ნატალია (ნატო) გაბუნია-ცაგარელი (1859-1910) – ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის მეუღლე. სასცენო მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქ გორში დაიწყო ხელოსნების მიერ დაარსებულ სცენისმოყვარეთა დრამწრეში. 1879 წელს მსახიობად მიიწვიეს თბილისის ქართულ პროფესიულ თეატრში. მას ჰქონდა ჩინებული სასცენო მონაცემები. შესანიშნავად ფლობდა მეტყველების, პლასტიკური გამომსახველობისა და სიმღერის ხელოვნებას. მისთვის პიესებს სპეციალურად წერდნენ: ილია ჭავჭავაძე („მაჭანკალი“), აკაკი წერეთელი („კინტო“), ავქსენტი ცაგარელი („ხანუმა“), დავით კლდიაშვილი („დარისპანის გასაჭირი“). შესრულებული აქვს შემდეგი როლები: დედა, ხორეშანი, მაჭანკალი (ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედა“, „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, „მაჭანკალი“), სალომე (აკაკი წერეთლის „კინტო“), ხანუმა, თალაღა, ორომსე, ქალია (ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“, „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“<sup>53</sup>, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“), გლეხი დედაკაცი (დავით ერისთავის „სამშობლო“), კუკუშკინა (ალექსანდრე ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), შუშანიკა, ხამფერა (გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“, „ხათაბალა“) და სხვ. მონაწილეობდა ოპერეტებშიც.

სიტყვა გამოქვეყნდა 1910 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთის“ პუბლიკაციაში სათაურით „ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება“<sup>293</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

<sup>293</sup> გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1910, შაბათი, 21 აგვისტო, №88, გვ. 3.

## Speech Delivered by Ioseb Imedashvili on the Occasion of the Death of Natalia Gabunia-Tsagareli, on August 16, 1910

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Ioseb Imedashvili on the occasion of the death of Natalia Gabunia-Tsagareli, on August 16, 1910]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Ioseb Imedashvili (1876-1952) – a Georgian writer, public figure. He edited the journal “Teatri da tskhovreba”, as well as the newspapers “Khalkhis ertoba” and “Khalkhis tavisupleba”. The addressee of the speech is Natalia (Nato) Gabunia-Tsagareli (1859-1910) – Georgian actress, one of the best representatives of Georgian realistic school, wife of playwright Avksenti Tsagareli. She began her stage career in her hometown of Gori, in the Drama Theatre of Stage Lovers, founded by craftsmen. In 1879, she was invited as an actress to the Georgian Professional Theatre in Tbilisi. She had excellent stage skills. She perfectly mastered the art of speech, plastic expression, and singing. Plays were written specifically for her by Ilia Tchavtchavadze (“Matchankali”), Akaki Tsereteli (“Kinto”), Avksenti Tsagareli (“Khanuma”), and Davit Kldiashvili (“Darispan's Trouble”). She has performed the following roles: Mother, Khoreshan, Matchmaker (Ilia Tchavtchavadze's “Mother of Georgia”, “Scenes from the Early Days of the Peasants' Liberation”, “Matchmaker”), Salome (Akaki Tsereteli's “Kinto”), Khanuma, Talala, Oromse, Kalia (Avksenti Tsagareli's “Khanuma”, “As You Come Svina, So Go Home”, “What You Have Seen, You Will Never See Again”, “Sibiryani”), Peasant Woman (David Eristavi's “Motherland”), Kukushkina (Alexander Ostrovsky's “Arable Land”), Shushanika, Khamphera (Gabriel Sundukian's “Pepo”, “Khatabala”) and others. She also participated in operettas.

The speech was published in 1910 in the newspaper “Sakhalkho Gazeti” under the title “The Death of N. M. Gabunia-Tsagareli.”<sup>294</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>294</sup> Newspaper “Sakhalkho Gazeti”, 1910, Saturday, 21 August, №88, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ნატალია გაბუნია-ცაგარელის  
გარდაცვალების გამო, 1910 წლის 16 აგვისტოს

„ქართული თეატრის დედოფალო, სამშობლო სცენის მშვენიერაო. მოკვდავ ხატებათა უკვდავად გარდამქმნელო! ეგოდენ საზოგადოების დუმილით გამოხატულ მწუხარებას რაღა უნდა შემატოს ჩემმა უბრალო სიტყვამ?..

მაგრამ მე მაინც მინდა აღვნიშნო შენი ერთი თვისება, რომელსაც მოკლებულია ჩვენი საზოგადოება; თვისება, რომელსაც ვერა გრძნობენ ჩვენი საზოგადოების წევრნი.

ეს იყო შენი შეუდრეკელი რწმენა თავის თავისა, ურომლისოთაც არც ერთი ადამიანი სრულ კაცად არ ჩაითვლება...

შენ გწამდა, რომ დიდებულს საქმის შესასრულებლად იყავ მოწოდებული და ეს საქმე შეასრულე კიდეც...

შენ ისეთ დროს დაიწყე სასცენო მოღვაწეობა, როდესაც ქართული თეატრის მსახიობნი ბიჭ-ბუჭებად იყვნენ მიჩნეულნი და თეატრი სამასხაროდ დასახული, მაგრამ შენმა ნიჭმა სძლია საზოგადოებრივი გულციობა და გამარჯვებულის გამოხვეულ ამ საქმეში...

ოც და-ათი წელიწადი ემსახურე სამშობლო სცენას და დიდებული საქმეც შეასრულე...

დიდებული საქმეა ეროვნული თეატრის შექმნა და ამ თეატრის ერთი შემქნელთაგანიც შენა ხარ... მაგრამ, ნამაგდარო მუშაკო, ნუ თუ არ იცოდი, რომ შენი სიკვდილი უდროვო იყო...

მვირფასო დედაო, ნუ თუ არ იცოდი, რომ ქართველ ქალს ჯერ კიდეც არა აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა სამშობლო ქვეყნის წინაშე? ნუ თუ არ იცი, რომ ქართველ ქალს რწმენა გაჰქრობია და არარად ქმნილა?!

რად მიგვატოვე ასე ადრე?!

ქართული სცენა დაობლდა, ჩანელდა მისი სამსხვერპლო დროებით მაინც...

მაგრამ „თეატრი და ცხოვრების რედაქცია“<sup>295</sup> დარწმუნებულია, რომ ის ერი, რომელმაც შენ და შენისთანა სამი-ოთხი მსახიობი წარმოშობა, მომავალშიაც არ მოგვაკლებს თავის მოწყალებას...

დედაო, შენ არა ხარ მკვდარი, – არ არის მკვდარი, ვინც „დიდის“ ღმერთის საკურთხეველს უძღვნა სიცოცხლე თვისი...

განისვენა შენმა ნამაგდარმა სხეულმა...

დედაო, თუ საიქიო არსებობს, თუ იქ არსებობს, იმ ქვეყნიური ცხოვრება, ილოცე, ილოცე ჩვენთვის, რომ ჩვენს დაობლებულ სცენას შენისთანა თუ არა, შენი აჩრდილი მაინც წარმოუვლინოს...

მშვიდობით დიდებული საქმის მესვეურო, ქართული სცენის ვარსკვლავო და მშვენიერაო, მშვიდობით, ჩვენო აღმზრდელო დედაო...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.“

<sup>295</sup> იგულისხმება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია, რომლის რედაქტორიც იყო სიტყვის ავტორი, იოსებ იმედაშვილი.

გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ  
ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ  
მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში,  
ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია იოსებ იმედაშვილი (1876-1952) – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, ასევე გაზეთებს – „ხალხის ერთობა“ და „ხალხის თავისუფლება“. სიტყვის ადრესატია ეკატერინე ფორაქიშვილი (1862-1916) – ქართველი მეცენატი, ქველმოქმედი. ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელ, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედ დავით სარაჯიშვილის მეუღლე. 1880 წელს ეკატერინე ცოლად გაჰყვა ქართველ მეწარმესა და ქველმოქმედ დავით სარაჯიშვილს. სარაჯიშვილების სახლი მდებარეობდა სერგეევის, შემდგომში ივანე მაჩაბლის, ქუჩაზე, სადაც დღეს მწერალთა სახლია განთავსებული. მათი სახლი ლიტერატურული სალონის ფუნქციას ითავსებდა, სადაც იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. აქ წაიკითხა პირველად ილია ჭავჭავაძემ „განდეგილი“ და „ოთარანთ ქვრივი“. მეუღლის მსგავსად, ეკატერინეც ჩართული იყო საქველმოქმედო საქმიანობაში. მფარველობდა ქვრივ-ობლებს, ნიჭიერ ახალგაზრდებს. მოსკოვში სასწავლებლად მყოფ ქართველ ქალებს უფინანსებდა განათლებას. დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ეკატერინე უძღვებოდა ოჯახის მდიდარ მეურნეობას, წარმოებას და საქველმოქმედო საქმიანობას. 1916 წლის ზაფხულში ეკატერინე კისლოვოდსკში იმყოფებოდა სამკურნალოდ, როცა გაიგო, რომ თბილისში სახლის ჩამორთმევას უპირებდნენ სამხედრო საჭიროებისთვის გამოსაყენებლად. იგი თბილისისკენ გამოემგზავრა და 5 აგვისტოს გზაში გარდაიცვალა. 11 აგვისტოს ეკატერინეს ნეშტი თავისი ქმრის გვერდით, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

სიტყვა გამოქვეყნდა 1916 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, სათაურით „გამოსათხოვარი სიტყვა“, ხოლო ქვესათაურით „ეკ. ივ. სარაჯიშვილის სამარესთან თქმული მარიამობისთვის 11 დიდუბეში“<sup>296</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>296</sup> ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, კვირა, 21 აგვისტო, №34, გვ. 8-9.

**Farewell Speech Delivered by Ioseb Imedashvili at the Funeral of Ekaterine Sarajishvili, at the Didube Pantheon of Georgian Writers and Public Figures, in Tbilisi, on August 11, 1916**

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Farewell speech delivered by Ioseb Imedashvili at the funeral of Ekaterine Sarajishvili, in the Pantheon of Georgian Writers and Public Figures in Didube, in Tbilisi, on August 11, 1916]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Ioseb Imedashvili (1876-1952) – a Georgian writer, public figure. He edited the journal “Teatri da tskhovreba”, as well as the newspapers “Khalkhis ertoba” and “Khalkhis tavisupleba”. The addressee of the speech is Ekaterine Porakishvili (1862-1916) – a Georgian patron of the arts, philanthropist. The wife of the founder of Georgian cognac production, public figure and philanthropist Davit Sarajishvili. In 1880, Ekaterine married a Georgian entrepreneur and philanthropist Davit Sarajishvili. The Sarajishvili family's house was located on Sergeev Street, later Ivane Machabeli Street, where the Writers' House is located today. Their house served as a literary salon, where famous writers and public figures gathered. It was here that Ilia Tchavtchavadze first read “The Hermit” and “The Widow of Otara”. Like her husband, Ekaterine was involved in charity work. She patronized widows, orphans, and talented young people. She financed the education of Georgian women studying in Moscow. After the death of David Sarajishvili, Ekaterine led the family's wealthy farm, production, and charity work. In the summer of 1916, Ekaterine was in Kislovodsk for treatment when she learned that they were planning to seize the house in Tbilisi and use it for military needs. She left for Tbilisi and died on the way on August 5. On August 11, Catherine's remains were buried next to her husband in the Didube Pantheon.

The speech was published in 1916 in the journal “Teatri da tskhovreba” under the title “A Prayerful Speech” and the subtitle “Said at the Tomb of Ek. Iv. Sarajishvili for the Virgin Mary in Didube 11”<sup>297</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>297</sup> Magazine “Teatri da tskhovreba”, 1916, Sunday, August 21, №34, pp. 8-9 (in Georgian).

გამოსათხოვარი სიტყვა

წარმოთქმული იოსებ იმედაშვილის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვისას, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქ. თბილისში, 1916 წლის 11 აგვისტოს

„სიკვდილმა ჩამოიარა – ვაი ერთის პატრონსაო.

ჩვენი ერთი იყო იგი, რომელიც აგერ ჩვენს წინაშე განისვენებს, იგი, რომელიც, თურმე, სხვათაგან დანგრეული ჩვენი ოჯახის აღდგენაზე ზრუნავდა...

პატრონი-კი ჩვენ, რომელთა შორის ფრიად ბევრია ოჯახის დამანგრეველი, მამა-პაპის კერის დამამხობელი, წინაპართა მიწა-წყლის გამფლანგველი...

მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ჩარხი უკულმა შეტრიალდა, ქართველი ქალი გადაგვარების გზას დაადგა, გარეგნული განათლებით შემკული გაუთავებელ ფუქსავატობაში ფლანგავდა ქონებასა და ოჯახურ ზნეობრივ მოვალეობას, მაშინ, როდესაც ქართველი ქალის დიდი უმეტესობა ივიწყებდა და ივიწყებს დედისა და შვილის მოვალეობას, ეს მოგვევლინა სწორუპოვარ დედა-მეუღლისა და ოჯახის ამგების ხატებად.

მაშინ, როდესაც ჩვენი ერის დიდი ნაწილი მამა-პაპეულ მამულ დედულს პირად სიამოვნებაში ფლანგავდა, ფლანგავს და მემკვიდრე – შთამომავლობისთვის არასა ზრუნავს, აჰა, ეს ადამიანი მთელს სიცოცხლეს მხოლოდ იმიტომ ზრუნავდა, ცალს ცალზე ადებდა, მონაგარს ჰზოგავდა, რომ უძეო-უშვილოს მთელი ერი ეშვილა და მისთვის სულისა და სხეულის საზრდო გაეჩინა...

განსვენებულმა დიდი შორს-მჭვრეტელობა გამოიჩინა თვისი ქონების გონივრული განაწილებით.

მან, ვითარცა გონება-ნათელმა ქალმა, კარგად იცოდა, რომ ხელოვნების ტაძარს – თეატრს ჩვენს ბედში მყოფათათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მის აგებას სამირკველი ჩაუყარა...

მან, ვითარცა ჩვენი ხალხის მზრუნველმა დედამ, კარგად იცოდა, რომ ჩვენი ქვეყანა სწავლითა და გამოსადეგი ცოდნით ჩამორჩენილია და ამიტომაც ქართველ ხალხში წერა-კითხვის – ცოდნის გავრცელებას სახსარი გაუჩინა.

მან, ვითარცა მშობლიურ ოჯახში – სამშობლო ნიადაგზე აღზრდილმა მამულიშვილმა ქალმა, კარგადა იცოდა, რომ ერი, რომელმაც თვისი წარსული არ იცის, აწმყოს ვერ გაითვალისწინებს, მომავალს ვერ გაიბრწყინებს, – და ამიტომაც დიდი თანხა დაუტოვა ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას...

მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ მან კიდევ ერთი მკვიდრი ქვა ჩააგდო ამერ-იმერეთისა და სრულიად საქართველოს გაერთიანების სამირკველში.

და ამით გვითხრა – საქართველო ერთია, უნდა გამთელდესო...

დიდო დედაო ეკატერინე! გაივლის ჟამი და დღეს შენგან კეთილ-ქმნილ საქმეთა შედეგი ერთი ასად განბრწყინდება ნაყოფით თვისითა, – მოდგმათა მოდგმა გულში გატარებს, მშრომელის ხელი მუდამ პირველად გამოისახავს და ზენაარს შესთხოვს შენს საუკუნო ნეტარ განსვენებას, ხოლო ერი ინეტარებს ნამოქმედართა შენითა!

ნება მომეცი მუხლთ მოვიდრიკო და თავყანი გცე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სახელით შენ, რომელმაც ქართული ხელოვნების ტაძრის აგებას სამირკველი ჩაუყარე, წერა-კითხვის გავრცელებას იარაღი მიეცი, ჩვენის წარსულის შესწავლას ფრთა შეასხი... ქართული სცენის მელომენა<sup>298</sup> მუდამ, კურთხევით მოგიხსენიებს და ვიდრე იგი უკვდავებს – შენც უკვდავ დარჩები, ვითარცა ხელოვნების დიდი მფარველი – დიდი დედა!..

არ მოკვდება ქართული სცენა და მწერლობა – არ გაჰქრება შენი ხსენებაც!..“

<sup>298</sup> მელომენე – ბერძნულ მითოლოგიაში ზევსისა და მნემოსინას ასული, ერთ-ერთი ცხრა მუზათაგანი, პირველად ზოგადად სიმღერის, შემდეგ კი სამგლოვიარო სიმღერის, სასცენო ხელოვნებისა და ტრაგედიის მუზა. ის იყო თეატრალურად მოსილი მაღალი ქალღმერთი, რომელსაც თავზე ვაზის გვირგვინი ედგა, ხელში კი ხმალი და ტრაგიკული ნიღაბი ეჭირა.

## სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ბერიძის მიერ ელენე ახვლედიანის გარდაცვალების გამო, ქ. თბილისში, 1976 წლის იანვარს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

### (მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ბერიძის მიერ ელენე ახვლედიანის გარდაცვალების გამო, ქ. თბილისში, 1976 წლის იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ვახტანგ ბერიძე (1914-2000) – ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი (1973-1988), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. სიტყვის ადრესატია ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანი (1901-1975) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი (1960). რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971). 1922 წელს სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იმავე წელს, როგორც აკადემიის სტიპენდიატი, საზღვარგარეთ მიავლინეს და სწავლა გააგრძელა პარიზში, კოლაროსის აკადემიაში (1922-1927). 1927 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ახვლედიანის მკაფიო ინდივიდუალურობა და თვითმყოფადობა მხატვრის ყველა ჟანრში გამოვლინდა. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ქართული პეიზაჟური მხატვრობის განვითარებაში. მას აქვს შესრულებული თბილისის, სიღნაღისა და თელავის ძველი უბნებისადმი მიძღვნილი პეიზაჟები. მისი მნიშვნელოვანი ფერწერული ნამუშევრებია: „ძველი თბილისი“ (1924, კერძო კუთვნილება, თბილისი), „კახეთი. ზამთარი“ (1924, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), „ძველი თბილისი“ (1926, კერძო კუთვნილება, პარიზი), „პარიზის ერთ-ერთი კუთხე“ (1926, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), „თელავი“ (1927, კერძო კუთვნილება, თბილისი), „ალაზნის ველი“ (1954), „იმერეთი“ (1956, ორივე საქართველოს სურათების გალერეა, თბილისი), „შემოდგომა“ (1959, კერძო კუთვნილება, თბილისი) და სხვ. ახვლედიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული სცენოგრაფიის განვითარებას. თეატრის მხატვრად მუშაობა 1928-იდან დაიწყო კ. მარჯანიშვილის თეატრში (ქუთაისი) და არ შეუწყვეტია მთელი სიცოცხლის განმავლობაში. გააფორმა 72 სპექტაკლი, როგორც თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების, ისე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის თეატრებში. გარდაიცვალა 1975 წლის 30 დეკემბერს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

სიტყვა გამოქვეყნდა 1976 წელს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“, სათაურით „გამოსათხოვარი სიტყვა“<sup>299</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>299</sup> ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, №2, გვ. 42-43.

## Speech Delivered by Vakhtang Beridze on the Occasion of the Death of Elene Akhvlediani, in Tbilisi, in January, 1976

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Vakhtang Beridze on the occasion of the death of Elene Akhvlediani, in Tbilisi, in January, 1976]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Vakhtang Beridze (1914-2000) – Georgian scientist, art historian, Doctor of Art History (1959), professor (1960), Honored Worker of Science of Georgia (1964), Academician of the Georgian Academy of Sciences (1974), Director of the G. Chubinashvili Institute of Georgian Art History (1973-1988), member of the main editorial board of the Georgian Soviet Encyclopedia. The addressee of the speech is Elene Akhvlediani (1901-1975) – Georgian painter, graphic artist, theater and film artist. People's Artist of the Georgian SSR (1960). Laureate of the Rustaveli State Prize (1971). In 1922 she studied at the Tbilisi Academy of Arts. In the same year, as a scholarship holder of the Academy, she was sent abroad and continued her studies in Paris, at the Collaros Academy (1922-1927). In 1927 she returned to her homeland. Akhvlediani's distinct individuality and originality were manifested in all genres of the artist. Her contribution to the development of Georgian landscape painting is especially great. She has painted landscapes dedicated to the old districts of Tbilisi, Signaghi and Telavi. Her important paintings are: “Old Tbilisi” (1924, private collection, Tbilisi), “Kakheti. Winter” (1924, Georgian Museum of Art, Tbilisi), “Old Tbilisi” (1926, private collection, Paris), “One of the Corners of Paris” (1926, Georgian Museum of Art, Tbilisi), “Telavi” (1927, private collection, Tbilisi), “Alazani Valley” (1954), “Imereti” (1956, both Georgian Picture Galleries, Tbilisi), “Autumn” (1959, private collection, Tbilisi) and others. Elene Akhvlediani made a great contribution to the development of Georgian scenography. She began working as a theater artist in 1928 at the K. Marjanishvili Theater (Kutaisi) and did not stop throughout her life. She staged 72 performances in the theaters of Tbilisi and other cities of Georgia, as well as Moscow, Leningrad, Kiev and Kharkiv. She died on December 30, 1975. She is buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures.

The speech was published in 1976 in the journal “Soviet Art” under the title “A Begging Speech”<sup>300</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>300</sup> Magazine “Sabtchota khelovneba”, 1976, №2, pp. 42-43 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ვახტანგ ბერიძის მიერ ელენე ახვლედიანის გარდაცვალების  
გამო, ქ. თბილისში, 1976 წლის იანვარს**

„ელენე ახვლედიანის გარდაცვალება დიდი უბედურებაა მთელი თანამედროვე ქართული კულტურისათვის და დიდი პირადი მწუხარება ყოველი ჩვენგანისათვის, ყველასათვის. ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია ამ საკვირველ ადამიანს, უგრძობია მისი პიროვნების მომაჯადოებელი ძალა.

შეუძლებელია მისი სიკვდილი ღრმად არ განიცადოს ყველამ, ვისაც გული შესტკივა დღევანდელი ქართული ხელოვნების სიკეთისათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებას და იცის, რა ადგილი ეჭირა ამ ცხოვრებაში ელენე ახვლედიანს.

ქალბატონმა ელენემ, როგორც შემოქმედმა, თანამედროვე ქართულ მხატვრობასთან ერთად აიდგა ფეხი რევოლუციის პირველ წლებში და მას შემდეგ აი თითქმის უკვე სამოცი წელია, ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას არ ჰყოლია მასზე უფრო გულმხურვალე და თავდადებული მუშაკი, მასზე უფრო ერთგული მზრუნველი, მასზე უფრო შეუპოვარი ქომაგი.

ელენე ახვლედიანის ღვაწლი მხოლოდ იმით კი არ განიზომება, რომ მან, როგორც მკაფიო ინდივიდუალობის მხატვარმა და დიდმა ოსტატმა, გაამდიდრა თავისი ნამუშევრებით ჩვენი ფერწერა, დაზგური და წიგნის გრაფიკა, სათეატრო დეკორაციული ხელოვნება, მისი ღვაწლი უფრო დიდია:

ელენე ახვლედიანი – დავით კაკაბაძეს<sup>301</sup>, ქეთო მაღალაშვილს<sup>302</sup> და ლადო გუდიაშვილთან<sup>303</sup> ერთად – შეადგენდა გამოჩენილ ქართველ მხატვართა იმ დიდებულ ოთხეულს, რომელმაც განუზომლად აამაღლა ახალი ქართული ხელოვნების მხატვრული კულტურა და თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ხელოვნების დონეს დაუახლოვა იგი.

ელენე ახვლედიანი – ალექსანდრე ციმაკურიძეს<sup>304</sup> და დავით კაკაბაძესთან ერთად – ქართული პეიზაჟური მხატვრობის დამფუძნებელია; მან უსაზღვროდ გააფართოვა ქართული პეიზაჟის დიაპაზონი, უმღერა მთელ საქართველოს, ხოლო ძველ თბილისს ხომ არც ჰყოლია მისთანა მეხოტბე და გულში ჩამწვდომი პოეტი;

ელენე ახვლედიანი – ერთი პიონერთაგანია ჩვენი სათეატრო მხატვრობისა. როგორც თეატრის მხატვარს, მას ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირვს. ამ მხრივ მისი ასპარეზი დიდად სცილდება ქართული თეატრის ფარგლებს.

ელენე ახვლედიანმა არა მარტო თვითონ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს ხელოვნებაში, არამედ თავისი შემოქმედებით დიდად აამაღლა საერთოდ ქართული ხელოვნების პრესტიჟი, უამრავი მეგობარი შესძინა ქართულ ხელოვნებასა და თვით საქართველოს – ბევრი მათგანი ჩვენს ქვეყანას სწორედ ქალბატონ ელენეს სურათებით აღიქვამდა, მისი თვალებით ხედავდა.

ელენე ახვლედიანს ბუნებით ჰქონდა მომადლებული თავგაცის, წინამძღოლის ნიჭი – მუდამ საზოგადო საქმისთვის ზრუნავდა. სხვისი ჭირი და ლხინი თავის ჭირად და ლხინად მიაჩნდა. იგი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქე იყო და მთელი ქართული ხელოვნებისათვის გრძნობდა

<sup>301</sup> დავით კაკაბაძე – დავით ნესტორის ძე კაკაბაძე (1889-1952) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

<sup>302</sup> ქეთო მაღალაშვილი – ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილი (1894-1973) – ქართველი ფერმწერი-პორტრეტისტი, საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი (1961).

<sup>303</sup> ლადო გუდიაშვილი – ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე გუდიაშვილი (1896-1980) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართველოს სახალხო მხატვარი (1950), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1966), სსრკ-ის სახალხო მხატვარი (1970), პროფესორი.

<sup>304</sup> ალექსანდრე ციმაკურიძე – ალექსანდრე გრიგოლის ძე ციმაკურიძე (1882-1954) – ქართველი ფერმწერი-პეიზაჟისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

პასუხისმგებლად თავს. ჩვენ ყველამ ვიცით, რამდენ ახალგაზრდა მხატვარს გაუკაფა გზა, რამდენს გაუმართა ხელი, რამდენს ასწავლა ხელოვნების ნამდვილი სიყვარული და საქმის ერთგულება; ქ-ნი ელენე იყო პირველი მფარველი დავიწყებულთა და მოკრძალებულთა; ყველამ ვიცით, რამდენი მოგზაურობა მოაწყო მან საქართველოს მთასა და ბარში, რომ მარტო თვითონ კი არა, არამედ სხვებთან ერთად აღებეჭდა ჩვენი სამშობლოს სილამაზე. მისი წარსული და დღევანდელი დღე, რომელსაც გულწრფელად შეჰხაროდა... გვახსოვს, რამდენი საინტერესო გამოფენის მოთავე იყო ქ-ნი ელენე და ყველამ ვიცით, რომ მისი სახელოსნო ჩვენი დედაქალაქის მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და მნიშვნელოვანი კერა იყო.

იშვიათად მოიძებნება, ალბათ, ელენე ახვლედიანისთანა მთლიანი და თავისუფალი პიროვნება. რომ დავფიქრდეთ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაიხსენებს, ცხოვრების გზაზე შეხვედროდეს ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავდა ქალბატონ ელენეს.

რა ლამაზი იყო!

როგორი ბუნებრივი, თანდაყოლილი არტისტიზმი ჰქონდა, არტისტიზმი, რომელიც თავს იჩენდა მის იერში, მიხრა-მოხრაში, ჩაცმა-დახურვაშიც.

როგორი შგოთიანი და მოუსვენარი იყო, რა ცეცხლოვანი ტემპერამენტი ჰქონდა – მუდამ მაგონებდა ჩაუმქრალ ვულკანს, რომლის კრატერშიაც ყოველ წუთს გადმოსახეთქად გამზადებული ლავა დუღს, და არავინ არ იცოდა, როდის დაიქუხებდა, როდის გადმოიფრქვეოდა გავარვარებული ნაკადი.

როგორი პირშიმთქმელი და მოურიდებელი იყო!..

და თან, როგორი სიკეთე და გულითადი სითბო ჰქონდა, თუმცა არ ეხერხებოდა მისი გამოჩენა... მაგრამ ამ სითბოს მაშინაც გრძნობდი, როცა ქალბატონი ელენე წარბმეკრული და თითქოს გაჯავრებული, სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ „გტყორცნიდა“ სიტყვებს... ცვალებადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მუდამ თავისთავად რჩებოდა – მხოლოდ ქალბატონი ელენე შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი, და სხვა არავინ.

და განა მისი ხელოვნებაც ასეთი არ არის?

რა უსაზღვრო სიმდიდრე და მრავალფეროვნება გვემლება თვალწინ მის პეიზაჟებში – საქართველოს ყოველი კუთხე, უცხოეთის ბევრი ქვეყანა... წელიწადისა და დღის ყოველი დრო, შუქისა და ფერის ათასგვარი ცვალებადობა, ოდნავ შესამჩნევი გადასვლები და კამკაშა, „ხმამალა“ ფერადოვნება... და ყველა ეს სურათი, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, მხოლოდ მისია, მხოლოდ ახვლედიანისეულია!

ელენე ახვლედიანს არ შეეძლო გარინდებული, „მარადიული“ ბუნების გადმოცემა, მისი ბუნებაც ადამიანივით ცოცხალი და ცვალებადია – ხან ბოზოქარი და ქარიშხლიანი, ხან კი თბილი და ღრმად ლირიკული. მის ყოველ სურათში ადამიანური მაჯისცემა და მღელვარება იგრძნობა, და ყველა გასაოცრად პოეტურია, რომანტიკულია და ამალღებელი, ყოველდღიურობის პროზას განრიდებული. თვით მისი დაუვიწყარი „ზამთრებიც“ თითქოს სითბოს გამოსცემს და არა სიცივეს.

სამგლოვიარო დღეებში, როცა ჩვენ, ღრმა მწუხარებით შეპყრობილნი, თავს ვიყრიდით მის სახელოსნოში, ქალბატონ ელენეს ცხედართან, როცა პირველად ვხედავდით დამშვიდებულ ქალბატონ ელენეს, ყველას თვალი გაგვირბოდა მისი სურათებისაკენ და, დარწმუნებული ვარ, ყველას ერთი ფიქრი გვიპყრობდა – სიცოცხლის როგორი დაუოკებელი ძალაა ამ სურათებში, რა მხურვალება, როგორი ანთებული სიყვარული იგრძნობა ყოველ სურათში, როგორი უნარი შესწევდა ამ ადამიანს დღესასწაულად ექცია ყველაფერი, რასაც ხელს შეახებდა!

ქალბატონი ელენეს შემოქმედება ხელოვნებაა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და მაღალი მნიშვნელობით, რადგანაც იგი, კოტე მარჯანიშვილის<sup>305</sup> თქმისა არ იყოს, მხოლოდ სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს ადამიანებს; და სიხარულის ეს წყარო არც დაიშრიტება, რაკი ელენე ახვლედიანის სურათები დაგვრჩა ჩვენ, დაგვრჩა ქართველ ერს.“

<sup>305</sup> კოტე მარჯანიშვილი – კოტე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი (1872-1933) – ქართველი რეჟისორი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1931).

სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგიშვილის მიერ თინათინ  
წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე,  
ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და გიორგი ამირანაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგიშვილის მიერ თინათინ  
წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8  
ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას,  
ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ალექსანდრე ფრანგიშვილი (1907-1991) – მეცნიერი, ფსიქოლოგი. 1927  
წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1950-1985 წლებში იყო ფსიქოლოგიის  
ინსტიტუტის დირექტორი; ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1958),  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1976-1989), აკადემიკოსი (1974-  
1989). 1941 წელს გამოსცა წიგნი „მეხსიერების ფსიქოლოგიისათვის: მოგონებაში დარწმუნებულობის  
საფუძვლების პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიაში“<sup>306</sup>, 1959 წელს – „ნარკვევები ადამიანის  
ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში: XVII-XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი“<sup>307</sup>,  
1969 წელს – „სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები“<sup>308</sup>, 1987 წელს – „ფსიქოლოგიური ნარკვევები“<sup>309</sup>.  
სიტყვის ადრესატია თინათინ წერეთელი (1903-1980) – ქართველი მეცნიერი, იურისტი, იურიდიულ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დამცველთა კოლეგიის წევრი და სისხლის სამართლის  
ქართული სკოლის ფუძემდებელი. თინათინ წერეთელი იყო საქართველოში პირველი მეცნიერი  
ქალი, რომელსაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის წოდება  
სისხლის სამართალში. იგი გახლდათ ერთადერთი იურისტი ქალი, რომელიც იყო მეცნიერებათა  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1950-1952 წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის  
თანამდებობაზე. 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის  
სამართლის განყოფილებას.

პროფ. თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები  
წარმოთქვეს: აკადემიკოსმა ალექსანდრე ფრანგიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა  
თამაზ შავგულიძემ, პროფ. სერგო ჯორბენაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული  
განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ტყეშელიაძემ. ალექსანდრე  
ფრანგიშვილის სიტყვა გამოქვეყნდა ჟურნალში „საბჭოთა სამართალი“ პუბლიკაციაში „გამოჩენილი  
მეცნიერის ხსოვნას“, სათაურით „ქართული იურიდიული მეცნიერების მესვეური“<sup>310</sup>. გთავაზობთ  
ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>306</sup> ფრანგიშვილი, ალ., მეხსიერების ფსიქოლოგიისათვის: მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძვლების პრობლემა  
თანამედროვე ფსიქოლოგიაში, თბილისი, საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის  
სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, 1941

<sup>307</sup> ფრანგიშვილი, ალ., ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში: XVII-XVIII  
სს. და XIX ს. დასაწყისი (ავტორი), თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959.

<sup>308</sup> ფრანგიშვილი, ალ., სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები: სახელმძღვ. პედ. ინ-ტის სტუდენტებისათვის (ავტორი),  
თბილისი, განათლება, 1969.

<sup>309</sup> ფრანგიშვილი, ალ., ფსიქოლოგიური ნარკვევები, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბილისი, მეცნიერება, 1987.

<sup>310</sup> ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1980, მაის-ივნისი, №3, გვ. 73-74.

## Speech Delivered by Alexandre Prangishvili at a Funeral Rally Dedicated to the Funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Giorgi Amiranashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Alexandre Prangishvili at a funeral rally dedicated to the funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Alexandre Prangishvili (1907-1991) – a scientist, psychologist. Graduated from Tbilisi State University in 1927. From 1950 to 1985, he was the director of the Institute of Psychology; Doctor of Psychological Sciences (1958), Professor (1958), Vice-President of the Academy of Sciences of the Georgian SSR (1976-1989), Academician of the Academy of Sciences of the Georgian SSR (1974-1989). In 1941, he published the book “For the Psychology of Memory: The Problem of the Foundations of Confidence in Recollection in Modern Psychology”<sup>311</sup>, in 1959 – “Essays from the History of Human Psychological Knowledge in Georgia: XVII-XVIII Centuries and the Beginning of the XIX Centuries”<sup>312</sup>, in 1969 – “Issues of the Psychology of Learning”<sup>313</sup>, in 1987 – “Psychological Essays”<sup>314</sup>. The addressee of the speech is Tinatin Tsereteli (1903-1980) – a Georgian scientist, lawyer, Doctor of Law, professor, member of the Board of Defenders and founder of the Georgian School of Criminal Law. Tinatin Tsereteli was the first female scientist in Georgia to be awarded the title of Doctor of Law and Professor in Criminal Law. She was the only female lawyer who was a corresponding member of the Academy of Sciences. In 1950-1952 she worked as the Dean of the Faculty of Law. Since 1957 she has been the Head of the Law Department of the Institute of Economics and Law.

At the funeral rally dedicated to the funeral of Prof. Tinatin Tsereteli, speeches were delivered by Academician Alexandre Prangishvili, Doctor of Legal Sciences Tamaz Shavgulidze, Prof. Sergo Jorbenadze and Head of the Legal Department of the Council of Ministers of the Georgian SSR, Candidate of Legal Sciences Giorgi Tqesheliadze. Alexandre Prangishvili’s speech was published in the journal “Soviet Law” in the publication “In Memory of an Outstanding Scientist” under the title “The Master of Georgian Legal Sciences”<sup>315</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>311</sup> Prangishvili, Al., For the Psychology of Memory: The Problem of the Foundations of Confidence in Recollection in Modern Psychology, Tbilisi, State Scientific-Research Institute of Primary and Secondary Education of the Georgian SSR Gensakhkom, 1941 (in Georgian).

<sup>312</sup> Prangishvili, Al., Essays from the History of Human Psychological Knowledge in Georgia: XVII-XVIII Centuries and the Beginning of the XIX Centuries (author), Tbilisi, Publishing House of the Georgian SSR Academy of Sciences, 1959 (in Georgian).

<sup>313</sup> Prangishvili, Al., Issues in the Psychology of Learning: A Guide for Students of the Pedagogical Institute (Author), Tbilisi, Ganatleba, 1969 (in Georgian).

<sup>314</sup> Prangishvili, Al., Psychological Essays, Georgian SSR Academy of Sciences, Tbilisi, Metsniereba, 1987 (in Georgian).

<sup>315</sup> Journal “Sabtchota Samartali”, Tbilisi, 1980, May-June, №3, pp. 73-74 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ალექსანდრე ფრანგიშვილის მიერ თინათინ წერეთლის  
დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980  
წლის 8 ივლისს**

„დღეს საქართველოს მეცნიერთა საზოგადოება ეთხოვება საქართველოში საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი დარგის, იურიდიული მეცნიერების მესვეურს – თინათინ ვასილის ასულ წერეთელს.

წავიდა ჩვენგან გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, მასწავლებელი, პროფესორი. თინათინ წერეთლის მოღვაწეობის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების დღიდან, ფუძემდებელი იურიდიული განათლების მაღალი დონის სახელოვანი ტრადიციების შენარჩუნება და მათი ფართო მასშტაბით შემოქმედებითი განვითარება. ათეული წლების მანძილზე თ. წერეთელი გულმოდგინედ ემსახურებოდა იურისტთა ახალი თაობების აღზრდას.

თინათინ წერეთლის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში იურიდიული მეცნიერების სამეცნიერო ცენტრის<sup>316</sup> – სამართლის სექტორის ჩამოყალიბება და ამ სექტორში იურიდიულ მეცნიერებათა ფუნდამენტური მიმართულებების განვითარება, სექტორში სამეცნიერო ძიებების წარმართვა ისეთ მაღალ დონეზე, რამაც საყოველთაო აღიარება პოვა და ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამართალმცოდნეობას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. თ. წერეთელი ღირსეულად წარმოაჩინდა საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე.

თინათინ წერეთლის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის სამეცნიერო მიმართულების შემდგომი განვითარება. თ. წერეთელმა მრავალმხრივი მეცნიერული მუშაობის შედეგად მტკიცედ ჩამოყალიბებული იურიდიული კონცეფცია შექმნა, რის საფუძველზეც იმ სამეცნიერო დანაყოფებში, რომლებიც თინათინ წერეთლის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ მეცნიერულ კვლევა-ძიებას, შესაძლებელი გახდა დამუშავებულიყო პრობლემათა ფართო კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შექმნასთან, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან.

ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი რეგულირება ქვეყნის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თინათინ წერეთლის მოღვაწეობის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულ უწყებათა პრაქტიკაში სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების ეფექტიანობის ანალიზის კონკრეტული მეთოდების მეცნიერული დამუშავება და მათი დანერგვა.

თინათინ წერეთლის, როგორც ჭეშმარიტად საბჭოთა მეცნიერის, მიერ განვლილი ცხოვრების გზა ხასიათდება ფართო და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმიანობითა და მოღვაწეობით,

<sup>316</sup> იგულისხმება ის, რომ 1957 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში საფუძველი ჩაეყარა სამართლის მეცნიერების სისტემურ კვლევას, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, პროფესორ თინათინ წერეთლის მეცადინეობით, ჩამოყალიბდა იურიდიული კვლევების განყოფილება. მოგვიანებით, განყოფილების გაფართოების შედეგად, შეიქმნა სამართლის კვლევითი ცენტრი, შემდგომ კი სექტორი და ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. 1991 წლიდან სამართლის სექტორი გამოეყო ეკონომიკის ინსტიტუტს და დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამოუკიდებელ – სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტად. 2004 წლიდან ინსტიტუტს მიენიჭა მისი დამფუძნებლის, პროფესორ თინათინ წერეთლის სახელი. 2011 წლიდან მოყოლებული, ინსტიტუტი შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

რომელსაც იგი ეწეოდა როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოს წევრი, იურიდიულ უწყებათა მრავალი სხვადასხვა ორგანიზაციის წევრი, სამეცნიერო ჟურნალებისა და სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიების წევრი, რედაქტორი და ა. შ.

თინათინ წერეთლის ამ ფასდაუდებელ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მისი სპეტაკი პიროვნების კვალი ამჩნევია.

თინათინ წერეთლის მაღალპიროვნული თვისებები მისი აღმზრდელი სახელოვანი ქართული ოჯახის, ვასილ წერეთლის ოჯახის კეთილშობილური გარემოცვის ვითარებებში ჩამოყალიბდა.

თ. წერეთელმა პირნათლად მოიხადა მეცნიერის და მოქალაქის ვალი. მისი სიცოცხლე დაულაღავი შემოქმედებითი ძიების პროცესში შეწყდა.

თინათინ წერეთლის როგორც ნამდვილი საბჭოთა მეცნიერის სახე, სახე შემოქმედის, ზნეობრივად ფაქიზი, უმწიკვლო ადამიანისა და შეუვალი პრინციპულობის მოღვაწისა მარად მისაბამი იქნება მისი მეგობრების, თანამშრომლებისა და მოწაფეებისათვის, ყველასთვის, ვინც თინათინ წერეთელს იცნობდა.“

სიტყვა, წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს ნათია კენჭიაშვილმა და გიორგი ამირანაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვისავტორიათამაზშავგულიძე(1930-1993)–თანამდებობისპირი,იურიდიულმეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. საფუძველი ჩაუყარა სამართლის კვლევის ცენტრს, შემდგომ ჩამოაყალიბა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო სიცოცხლის ბოლომდე. არის არაერთი ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 1966 წელს გამოსცა „აუცილებელი მოგერიება“<sup>317</sup>, 1973 წელს – „აფექტი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა“<sup>318</sup>, 1981 წელს – „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე-ახალგაზრდობა“<sup>319</sup>, 1988 წელს – „საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“<sup>320</sup>, 1990 წელს – „ქმნა მართლისა სამართლისა“<sup>321</sup>. სიტყვის ადრესატია თინათინ წერეთელი (1903-1980) – ქართველი მეცნიერი, იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დამცველთა კოლეგიის წევრი და სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი. თინათინ წერეთელი იყო საქართველოში პირველი მეცნიერი ქალი, რომელსაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის წოდება სისხლის სამართალში. იგი გახლდათ ერთადერთი იურისტი ქალი, რომელიც იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1950-1952 წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას.

პროფ. თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს: აკადემიკოსმა ალექსანდრე ფრანგიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თამაზ შავგულიძემ, პროფ. სერგო ჯორბენაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ტყემელიაძემ. თამაზ შავგულიძის სიტყვა გამოქვეყნდა ჟურნალში „საბჭოთა სამართალი“ პუბლიკაციაში „გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას“, სათაურით „ქართველ იურისტთა აღიარებული თავკაცი“<sup>322</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>317</sup> შავგულიძე, თ., *Необходимая оборона: Для юристов-практиков*, Академия наук Грузинской ССР, Институт экономики и права, Тбилиси, Мецниереба, 1966.

<sup>318</sup> შავგულიძე, თ., *Аффект и уголовная ответственность*, АН ГССР, Ин-т экономики и права, Тбилиси, Мецниереба, 1973.

<sup>319</sup> შავგულიძე, თ., *საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა*, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1981.

<sup>320</sup> შავგულიძე, თ., *საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხავი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში*, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება, 1988.

<sup>321</sup> შავგულიძე, თ., *„ქმნა მართლისა სამართლისა“*..., თბილისი, საქართველო, 1990.

<sup>322</sup> ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1980, მაის-ივნისი, №3, გვ. 74-76.

## Speech Delivered by Tamaz Shavgulidze at a Funeral Rally Dedicated to the Funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Giorgi Amiranashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Tamaz Shavgulidze at a funeral rally dedicated to the funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Tamaz Shavgulidze (1930-1993) – an official, Doctor of Law, Professor, Director of the Institute of State and Law of the Georgian Academy of Sciences. He graduated from the Faculty of Law of Tbilisi State University in 1953. He established the Center for Legal Research, later formed the Institute of State and Law, of which he was the director until the end of his life. He is the author of a number of works, including “Necessary Repulsion” in 1966<sup>323</sup>, “Affect and Criminal Responsibility” in 1973<sup>324</sup>, “Public Opinion, Legal Consciousness and Student Youth” in 1981<sup>325</sup>, “Circumstances Excluding Public Danger in Criminal Legislation” in 1988<sup>326</sup>, “Creating Justice for Justice” in 1990<sup>327</sup>. The addressee of the speech is Tinatin Tsereteli (1903-1980) – a Georgian scientist, lawyer, Doctor of Law, professor, member of the College of Defenders and founder of the Georgian School of Criminal Law. Tinatin Tsereteli was the first female scientist in Georgia to be awarded the title of Doctor of Law and Professor in Criminal Law. She was the only female lawyer who was a Corresponding Member of the Academy of Sciences. In 1950-1952, she worked as the Dean of the Faculty of Law. Since 1957, she has been the head of the Law Department of the Institute of Economics and Law.

At the funeral rally dedicated to the funeral of Prof. Tinatin Tsereteli, speeches were delivered by Academician Alexandre Prangishvili, Doctor of Legal Sciences Tamaz Shavgulidze, Prof. Sergo Jorbenadze and Head of the Legal Department of the Council of Ministers of the Georgian SSR, Candidate of Legal Sciences Giorgi Tqesheliadze. Tamaz Shavgulidze’s speech was published in the journal “Sabtchota Samartali” in the publication “In Memory of an Outstanding Scientist” under the title “The Recognized Leader of Georgian Lawyers”<sup>328</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>323</sup> Shavgulidze, T., *Necessary Defense: For Practicing Lawyers*, Academy of Sciences of the Georgian SSR, Institute of Economics and Law, Tbilisi, Metsniereba, 1966 (in Russian).

<sup>324</sup> Shavgulidze, T., *Passion (Emotional Disturbance) and Criminal Liability*, Academy of Sciences of the Georgian SSR, Institute of Economics and Law, Tbilisi, Metsniereba, 1973 (in Russian).

<sup>325</sup> Shavgulidze, T., *Public Opinion, Legal Awareness and Student Youth*, Tbilisi, Sabtchota Sakartvelo, 1981 (in Georgian).

<sup>326</sup> Shavgulidze, T., *Circumstances Excluding Public Danger in Criminal Legislation*, Institute of Economics and Law, Tbilisi, Metsniereba, 1988 (in Georgian).

<sup>327</sup> Shavgulidze, T., “Creating Justice for Justice's”..., Tbilisi, Sakartvelo, 1990 (in Georgian).

<sup>328</sup> Journal “Sabtchota Samartali”, Tbilisi, 1980, May-June, №3, pp. 74-76 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული თამაზ შავგულიძის მიერ თინათინ წერეთლის  
დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980  
წლის 8 ივლისს**

„მვირფასო მეგობრებო! ერთეულთა ხვედრია ის საყოველთაო აღიარება ნამდვილად გულწრფელი სიყვარული და სინანული, რომლითაც ქართველი ერი მიაცილებს უკანასკნელ გზაზე ღვაწლმოსილი მეცნიერის, დიდი მამულიშვილის, ლამაზი სულის ადამიანის, ქალბატონი თინათინის ცხედარს. ერთეულთა ხვედრია ასეთი აღიარება, ასეთი სიყვარული, ასეთი სინანული. ერთეულთა ხვედრია იმიტომ, რომ მხოლოდ ერთეულებს, ერის რჩეულებს ძალუძთ თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით თავისი სიტყვა თქვან, თავისი ხელწერა დატოვონ ამქვეყანაზე.

თინათინ წერეთელი პირველი და ერთადერთი დოქტორი იურისტი ქალია საქართველოში. პირველი დოქტორი ქალია საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში და ერთადერთი იურისტი ქალია მთელ საბჭოთა კავშირში, რომელიც აკადემიის შემადგენლობაში იყო არჩეული. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ამდენი „პირველი“ და „ერთადერთი“, მაგრამ ეს არ არის მთავარი და ყოვლისმეტყველი, რადგან თინათინ წერეთელი თავის ოფიციალურ ტიტულებზე მაღლა იდგა ყოველთვის.

მისმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ მაღალი ადგილი მიუჩინა სამართალმცოდნეობას ქართულ მეცნიერებაში და უდავოდ აამაღლა საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების დონე.

თინათინ წერეთელი, ქართული იურიდიული მეცნიერების აღიარებული თავკაცი იყო, მეცნიერების მთელი დარგის თავკაცობა – ეს უკვე მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

თინათინ წერეთელი ღრმა, ლოგიკური, კონსტრუქციული აზროვნების მეცნიერი იყო. იგი გამოირჩეოდა მეცნიერული კეთილსინდისიერებით, პრინციპულობით, ვაჟკაცური შემართებით.

თინათინ წერეთელი, როგორც მეცნიერი, არასდროს არ მოხუცებულა, არ დაუძლურებულა, იგი ყოველთვის ახლის ძიებაში იყო და ზეზეულად გარდაიცვალა. მას ნაშრომი დარჩა დაუმთავრებელი. ითხოვდა შეემსუბუქებინათ საშინელი ტკივილები, შეემსუბუქებინათ სულ ერთი დღით, რადგან სულ ერთი დღე სჭირდებოდა თავისი უკანასკნელი მეცნიერული სიტყვის სათქმელად.

თინათინ წერეთელი ბრწყინვლედ ფლობდა სამართლის მეცნიერების რამდენიმე დარგს: სისხლის სამართალს, სამოქალაქო სამართალს, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას. იგი კარგად იყო დაუფლებული მარქსისტულ ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას. სწორედ ფართო ერუდიციამ და მეცნიერების მომიჯნავე დარგების ღრმა ცოდნამ მისცა მეცნიერს საშუალება შეექმნა ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს მას და საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ქართულ სამართლებრივ მეცნიერებას. თინათინ წერეთლის ფუნდამენტური, შეიძლება ითქვას, კლასიკური ნაშრომი „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“<sup>329</sup> აღიარებულ იქნა მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში ამ პრობლემაზე დაწერილ საუკეთესო ნაშრომად.

მაღალი აბსტრაგირების უნარის მქონე მეცნიერს თითქოსდა ყველაზე განყენებული თეორიული დებულების დაკონკრეტების, მისი პრაქტიკულად გამოყენების საოცარი ალლო ჰქონდა, სწორედ ამიტომ იყო ყველა მისი თეორიული დებულება მაღალი პრაქტიკული ღირებულების მატარებელი. სწორედ ამიტომ იყო გასაგები მისი სიტყვა სპეციალისტისა თუ არასპეციალისტისათვის, სტუდენტის, მეცნიერისა თუ პრაქტიკოსი იურისტისათვის.

<sup>329</sup> თინათინ წერეთელმა საკანდიდატო დისერტაცია სისხლის სამართალში 1944 წელს თბილისში დაიცვა, ხოლო 1949 წელს მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“. ეს ნაშრომი დღესაც აქტუალურია როგორც ქართულ, ისე ევროპულ სისხლის სამართალში.

ბუნებით მსაჯული იყო თინათინ წერეთელი. სამართლიანობა იყო მისი ცხოვრების ქვაკუთხედი და ალბათ ამიტომ არასდროს არ მოწყვეტილა იგი ერის მართლმსაჯულების მაჯისცემას, არასდროს არ მიუჩნევია მას კანონმდებლობა თუ მართლმსაჯულება მეცნიერებისათვის წვრილმანად და ალბათ ამიტომ შეაღია მან ამ საქმეს თავისი ცოდნის, ნიჭისა და გონების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დიახ! თინათინ წერეთელი დიდი მეცნიერი იყო, მაგრამ მხოლოდ ამით იგი ვერ გახდებოდა იურიდიული მეცნიერების თავკაცი.

თინათინ წერეთელი კარგი მეცნიერ-ორგანიზატორიც გახლდათ. მან შექმნა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს, რომელიც დღეს საქართველოში იურიდიული მეცნიერების მნიშვნელოვან საკვლევადიებო ცენტრად იქცა<sup>330</sup>.

თინათინ წერეთელმა აღზარდა მრავალი პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტი, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

თინათინ წერეთელმა შექმნა ქართული სისხლის სამართლის სკოლა, რომელსაც საზღვარგარეთაც კი იცნობენ და აღიარებენ როგორც „თინათინ წერეთლის სკოლას“.

დიახ! თინათინ წერეთელმა შექმნა ქართული სისხლისსამართლებრივი სკოლა, წერეთლისეული ხელწერით, მეცნიერული სიღრმით და გაქანებით, წერეთლისეული სინდისითა და პატიოსნებით.

მოიხვეჭო სკოლის დამაარსებლის ფუძემდებლის სახელი – ეს უკვე რჩეულთა შორის მხოლოდ ურჩეულესთა ხვედრია. ამისათვის საჭიროა იყო ისეთი, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე<sup>331</sup>, გიორგი წერეთელი<sup>332</sup>. იყო ისეთი, როგორიც იყო თინათინ წერეთელი, მას ხომ საამისოდ ყველაფერი უწყობდა ხელს – მამულიშვილობა, ოჯახიშვილობა, დედ-მამიშვილობა, გარეგნობა, დახვეწილი მეტყველება, კულტურა, ზრდილობა და ტაქტი, ხელს უწყობდა მისი მასწავლებელი – დიდი იურისტი და მოქალაქე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი<sup>333</sup> და მისი ცხოვრების განუყრელი მეგობარი, თვალსაჩინო მეცნიერი და ძლიერი პიროვნება ვლადიმერ მაყაშვილი<sup>334</sup>, ხელს უწყობდა სიყვარული, სიბო და სინაზე.

იზრდებოდნენ თინათინ წერეთლის მოწაფეები, იძენდნენ მეცნიერულ თუ თანამდებობრივ სტატუსს, იცვლებოდა მათი სოციალური მდგომარეობა; არ იცვლებოდა მხოლოდ ერთი – ისინი ყოველთვის რჩებოდნენ თავისი მასწავლებლის მოწაფეებად, ამასთან ყოველთვის გრძნობდნენ მასწავლებლის კონტროლს, რადგან, რაოდენ მოწიფულიც უნდა გახდეს ადამიანი, მას ყოველთვის

<sup>330</sup> იგულისხმება ის, რომ 1957 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში საფუძველი ჩაეყარა სამართლის მეცნიერების სისტემურ კვლევას, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, პროფესორ თინათინ წერეთლის მეცადინეობით, ჩამოყალიბდა იურიდიული კვლევების განყოფილება. მოგვიანებით, განყოფილების გაფართოების შედეგად, შეიქმნა სამართლის კვლევითი ცენტრი, შემდგომ კი სექტორი და ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. 1991 წლიდან სამართლის სექტორი გამოეყო ეკონომიკის ინსტიტუტს და დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამოუკიდებელ – სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტად. 2004 წლიდან ინსტიტუტს მიენიჭა მისი დამფუძნებლის, პროფესორ თინათინ წერეთლის სახელი. 2011 წლიდან მოყოლებული, ინსტიტუტი შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

<sup>331</sup> დიმიტრი უზნაძე – დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე (1887-1950) – ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი (1918), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1918).

<sup>332</sup> გიორგი წერეთელი – გიორგი ვასილის ძე წერეთელი (1904-1973) – ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1968), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი (1964).

<sup>333</sup> ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი (1872-1939) – ქართველი მეცნიერი იურისტი, პოლიტიკური დამცველი, ფილოსოფოსი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი.

<sup>334</sup> ვლადიმერ მაყაშვილი – ვლადიმერ მაყაშვილი (1904-...) – ქართველი იურისტი, კრიმინალისტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილების სრული კურსი (1926). იგი იყო თინათინ წერეთლის მეუღლე.

სჭირდება მისი სულისა და ქცევის უზენაესი მსაჯული. ასეთი იყო და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე მისი მოწაფეებისათვის თინათინ წერეთელი.

არ ვიცი, რა ტიტულებსა და წოდებებს მიაღწევინ თინათინ წერეთლის მოწაფეები, მაგრამ, ვფიქრობ, ამ წოდებებს შორის ყველაზე დიდ და საპატიო წოდებად მათთვის ყოველთვის იქნება „თინათინ წერეთლის მოწაფის“ წოდება. და თუ ეს ასეა, მაშინ თინათინ წერეთელი ყოველთვის იქნება მისი მოწაფეების სინდისის უზენაესი მსაჯული, მათი შემაკავშირებელი, მათი სულიერი წინამძღოლი. მაშინ არ მოკვდება თინათინ წერეთელი, არ მოკვდება ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, არ მოკვდება მათ მიერ წამოწყებული დიდი ეროვნული საქმე და ეს იქნება ამ ორი დიდი ქართველი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის უკვდავების ძეგლი.

სულ ერთი წლის წინათ აქ, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ჩვენთან ერთად ქალბატონი თინათინი ეთხოვებოდა ჩვენს საყვარელ ადამიანს, მდიდარი სულის პიროვნებას, თვალსაჩინო იურისტს, პროფესორ გივი ჟვანიას<sup>335</sup>. „უსამართლობააო, – თქვა მაშინ ქალბატონმა თინათინმა, – შენს დაკრძალვაზე მე, შენზე უფროსი სიტყვას რომ გეუბნებიო“. მართლაცდა, უსამართლობა იყო გივი ჟვანიას ასე ნაადრევი სიკვდილი. თქვენ ქალბატონო თინათინ, მუდამ უსამართლობას ებრძოდით, მაგრამ თქვენი სიკვდილით ამ ერთ უსამართლობას კიდევ ერთი უსამართლობა მიუმატეთ მხოლოდ და ეს ორი უსამართლობა მძიმე ტვირთად დააწვება ქართული სამართლის მეცნიერებას.

მშვიდობით ჩვენო საყვარელო მასწავლებელო, მშვიდობით ქართველი ერის დამამშვენებელო, მშვიდობით მართალო, თბილო და ლამაზო ადამიანო, ქალბატონო თინათინ!“

---

<sup>335</sup> გივი ჟვანია – გრიგოლ ჟვანია (1918-1979) – დიპლომატი, იურისტი, მეცნიერი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1941 წელს; უმაღლესი დიპლომატიური სკოლა მოსკოვში 1946 წელს. 1941-1942 წწ. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში; 1946-1948 წწ. მუშაობდა გაეროში (აშშ); 1951 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა საერთაშორისო სამართლისა და სხვა კურსებს; 1963 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე იყო. მისი ნაშრომები ეხება საერთაშორისო სამართალში მოსახლეობისა და ტერიტორიული ნეიტრალიტეტის და სხვა საკითხებს. იგი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის (1963) ერთ-ერთი შემდგენელია. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1972). იყო კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრი.

სიტყვა, წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ თინათინ წერეთლის  
დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე,  
ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და გიორგი ამირანაშვილმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია სერგო ჯორბენაძე (1926-1998) – იურისტი, მეცნიერი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1946 წელს. 1966-1986 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი; 1952-1998 წწ. სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე. გახლავთ მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და სახელმძღვანელოს ავტორი. სიტყვის ადრესატია თინათინ წერეთელი (1903-1980) – ქართველი მეცნიერი, იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დამცველთა კოლეგიის წევრი და სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი. თინათინ წერეთელი იყო საქართველოში პირველი მეცნიერი ქალი, რომელსაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის წოდება სისხლის სამართალში. იგი გახლდათ ერთადერთი იურისტი ქალი, რომელიც იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1950-1952 წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას.

პროფ. თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს: აკადემიკოსმა ალექსანდრე ფრანგიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თამაზ შავგულიძემ, პროფ. სერგო ჯორბენაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ტყეშელიაძემ. სერგო ჯორბენაძის სიტყვა გამოქვეყნდა ჟურნალში „საბჭოთა სამართალი“ პუბლიკაციაში „გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას“, სათაურით „სისხლის სამართლის მეცნიერების სკოლის ხელმძღვანელი“<sup>336</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>336</sup> ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1980, მაის-ივნისი, №3, გვ. 76-77.

## Speech Delivered by Sergo Jorbenadze at a Funeral Rally Dedicated to the Funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 6, 1980

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Giorgi Amiranashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Sergo Jorbenadze at a funeral rally dedicated to the funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Sergo Jorbenadze (1926-1998) – a lawyer, scientist. Graduated from the Faculty of Law of Tbilisi State University in 1946. From 1966 to 1986. He was the Vice-Rector of Tbilisi State University; from 1952 to 1998. Head of the Department of Civil Law. Author of many scientific works and textbooks. The addressee of the speech is Tinatin Tsereteli (1903-1980) – a Georgian scientist, lawyer, Doctor of Law, professor, member of the Collegium of Defenders and founder of the Georgian School of Criminal Law. Tinatin Tsereteli was the first female scientist in Georgia to be awarded the title of Doctor of Law and Professor of Criminal Law. She was the only female lawyer who was a Corresponding Member of the Academy of Sciences. In 1950-1952, she worked as the Dean of the Faculty of Law. Since 1957, she has been the Head of the Law Department of the Institute of Economics and Law.

At the funeral rally dedicated to the funeral of Prof. Tinatin Tsereteli, speeches were delivered by Academician Alexandre Prangishvili, Doctor of Legal Sciences Tamaz Shavgulidze, Prof. Sergo Jorbenadze and Head of the Legal Department of the Council of Ministers of the Georgian SSR, Candidate of Legal Sciences Giorgi Tqesheliadze. Sergo Jorbenadze's speech was published in the journal "Sabtchota Samartali" in the publication "In Memory of an Outstanding Scientist" under the title "Head of the School of Criminal Law Sciences"<sup>337</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>337</sup> Journal "Sabtchota Samartali", Tbilisi, 1980, May-June, №3, pp. 76-77 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული სერგო ჯორბენაძის მიერ თინათინ წერეთლის  
დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980  
წლის 8 ივლისს**

„წილად მხვდა მძიმე მოვალეობა – უკანასკნელად გამოვეთხოვო თბილისის უნივერსიტეტის სახელით მის ღირსეულ აღზრდილს – შესანიშნავ პროფესორ ქალს თინათინ წერეთელს.

1922 წელს მოვიდა იგი აქ როგორც სტუდენტი ახლად გახსნილი სოციალურ-ეკონომიური (იურიდიული) ფაკულტეტისა, თბილისის უნივერსიტეტში გაიფურჩქნა მისი ნიჭი საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების მესაძირკვლის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის<sup>338</sup> ხელმძღვანელობით. მას შემდეგ პროფესორ თინათინ წერეთლის მრავალმხრივი, ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის აზრი აღმა-მატერის მეცნიერული პრესტიჟის ამაღლების მიზანს ემსახურებოდა. 1926 წელს ამთავრებს იგი უნივერსიტეტს. ეს არის პირველი წელი ეროვნული იურიდიული კადრების გამოშვებისა. 47 წლის წინათ, 1933 წელს დაიწყო მან პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში, როცა იგი ასისტენტად დაინიშნა, შემდეგ უფროს მასწავლებლად, 1938 წელს – დოცენტად, ხოლო 1950 წლიდან პროფესორად: 1950-1952 წლებში იგი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. წლების მანძილზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა. ორმოც წელზე მეტ ხანს კითხულობდა პროფესორი თინათინ წერეთელი ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში, აქედან შვიდი წელიწადი სამოქალაქო სამართალს.

მის მიერ წაკითხულ ძირითად და სპეცკურსებს სისხლის სამართლის დარგში ვერასდროს ვერ დაივიწყებენ მსმენელები. ამ ლექციების წყალობით იყო, რომ შემდგომ არა ერთი ახალგაზრდა გაიტაცა სისხლის სამართლის მეცნიერებამ. თუ ვინმეს ნიჭიერებასა და ბეჯითობას შეამჩნევდა, პროფესორი წერეთელი ყველაფერს იღონებდა, რომ მოეძებნა თბილისიდან წასული ახალგაზრდა, მოეყვანა, ეხელმძღვანელა და მეცნიერებისათვის ეზიარებინა. თავისი მასწავლებლის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მსგავსად პროფესორი თინათინ წერეთელი სამართლის მეცნიერების ღირსებისა და სიწმინდის უერთგულესი დარაჯი იყო, თავისი პედაგოგისადმი, დიდი ქართველი სწავლული იურისტისადმი, ღრმა პატივისცემა პროფესორმა თინათინ წერეთელმა მისდამი მიძღვნილი საუკეთესო მონოგრაფიით გამოხატა.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, პრინციპული მეცნიერი, მისი სახელი გასცდა ჩვენი დიდი ქვეყნის ფარგლებს, მას აღიარებენ, როგორც ახალი საზოგადოების სამართლის მეცნიერების უნიჭიერეს წარმომადგენელს.

პატრიოტი ექიმის ვასილ წერეთლის ოჯახმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო სამშობლოს – აღუზარდა 4 შვილი, მათ შორის ვაჟიშვილი გიორგი წერეთელი<sup>339</sup> – საბჭოთა სემიოლოგიის სკოლის აღიარებული მეთაური, და ქალიშვილი თინათინ წერეთელი – სისხლის სამართლის მეცნიერების ქართული სკოლის ხელმძღვანელი.

საუკუნო ხსოვნა ამ დიდებულ ქართველ ქალს!“

<sup>338</sup> ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი (1872-1939) – ქართველი მეცნიერი იურისტი, პოლიტიკური დამცველი, ფილოსოფოსი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი.

<sup>339</sup> გიორგი წერეთელი – გიორგი ვასილის ძე წერეთელი (1904-1973) – ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1968), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი (1964).

სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ტყემელიაძის მიერ თინათინ წერეთლის  
დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე,  
ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და გიორგი ამირანაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ტყემელიაძის მიერ თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980 წლის 8 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია გიორგი ტყემელიაძე (1929-2012) – იურისტი, მეცნიერი. 1947 წელს სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. გ. ტყემელიაძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. 1964 წელს ვლადიმერ მაყაშვილთან თანაავტორობით, გამოსცა ნაშრომი „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“<sup>340</sup>, 1969 წელს პროფ. თ. წერეთლის ხელმძღვანელობითა და მასთან თანაავტორობით – მონოგრაფია „მოდღერება დანაშაულზე“<sup>341</sup>, 1975 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის შესახებ<sup>342</sup>. სიტყვის ადრესატია თინათინ წერეთელი (1903-1980) – ქართველი მეცნიერი, იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დამცველთა კოლეგიის წევრი და სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი. თინათინ წერეთელი იყო საქართველოში პირველი მეცნიერი ქალი, რომელსაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის და პროფესორის წოდება სისხლის სამართალში. ის იყო ერთადერთი იურისტი ქალი, რომელიც იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1950-1952 წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას.

პროფ. თინათინ წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს: აკადემიკოსმა ალექსანდრე ფრანგიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თამაზ შავგულიძემ, პროფ. სერგო ჯორბენაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ტყემელიაძემ. გიორგი ტყემელიაძის სიტყვა გამოქვეყნდა ჟურნალში „საბჭოთა სამართალი“ პუბლიკაციაში „გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას“, სათაურით „ჭეშმარიტი მეცნიერი და გულისხმიერი აღმზრდელი“<sup>343</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>340</sup> მაყაშვილი, ვ., ტყემელიაძე, გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1964.

<sup>341</sup> წერეთელი, თ., ტყემელიაძე, გ., მოდღერება დანაშაულზე, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება, 1969.

<sup>342</sup> Ткешелиадзе Г. Т., Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, Мецниереба, 1975.

<sup>343</sup> ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1980, მაის-ივნისი, №3, გვ. 77-78.

## Speech Delivered by Giorgi Tqesheliadze at a Funeral Rally Dedicated to the Funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Giorgi Amiranashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Giorgi Tqesheliadze at a funeral rally dedicated to the funeral of Tinatin Tsereteli, in Tbilisi, on July 8, 1980]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Giorgi Tqesheliadze (1929-2012) – a lawyer, scientist. In 1947, he started his studies at the Faculty of Law of the Tbilisi State University. Giorgi Tqesheliadze has published more than 100 scientific works. In 1964, the work “Responsibility for Bribery” was published, co-authored with Vladimer Maqashvili<sup>344</sup>, in 1967 – under the leadership of Professor T. Tsereteli and co-authored with her, the monograph “The Doctrine of Crime” was published<sup>345</sup>, in 1975 – his monograph on the relationship between judicial practice and criminal law in Russian<sup>346</sup>. The addressee of the speech is Tinatin Tsereteli (1903-1980) – a Georgian scientist, lawyer, Doctor of Law, professor, member of the Bar Association and founder of the Georgian School of Criminal Law. Tinatin Tsereteli was the first female scientist in Georgia to be awarded the title of Doctor of Law and Professor of Criminal Law. She was the only female lawyer who was a Corresponding Member of the Academy of Sciences. In 1950-1952, she worked as the Dean of the Faculty of Law. Since 1957, she has been the head of the Law Department of the Institute of Economics and Law.

At the funeral rally dedicated to the funeral of Prof. Tinatin Tsereteli, speeches were delivered by Academician Alexandre Prangishvili, Doctor of Legal Sciences Tamaz Shavgulidze, Prof. Sergo Jorbenadze and Head of the Legal Department of the Council of Ministers of the Georgian SSR, Candidate of Legal Sciences Giorgi Tqesheliadze. Giorgi Tqesheliadze’s speech was published in the journal “Soviet Law” in the publication “In Memory of an Outstanding Scientist” under the title “A True Scientist and a Caring Educator”<sup>347</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>344</sup> Maqashvili V., Tqesheliadze. G., Responsibility for Bribery. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo, 1964 (in Georgian).

<sup>345</sup> Tsereteli, T., Tqesheliadze, G., Doctrine of Crime, Institute of Economics and Law, Tbilisi, Metsniereba, 1969 (in Georgian).

<sup>346</sup> Tqesheliadze, G., Judicial Practice and Criminal Law, Tbilisi, Metsniereba, 1975 (in Russian).

<sup>347</sup> Journal “Sabtchota Samartali”, Tbilisi, 1980, May-June, №3, pp. 77-78 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული გიორგი ტყეშელიაძის მიერ თინათინ წერეთლის  
დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, ქ. თბილისში, 1980  
წლის 8 ივლისს**

„დამავალეს გამოსათხოვარი სიტყვა გითხრათ ქალბატონო თინათინ, მაგრამ ძნელია, ძალიან ძნელი რამე გითხრათ რიგიანად, რადგან თქვენი ნათელი პიროვნებისა და ფასდაუდებელი ღვაწლის ჯეროვნად შეფასება ჩემს შესაძლებლობას აღემატება.

თქვენი პიროვნებისა და ღვაწლის შესახებ მომავალში სიმპოზიუმები თუ სამეცნიერო სესიები მოეწყობა. ამიტომ შევეცდები თქვენი წარმოჩენილი პიროვნებისა და მეცნიერული შემოქმედების მხოლოდ რამდენიმე ნიშანთვისება დავახასიათო.

როდესაც თქვენ, ქალბატონო თინათინ, დაბადების 70 წელი შეგისრულდათ<sup>348</sup>, მე მართლაც დიდი ბედნიერება მხვდა წილად – ამესახა თქვენი ცხოვრება და მეცნიერული შემოქმედება<sup>349</sup>. წერილის მომზადებისას ასეთი კითხვით მოგმართეთ: რატომ შეარჩიეთ სამეცნიერო ასპარეზად სამართლის დარგი? თქვენ დაუყონებლივ მიპასუხეთ: ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს<sup>350</sup> მიუძღვისო. ამ ლაკონიურ პასუხში ჩანდა უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება ბატონ ლუარსაბისადმი, მოწაფის სანიმუშო ერთგულება მისი სახელოვანი მასწავლებლისადმი. ამასთან, ამ პასუხით გამოვლინდა თქვენი უდიდესი თავმდაბლობაც. უფრო ზუსტად, თავი შეიკავეთ ამომწურავი პასუხისაგან, რადგან მაშინ თქვენს თავზე უნდა გელაპარაკათ. ეჭვს გარეშეა, სამართლის მეცნიერების შერჩევაში ბატონ ლუარსაბის მრავალმხრივ განათლებასთან, მას ბრწყინვალე ნიჭთან, წარმტაც და ღრმაშინაარსიან ლექციებთან ერთად თქვენმა ინტელექტმა, ნიჭიერებამ, შინაგანმა კულტურამ და რაც მთავარია, მაღალმა ზნეობრიობამ იჩინა თავი. ზნეობრიობა ხომ საზოგადოდ იურისტის სპეციალობის თანაარსი, იმამენტური თვისებაა, თქვენთვის იურისტის ზნეობრივ პრინციპებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თავად ფაქიზი და თანაც მკაცრი, უკომპრომისო მორალის ადამიანი, ამ მხრივ უაღრესად მომთხოვნი იყავით ყველას მიმართ, განსაკუთრებით სამართლის დარგის მუშაკებისადმი. მე კარგად მახსოვს ჩვენთვის, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტებისათვის, 1952 წელს ჩატარებული თქვენი ბოლო ლექცია. ეს ლექცია მთლიანად სამართლისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულებას მიუძღვენით, თანაც აქცენტი გადაიტანეთ იურისტის პიროვნების ზნეობრივ მრწამსზე. მის ზნეობრივ პოზიციაზე, ამ ლექციის დედაარსი ის იყო, რომ ახალგაზრდა, რაგინდ ნიჭიერი და ბეჯითიც არ უნდა იყოს იგი, ვერ გახდება ნამდვილი იურისტი, თუ არ ჩამოყალიბდა როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი, პრინციპული, შეუპოვარი მსახური სამართლიანობისა.

თქვენ უაღრესად გულისხმიერი აღმზრდელი ბრძანდებოდით, სასიცოცხლო მოთხოვნილებად მიგაჩნდათ ახალგაზრდობასთან სიახლოვე, ფართო მეცნიერულ ერუდიციასა და პედაგოგიურ გამოცდილებას დაუშურებლად ახმარდით მეცნიერ-მუშაკთა აღზრდას. სჯა-ბაასის, ზოგჯერ დაძაბული მეცნიერული კამათის დროს მოწაფეები ვერ ვგრძნობდით ინტელექტუალურ დიქტატს. თქვენთვის მთავარი იყო მეცნიერული არგუმენტაცია. მოწაფის დასაბუთებული პასუხი, თუნდაც იგი თქვენი შეხუდულების საწინააღმდეგო ყოფილიყო, თქვენს უდიდეს კმყოფილებას იწვევდა. საზოგადოდ კი გულწრფელად გახარებდით თითოეული თქვენი მოწაფის მეცნიერული წარმატება. ჩვენ არასდროს არ დაგვაიწყდება როგორ აღფრთოვანებით ხვდებოდით მოსკოვის, ლენინგრადის,

<sup>348</sup> იგულისხმება 1973 წელი, როდესაც თინათინ წერეთელს 70 წელი შეუსრულდა.

<sup>349</sup> Жвания Г.Е. (гл. ред.) и др., Правовые исследования: Сборник науч. статей, посвящ. 70-летию Тинатин Васильевны Церетели, Ин-т экономики и права, Тбилиси, Мецниереба, 1977.

<sup>350</sup> ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი (1872-1939) – ქართველი მეცნიერი იურისტი, პოლიტიკური დამცველი, ფილოსოფოსი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი.

კიევის, სხვა სამეცნიერო ცენტრების სწავლულ იურისტთა წერილებს, რომლებშიც თქვენი რომელიმე მოწაფის ნიჭიერებაზე იყო საუბარი. ასეთ წერილს დიდსა თუ პატარას, აკადემიასა თუ უნივერსიტეტში ყველას აცნობდით. ეს თქვენთვის მართლაც დღესასწაული იყო. იმავდროულად ვერ იტანდით პირფერობასა და მლიქვნელობას. იყავით პრინციპული, პირდაპირი, როდესაც საქმე მეცნიერებას ან მეცნიერულ კადრებს შეეხებოდა. ამ პრინციპულობიდან, ბუნებრივი ნიჭიდან, ძლიერი ნებისყოფიდან, ლოგიკური აზროვნებისა და საკითხის არსში წვდომის უნარიდან, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და სამართლის სხვადასხვა დარგში ღრმა განსწავლულობიდან წარმოდგებოდა თქვენი მეცნიერული გამბედაობა მრავალთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან.

მიზეზობრიობის პრობლემა ურთულესი პრობლემაა სამართალში. ერთ-ერთმა გერმანელმა სამართალმცოდნემ მას „შიშის მომგვრელი პრობლემა“ უწოდა. თქვენ, ქართველმა საბჭოთა მეცნიერმა ქალმა, სწორედ ეს „შიშის მომგვრელი“ პრობლემა აირჩიეთ კვლევის საგნად; შექმენით გამოკვლევა სისხლის სამართალში მიზეზობრიობის შესახებ, რომელიც ორჯერ გამოიცა და ჩვენშიც და მრავალ სხვა ქვეყანაშიც ნიადაგსახმარ წიგნად იქცა. ეს გამოკვლევა საკითხების წრით, კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განმაზოგადოებელი დასკვნებით ფაქტობრივად წარმოადგენს მოკლე კურსს მოძღვრებისა დანაშაულის შესახებ.

უაღრესად მომთხოვნი იყავით საკუთარი თავისადმი. პირველყოვლისა, თქვენი შემოქმედებით გვასწავლიდით, რომ მეცნიერი ნაშრომთა რაოდენობითა და მოცულობით კი არ უნდა იყოს გატაცებული, არამედ პრობლემის დასაბუთებული და შემოქმედებითი გადაწყვეტით.

თუ ბუნებისაგან ნიჭიერებით დაჯილდოებულ ადამიანს თან შრომის უნარიც მოსდგამს, მაშინ იგი მეცნიერების ასპარეზზე სასახელო წარმატებებს მოიპოვებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდით თქვენ ქალბატონო თინათინ. ჩვენ, თქვენს მოწაფეებსა და კოლეგებს მეტად გვანცვიფრებდა თქვენი დაუცხრომელი გარჯა, დღენიადაგ მუშაობა სიცოცხლის უკანასკნელ თვეებშიც კი. სწორედ თქვენი სიცოცხლის მიწურულს გამოაქვეყნეთ მეტად საინტერესო სტატია მართლწინააღმდეგობის ურთულესი პრობლემის შესახებ საკავშირო ჟურნალ „პრავოვედენიაში“, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ თქვენი თანაავტორობით უკვე დასტამბა მონოგრაფია „სიცოცხლეზე ხელყოფისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“.

მაღალი მეცნიერული ინტელექტი, ფართო განათლება, შინაგანი კულტურა გახდა საფუძველი იმისა, რომ თქვენი სახელი ფართოდ იყო ცნობილი მთელ კავშირში, სოციალისტურ და სხვა ქვეყნებში. თქვენ სხვადასხვა ქვეყნის სწავლულთა მეგობრობის მქადაგებელი იყავით, როდესაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოდესპონდენტს პროფესორ ვლადიმერ კუდრიავეცს<sup>351</sup> თქვენი გარდაცვალების ამბავი შევატყობინე, მან მითხრა, ნეკროლოგზე ხელის მოწერა ჩემთვის უღრესად დიდი პატივი იქნებაო.

ქალბატონო თინათინ, კიდევ ბევრი და ბევრი შემიძლია ვილაპარაკო თქვენს შესახებ თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი წასვლით თავკაცი დააკლდა ჩვენს ქართულ საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას.

მართლაც რომ მაღლი და დიდება თქვენ და თქვენს გამჩენს. მშვიდობით, ქალბატონო თინათინ.“

<sup>351</sup> ვლადიმერ ნიკოლაევიჩ კუდრიავეცი (1923-2007) – საბჭოთა და რუსი იურისტი, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის სპეციალისტი.

სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ჯიბლაძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-  
თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში,  
დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში,  
1987 წლის 22 თებერვალს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ჯიბლაძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-  
თაყაიშვილის ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის ქართველ მწერალთა და  
საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად  
მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია გიორგი ჯიბლაძე (1913-1989) – კრიტიკოსი, მეცნიერი, ფილოლოგი,  
ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი. 1933 წელს დაამთავრა  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1935 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას  
უმაღლეს სკოლაში; 1963-1980 წწ. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური  
განათლების მინისტრი. იკვლევდა ქართული ლიტერატურის, ესთეტიკის თეორიის  
პრობლემებს, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, მ. შოლოხოვის, ი. ა. კომენსკის, ჟ. ჟ. რუსოს, ზ.  
ფროიდის მემკვიდრეობის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს კრიტიკული ეტიუდების სერია.  
სიტყვის ადრესატია ნინო პოლტორაცკაია (1869-1931) – ივანე პოლტორაცკის შვილი და  
ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე. 1895 წლის 5 ივლისს ექვთიმე ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით  
დაქორწინდა ივანე პოლტორაცკის ქალიშვილ ნინოზე, ხოლო მეჯვარეებად ახლდნენ ილია  
წინამძღვრიშვილი და ოლღა გურამიშვილი. 1921 წლის 25 თებერვალს ექვთიმემ და ნინომ  
მოულოდნელად თბილისი დატოვეს და საფრანგეთში წავიდნენ ემიგრაციაში. ისინი სოფ. ლევილში  
(პარიზთან ახლოს) დასახლდნენ. 1931 წელს ნინო მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად  
გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, ხოლო ექვთიმე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1953 წელს  
აღესრულა. ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ცხედარი 1987 წლის 22 თებერვალს გადმოსვენეს  
საქართველოში, თავდაპირველად, დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა  
პანთეონში მეუღლის, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, შემდეგ კი, 2000 წლის 26 მაისს ორივე  
გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

სიტყვა გამოქვეყნდა 1988 წელს გიორგი ჯიბლაძის წიგნში „კრიტიკული ეტიუდები“, სათაურით  
„დაფერფლილნი და დადაფნულნი“<sup>352</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული  
წყაროდან.

<sup>352</sup> ჯიბლაძე, გ., კრიტიკული ეტიუდები, წ. 9, თბილისი, 1988, გვ. 184-186.

## Speech Delivered by Giorgi Jibladze During the Transfer of the Remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, in the Pantheon of Georgian Writers and Public Figures in Didube, on February 22, 1987

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Giorgi Jibladze during the transfer of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, at the Pantheon of Georgian Writers and Public Figures in Didube, on February 22, 1987]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Giorgi Jibladze (1913-1989) – a critic, scientist, philologist, literary scholar, literary critic, aesthetician. He graduated from Tbilisi State University in 1933. Since 1935 he has been engaged in pedagogical activity in high school; from 1963 to 1980. Minister of Higher and Secondary Special Education of the Georgian SSR. He researched the problems of Georgian literature, the theory of aesthetics, the issues of the heritage of N. Baratashvili, I. Tchavtchavadze, M. Sholokhov, I. A. Comenius, J. J. Rousseau, Z. Freud. He has published a series of critical studies. The addressee of the speech is Nino Poltoratskaya (1869-1931) – the daughter of Ivane Poltoratsky and the wife of Ekvtime Taqaishvili. On July 5, 1895, with the support of Ilia Tchavtchavadze, Ekvtime married Nino, the daughter of Ivane Poltoratsky, with Ilia Tsinamdzghvrishvili and Olga Guramishvili serving as wedding sponsors. On 25 February 1921, Ekvtime and Nino unexpectedly left Tbilisi and went into exile in France. They settled in the village of Leuville (near Paris). In 1931, after a severe and prolonged illness, Nino passed away and was buried there, while Ekvtime, after returning to his homeland, died in 1953. The remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili were repatriated to Georgia on 22 February 1987 and were initially buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures, beside her husband, Ekvtime Taqaishvili. Later, on 26 May 2000, both were reinterred in the Mtatsminda Pantheon.

The speech was published in 1988 in Giorgi Jibladze's book "Critical Studies" under the title "Turned to ashes and Laurel"<sup>353</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>353</sup> Jibladze, G., *Critical Etudes*, vol. 9, Tbilisi, 1988, pp. 184-186 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული გიორგი ჯიბლაძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს**

„აღსრულდა კიდევ ერთი ისტორიული ეროვნული აქტი!

აღსრულდა დიდი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილთან და მის მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებლის, ჩვენი ნაციონალური საუნჯის დაცვა-გადარჩენაში წამებული, მაგრამ ოდისეა-გამოვლილი გმირი კაცის – ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილის ორმოცდათექვსმეტწლიანი ოცნება<sup>354</sup> – საქართველოში დაკრძალულიყო 1931 წელს უცხოეთში გარდაცვლილი ნინო ივანეს ასული პოლტორაცკაია-თაყაიშვილი, დაკრძალულიყო მისივე გვერდით, როცა თვითონაც გარდაიცვლებოდა და მშობლიურ მიწას შეუერთდებოდა, რაშიაც მას არასოდეს ეჭვი არ შეჰპარვია. ორივე ეს ნატვრა აღსრულდა – აქ, უწმინდეს მიწაზე, სადაც ჩვენი სულიერი კულტურის მოგვები განისვენებენ, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში 1953 წლის თებერვალში დაიკრძალა აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, დღეს – 1987 წლის 22 თებერვალს იკრძალება პარიზის გარეუბან ლევილიდან გადმოსვენებული მისი უერთგულესი, უსაყვარლესი მეუღლე, ცნობილი ქართველი მოღვაწის, დიდი ილია ჭავჭავაძისა და მისი თერგდალეულთა მოწინავე დასის ერთგული თანამგზავრის – ივანე პოლტორაცკის ასული – ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი.

ქართული მეცნიერების სამაგალითო მოღვაწეს – ექვთიმე თაყაიშვილს ოცდათექვსმეტი წელიწადი მხარს უმშვენებდა, მძიმე ცხოვრების უღელს თავისი საქმეებითა და ილაჯგამწყვეტი შრომით უმსუბუქებდა ეს ლამაზი, კეთილშობილებით აღსავსე ქალი, რომლის ძვირფას ნემტთან დღეს ჩვენ აქ ვდგევართ და მთელი ხალხის, მთელი ერის სახელით უკანასკნელ ვალს ვიხდით მისი ნათელი ხსოვნის წინაშე. ის, რაც ქალბატონმა ნინომ გააკეთა თავისი სათაყვანო მეუღლისათვის, სამშობლოს სამსხვერპლოზე ქართველ ქალთა თავდადების კიდევ ერთი ნიმუშია, რომლის მნიშვნელობა მომდევნო თაობათა ხსოვნაში შეუძლებელია უკვალოდ გაჰქრეს.

თითქოს ამით იხურება უკანასკნელი კარები, თითქოს ამით მთავრდება უცხოეთში გატაცებული ჩვენი უნიკალური საუნჯის ერთი დიდი ნაწილის ტრაგედია! მაგრამ არა, ამ „ქართული საუნჯის ტრაგედია“ შეუძლებელია დამთავრდეს, ვინაიდან მას უკვე დაეკისრა ანტიკური დრამის ყველაზე დიდი ფუნქცია – კათარზისი, რამაც ყოველთვის უნდა იმოქმედოს ბოროტთა დასასჯელად და სათნო ადამიანების – გმირების განსაზღვრებად!

ექვთიმე თაყაიშვილი არა მარტო დიდი მეცნიერი, ამავე დროს დიდი პატრიოტი იყო. ყველა მისი საქმე – პედაგოგიური მოღვაწეობით დაწყებული, სანიმუშო მეცნიერული აღმოჩენებით გაგრძელებული და ქართული ეროვნული საუნჯის დასაცავად რაინდული შემართებით დამთავრებული, ამ უკვდავი ქართული პატრიოტული სულის გლადიატორული გამოვლინება იყო. მთელი მონოგრაფიაც კი ვიწრო გვერვენებაყოველივეიმის გადმოსაცემად, რაც ამ საარაკო კაცს თავისი მშობელი ხალხისათვის გაუკეთებია. მარტო 1904 წ. გამოქვეყნებული “Описания рукописей”, რომელიც 1904 წ. პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიამ ოქროს მედლით დააჯილდოვა, და 1910 წ. შრომისთვის – “Материалы по археологии Кавказа” მიღებული ოქროს მეორე მედალი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა, საკმარისი იყო ექვთიმე თაყაიშვილის სახელის განსაზღვრებად.

მაგრამ რამდენი, მართლაც უთვალავი რამ გააკეთა საქართველოლოგიისათვის ამ დიდმა კაცმა. ეს ზღვა გახლდათ, ხოლო თვითეული გამოკვლევა სასიქადულო მეცნიერისა, ესოდენ საიმედო და პირველხარისხოვანი, ნამდვილად სამაგიდო წიგნია ქართველოლოგიაში მომუშავე ყველა მკვლევარისათვის.

<sup>354</sup> იგულისხმება ის, რომ 1931 წელს საფრანგეთში გარდაცვლილი ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი 56 წლის შემდეგ, 1987 წელს გადმოსვენეს საქართველოში.

არც ბატონ ექვთიმეს, არც ქალბატონ ნინოს არასოდეს უძებნიათ მატერიალური კეთილდღეობა, არც პირადი ბედნიერება. მათ დაჰგმეს ამქვეყნიური ცხოვრების ცდუნებანი და ყველაფერი მშობელი ხალხის სამსახურს შესწირეს, უანგაროდ, დაუზარებლად. ისინი ერის სამსხვერპლოზე არიან დაფერფლილნი და დადაფნულნი!

თავისი განათლებით, ცოდნით, ქმრისადმი ერთგულებით, პორტრეტითაც კი ქალბატონი ნინო მაგონებს იმ ძველ რომაელ დედოფალ სალოლინას<sup>355</sup>, რომელიც ასე კეთილად იხსენიება მსოფლიო კულტურის ისტორიაში თავის მეუღლე, ნეოპლატონიკოს იმპერატორ პალიენთან<sup>356</sup> ერთად.

მინდა აქ დამსწრე საზოგადოების სახელით დიდი მადლობა მოვახსენო მსოფლიოში სახელგანთქმულ მხატვარ-მონუმენტალისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ზურაბ წერეთელს<sup>357</sup>, რომლის ბრწყინვალე ნაშრომებით დამშვენებულია არა მარტო ჩვენი სამშობლოს, საზღვარგარეთის მრავალი ქალაქიც, იმ უანგარო ამავისათვის, რაც მას ჩვენს დღევანდელ ეროვნულ აქციაში მიუძღვის. მან წარმატებით შეასრულა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალება, ისიც გააკეთა, რომ საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი ფერმწერლის ფელიქს გრიგოლის მე ვარლამიშვილის (ფელიქს ვარლას)<sup>358</sup> ათი ტილო<sup>359</sup>, რომლებიც მას გადასცა მხატვრის ქვრივმა, საქართველოში ჩამოიტანა.

შეუძლებელია მადლობით არ მოვიხსენიოთ საბჭოთა კავშირის სრულყოფილებიანი ელჩი საფრანგეთში ი. რიაბოვი<sup>360</sup>, რომელმაც ასე დიდი ყურადღება, ნამდვილი ადამიანური თანაგრძნობა გამოიჩინა ამ საქმეში და სათანადო წერილიც გამოუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილს<sup>361</sup>, ურომლისოდ შეუძლებელი იქნებოდა დღევანდელი აქტის შესრულება.

ქართული მეცნიერებისათვის დაუვიწყარი ისტორიკოსის მიქელ თამარაშვილის<sup>362</sup> ნემტის იტალიიდან გადმოსვენების შემდეგ, რაც ითავა და განახორციელა ჩვენმა დაუღალავმა მოღვაწემ რეზო თაბუკაშვილმა<sup>363</sup>, დღევანდელი მისია ზურაბ წერეთლისა – ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის პარიზიდან გადმოსვენება და დიდუბის პანთეონში დაკრძალვა კიდევ ერთი დამადასტურებელია იმ საყოველთაო ჭეშმარიტებისა, რომ ერი თავის უერთგულეს შვილებს არასოდეს ივიწყებს და მათ სახელებს ყოველთვის მოსავს ჩაუქრობელი ნათელით!“

<sup>355</sup> სალოლინა – იგულისხმება რომაელი დედოფალი კორნელია სალოლინა (ლათ. Publia Licinia Julia Cornelia Salonina; გ. 268 წ.). ის წარმოშობით იყო პონტოს ბითინიიდან და დაქორწინებული იყო რომის იმპერატორ გალიენუსზე. კორნელია სალოლინას სახელით მოჭრილია რამდენიმე ტიპის რომაული მონეტა და რომის სერვიურ კედლებში აგებულია თაღოვანი კარიბჭე წარწერით: SALONINAE SANCTISSIMAE AUG – სალოლინას, უწმინდეს ავგუსტას (დედოფალს).

<sup>356</sup> პალიენი – იგულისხმება რომის ნეოპლატონიკოსი იმპერატორი გალიენუსი (ლათ. Publius Licinius Egnatius Gallienus Augustus; 218-268) – იგი რომს მართავდა თავის მამასთან, ვალერიანესთან ერთად 253-260 წლებში და დამოუკიდებლად – 260-268 წლებში. მან იმპერიის კონტროლი მაშინ ჩაიბარა, როდესაც ის დიდ კრიზისს განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ გალიენმა მრავალი სამხედრო გამარჯვება მოიპოვა, ის უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა იმპერიის რღვევა.

<sup>357</sup> ზურაბ წერეთელი – ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელი (დ. 1934) – ქართველი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი, სსრკ-ის სახალხო მხატვარი (1980), თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1983), ბროკპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1997), რუსეთის ხელოვნებათა აკადემიის პრეზიდენტი.

<sup>358</sup> ფელიქს ვარლა – ფელიქს გრიგოლის ძე ვარლამიშვილი (1903-1986) – საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვარი.

<sup>359</sup> 1986 წლის 6 თებერვალს ფელიქს ვარლამიშვილი პარიზში გარდაიცვალა. მხატვრის მეუღლემ, ზირე ბინდერმა აღასრულა ფელიქს ვარლამიშვილის ანდერძი და მისი ათი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმს უსახსოვრა.

<sup>360</sup> ი. რიაბოვი – იაკობ პეტროვიჩ რიაბოვი, სსრკ-ს პოლიტიკური მოღვაწე. სვერდლოვსკის რეგიონალური პარტიული კომიტეტის პირველ მდივნი (1971 წ.); იქვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნი (1976 წ.); სსრკ სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ხოლო 80-იან წლებში იყო საბჭოთა კავშირის სრულყოფილებიანი ელჩი საფრანგეთში. შემდგომში იაკობ რიაბოვი აირჩიეს სსრკ-საფრანგეთის საზოგადოებისა და საფრანგეთის მეგობრების ასოციაციის მმართველად.

<sup>361</sup> ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი – ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი (დ. 1939) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სსრ-ის ცკ-ს პირველი მდივნი (1985-89 წწ.).

<sup>362</sup> მიქელ თამარაშვილი – მიხეილ თამარაშვილი, ერისკაცობაში ალექსანდრე პეტრეს ძე თამარაშვილი (იტალიაში ცნობილი იყო, როგორც მიქელ თამარათი) (1858-1911) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

<sup>363</sup> რეზო თაბუკაშვილი – რევაზ (რეზო) შალვას ძე თაბუკაშვილი (1927-1990) – ქართველი მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი, სცენარისტი, რეჟისორი. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1981).

სიტყვა, წარმოთქმული ლაშა თაბუკაშვილის მიერ ნინო პოლტორაცკაია-  
თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში,  
დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში,  
1987 წლის 22 თებერვალს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ლაშა თაბუკაშვილის მიერ ნინო პოლტორაცკაია-  
თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და  
საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად  
მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ლაშა თაბუკაშვილი (დ. 1950) – ქართველი მწერალი და დრამატურგი.  
დაიბადა რევაზ თაბუკაშვილისა და მედეა ჯაფარიძის ოჯახში. დაამთავრა თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იყო მწერალთა კავშირის უცხოეთთან  
ურთიერთობის განყოფილების რეფერენტი, ასევე კინომსახიობთა თეატრის ლიტერატურული  
ნაწილის გამგე. ჟურნალ „XX საუკუნესთან“ დააარსა მწერალთა კავშირის კლუბი „XX საუკუნე“  
(1998). მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა 1969 წელს ჟურნალ „ცისკარში“ მოთხრობით –  
„მოკლეს ბიჭი“. სულ დაბეჭდილი აქვს ოცამდე მოთხრობა, რომელიც მრავალ ენაზეა ნათარგმნი.  
სიტყვის ადრესატია ნინო პოლტორაცკაია (1869-1931) – ივანე პოლტორაცკის შვილი და ექვთიმე  
თაყაიშვილის მეუღლე. 1895 წლის 5 ივლისს ექვთიმე ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით დაქორწინდა  
ივანე პოლტორაცკის ქალიშვილ ნინოზე, ხოლო მეჯვარეებად ახლდნენ ილია წინამძღვრიშვილი  
და ოლღა გურამიშვილი. 1921 წლის 25 თებერვალს ექვთიმემ და ნინომ მოულოდნელად თბილისი  
დატოვეს და საფრანგეთში წავიდნენ ემიგრაციაში. ისინი სოფ. ლევილში (პარიზთან ახლოს)  
დასახლდნენ. 1931 წელს ნინო მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა და  
იქვე დაკრძალეს, ხოლო ექვთიმე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1953 წელს აღესრულა. ნინო  
პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ცხედარი 1987 წლის 22 თებერვალს გადმოსვენეს საქართველოში,  
თავდაპირველად, დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის,  
ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, შემდეგ კი, 2000 წლის 26 მაისს ორივე გადასვენეს მთაწმინდის  
პანთეონში.

სიტყვა პირველად გამოქვეყნდა 1987 წელს გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“, სათაურით  
„სიტყვა, თქმული ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებაზე“<sup>364</sup>, ხოლო მეორედ  
– 2007 წელს კრებულში „ღვთისკაცი: ექვთიმე თაყაიშვილი“ იმავე სათაურით<sup>365</sup>. გთავაზობთ  
ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით პირველი წყაროდან.

<sup>364</sup> გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987, სამშაბათი, 24 თებერვალი, №23, გვ. 4.

<sup>365</sup> თავბერიძე, ი. (შემდგ.), ღვთისკაცი: ექვთიმე თაყაიშვილი საარქივო და პერიოდული პრესის მასალების  
მიხედვით, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2007, გვ. 296-297.

## Speech Delivered by Lasha Tabukashvili at the Reburial of the Remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, at the Pantheon of Writers and Public Figures in Didube, on February 22, 1987

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Lasha Tabukashvili at the reburial of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, at the Pantheon of Writers and Public Figures in Didube, on February 22, 1987]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Lasha Tabukashvili (b. 1950) – a Georgian writer, playwright. He was born into the family of Revaz Tabukashvili and Medea Japaridze. He graduated from the Faculty of Philology at Tbilisi State University. He served as a referent in the Foreign Relations Department of the Writers' Union, as well as the head of the literary division of the Film Actors' Theatre. In the journal *20th Century*, he founded the Writers' Union club "20th Century" (1998). His literary debut took place in 1969 in the magazine "Tsiskari" with the short story "They Killed the Boy". He has published around twenty short stories in total, which have been translated into multiple languages. The addressee of the speech is Nino Poltoratskaya (1869-1931) – the daughter of Ivane Poltoratsky and the wife of Ekvtime Taqaishvili. On July 5, 1895, with the support of Ilia Tchavtchavadze, Ekvtime married Nino, the daughter of Ivane Poltoratsky, with Ilia Tsinamdzghvrishvili and Olga Guramishvili serving as wedding sponsors. On 25 February 1921, Ekvtime and Nino unexpectedly left Tbilisi and went into exile in France. They settled in the village of Leuville (near Paris). In 1931, after a severe and prolonged illness, Nino passed away and was buried there, while Ekvtime, after returning to his homeland, died in 1953. The remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili were repatriated to Georgia on 22 February 1987 and were initially buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures, beside her husband, Ekvtime Taqaishvili. Later, on 26 May 2000, both were reinterred in the Mtatsminda Pantheon.

The speech was first published in 1987 in the newspaper "Akhalgazrda komunisti" under the title "Speech, spoken on the transfer of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili"<sup>366</sup> and for the second time – in 2007 in the collection "The Man of God: Ekvtime Taqaishvili" under the same title<sup>367</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>366</sup> Newspaper "Akhalgazrda Komunisti", 1987, Tuesday, February 24, №23, p. 4 (in Georgian).

<sup>367</sup> Tavberidze, I. (ed.), *The Man of God: Ekvtime Taqaishvili According to Archival and Periodical Press Materials*, Tbilisi, Georgian Patriarchate Publishing House, 2007, pp. 296-297 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ლაშა თაბუკაშვილის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს**

„ძნელია სიარული ცხოვრების ეკლიან გზაზე წმინდანთან ერთად<sup>368</sup>! ძნელია გაითავისო მისი მოწამებრივი ვალი და ის უმძიმესი ჯვარი ზიდო, რასაც განგება მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთ აკუთვნებს. გავა დრო და ბურუსიდან ამობრწყინდება წმინდანის სახე და საბოლოოდ გაფერმკრთალდება ხატება მათი, ვისი სულიცა და სხეულიც არანაკლებ ეწამა, ვისი მაღალი შეგრძნებაც ჩასწვდა არსს იმ დიდი და საბედისწერო მისიისა, ერთადერთ ადამიანს რომ დააკისრა ისტორიამ, ისტორიამ, რომელიც მეტწილად უმადურია უბრალო მოკვდავთა მიმართ.

მაგრამ არა დღეს, ქალბატონო ნინო<sup>369</sup>! მხოლოდ დღეს არა, ქალბატონო ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილისა!

დღეს მაღლიერებისა და ვალის გადახდის ზეიმია!

რა დიდი სულიერი შეგნება და თვითშეგნება უნდა გააჩნდეს ერს, მის თავკაცებს, დიდებულ ქართველ ხალხს, რომ ზვავებითა და მეწყერებით, ნგრევითა და წარღვრით დალაზვრილმა, სწორედ დღეს მოიცალოს წმინდა ვალის გადასახდელად, სწორედ დღეს მოიცალოს იმისთვის, რომ უმეცრებითა და უმადურობით გულნაჭრილობევ სპეტაკ კაცს<sup>370</sup> აუხდინოს ბოლო ნატვრა და ეულად არ დატოვოს დიდუბის წმინდა მიწაში<sup>371</sup>.

ძნელია წმინდანთან ერთად სიარული ცხოვრების ეკლიან გზაზე! თავად წმინდანის – დიდი ილია ჭავჭავაძის<sup>372</sup> მიერ ნაკურთხმა კავშირმა, რამდენიმე ათეული წლით გაწყვეტილმა, დღეს ჰპოვა სამუდამო სასუფეველი.

„შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,

მკერდზე რომ ვარდსაც არ იკარებდი!“

ვინ იცის, იქნებ დიდუბის თბილი მიწა მეტი საზღაური იყოს, ვიდრე ვარდი და სამკაული, სიყმაწვილემიც რომ უარყავით სილამაზით და სათნოებით სავსე ასულმა, ერთი ხნისიერი, ჭაღარა მეცნიერის გვერდზე ყოფნის გამო.

დღეს ისევ ერთად ბრძანდებით, ქალბატონო ნინო! ზვავმა დაიტანა მთიანი საქართველო, მაგრამ ვერა დააკლო ჩვენი წინაპრების მიერ ნაშენებ კოშკებს. ასეთ კოშკებად და ობელისკებად გადარჩით თქვენც, რათა ნაცრისფერი ყოველდღიურობის წვრილმან წარღვნებში და მეწყერებში გადაარჩინოთ ჩვენი სულებიც!

ძნელია სიარული ცხოვრების ეკლიან გზაზე წმინდანთან ერთად! უფრორე ძნელი – მასთან დარჩე სამარადისოდ!

თქვენ კი ერთად ბრძანდებით, ბატონო ექვთიმე და ქალბატონო ნინო!“

<sup>368</sup> იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილი (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი), რომელიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

<sup>369</sup> ნინო პოლტორაცკაია – ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი (1869-1931), ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე.

<sup>370</sup> იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილი – ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი; 1862 (სხვა მონაცემებით 1863)-1953), ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918, 1945), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. ცნობილია როგორც 1921-1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი. მისი მეუღლე იყო ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი.

<sup>371</sup> 1987 წლის 22 თებერვალს გადმოსვენეს საქართველოში, თავდაპირველად დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს ექვთიმე თაყაიშვილის ნემტი მთაწმინდის მიწას მიაბარეს. 2002 წელს წმინდა სინოდის სხდომამ ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“.

<sup>372</sup> ილია ჭავჭავაძე (1837-1907), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი. მისი მეუღლე იყო ოლღა გურამიშვილი (1842-1927).

სიტყვა, წარმოთქმული ანდრია აფაქიძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-  
თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში,  
დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში,  
1987 წლის 22 თებერვალს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ანდრია აფაქიძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ანდრია აფაქიძე (1914-2005) – ქართველი არქეოლოგი, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (1943-1952), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი (1952-1972), ანტიკური ხანის არქეოლოგიური განყოფილების გამგე (1972-1989), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1988-იდან). ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სიტყვის ადრესატია ნინო პოლტორაცკაია (1869-1931) – ივანე პოლტორაცკის შვილი და ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე. 1895 წლის 5 ივლისს ექვთიმე ილია ჭავჭავაძის ხელმწიფობით დაქორწინდა ივანე პოლტორაცკის ქალიშვილ ნინოზე, ხოლო მეჯვარეებად ახლდნენ ილია წინამძღვრიშვილი და ოლღა გურამიშვილი. 1921 წლის 25 თებერვალს ექვთიმემ და ნინომ მოულოდნელად თბილისი დატოვეს და საფრანგეთში წავიდნენ ემიგრაციაში. ისინი სოფ. ლევილში (პარიზთან ახლოს) დასახლდნენ. 1931 წელს ნინო მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, ხოლო ექვთიმე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1953 წელს აღესრულა. ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ცხედარი 1987 წლის 22 თებერვალს გადმოსვენეს საქართველოში, თავდაპირველად, დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, შემდეგ კი, 2000 წლის 26 მაისს ორივე გადასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

სიტყვა პირველად გამოქვეყნდა 1987 წელს ჟურნალ „მნათობში“ სათაურით „აღსრულდა დიდი ექვთიმეს ოცნება“<sup>373</sup>, მეორედ 2007 წელს იმავე სათაურით „აღსრულდა დიდი ექვთიმეს ოცნება“, ხოლო სქოლიოში მიწერილი აქვს: „სიტყვა წარმოთქმული ნინო-პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნემტის გადმოსვენებაზე დიდუბის პანთეონში 1987 წლის 22 თებერვალს“<sup>374</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით პირველი წყაროდან.

<sup>373</sup> ჟურნალი „მნათობი“, 1987, მარტი, №3, გვ. 175-176.

<sup>374</sup> თავბერიძე, ი. (შემდგ.), ღვთისკაცი: ექვთიმე თაყაიშვილი საარქივო და პერიოდული პრესის მასალების მიხედვით, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2007, გვ. 298-299.

## Speech Delivered by Andria Apakidze at the Reburial of the Remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, at the Pantheon of Writers and Public Figures in Didube, on February 22, 1987

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Andria Apakidze at the reburial of the remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili from Paris to Tbilisi, at the Pantheon of Writers and Public Figures in Didube, on February 22, 1987]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Andria Apakidze (1914-2005) – a Georgian archaeologist and historian, Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences (1967), Doctor of Historical Sciences (1959), Professor, and Honored Scientist (1964). He served as Director of the S. Janashia State Museum of Georgia of the Georgian Academy of Sciences (1943-1952); Head of the Archaeology Department at the Ivane Javakhishvili Institute of History, Archaeology, and Ethnography of the Georgian Academy of Sciences (1952-1972); Head of the Department of Classical Archaeology (1972-1989); and Vice President of the Georgian Academy of Sciences (from 1988). He was a signatory to the Act of Restoration of State Independence of Georgia (April 9, 1991). The addressee of the speech is Nino Poltoratskaya (1869-1931) – the daughter of Ivane Poltoratsky and the wife of Ekvtime Taqaishvili. On July 5, 1895, with the support of Ilia Tchavtchavadze, Ekvtime married Nino, the daughter of Ivane Poltoratsky, with Ilia Tsinamdzghvrishvili and Olga Guramishvili serving as wedding sponsors. On 25 February 1921, Ekvtime and Nino unexpectedly left Tbilisi and went into exile in France. They settled in the village of Leuville (near Paris). In 1931, after a severe and prolonged illness, Nino passed away and was buried there, while Ekvtime, after returning to his homeland, died in 1953. The remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili were repatriated to Georgia on 22 February 1987 and were initially buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures, beside her husband, Ekvtime Taqaishvili. Later, on 26 May 2000, both were reinterred in the Mtatsminda Pantheon.

The speech was first published in 2007 in the collection “The Man of God: Ekvtime Taqaishvili” under the title “The Great Ekvtime’s Dream Was Fulfilled”<sup>375</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>375</sup> Tavberidze, I. (ed.), *The Man of God: Ekvtime Taqaishvili According to Archival and Periodical Press Materials*, Tbilisi, Georgian Patriarchate Publishing House, 2007, pp. 298-299 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ანდრია აფაქიძის მიერ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის  
ნეშტის გადმოსვენებისას პარიზიდან თბილისში, დიდუბის ქართველ  
მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1987 წლის 22 თებერვალს**

„ქალბატონმა ნინომ მოგვცა საბაბი ერთხელ კიდევ მოგვეყარა თავი<sup>376</sup> ერის სასიქადულო მამულიშვილების ამ წმინდა სავანეში, აქ – ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან.

უკანასკნელად 66 წლის წინ ედგა ფეხი ქალბატონ ნინოს ქართულ მიწაზე. დღეს კვლავ საქართველოშია ის, თავის ექვთიმესთან ერთად – საფლავშიაც თან ჩაყვა მას.

ჭეშმარიტად ღირსი იყო მშობლიური მიწისა ქალბატონი ნინო. ღირსი იყო ბატონი ექვთიმე მოსწრებოდა ერთგული მეუღლის ჩამობრძანებას საქართველოში.

დღეს ახდა ოცნება: საქართველომ შეუსრულა დაპირება ბატონ ექვთიმეს. გუშინ პრესამ დაწვრილებით აცნობა დიდი დაპირების შესრულებისათვის ფრიად დამამწვრალთა შესახებ. დღეს მადლიერი ქართველი ხალხი თავს ხრის მათ წინაშე.

1945 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბატონი ექვთიმე, წერდა: საშუალება მომეცა ჩემს უნივერსიტეტში და ახალშობილ აკადემიაში დამეწყო მუშაობა. ოღონდ, ძალზე მიკლავს გულს, რომ ჩემი საცოდავი მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი საფრანგეთის მიწაში დამრჩა დამარხული.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ მძიმედ განიცდიდა ბატონი ექვთიმე საფრანგეთშიაც ქალბატონ ნინოს უდროოდ დაკარგვას. „ჩემი სიოზბლე, ჩემი მარტოობა და უმწეო მდგომარეობა უსიტყვოდაც კარგად უნდა წარმოიდგინოს ყველამ... დავეცი, ფეხი მოვიტეხე, პარიზის საავადმყოფოში ვწევარ. ჩემი მდგომარეობა ერთობ მძიმეა; ჯერჯერობით, ვერც ვდგები, ვერც ვჯდები. ეს აღსასრულის დასაწყისია. ნინო აღარა მყავს. ამ მდგომარეობაში ჩემი მოვლა მხოლოდ მას შეეძლო“, – წერდა პარიზიდან თავის უახლოეს მეგობარსა და თანაშემწეს, გამოჩენილ მოღვაწეს ბატონ იროდიონ სონღულაშვილს<sup>377</sup>.

ქალბატონი ნინო და ბატონი ექვთიმე 36 წლის მანძილზე, მშობლიუ საქართველოში თუ უცხოეთში, განუყრელად და თავდადებით იღვწოდნენ მამულისათვის, მიუხედავად ქუდბედად დაყოფილი ჟამთა სიავისა: „რაკი პარიზში საცხოვრებელი სახსარი არ გვექონდა, ახლა სოფლად ვართ – ლევილში – მე და ჩემი ცოლი. ცოტა ხნის შემდეგ აქ საცხოვრებელიც არაფერი გვექნება“. რით არ არის ეს სამშობლოსათვის ჭეშმარიტად თავგანწირულთა ცხოვრება?

როგორღაც სიმპტომატურია და, თანაც, უთუოდ კარგი, რომ ეს დიდი თავგადასავალი დასრულდა წელს, როდესაც ჩვენი ხალხი, დიდი საბჭოეთი გულმოდგინედ ემზადება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის. ხომ ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ილია უკვე ვეღარ ურიგდებოდა ექვთიმე თაყაიშვილის მარტოხელობას. ილია წუხდა, რომ ექვთიმე დაქორწინებას აგვიანებდა და ხშირად მეგობრებთან ათევდა ღამეს. ერთ შეკრებაზე, ჩანს პოლტორაცკების წრეში და, იქნებ, მათ გასაგონადაც, ილიას უთქვამს: სანამ უნდა იყოს ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი ბატონ გოგებაშვილის ბინაზე. იგი შეირთავს ნინო პოლტორაცკაიას და ოჯახს შექმნისო. გვიან, ილიას ამ ნათქვამის გამო, ბატონ ექვთიმეს უბრძანებია: მესამე დღეს პოლტორაცკების ერთმა მეზობელმა შემომითვალა – არ განახოთ ამ საქმეზე ჩვენთან მოსული, თორემ მეორე ფეხსაც მოგტეხთო.

ერის საქმეს შეელია ორი დიდი ქართველის სიცოცხლე. დიახ, ორი ჩვენი მამულიშვილისა. ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილმა 1928 წლის 31 მაისს პარიზში შეესებულ ანკეტაში. თურმე ჩაწერა –

<sup>376</sup> იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილის გადმოსვენება და დაკრძალვა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ამჯერად, იმავე საფლავთან ხელმეორედ შეიკრიბნენ იმისათვის, რათა მისი მეუღლე ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი დაესაფლავებინათ ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით.

<sup>377</sup> იროდიონ სონღულაშვილი (1880-1958) – ქართველი ხელოვნებათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, მწერალი.

ეროვნებით ქართველი ვარო.

ჩვენი საზოგადოებრიობის, დღეს აქ მოსული ზღვა ხალხის გულითადი მადლობა რესპუბლიკის მესვეურთ, მათ ვინც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ასე დასრულებულიყო წამება წმინდისა ნინოსი და ექვთიმესი.

კარგი იქნებოდა იყოს შესაძლო ვაცოდინოთ ბატონ ექვთიმეს, რომ მისი ნინო სამშობლოში დაბრუნდა ქართველთა დიდი გასაჭირის ჟამს; – ვაცოდინოთ ისიც, რომ ქართველი კაცი ძველებურად მარტო აღარ არის ავბედობასთან თავგანწირულ ბრძოლაში. მასთან არიან კავკასიელი ძმები; მასთან არის დიდი რუსი ხალხი, საბჭოეთის უკიდევანო ქვეყნის მომძე ხალხები და საერთო ძალით სწრაფად იშუშებს და ირჩენს წყლულებს, ქვითკირივით მტკიცე შეხვდა გასაჭირს.

ამ გასაჭირში ჩვენთან არიან დიდი ექვთიმე თაყაიშვილი და სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი ქალი ნინო პოლტორაცკაია.

დიდება მათ სახელს ამიერიდანაც არ მოაკლდება.“

## სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას დასაფლავებაზე, ქ. პარიზში, 1993 წლის 27 აპრილს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა  
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

### (მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას დასაფლავებაზე, ქ. პარიზში, 1993 წლის 27 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მიხეილ ქავთარაძე (1906-2008) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართველი ემიგრანტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნებულმა დაასრულა სიცოცხლე. მიხეილ ქავთარაძე მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში და 1927 წელს იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. საფრანგეთში ედპ-ის თავმჯდომარის, სპირიდონ კედიას გარდაცვალების შემდეგ მიხეილ ქავთარაძე განაგრძობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. მეორე მსოფლიო ომის წლებში მონაწილეობდა „ვერმახტის“ ქართული ლეგიონის ქვედანაყოფების – „თამარ I“-ისა და „ბერგმანის“ – შექმნაში. 1950-იანი წლებიდან მიხეილ ქავთარაძე რედაქტორობდა ჟურნალ „ივერიას“, ევროპულ პრესაში აქვეყნებდა სტატიებს საქართველოზე და დაწერა ისტორიულ-ქრონოლოგიური მასალით მდიდარი ავტობიოგრაფიული რომანი „იანიჩარები“. 2003 წელს ქავთარაძე სამშობლოში დაბრუნდა და 2007 წელს გამოაქვეყნა კიდევ ერთი ავტობიოგრაფიული ნაშრომი „ცხოვრების 100 წელი“. გარდაიცვალა თბილისში, 101 წლისა. სიტყვის ადრესატია სოფიო (სონა) ჩიჯავაძე-კედია (1885-1993) – პედაგოგი. იგი 1907-1911 წლებში სწავლობდა მოსკოვის ქალთა უმაღლეს სასწავლებელში. თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის დასრულების შემდეგ თვითონ ხელმძღვანელობდა გიმნაზიას და პედაგოგადაც მუშაობდა; დიპლომის აღების შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა თბილისში, 1918 წელს კი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, პირველი ქალთა გიმნაზიის გამგედ დანიშნეს; 1919 წლის 25 ნოემბერს სოფიო ჩიჯავაძე ცოლად გაჰყვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრს სპირიდონ კედიას, რომელიც 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი იყო. სოფიო ჩიჯავაძემ მხოლოდ 1928 წელს მოახერხა პარიზში ქალიშვილთან ერთად ჩასვლა და სპირიდონ კედიასთან შეერთება; 1990 წელს, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონკურსში სოფიო ჩიჯავაძის მოგონებების წიგნი „ნასმენ-ნახული“ ილია ჭავჭავაძის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა. მისი დაბადების 100 წლისთავზე პარიზის მაშინდელმა მერმა ჟაკ შირაკმა, როგორც პარიზის უხუცეს მოქალაქეს, საგანგებო მედალი და დიპლომი გადასცა. ქართული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენელი გარდაიცვალა 108 წლის ასაკში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, პარიზში.

სიტყვა გამოქვეყნდა 1993 წელს გაზეთში „ქართული ქრონიკა“, სათაურით „სიტყვა წარმოთქმული ქალბატონ სოფიო კედია-ჩიჯავაძის დასაფლავებაზე“<sup>378</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>378</sup> გაზეთი „ქართული ქრონიკა“, 1993, შაბათი, 19 ივნისი, №13(100), გვ. 5.

## Speech Delivered by Mikheil Kavtaradze at the Funeral of Sopia Chijavadze-Kedia, in Paris, on April 27, 1993

---

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

### (A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Mikheil Kavtaradze at the funeral of Sopia Chijavadze-Kedia, in Paris, on April 27, 1993]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Mikheil Kavtaradze (1906-2008) – a Georgian political figure, publicist, Georgian emigrant, member of the National Democratic Party. The only representative of the National Democratic Party of the 20s of the twentieth century, who ended his life upon returning to independent Georgia. Mikheil Kavtaradze participated in the August Uprising of 1924 against the Soviet government and in 1927 was forced to emigrate. After the death of Spiridon Kedia, the chairman of the NDP in France, Mikheil Kavtaradze continued his public and political activities. During the Second World War, he participated in the creation of the units of the Georgian Legion of the Wehrmacht, “Tamar I” and “Bergmann”. Since the 1950s, Mikheil Kavtaradze edited the magazine “Iveria”, published articles about Georgia in the European press, and wrote an autobiographical novel “Janissaries”, rich in historical and chronicle material. In 2003, Mikheil Kavtaradze returned to his homeland and in 2007, he published another autobiographical work, “100 Years of Life”. He died in Tbilisi at the age of 101. The addressee of the speech is Sopia (Sona) Chijavadze-Kedia (1885-1993) – a teacher. In 1907-1911 she studied at the Moscow Women's Higher School. After graduating from the St. Nino School in Telavi, she herself headed the gymnasium and also worked as a teacher; after receiving her diploma, she worked as a teacher in Tbilisi, and in 1918, after the declaration of Georgia's independence, she was appointed head of the first women's gymnasium; On November 25, 1919, Sopia Chijavadze married Spiridon Kedia, one of the founders and chairman of the National Democratic Party, a member of the Constituent Assembly of the Republic of Georgia, who had been a political emigrant since 1921. Sopia Chijavadze managed to move to Paris only in 1928. Arrived with her daughter and joined Spiridon Kedia; In 1990, in a competition held by the Georgian-European Institute in Paris, Sopia Chijavadze's memoir book “Heard-Seen” was awarded the Ilia Tchavtchavadze International Prize. On the 100th anniversary of her birth, the then mayor of Paris, Jacques Chirac presented her with a special medal and diploma as the oldest citizen of Paris. As the oldest representative of Georgian emigration, she died at the age of 108. Buried at the Georgian cemetery in LeVilles, Paris.

The speech was published in 1993 in the newspaper “Kartuli kronika” under the title “Speech delivered at the funeral of Mrs. Sopia Kedia-Chijavadze”<sup>379</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>379</sup> Newspaper “Kartuli kronika”, 1993, Saturday, June 19, №13(100), p. 5 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას  
დასაფლავებაზე, ქ. პარიზში, 1993 წლის 27 აპრილს**

„დაკრძალვა, რომელსაც ჩვენ დღეს ვესწრებით, სრულიად და მრავალმხრივ განსაკუთრებული ხასიათისაა. უპირველესად ყოვლისა, ჩვენ ვემშვიდობებით ადამიანს, რომელმაც ყველაზე ხანგრძლივად იცოცხლა<sup>380</sup> ქართული ემიგრაციის იმ ძველი თაობის წევრთაგან, რომლის უკანასკნელ წარმომადგენელსაც ვაბარებთ მიწას. მაშასადამე, ფორმალურად, დღეს იხურება იმ თაობის სიის ფურცელი, რომლის საქმესაც მომავალში განსჯის ისტორია. გარდა ამისა, განსვენებული იყო ქვრივი საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში წარმოჩენილ, ყველაზე დიდი სახელმწიფო კაცისა და ისიც უცნაური შემთხვევაა, რომ, როგორც სპირიდონ კედია<sup>381</sup> მისი დროის ყველა პოლიტიკურ მოღვაწეზე მაღლა იდგა, ასევე მისი მეუღლეს პირველთაგანი იყო მის თანამედროვე ქალთა შორის – ვით განათლებით, ასევე მოღვაწეობითაც. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ იშვიათია, დიდი კაცის მეუღლეს გამორჩეული პიროვნება ყოფილიყო. და ეს ასეა, განსაკუთრებით, ქართველთა შორის.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე უნივერსიტეტის დიპლომის მქონე ქალთა რიცხვი ხელის თითებზე ჩამოითვლებოდა ჩვენში. განსვენებულ სოფიო კედიას მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტის დიპლომი ჰქონდა და ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა – ვით პედაგოგი და ადმინისტრატორი. გარდა ამისა, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ კულტურულ წამოწყებებში და საყოველთაო ავტორიტეტით იყო აღჭურვილი. მას დიდი გავლენა და პატივისცემა ჰქონდა ქართველ ინტელიგენციის წრეში და ეს გავლენა და ავტორიტეტი, მას თვით საბჭოურ ადმინისტრაციაშიც შერჩა. ამის გამო მოახერხა მან ციხეში მძევლად გამოკეტილი სპირიდონ კედიას გამოყვანა და მისი გამგზავრება უცხოეთში. ამით გადაარჩინა მან თავისი მეუღლე აუცილებელ დახვრეტას, რაც სპირიდონ კედიას, ადრე თუ არა, აგვისტოს აჯანყების დროს მაინც უეჭველად მოელოდა. სპირიდონ კედიას უცხოეთში გადასახლების შემდეგ, მისმა მეუღლემ თავისთვისაც მოახერხა უცხოეთში წასვლის ნებართვის მიღება და იგი თავის მცირეწლოვან გოგონასთან ერთად პარიზში ჩამოვიდა. აქაურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაურევლად, იგი მხოლოდ ღირსეული თანამდგომი იყო თავისი მეუღლისა. სამაგიეროდ, განსვენებული მთელის ენერგიით ჩაება ემიგრაციის კულტურულ საქმიანობაში, სადაც მას მუდამ ხელმძღვანელის როლი ეჭირა. განსვენებული, მიუხედავად მისი განათლებისა, სრულებითაც არ იყო მოწყვეტილი მდაბიო ხალხისაგან: იგი შესანიშნავი მცოდნე იყო თავისი მშობლიური კახეთის ფოლკლორისა და ხალხური სიმღერებისა. სოფიო კედიამ დაგვიტოვა დიდი მოცულობის მემუარები, რომელიც არაჩვეულებრივად მდიდარ მასალას შეიცავს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცის პირველი მეოთხედის ამბავთა, საქმეთა, სოფლურ თუ ქალაქურ ცხოვრების აღწერისა.

სპირიდონ კედიას გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის მატერიალური მხარე ძლიერ გართულდა. მრავალი მორალური უსიამოვნებაც დაატყდათ თავს, მაგრამ გაუძლეს – თუმცა მზრუნველ-მშველელი ოჯახს არავინ ჰყოლია, გარდა იშვიათი გამონაკლისისა.

აქ მსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვა დედა-შვილის ურთიერთდამოკიდებულებაზე: დედაშვილობა ყოველთვის დედაშვილობაა, მაგრამ ამ ოჯახში, განსაკუთრებით კი ოჯახის მეთაურის დაკარგვის შემდეგ, დედა შვილისათვის, ხოლო შვილი დედისათვის ცოცხლობდა – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

<sup>380</sup> იგულისხმება რომ, იგი 108 წლის ასაკში გარდაიცვალა.

<sup>381</sup> სპირიდონ მალხაზის ძე კედია (1884-1948) – ქართველი პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, პოლიტიკური ემიგრანტი 1921 წლიდან. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე, პარიზში.

დაახლოებით თოთხმეტი წლის წინ, ე.ი. 1979 წელს, ზაფხულში, დედა და შვილი პარიზიდან ფონტენებლოში<sup>382</sup> წავიყვანე. იქ მათ ფრანგმა მეგობარმა დაუთმო სახლი – ზაფხულის გასატარებლად. ქალბატონი სოფიო მაშინ 80 წლისა იქნებოდა, გონებრივი და კერძოდ, მეტყველების უნარით ასეთ ასაკს მას ვერავინ მიაკუთვნებდა, ჩვეულებრივ შუახნის ადამიანივით მსჯელობდა, მაგრამ ფიზიკურად უკვე ძლიერ მოტეხილი იყო. მანქანაში ჩაჯდომა ან გადმოსვლა დაუხმარებლად უკვე ეძნელებოდა. მახსოვს: ათიოდე დღის შემდეგ ვინახულე – საქმეც მქონდა, მინდოდა ბიოგრაფიული ცნობები მიმეღო სპირიდონ კედიას შესახებ, დედამ შვილს, თეოს მოატანია მისი მემუარების ფურცლების კარგა სქელი დასტა და იქიდან ამოკითხული თითონ მიკარნახა მაგნიტოფონზე ჩასაწერად, იმ კასეტას ახლაც ვისმენ ხოლმე დროგამოშვებით. ვერასოდეს წარმოიდგენს მსმენელი, რომ ღრმა მოხუცობაში შესული ქალის ხმა ესმის. როცა საქმეს მოვრჩით, არ ვიცი როგორ, საუბარი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს შეეხო. ქალბატონმა სოფიომ სპირიდონის საფლავი ახსენა და თქვა: მე ალბათ მალე წავალ, სამუდამო ბინაც მელოდება სპირიდონთან, მაგრამო – და ხმა აუთრთოლდა – ჩემს თეოს რა მოელის, ეს მაწუხებსო და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

ძვირფასო თეო, მესმის შენი უღრმესი მწუხარება, სულიერი ტკივილი, მაგრამ სასოწარკვეთას ნუ მიეცემი. ესე სოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. შენი ძვირფასი დედის სიყვარულის გულში შენახვით იცოცხლე მისივე სიყვარულისთვის და მისი ხსოვნისათვის. მე თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლით შენზე უფროსი ვარ. ჩემი სიცოცხლის დღეებიც უკვე მიწურულშია, მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვარ, გთხოვ, ძმურ და მამობრივ ნუგეშისმცემლად, მორალურ თანამდგომად მიგულო, უძვირფასესი დედისა კი უღრმესი პატივისცემა შევინახოთ და საუკუნო ხსენება ვუსურვოთ მის ნათელ სახელს.“

---

<sup>382</sup> ფონტენებლო – ფონტენბლო (ფრანგ. Fontainebleau) – ქალაქი საფრანგეთში, პარიზის ცენტრიდან 55 კმ-ის დაშორებით. ნელ-ნელა გაიზარდა ფონტენბლოს ტყის გარშემო, რომელიც წარსულში სამეფო სანადირო პარკს წარმოადგენდა. XVI საუკუნის დასაწყისში მეფე ფრანსუა I-მა (1515-1547) აქ დაიწყო სასახლის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის ერთ-ერთ უდიდეს სამეფო სასახლეს.

სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენებისას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენებისას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მურმან ლებანიძე (1922-2002) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1973). სიტყვის ადრესატია ექვთიმე თაყაიშვილი (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი; 1862/1863-1953) – ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918, 1945), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. ცნობილია, როგორც 1921-1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი. სიტყვის მეორე ადრესატია ნინო პოლტორაცკაია (1869-1931) – ივანე პოლტორაცკის შვილი და ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე. 1895 წლის 5 ივლისს ექვთიმე ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით დაქორწინდა ივანე პოლტორაცკის ქალიშვილ ნინოზე, ხოლო მეჯვარეებად ახლდნენ ილია წინამძღვრიშვილი და ოლღა გურამიშვილი. 1921 წლის 25 თებერვალს ექვთიმემ და ნინომ მოულოდნელად თბილისი დატოვეს და საფრანგეთში წავიდნენ ემიგრაციაში. ისინი სოფ. ლევილში (პარიზთან ახლოს) დასახლდნენ. 1931 წელს ნინო მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, ხოლო ექვთიმე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1953 წელს აღესრულა. ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ცხედარი 1987 წლის 22 თებერვალს გადმოსვენეს საქართველოში, თავდაპირველად, დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, შემდეგ კი, 2000 წლის 26 მაისს ორივე გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

სიტყვა გამოქვეყნდა რამდენჯერმე: პირველად, 2000 წელს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, სათაურით „სიტყვა წარმოთქმული მთაწმინდის პანთეონში ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას აქ გადმოსვენებისას“<sup>383</sup> 2000 წლის 26 მაისს<sup>384</sup>, მეორედ 2001 წელს – მურმან ლებანიძის „თხზულებებში“, სათაურით „სიტყვა წარმოთქმული ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას მთაწმინდის პანთეონში გადმოსვენებისას“<sup>385</sup>, 2007 წელს – კრებულში „ღვთისკაცი: ექვთიმე თაყაიშვილი“<sup>386</sup>, 2013 წელს – სამეცნიერო-საზოგადოებრივ ჟურნალში „სამისაუნჯე“, სათაურით „სიტყვა, წარმოთქმული მთაწმინდის პანთეონში ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას აქ გადმოსვენებისას“, ხოლო თარიღად აქვს მიწერილი 2002 წლის 26 მაისი<sup>387</sup>, რაც არასწორია – სიტყვა წარმოითქვა 2000 წლის 26 მაისს. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით პირველწყაროდან<sup>388</sup>.

<sup>383</sup> იგულისხმება მთაწმინდის პანთეონი.

<sup>384</sup> გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 2000-2001, 29 დეკემბერი-4 იანვარი, №52, გვ. 6.

<sup>385</sup> ლებანიძე, მ., თხზულებათა ოთხტომეული: ტომი 4, თბილისი, მერანი, 2001, გვ. 325-326.

<sup>386</sup> თავბერიძე, ი. (შემდგ.), ღვთისკაცი: ექვთიმე ღვთისკაცი, საარქივო და პერიოდული პრესის მასალების მიხედვით, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2007, გვ. 390-391.

<sup>387</sup> ჟურნალი „სამი საუნჯე“, 2013, მარტი, №1(7), გვ. 6.

<sup>388</sup> გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 2000-2001, 29 დეკემბერი-4 იანვარი, №52, გვ. 6.

**Speech Delivered by Murman Lebanidze at the Funeral of Ekvtime Taqaishvili  
and Nino Poltoratskaya from the Didube Pantheon to  
the Mtatsminda Pantheon, on May 26, 2000**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were  
attached by Natia Kentchiashvili

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Murman Lebanidze at the funeral of Ekvtime Taqaishvili and Nino Poltoratskaya, from the Didube Pantheon to the Mtatsminda Pantheon, on May 26, 2000]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Murman Lebanidze (1922-2002) – a Georgian poet, translator, essayist. Laureate of the Rustaveli Prize (1973). The addressee of the speech is Ekvtime Taqaishvili (Saint Ekvtime God-man; 1862/1863-1953) – Georgian historian, archaeologist and public figure, academician of the Georgian Academy of Sciences (1946), professor (1918, 1945), one of the founders of Tbilisi State University, member of the Founding Assembly of Georgia, saint of the Orthodox Church. He is known as the defender of the Georgian treasures taken to France in 1921-1945. The second addressee of the speech is Nino Poltoratskaya (1869-1931) – daughter of Ivane Poltoratsky and wife of Ekvtime Taqaishvili. On July 5, 1895, with the support of Ilia Tchavtchavadze, Ekvtime married Nino, the daughter of Ivane Poltoratsky, with Ilia Tsinamdzghvishvili and Olga Guramishvili serving as wedding sponsors. On 25 February 1921, Ekvtime and Nino unexpectedly left Tbilisi and went into exile in France. They settled in the village of Leuville (near Paris). In 1931, after a severe and prolonged illness, Nino passed away and was buried there, while Ekvtime, after returning to his homeland, died in 1953. The remains of Nino Poltoratskaya-Taqaishvili were repatriated to Georgia on 22 February 1987 and were initially buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures, beside her husband, Ekvtime Taqaishvili. Later, on 26 May 2000, both were reinterred in the Mtatsminda Pantheon.

The speech was published several times, firstly in 2000 in the newspaper “Literaturuli Sakartvelo” under the title “Speech delivered at the Mtatsminda Pantheon during the burial of Ekvtime Taqaishvili and Nino Poltoratskaya on May 26, 2000”<sup>389</sup>, secondly in 2001 – in “Works” under the title “Speech delivered at the Mtatsminda Pantheon during the burial of Ekvtime Taqaishvili and Nino Poltoratskaya”<sup>390</sup>, in 2007 – in the collection “The Man of God: Ekvtime Taqaishvili”<sup>391</sup> and in 2013 – in the scientific-public journal “Sami saunje” under the title “Speech delivered at the Mtatsminda Pantheon during the burial of Ekvtime Taqaishvili and Nino Poltoratskaya”, with the date given as May 26, 2002<sup>392</sup>, which is incorrect – the speech was delivered on May 26, 2000. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above<sup>393</sup>.

---

<sup>389</sup> Newspaper “Literaturuli Sakartvelo”, Tbilisi, 2000-2001, December 29-January 4, №52, p. 6 (in Georgian).

<sup>390</sup> Lebanidze, M., *Collected Works*, Vol. 4, Tbilisi: Merani, 2001, pp. 325–326 (in Georgian).

<sup>391</sup> Tavberidze, I. (ed), *The Man of God: Ekvtime Taqaishvili*, According to archival and periodical press materials, Tbilisi, 2007, pp. 390-391 (in Georgian).

<sup>392</sup> Journal “Sami saunje”, 2013, March, №1(7), p. 6 (in Georgian).

<sup>393</sup> Newspaper “Literaturuli Sakartvelo”, Tbilisi, 2000-2001, December 29-January 4, №52, p. 6 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული მურმან ლებანიძის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გადმოსვენებისას დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, 2000 წლის 26 მაისს**

„ბატონო პრეზიდენტო<sup>394</sup>! ქალბატონებო და ბატონებო! ქართულ სინამდვილეში, საქართველოს ბედუკუდმართ ისტორიაში არიან ლეგენდარული გმირები, რომელთა სახელ-დიდებას არც გაზვიადება სჭირდება და არც დაკნინება უხერხდება... გაივლიან ხოლმე ეს ადამიანები ეპოქალურ ქართველობებს და მათი ვარსკვლავები ხელმიუწვდომელ სიმაღლეზე ბრწყინდებიან, სიტყვაშეუბრუნებლად და სამუდამოდ, ერის ცნობიერებაში...

ახალს აქ ვერაფერს ვიტყვით: ერთი ასეთი მანათობელი ვარსკვლავია ჩვენთვის დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, კაცი მეცნიერი და კაცი გმირი, რომელიც თავისი მოწამებრივი ცხოვრებით მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთე და სხვა მომდევნო საუკუნეებშიც ასწავლის თავის უმაღლეს ზნეობას მომავალ ქართველობას, ქართველთა მომავალ თაობებს...

მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ იდეა, რომელიც ჩვენი პრეზიდენტის ნებითა და მხარდაჭერით განხორციელდა, დაიბადა იმავე პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ჩვენს მყუდრო ოფისში, თანაც პოეტების საუბარში... მოხარული ვარ, რომ მონაწილეობა მაქვს მიღებული აქ, ამ უკვდავთა პანთეონში, სამუდამო განსასვენებლად კონკრეტული ადგილის შერჩევაში, სწორედ ილია ჭავჭავაძის<sup>395</sup> და ოლღა გურამიშვილის<sup>396</sup> გვერდით...

გაკვირვებული ვარ ჩვენივე გადაწყვეტილებით... შეიძლება ვითომ, შემთხვევითი იყოს ჩვენი გადაწყვეტილება, თუ სასწაულთან გვაქვს საქმე და ღვთის ხელი ურევია ამ სასწაულში?! ცნობილია, რომ 1905 წელს<sup>397</sup>, თბილისში, სამების ტაძარში, ჯვრისწერისას, ექვთიმე თაყაიშვილსა<sup>398</sup> და ნინო პოლტორაცკაიას<sup>399</sup>, რომლის ნემტი ჩვენ თან ჩავაყოლეთ ექვთიმეს ნემტს, მეჯვარეებად ახლდნენ და ახალშეუღლებულთ საკუთარი ხელით ჯვრები შეუცვალეს ილია წინამძღვრიშვილმა<sup>400</sup> და ოლღა გურამიშვილმა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ პარიზიდან ძვირფასი საჩუქარი გამოუგზავნა ახალშეუღლებულთ... გადის ლამის საუკუნე და ჩვენ სასწაულის მონაწილენი ვხდებით: ორ-

<sup>394</sup> უგულისხმება ედუარდ შევარდნაძე (1928-2014), საქართველოს მეორე პრეზიდენტი; 1972-1985 წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში საქართველოს პრეზიდენტი.

<sup>395</sup> ილია ჭავჭავაძე – ილია ჭავჭავაძე (1837-1907), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი. მისი მეუღლე იყო ოლღა გურამიშვილი (1842-1927).

<sup>396</sup> ოლღა გურამიშვილი – ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა (1842-1927) – ქართველი პოეტის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის მეუღლე.

<sup>397</sup> წყაროში არასწორადაა მოყვანილი ექვთიმე თაყაიშვილსა და ნინო პოლტორაცკაიას ჯვრისწერის თარიღი. უნდა იყოს 1895 წელი.

<sup>398</sup> ექვთიმე თაყაიშვილი – ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი; 1862 (სხვა მონაცემებით 1863)-1953), ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918, 1945), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. ცნობილია როგორც 1921-1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი. მისი მეუღლე იყო ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი.

<sup>399</sup> ნინო პოლტორაცკაია – ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი (1869-1931), ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე.

<sup>400</sup> ილია წინამძღვრიშვილი – ილია წინამძღვრიშვილი (1834-1920) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი. 1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის დიდი ძალისხმევით და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერითა და დახმარებით, წინამძღვრიანთკარში გაიხსნა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

ორჯერ დაკრძალვისა და სხვადასხვა ცისქვეშ ორ-ორი საფლავის გამოცვლის შემდეგ, მესამედ დაკრძალვისას<sup>401</sup>, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი და ნინო პოლტორაცკაია თავიანთი დიდი მეგობრების ილია ჭავჭავაძისა და ოლა გურამიშვილის გვერდით იკავებენ სამუდამო განსასვენებელს...

დიდება თქვენს ღვაწლს, სულმნათნო! თქვენზე იტყმის ეს უკანასკნელი ძნელადგასამეტებელი სიტყვა! სამუდამო ნათელი თქვენს სახელს!“

---

<sup>401</sup> იგულისხმება ის, რომ ნინო პოლტორაცკაია გარდაიცვალა საფრანგეთში 1931 წელს და დაკრძალეს ლევილის სასაფლაოზე, 1987 წლის 22 თებერვალს გადმოსვენეს საქართველოში, თავდაპირველად დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, , 2000 წლის 26 მაისს – მთაწმინდის პანთეონში, მეუღლის, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით.

## სიტყვა, წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ნიკა ნაზაროვმა

### (მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მიტროპოლიტი დანიელი (ერისკაცობაში დავით გრიგოლის ძე დათუაშვილი) (დ. 1955). 1981 წლიდან დავით დათუაშვილმა მუშაობა დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებაში. ამავე წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. 1983 წლის 4 ივნისს დავით დათუაშვილი მამადავითის ეკლესიაში დიაკვნად ეკურთხა, ხოლო 1985 წლის 28 აგვისტოს – მღვდლად. 1990 წელს მამა დავით დათუაშვილს მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. ამავე პერიოდში იგი დაინიშნა სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრად, – სხალთის მამათა მონასტრის წინამძღვრად და ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად. პარალელურად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სასულიერო აკადემიის სემინარიაში. 1991 წლის 31 ოქტომბერს დეკანოზი დავით დათუაშვილი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად დანიელი. იმავე წელს მიენიჭა არქიმანდრიტობა. 1992 წლის 22 მაისს არქიმანდრიტი დანიელი აიყვანეს ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად. 1992 წლის 22 დეკემბრიდან დადგინდა ცხუმ-აფხაზეთის მმართველ მღვდელმთავრად. 1993 წლის 14 ოქტომბერს მეუფე დანიელი მთავარეპისკოპოსად, ხოლო 2000 წლის 28 ნოემბერს მიტროპოლიტად აკურთხეს. 1995 წელს შეთავსებით დაინიშნა ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსად. 2002 წლიდან მეუფე დანიელი შეთავსებით იყო ჯერ მარგველი, ხოლო ამჟამად ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მმართველია. სიტყვის ადრესატია სვეტლანა ქეცბა (1933-2017) – მუსიკოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი. 1953 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი (საფორტეპიანო), 1958 წელს – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მუსიკის ისტორია). 1958-2004 წწ. იყო ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი (მუსიკალური ლიტერატურა), 1961-1974 წწ. სოხუმის I მუსიკალური სკოლის დირექტორი, 1974-1993 წწ. მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი; 1971-1992წწ. და 1992-2004 წწ. აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი; 1996-2004 წწ. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე; 2004-2006 წწ. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე; 2006 წლიდან „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე; 1992 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში; აფხაზეთიდან დევნილთათვის მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს, გამოფენებსა და შეხვედრა-საღამოებს.

სიტყვა სხვა გამოსათხოვარ სიტყვებთან ერთად გამოქვეყნდა 2018 წელს ჟურნალ „ბიულეტენში“, საერთო სათაურით „გამოსათხოვარი“<sup>402</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>402</sup> ჟურნალი „ბიულეტენი“, 2018, სპეციალური გამოშვება, №1(84), გვ. 3-4.

**Speech Delivered by Metropolitan Daniel at the funeral of Svetlana Ketsba,  
in the Courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery,  
in the village of Shindisi, on December 26, 2017**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Nika Nazarovi

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Metropolitan Daniel at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Metropolitan Daniel (in lay life, David Datuashvili) (b. 1955). Since 1981, David Datuashvili began working in the Publishing Department of the Georgian Patriarchate. In the same year, he enrolled in the Mtskheta Theological Seminary. On June 4, 1983, David Datuashvili was ordained a deacon in the Father David Church, and on August 28, 1985, he was ordained a priest. In 1990, Father David Datuashvili was awarded the rank of deacon. During the same period, he was appointed abbot of the Svetitskhoveli Cathedral, and later – abbot of the Skhalta Fathers' Monastery and rector of the Khulo Theological Seminary. In parallel, he was engaged in pedagogical work at the Theological Academy and Seminary. On October 31, 1991, Archpriest David Datuashvili, with the blessing of His Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, was tonsured a monk and given the name Daniel. In the same year, he was granted the archimandriteship. On May 22, 1992, Archimandrite Daniel was elevated to the rank of bishop and appointed the ruler of the Bodbe diocese. From December 22, 1992, he was appointed the ruling high priest of Tskhum–Abkhazia. On October 14, 1993, Reverend Daniel was elevated to the rank of archbishop, and on November 28, 2000, he was elevated to the rank of metropolitan. In 1995, he was appointed the archbishop of Zugdidi and Tsaishi by conciliar appointment. Since 2002, His Holiness Danieli has been the Bishop of Margveli by appointment, and is currently the ruler of the Diocese of Tchiatura and Sachkhere. The addressee of the speech is Svetlana Ketsba (1933-2017) – a musician, teacher, publicist. Graduated from the Sukhumi Musical School in 1953 (piano), Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatory in 1958 (music history). From 1958 to 2004 she was a teacher at the Sukhumi Musical School (musical literature), from 1961 to 1974 she was the director of the Sukhumi I Musical School, from 1974 to 1993 she was the director of the Musical School; from 1971 to 1992 and from 1992 to 2004 she was the Minister of Culture of the Abkhazian ASSR; from 1996 to 2004 she was the Deputy Minister of Culture of Georgia; from 2004 to 2006 she was the Minister of Culture of the Republic of Georgia. Deputy Chairman of the Government of Abkhazia; Founder and Chairman of the “Abkhazian Spirituality and Culture Center” since 2006; Lived and worked in Tbilisi since 1992; Organized charity concerts, exhibitions, and meeting evenings for refugees from Abkhazia.

The speech, along with other farewell speeches, was published in 2018 in the magazine “Biuleteni” under the title “Farewell”<sup>403</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>403</sup> Magazine “Biuleteni”, 2018, Special Issue, №1(84), pp. 3-4 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული მიტროპოლიტ დანიელის მიერ სვეტლანა ქეცხას  
დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა  
მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს**

„ქალბატონი სვეტლანა ქეცხა, ისევე როგორც აფხაზეთში მცხოვრები ნებისმიერი აფხაზი და ქართველი, აღმოჩნდა მსხვერპლი დიდი ბოროტებისა. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა, რომ კონფლიქტი აფხაზეთში იყო ბრძოლა არა ქართველთა და აფხაზთა შორის, არამედ ქართველთა და აფხაზთა ერთობის, ძმობისა და მეგობრობის წინააღმდეგ. ღმერთის წინააღმდეგომმა ბოროტმა ძალამ შეძლო ამ კონფლიქტში ჩვენი ჩათრევა, მან გვაცდუნა, როგორც ქართველები ისე აფხაზები და ამას მიაღწია მთელი XX საუკუნის მანძილზე ჩვენში ქრისტიანული სულისკვეთების შესუსტებით.

ამ უმძიმესი წნეხის პირობებში იყვნენ ისეთი გამორჩეული ადამიანები, ვისთვისაც ქართველთა და აფხაზთა ერთობა იყო ხელშეუხებელი და ურღვევი. ასეთი პიროვნებების სახით ეს ერთობა დღესაც აგრძელებს თავის სიცოცხლეს და არის საფუძველი საყოველთაო შერიგებისათვის. ასეთ პიროვნებათა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ქალბატონ სვეტლანა ქეცხას.

მინდა გადმოგცეთ მისი უწმინდესობის დიდი მწუხარება ქალბატონ სვეტლანას გარდაცვალების გამო მისი ოჯახის წევრებს, შვილს, დას, დისშვილებს, ასევე მისი დიდი ოჯახის, აფხაზეთის საზოგადოების წევრებს, ხელისუფლებას, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, როგორც დევნილებისა და ლტოვილებისაში, ასევე აფხაზეთში მყოფ აფხაზებსა და ქართველებს.

ჩვენ პატრიარქს გუშინ აღსაყდრებიდან 40 წელი შეუსრულდა. ის, რაც მისმა უწმინდესობამ აღასრულა ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს. ეს ყოველივე მან უფლის სასწაულებრივი შეწევნით განახორციელა. ჩვენს პატრიარქს სჯერა, რომ ასევე ღმერთის სასწაულით აღდგება ქართველთა და აფხაზთა ერთობა. ამ საქმეში მისი უწმინდესობა თავის გამორჩეულ თანამოაზრედ და თანამებრძოლად თვლიდა ქალბატონ სვეტლანას, რის გამოც დააჯილდოვა კიდევ იგი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

პატრიარქი ხშირად გვახსენებს, რომ ჩვენი ერის სულიერი გამთლიანების გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზეთი წმინდა მიწაა. აქ დაკრძალულია სვიმონ კანანელი, თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი, აქვე დაკრძალული IV საუკუნის უდიდესი წმინდანი იოანე ოქროპირი. ამ მიწაზე განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე, აწ უკვე წმინდანად შერაცხული ბაგრატ III. აქ მოხდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა. წმინდა მიწაზე მშვიდობის აღდგენა ხელეწიფება მხოლოდ სიწმინდით მცხოვრებ საზოგადოებას.

მძიმეა დევნილთა და ლტოვილთა ხვედრი, მაგრამ არანაკლებ მძიმეა აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობა. ისინი ვერ იპოვიან სიმშვიდეს სანამ არ აღდგება ქართველთა და აფხაზთა ერთობა. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი აფხაზი ხვდება ამას, მაგრამ პოლიტიკური ზეწოლის გამო ხმამაღლა ერიდებიან თავისი შეხედულოების გამოხატვას. ამ ერთობის აუცილებლობის რწმენა ყოველდღიურად ძლიერდება და ქართულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს ამ განწყობის განმტკიცებას.

სწორედ ამ რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა ქალბატონი სვეტლანა უანგარო სიყვარულზე დაფუძნებული მისი მოღვაწეობა დიდ სულიერ ძალას ანიჭებდა, როგორც ქართველებს ისე აფხაზებს. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, რომელსაც ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა ქალბატონი სვეტლანა იყო ჭეშნარიტი ოაზისი ქართველთა და აფხაზთა ერთობისა, ძმობისა და მეგობრობისა. მის მიერ გამართული საღამოები იმდენად ამაღლებული, შთამაგონებელი და იმედის მომცემი იყო, რომ იქ დამსწრე საზოგადოებას გვავიწყდებოდა დევნილობისა და ძმათა შორის

ჩატეხილი ხიდის სიმწარე. თუ ეს სული, ეს განწყობა და რწმენა გაძლიერდება ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთობის აღდენას. ის რაც ქალბატონმა სვეტლანამ გააკეთა, კიდევ მრავალ ნაყოფს გამოიღებს მომავალში. მე მინდა ვუსურვო მის უკვდავ სულს, რათა უახლოეს მომავალში ეხილოს მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა აფხაზეთში.

უფალი ბრძანებს „შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელია ღვთის მიერ“. ქალბატონი სვეტლანა ბრძანდება ჭეშმარიტი სულიერი შვილი ჩვენი პატრიარქისა. იგი თავის მსახურებას სწორედ ღვთისა და ეკლესიის ძალითა და კურთხევით აღასრულებდა.

მეტად სიმბოლურია, რომ ქალბატონი სვეტლანას დაკრძალვა დაემთხვა პატრიარქის აღსაყდრების მე-40 წლისთავის მეორე დღეს. გუშინ ჩვენ მოვისმინეთ მისი უწმინდესობის საგანგებო ლოცვა-კურთხევა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა იყოს ახალი ეტაპი ერის სულიერი გამთლიანებისა, სამწყსოს დედა ეკლესიის წიაღში დაბრუნების, სინერგიული ცხოვრების წესის აღდგენისა, ანუ ღვთაებრივი და ადამიანური ძალების გაერთიანებისა.

ქალბატონმა სვეტლანამ თავისი დაკრძალვის დღეს დედა ეკლესიის წიაღში ერთად შეგვკრიბა ქართველები, აფხაზები და სრულიად საქართველოს საზოგადოება და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, ვისმინოთ ხმა ღვთისა, ხმა სულიერი მამისა და გავერთიანდეთ ღმერთთან და ერთმანეთთან. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა უპირველესად უნდა აღასრულოს აფხაზეთის საზოგადოებამ რამეთუ მისი როლი გადამწყვეტია აფხაზეთის დაბრუნების საქმეში. უკეთუ ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განვმტკიცდებით, ჯვარცმა რომელიც გამოიარა აფხაზეთის საზოგადოებამ დამთავრდება აღდგომით და ამაღლებით.

ასევე არ არის შემთხვევითი, რომ სოხუმის ტრაგედია დაემთხვა 27 სექტემბერს, ანუ ჯვართ-ამაღლებას.

მე ღრმად მწამს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელები ბატონი ვახტანგ ყოლბაია<sup>404</sup> და ბატონი გია, იგივე ელგუჯა გვაზავა<sup>405</sup> და მთელი დევნილი მოსახლეობა გახდება პატრიარქის ლოცვა-კურთხევის აღმასრულებელი და მაგალითს მისცემს სრულიად საქართველოს.

ქალბატონი სვეტლანა ბრძანდება რჩეული წევრი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და რჩეული მამულიშვილი. იგი მალამოდ მოედო ჩვენი ქვეყნის სხეულზე გახსნილ ჭრილობას – აფხაზეთს და როგორც თავისი სიცოცხლით, ასევე გარდაცვალებით დაამოწმა სიყვარული ღვთისა და მამულისა.

ღმერთმა აცხონოს მისი უკვდავი სული და არ მოაკლოს მას ერის ლოცვა, ხოლო მისი ლოცვა არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს, ამინ.“

<sup>404</sup> ვახტანგ ყოლბაია (დ. 1952) – ქართველი პოლიტიკოსი; 2013 წლის 5 აპრილიდან 2019 წლის 1 მაისამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

<sup>405</sup> ელგუჯა (გია) გვაზავა (დ. 1952) – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართველი პოლიტიკოსი. 2009 წლიდან 2019 წლის 8 აპრილამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

**სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცბას  
დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა  
მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს**

---

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ნიკა ნაზაროვმა

**(მოკლე მიმოხილვა)**

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ვახტანგ ყოლბაია (დ. 1952) – ეკონომისტი და პოლიტიკოსი. დაამთავრა მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი 1974 წელს. 1974-1975 წწ. მუშაობდა გალის რაიონის წყალსადენების ტერიტორიული გაერთიანების ეკონომისტად; 1976-1984 წწ. აფხაზეთის ახალგაზრდული რაიონული და საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი; 1984-1990 წწ. გალის რაიონის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; 1990-1993 წწ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე; 1993-1995 წწ. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, გალის რაიონის გამგებელი (დევნოლოზაში); 2000-2002 წწ. ეკავა დსთ-ს ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელის პოსტი; სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი; 2013-2019 წწ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; რამდენიმე წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი. სიტყვის ადრესატია სვეტლანა ქეცბა (1933-2017) – მუსიკოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი. 1953 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი (საფორტეპიანო), 1958 წელს – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მუსიკის ისტორია). 1958-2004 წწ. იყო ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი (მუსიკალური ლიტერატურა), 1961-1974 წწ. სოხუმის I მუსიკალური სკოლის დირექტორი, 1974-1993 წწ. მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი; 1971-1992 წწ. და 1992-2004 წწ. აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი; 1996-2004 წწ. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე; 2004-2006 წწ. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე; 2006 წლიდან „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე; 1992 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში; აფხაზეთიდან დევნილთათვის მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს, გამოფენებსა და შეხვედრა-საღამოებს.

სიტყვა სხვა გამოსათხოვარ სიტყვებთან ერთად გამოქვეყნდა 2018 წელს ჟურნალ „ბიულეტენში“, საერთო სათაურით „გამოსათხოვარი“<sup>406</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

---

<sup>406</sup> ჟურნალი „ბიულეტენი“, 2018, სპეციალური გამოშვება, №1(84), გვ. 4.

**Speech Delivered by Vakhtang Qolbaia at the funeral of Svetlana Ketsba,  
in the Courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery,  
in the Village of Shindisi, on December 26, 2017**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Nika Nazarovi

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Vakhtang Qolbaia at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Vakhtan Qolbaia (b. 1952) – an economist, politician. Graduated from the Faculty of Economics and Organization of the Moscow Institute of Food Industry in 1974. In 1974–1975. He worked as an economist of the Gali District Waterworks Territorial Association; In 1976–1984. Head of the Abkhazian Youth District and Regional Organization; In 1984–1990. Head of the Administration of the Gali District Executive Body; In 1990–1993. First Deputy Chairman of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia, Chairman of the Legal Commission; In 1993–1995. Deputy Chairman of the Government of Abkhazia, Governor of the Gali District (in exile); 2000–2002. Held the position of Head of the Georgian Parliamentary Group in the Parliamentary Assembly of the CIS Countries; Head of the Research Center of the South Caucasus Institute for Regional Security; 2013–2019. Chairman of the Government of the Autonomous Republic of Abkhazia; Author of several books and publications. The addressee of the speech is Svetlana Ketsba (1933–2017) – a musician, teacher, publicist. Graduated from the Sukhumi Musical School in 1953 (piano), Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatory in 1958 (music history). From 1958 to 2004 she was a teacher at the Sukhumi Musical School (musical literature), from 1961 to 1974 she was the director of the Sukhumi I Musical School, from 1974 to 1993 she was the director of the Musical School; from 1971 to 1992 and from 1992 to 2004 she was the Minister of Culture of the Abkhazian ASSR; from 1996 to 2004 she was the Deputy Minister of Culture of Georgia; from 2004 to 2006 she was the Minister of Culture of the Republic of Georgia. Deputy Chairman of the Government of Abkhazia; Founder and Chairman of the “Abkhazian Spirituality and Culture Center” since 2006; Lived and worked in Tbilisi since 1992; Organized charity concerts, exhibitions, and meeting evenings for refugees from Abkhazia.

The speech, along with other farewell speeches, was published in 2018 in the magazine “Biulleteni” under the title “Farewell”<sup>407</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>407</sup> Magazine “Biulleteni”, 2018, Special Issue, №1(84), p. 4 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ვახტანგ ყოლბაიას მიერ სვეტლანა ქეცხას დაკრძალვისას,  
შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ.  
შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს**

„მეუფევ, მამანო, დედანო, ძვირფასო საზოგადოებავ, თქვენო მაღალყოვლადსამღვდელოესობავ<sup>408</sup>, თქვენ აქ ბრძანდებით სიმბოლოებზე. ალბათ, სიმბოლოურია ისიც, რომ ქალბატონი სვეტლანას გაცილება პატრიარქის აღსაყდრების საიუბილეო დღეებს ემთხვევა. 10 წელზე მეტია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა აფხაზეთის სულიერების და კულტურის ცენტრი. მისივე ლოცვა-კურთხევით ხელმძღვანელობდა ამ ცენტრს სვეტლანა. სულიერი და კულტურული მიმართულების ცენტრის ხელმძღვანელი სწორედ რომ უნდა ყოფილიყო სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული ისეთი პიროვნება, როგორც იყო ქალბატონი სვეტლანა, რომელიც გახლდათ სიმბოლო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობისა, ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა. სვეტლანა ქეცხას სახით ძლიერი საყრდენი გამოგვეცალა არა მარტო ჩვენ, არამედ აფხაზეთის მკვიდრთ, არამედ სრულიად საქართველოს, რამეთუ ქალბატონი სვეტლანა თავისი ცხოვრების წესით, საოცარი შინაგანი ინტელექტით, ბუნებით, დახვეწილი მანერებით, ქცევით, მაღალგემოვნებიანი ღონისძიებებით, იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ სვეტლანას მეგობრებს, მამა ადამს<sup>409</sup>, მამა ბიძინას<sup>410</sup>, ბატონ ელდარს<sup>411</sup> და სხვებს იმისათვის, რომ სულიერებისა და კულტურის ცენტრი მართლაც იქცა განსაკუთრებულ კერად სათნოებისა, კუნძულად პატივის მიგებისა, კუნძულად საოცარი მუხსიერებისა.

ჩვენ დაგვაკლდა საოცარი მოყვასი, პიროვნება, რომელსაც კიდევ შეეძლო ძალიან დიდი საქმეების კეთება. მადლობა მას იმ ცხოვრებისათვის, რაც მან გვიკარნახა, რაც დაგვიტოვა მაგალითად, ნიმუშად იმისა თუ როგორ შეიძლება იყო ძალიან მაღალი მოთხოვნილების ადამიანი საკუთარი თავისადმი და აბსოლუტურად მიმტევებელი სხვებისადმი, სხვების შეცდომებისადმი და ეს მიმტევებლობა უფრო მეტს გვაავალბდა. მისი პატივმიგება აქ, ქვაშვეთის ეკლესიაში, რომელიც პატრიარქის კურთხევით გადაწყდა და მისივე ლოცვითა და კურთხევით შინდისის მთავარწმინდის ეზოში ჰპოვეს თავის საბოლოო სავანეს, ეს მისი დამსახურებაა ერისა და ქვეყნის წინაშე, ეკლესიის წინაშე და მადლობა, რომ ეს დაფასდა ასეთნაირად.

დღევანდელი დღე, ქალბატონო სვეტლანა, არის ჩვენი პატივის მიგება თქვენდამი და მადლობა ყველაფრისათვის, რომ ვიყავით, გვასწავლიდით. მადლობა თქვენს შვილს, თქვენს ახლობლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თქვენი ბოლო გზა ყოფილიყო ისეთი, როგორც თქვენ იყავით ცხოვრებაში.“

<sup>408</sup> იგულისხმება მიტროპოლიტი დანიელი (ერისკაცობაში დავით გრიგოლის ძე დათუაშვილი).

<sup>409</sup> მამა ადამი – არქიმანდრიტი ადამი (ერისკაცობაში ვახტანგ მიხეილის ძე ახალაძე).

<sup>410</sup> მამა ბიძინა – დეკანოზი ბიძინა გუნია. თეოლოგი, პედაგოგი, სასულიერო პირი, ფილოლოგი, სოხუმის სახ. უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

<sup>411</sup> იგულისხმება ელდარ შალვას ძე გეწაძე, მომღერალი, პედაგოგი და საქართველოს სახალხო არტისტი.

სიტყვა, წარმოთქმული ელდარ გეწაძის მიერ სვეტლანა ქეცბას  
დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა  
მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,  
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს  
ნათია კენჭიაშვილმა და ნიკა ნაზაროვმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ელდარ გეწაძის მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ელდარ გეწაძე (დ. 1945) – მომღერალი, პედაგოგი და საქართველოს სახალხო არტისტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი 1971 წელს. 1974 წლიდან თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი სოლისტი-ბარიტონი; ლენინგრადის სახელმწიფო ფილარმონიაში ვერდის ოპერაში „ნაბუქო“ ითამაშა ნაბუქოს როლი 1985 წელს. შესრულებული აქვს სხვადასხვა პარტია: ბელკორე (გ. დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“), დონ ჟუანი (ვ. მოცარტის „დონ ჟუანი“), სილვიო (რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ელეკვი (პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ბერდო (რ. ლალიძის „ლელა“) და სხვ. მონაწილეობს არაერთ კონცერტში. 2019 წლის 24 ნოემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. არის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდის ოქროს მედლის მფლობელი, საპატიო პროფესორი (2013). სიტყვის ადრესატია სვეტლანა ქეცბა (1933-2017) – მუსიკოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი. 1953 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი (საფორტეპიანო), 1958 წელს – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მუსიკის ისტორია). 1958-2004 წწ. იყო ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი (მუსიკალური ლიტერატურა), 1961-1974 წწ. სოხუმის I მუსიკალური სკოლის დირექტორი, 1974-1993 წწ. მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი; 1971-1992წწ. და 1992-2004 წწ. აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი; 1996-2004 წწ. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე; 2004-2006 წწ. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე; 2006 წლიდან „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე; 1992 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში; აფხაზეთიდან დევნილთათვის მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს, გამოფენებსა და შეხვედრა-საღამოებს.

სიტყვა სხვა გამოსათხოვარ სიტყვებთან ერთად გამოქვეყნდა 2018 წელს ჟურნალ „ბიულეტენში“, საერთო სათაურით „გამოსათხოვარი“<sup>412</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>412</sup> ჟურნალი „ბიულეტენი“, 2018, სპეციალური გამოშვება, №1(84), გვ. 4.

**Speech Delivered by Eldar Getsadze at the Funeral of Svetlana Ketsba,  
in the Courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery,  
in the Village of Shindisi, on December 26, 2017**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Nika Nazarovi

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Eldar Getsadze at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Eldar Getsadze (b. 1945) – a singer, teacher and People's Artist of Georgia. He graduated from the vocal faculty of the Tbilisi State Conservatory in 1971. Since 1974, he has been the leading soloist-baritone of the Tbilisi Z. Paliashvili State Opera and Ballet Theater; he performed the role of Nabucco in Verdi's opera “Nabucco” at the Leningrad State Philharmonic in 1985. He has performed various roles: Belcore (G. Donizetti's “Nectar of Love”), Don Juan (W. A. Mozart's “Don Juan”), Silvio (R. Leoncavallo's “Pagliacci”), Yeletsky (P. Tchaikovsky's “The Queen of Spades”), Murman, Kiazio (Z. Paliashvili's “Abesalom and Ether”, “Daisi”), Berdo (R. Lagidze's “Lela”) and others. He is engaged in concert activities. On November 24, 2019, a star named after him was unveiled in front of the Tbilisi Zakaria Paliashvili State Opera and Ballet Theater. He is the holder of the Zurab Anjaparidze Foundation Gold Medal, Honorary Professor (2013). The addressee of the speech is Svetlana Ketsba (1933-2017) – a musician, teacher, publicist. Graduated from the Sukhumi Musical School in 1953 (piano), Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatory in 1958 (music history). From 1958 to 2004 she was a teacher at the Sukhumi Musical School (musical literature), from 1961 to 1974 she was the director of the Sukhumi I Musical School, from 1974 to 1993 she was the director of the Musical School; from 1971 to 1992 and from 1992 to 2004 she was the Minister of Culture of the Abkhazian ASSR; from 1996 to 2004 she was the Deputy Minister of Culture of Georgia; from 2004 to 2006 she was the Minister of Culture of the Republic of Georgia. Deputy Chairman of the Government of Abkhazia; Founder and Chairman of the “Abkhazian Spirituality and Culture Center” since 2006; Lived and worked in Tbilisi since 1992; Organized charity concerts, exhibitions, and meeting evenings for refugees from Abkhazia.

The speech, along with other farewell speeches, was published in 2018 in the magazine “Biuleteni” under the title “Farewell”<sup>413</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>413</sup> Magazine “Biuleteni”, 2018, Special Issue, №1(84), p. 4 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ელდარ გეწაძის მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას,  
შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ.  
შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს**

„თავდახრით მინდა მადლობა ვუთხრა ყველაფერი იმისათვის, რასაც ქალბატონი სვეტლანა აკეთებდა საქართველოს გამთლიანებისათვის. იმისათვის, რომ საქართველო ამაყად შესულიყო XXI საუკუნეში. დიდი ხანია მის გვერდით ვიყავი, კონსერვატორიიდან დაწყებული, და ვიცი მისი საქმეები, მისი განსაკუთრებული ნიჭი. იგი იყო კარგი ორატორი და შეემლო მოენუსხა საზოგადოება. მახსოვს, თეატრალური საზოგადოების შეხვედრაზე გრიბოედოვის საფლავთან რუსეთის დიდი მსახიობები იყვნენ ჩამოსული. გრიბოედოვის შესახებ ისაუბრა ქალბატონმა სვეტლანამ და მახსოვს ამ დიდი მოღვაწეების გაცემული სახეები: – ასეთი გამოსვლა გრიბოედოვის შესახებ ჯერ არ მოგვისმენიაო, – ამბობდნენ ისინი.

და საბოლოოდ მინდა ჩვენი ურთიერთობა ჩამოვაყალიბო იმ შესანიშნავ დაწესებულებაში, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში, რომელსაც წლების განმავლობაში ქალბატონი სვეტლანა ასე თავდადებული მოღვაწეობით აღნიშნავდა. ეს ადამიანი სავსე იყო მხოლოდ საქართველოსა და, რა თქმა უნდა, მისი შემადგენელი ნაწილის, აფხაზეთის სიყვარულით, ისე რომ მას ეს სიტყვები არასოდეს უთქვამს ხმამაღლა. ეს ჰქონდა მას გულში ჩადებული და ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი მისი წუთი – ყველაფერი ამჟღავნებდა ამას.

ქალბატონი სვეტლანა უდიდესი პატრიოტი იყო და მთელი გულით იღწვოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. მახსოვს მისი მოწყობილი ყველა საღამო ეს იქმნებოდა ცენტრის ოფისში თუ სხვა დარბაზებში. როგორი სილამაზით, როგორი ცოდნით, როგორი სიყვარულით აკეთებდა ამას ყველაფერს და ვფიქრობ, რომ აი ეს სიყვარულის ჯაჭვი, რომელსაც ქალბატონი სვეტლანა ქსოვდა და რომელსაც დღეს მისი სახით დიდი რგოლი გამოაკლდა, ჩვენ, მისმა მოყვარულმა ადამიანებმა, მისმა მეგობრებმა, რამენაირად მალე უნდა შევავსოთ. ეს ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ უნდა ვცადოთ, რომ ეს ჯაჭვი დიდხანს არ იყოს ჩაწყვეტილი, რათა ზიანი არ მიადგეს საქართველოს ერთიანობას.“

სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს ნათია კენჭიაშვილმა და ნიკა ნაზაროვმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას, შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ. შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია დეკანოზი ბიძინა გუნია (დ. 1956) – თეოლოგი, პედაგოგი, სასულიერო პირი, ფილოლოგი. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 2011 წელს მიენიჭა თსუ-ს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი (თემა: „საპასექო გამოთვლები „მცხეთის დავითის“ A-38 ხელნაწერის მიხედვით“); 2013 წელს მიენიჭა თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი (თემა: „წელიწადის ცნების თეოლოგიური ასპექტები და საეკლესიო კალენდრის მოდელირების საკითხი“); 2013 წელს აირჩიეს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორად; 1994 წლიდან ლიტურგიკის ლექტორი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში; 1994 წლიდან მედავითნეობის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი; 1997-2006 წწ. ლიტურგიკის ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის თეოლოგიის სპეციალობაზე; 2001-2003 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის ლექტორი; 2008-2015 წწ. სოხუმის სახ. უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. 1990-1992 წწ. იყო სტიქაროსანი და მედავითნე თბილისის კლდის უბნის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში; 1993-1998 წწ. ვაჟ მგალობელთა გუნდის რეგენტი თბილისში ჩუღურეთში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში; 2002 წლის 17 თებერვალს ხელდასხმულ იქნა დიაკვნად; 2002 წლის 22 დეკემბერს აკურთხეს მღვდლად; 2006 წელს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში; 2012 წლიდან თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძრის წინამძღვარი. სიტყვის ადრესატია სვეტლანა ქეცბა (1933-2017) – მუსიკოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი. 1953 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი (საფორტეპიანო), 1958 წელს – ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მუსიკის ისტორია). 1958-2004 წწ. იყო ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი (მუსიკალური ლიტერატურა), 1961-1974 წწ. სოხუმის I მუსიკალური სკოლის დირექტორი, 1974-1993 წწ. მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი; 1971-1992წწ. და 1992-2004 წწ. აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი; 1996-2004 წწ. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე; 2004-2006 წწ. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე; 2006 წლიდან „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე; 1992 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში; აფხაზეთიდან დევნილთათვის მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს, გამოფენებსა და შეხვედრა-საღამოებს.

სიტყვა სხვა გამოსათხოვარ სიტყვებთან ერთად გამოქვეყნდა 2018 წელს ჟურნალ „ბიულეტენში“, სათაურით „მარადიულობის ჩადვენთილი სანთელი“<sup>414</sup>. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

<sup>414</sup> ჟურნალი „ბიულეტენი“, 2018, სპეციალური გამოშვება, №1(84), გვ. 5.

**Speech Delivered by Archpriest Bidzina Gunia at the Funeral of Svetlana  
Ketsba, in the Courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery,  
in the Village of Shindisi, on December 26, 2017**

---

The text was typed, the dictionary, notes,  
explanations and a brief overview were attached  
by Natia Kentchiashvili and Nika Nazarovi

**(A BRIEF OVERVIEW)**

An oratorical sample is [Speech delivered by Archpriest Bidzina Gunia at the funeral of Svetlana Ketsba, in the courtyard of the Shindisi St. Tamar Monastery, in the village of Shindisi, on December 26, 2017]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Archpriest Bidzina Gunia (b. 1956) – a theologian, teacher, clergyman, philologist. He graduated from the Faculty of Construction of the Georgian Polytechnic Institute in 1978. In 2011, he was awarded the academic degree of Doctor of Philology from TSU (topic: “Passover Calculations According to the A-38 Manuscript of the “Mtskheta David”); In 2013, he was awarded the academic degree of Doctor of Theology (topic: “Theological Aspects of the Concept of the Year and the Issue of Modeling the Church Calendar”); In 2013, he was elected Professor of the Tbilisi Theological Academy and Seminary; Since 1994, Lecturer of Liturgy at the Tbilisi Theological Academy and Seminary; Since 1994, Head of the Davidic Studies Group; In 1997-2006, lecturer of Liturgy, Faculty of Philosophy, Tbilisi State University, Department of Theology; In 2001-2003, lecturer of the Theology Department, Georgian Technical University; In 2008-2015, Head of the Master's Program in Theology, Sukhumi State University. In 1990-1992, was a rector and a priest at the St. George Church in the Klid district of Tbilisi; In 1993-1998, Regent of the Boys' Choir at the St. Nicholas Church in Chugureti, Tbilisi; Ordained deacon on February 17, 2002; Ordained priest on December 22, 2002; In 2006, he was elevated to the rank of deacon; Since 2012 he has been the rector of the St. Alexander Nevsky Cathedral in Tbilisi. The addressee of the speech is Svetlana Ketsba (1933-2017) – a musician, teacher, publicist. Graduated from the Sukhumi Musical School in 1953 (piano), Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatory in 1958 (music history). From 1958 to 2004 she was a teacher at the Sukhumi Musical School (musical literature), from 1961 to 1974 she was the director of the Sukhumi I Musical School, from 1974 to 1993 she was the director of the Musical School; from 1971 to 1992 and from 1992 to 2004 she was the Minister of Culture of the Abkhazian ASSR; from 1996 to 2004 she was the Deputy Minister of Culture of Georgia; from 2004 to 2006 she was the Minister of Culture of the Republic of Georgia. Deputy Chairman of the Government of Abkhazia; Founder and Chairman of the “Abkhazian Spirituality and Culture Center” since 2006; Lived and worked in Tbilisi since 1992; Organized charity concerts, exhibitions, and meeting evenings for refugees from Abkhazia.

The speech, along with other farewell speeches, was published in 2018 in the magazine “Biuleteni” under the title “The Extinguished Candle of Eternity”<sup>415</sup>. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

---

<sup>415</sup> Magazine “Biuleteni”, 2018, Special Issue, №1(84), p. 5 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ სვეტლანა ქეცბას დაკრძალვისას,  
შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში, სოფ.  
შინდისში, 2017 წლის 26 დეკემბერს**

„ჩამოჰკრეს მწუხრის ზარებმა... ქალბატონი სვეტლანა გარდაიცვალა!

მისივე სურვილით იგი თბილისის მახლობლად, შინდისში დედათა მონასტრის წმინდა მიწასაა მიბარებული. საფლავის ოდნავ ზემოთ ამოწეული მიწა, ზემოთ დარჩენილთ იმას მიგვანიშნებს, რომ მის ქვეშ ზეცაში, ღმერთთან წასვლის სურვილით ანთებული დიდებული ქალბატონის ნეშტი განისვენებს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე საავადმყოფოში მოვინახულე ქალბატონი სვეტლანა. სარეცელს მიჯაჭვული სამედიცინო აპარატზე მიერთებული ქალბატონის ნახვამ ცრემლით დამინამა სახე. მკურნალმა ექიმმაც სანუგეშო ვერაფერი გვითხრა, თვითონაც წუხდა.

...გასაუბრება მომინდა სვეტლანასთან არ მინდოდა, რომ უნუგემოდ ყოფილიყო. მის სასთუმალს მივუახლოვდი და გულში ვკითხე – როგორ ბრძანდებით, ქალბატონო სვეტლანა? ვიცოდი, რომ მისი სული მხედავდა და ყველაფერი ესმოდა. ყოველთვის მომლიმარი და სიცოცხლით სავსე სვეტლანა ოდნავ დადარდიანებული მეჩვენა. იმ დროს რომ შეძლებოდა ჩემთან საუბარი, აუცილებლად მეტყოდა მის უმთავრეს სატკივარს, რომ არ ეყო დრო და ძალა ქართველებისა და აფხაზების შერიგებისათვის, რისთვისაც ის დაულაღვად იღვწოდა.

განსაკუთრებულ მოკრძალებას, პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდა ქალბატონი სვეტლანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის მიმართ. თუ რამე დავალებას მიიღებდა მისგან, დღედაღამ არ ეძინა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ საქმეს...

მდუმარედ დაგვტოვა... მოძმეთაგან შერისხულს არც ქართველთაგან დაჰკლებია სუსხი..., მაგრამ მას ყველა უყვარდა, ყველა...

ქეშმარიტი მორწმუნისათვის სანატრელია ცოდვილ მიწაზე ამგვარი დასასრული, რასთანაც მხოლოდ ერთადერთი გზა, გოლგოთის გზა მიგვაახლებს, გზა სინანულისა, თავმდაბლობისა, მორჩილებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა.

მე და ქალბატონ სვეტლანას არაერთგზის გვისაუბრია რუსულად სწორედ ამიტომ მაქვს სურვილი ორიოდ სიტყვა რუსულადაც ვთქვა.

Среди нашей постоянной суеты и бесконечных дел, среди житейских забот весть о смерти всегда приходит внезапно, тем более весть о кончине близкого человека, который только «вчерашний день беседовал с нами». Эта весть вызвала в наших душах слезную молитву.

Светлана Кецба покинула этот временный мир с глубокой верой в Господа. А Священное Писание говорит: «Блаженны мертвые, умирающие о Господе». Они успокоятся от трудов своих, и дела их идут вслед за ними». А дела Светланы – это вся ее многотрудная жизнь, принесенная без остатка к подножию Креста.

В жизни честного человека бывают и поношения, и беспочвенная клевета, и клевета гонения. Все это мужественно перенесла наша Светлана.

Любая смерть ненормальна, и с нею не хочет и не желает смириться наше человеческое сердце. Даже спаситель, почувствовав приближение смерти, сказал: «Душа Моя скорбит смертельно». Но смерть – это конец и всем земным трудам, заботам, тревогам и скорбям. Смерть – это конец и многочисленным, нередко очень тяжелым болезням и страданиям. «Смерть – мужу покой», – сказано в книге Иова. И мы знаем, что «у Бога нет мертвых, но все живы».

В нашей Православной Соборной и Апостольской Церкви молитва за успешного основано на глубокой вере в загробную жизнь, во всеобщее воскресение мертвых, в единство Церкви молитва за усопшего основана на глубокой вере в загробную жизнь, во всеобщее воскресение мертвых, в единство Церкви земной и небесной.

Дорогая наша Светлана. Вспоминая Вас, мы просим у тебя прощения и верим, что Милосердный Господь со святыми упокоит твою бессмертную душу. Об этом наши молитвы. Вечная память тебе! Бог всемогущий да вселит тебя своих небесных селениях!

და ბოლოს აფხაზურადაც ვიტყვი.

Гэыкала бзиа иаабоз хаҳәшьа Светлана назаза хгәы дтазаауеит. Лгәы иакәырҭсаз акыртуа анышә лзыласхааит, Амин!<sup>416</sup>

---

<sup>416</sup> აფხაზურიდან: „ჩვენი ძვირფასი და სვეტლანა სამუდამოდ ჩვენს გულეში იქნება. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა, ამინ!“

გამომცემლობა „მერიდიანი“ / “Meridiani” Publishers  
თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №88 / Tbilisi, 88 Vakhushti Bagrationi St.  
ელფოსტა / E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)

